

F 902

448730

მანთულა მწერლობა

სტ. საქათვლას საბჭოთა მწერლების ფედერაციის
ყოველთვიური აღიარება

წელიწადი მესამე

10—11



ოქტომბერი — ნოემბერი — 1928
თბილისი.

საქათვლო
პარლამენტი
პროცესული
ბიბლიოთეკა

პასუხისმგებელი რედაქტორი სიმონ ხუნდაძე

სარედაქციო კოლეგია

ბ. ბუაჩიძე
ვ. კოტეტიშვილი
ტიციან ტაბიძე
ლევო ჭიაჩელი
ლ. ასათიანი

აღმასვირ კიბულან

ინგურზე, ხუბერ-ჭალას შესართავთან, ლენხერში, სვანები ხეტყეს მუშაობდენ. სულ ათამდის იქნებოდენ. მათ შორის იყო კალას თემის შორეული სოფლის ხალდეს მცხოვრებიც, აღმასვირ კიბულან, რომელიც თავისი მდევეური აღნაგობით ისე განირჩეოდა დანარჩენებისაგან, როგორც ძველებური სვანური კოშკი სვანების ჩვეულებრივი სადგომებისაგან.

ამ აღმასვირ კიბულანს თან ახლდა თუთხმეტი წლის ვაჟი, სახელად გივერგილა, საკვირველი მონადირე, რომელსაც თავის სოფელში „დალი გეზალ“-ს უწოდებდენ, რაც დალის შვილს ნიშნავს.

იგი პირველად იყო ხეტყის დამზადებაზე.

მამაშვილი ხუბერზე სამუშაოდ მათ ნათესავს ბიმურზოლა მარგველანს გამოეწვია ხალდედან. თვითონ ბიმურზოლაც ხალდეელი იყო, მაგრამ ამ ჟამად ლენხერს ესახლა. მას ჯერ კიდევ შარშან პირობა დაედვა ხის მოიჯარადრე კაუზა ფიფიასთან, რომ წელს ზაფხულის დამდეგს ასს სატივედ გამზადებულს, განსაზღვრული ზომის ხეს—სულ ფიჭვისა და ნაძვის—სოფელ ჯვარში ჩააბარებდა, საქართველოს ხეტყის ტრესტის რწმუნებულის კანტორის სატივესთან.

გარიგებისთანავე ბიმურზოლას ფიფიასაგან ბე და მეტყევეს სათანადო მოწმობა მიეღო. აღმასვირ კიბულანსა და მის შვილს გარდა, კიდევ რამდენსამე მეზობელს, ხის გამოცდილ მუშებს, შეთანხმებოდა, და ამნაირად იმავე ზამთარს სვანები ხუბერ-ჭალას ნაპირებზე ამართულ ფიჭვის ტანამაყ მდევეებს შესჭიდებოდენ. წამოეჭციათ ასი რჩეული, გაესხლათ, დაედალათ, და წმანდა სანთელივით ჩამოქნილები იქვე ფერდობებში, მდინარის გასწვრივ, ჩაერიგებინათ საზამთროდ, რომ ადრე ზაფხულზე ადიდებული, ხუბერით ინგურის ტანწყალისკენ დაეცურვებინათ და ასე სოფელ ჯვარში დანიშნულ ადგილს ჩაერეკათ.

და მთელი კვირა გადიოდა, რაც ახლა, გაზაფხულის მიწურულზე, ისინი ისევ ხუბერს მოსულიყვნენ და მუშაობას შესდგომოდენ.

* *
*

ნიაღვრიან გაზაფხულს ხევები ნაკადულებით დაესერა. მთების გულმკერდი ღელეების თეთრი აბრეშუმის არშიებით დაებანდა და აქაფებული ჩანჩქრები შმაგი სრბოლვით უფსკრულებისკენ დაექანებინა. წყალთა სიმრავლეს ხევებისათვის ცალკე მდინარეების შნო და ძალა შეემატებინა, ხოლო ღარავსილი ხუბერ-ჭალა მათ შორის გაეინგურებინა.

ერთი კვირის განმავლობაში სვანები საერთო ღონითა და მომარჯვებულ ოწინარებით ძელებს ფერდობებიდან სძრავდენ და თავდაქანებულთ აღმუილებული ხუბერის ზვირთებში ნთქავდენ. მათ დაჯახებაზე კლდეებს თეთრი ნაპერწკალი სცვივოდა და მალლა ავარდნილი ქაფის ალები, მზეზე მოქნეული ხმლებივით, კიაფობდენ.

ძირს, ინგურის შესართავთან, მალლიდან დაქანებულ ხეებს აღმასგირ და გივერგილა სდარაჯობდენ გრძელი ჭოლოკებით აღჭურვილები.— ინგურის მორევში ჩაყვინთულ ძელებს ზედაპირზე ამოტივტივებისთანავე ისინი ჭოლოკებით ეძგერებოდენ და მიწოლით მდინარის მარცხენა ნაპირისკენ მირიყავდენ, სადაც კლდის ჩიხისებურ ღრუში მოქცეული, მთავარ კალაპოტს აცდენილი წყალი, დამდორებული ტორტმანით, ისევ მარჯვნივ უხვევდა მთავარ ტანთან შესაერთებლად.

ეს ადგილი ინგურზე ხეების ნავთსადგურად იყო შიჩნეული. აქ აქუჩებდენ მოდენილ ძელებს, რომლებსაც შემდეგ სათითაოდ, მწყობრად სოფელ ჯვარისკენ ისტუმრებდენ, გზის გასაკაფად ნაპირ-ნაპირ ადევნებით, სადაც ეს შესაძლებელი იყო.

აღმასგირსა და გივერგილას დიდძალი ხე მოემწყვდიათ ამ ჩიხში.

ცხვრის განაჭირ ფარასავით ქლოშინით ისვენებდენ აქ ძელები, ცახცახით ეკვროდენ ერთმანეთს და კლდეებთან ბრძოლაში მიღებულ ჭრილობებს იშუშებდენ.

ამ ადგილიდან დაშორებით, უნაგირივითა მალლიდან გადმოზნექილი ნაპირის ძირში, ჩამონაპობი კლდის კედელთან სვანებს სახელდახელოდ კარავისებური საჩრდილობელი სადგომი აეგოთ, ოთხსვეტიანი, ნაბდითა და ნაძვის წიწვიანი ტოტებით გადახურული. ეს იყო მათი ღამის სათევი და დასასვენებელი ბინა.

ამ კარვის წინ თანაბარი სიდიდის სამ ქვას შუა მუდამ ცეცხლი ენთო გაუქრობელად და ქვებზე პატარა კარდალა იყო შედგმული. ხელმარჯვე—გივერგილას წყალობით სვანებს თითქმის ყოველ-

დღეს ჰქონდათ ნანადირევის ხორკი, უფრო კი კაკბისა, რომელიც მრავლად ბუდობდა მახლობელი ხევების ხრიოკ კლდეებზე.—კარვის სვეტებზე ტყაბუჭები ეკიდა, გუდა-ნაბდები და მოკლე სვანური ჩოხები ქამრებითა და ყამებით. წინ, ცალკეთ, ზემო ბოყვთან, ჯიხვის ტყავის „ქვირქ“-ზე თასმით გადაკიდებული ერთლულიანი ფილთა ბზინავდა, ძველებური ვერცხლით შემოსალტული.

„ქვირქ“-იც და თოფიც გივერგილას ეკუთვნოდა. ერთი იყო მის მიერ პირველად მოკლული ჯიხვის ტყავისა, მეორე—მისი სიამაყე, სანადირო ძველი ფილთა, დალის მიერ საკუთარი ხელით სამჯერ ნაფერი და ამდენჯერვე დანალოცი.

* * *

საღამოვდებოდა, როცა აღმასგირმა ხუმერის ღარით ჩამოქანებული უკანასკნელი ხე ჩიხრში დააბინავა, ჭოლოკი მხარზე გადიდვა და ძელების ჯოგს თვლა დაუწყო, წინ გაშვერილი კორძიანი კაუჭა სალოკი თითის ჰაერში რჭობით.

მალე ბიმურზოლაც დაეშვა მალლიდან დანარჩენი მუშების თანხლებით. აღმასგირთან ნაპირზე მოქუჩდენ. უხაროდათ, რომ მძიმე სამუშაოს მორჩენ: აქედან ხეებთან ჭიდილს ინგურის ტალღებს უთმობდენ. ახლა ბიმურზოლამაც დაიწყო ხეების თვლა, —სხვებიც დაეხმარენ. სრულიად ასი აღმოჩნდა, რაც ერთმანეთს დაუმოწმეს. მერე კარვის ცეცხლთან მოგროვდენ.

ტანი დაიფერთხეს. ნაბდები მოასხეს. ყალიონი გააბოლეს. —
ღერღლიანი სვანური მასლაათი წამოიწყეს.

გივერგილამ სვეტზე ჩამოკიდებული თავისი „ქვირქი“ და ფილთა ჩამოხსნა „ქვირქი“ ზურგზე მოიგდო, თოფი იღლიაში და შეუმჩნევლად, ბოკვერის ნახტომით, როგორც ცხენს, აღმართის ზურგს ისე შეახტა.

ერთი გაინაბა და ხევებზე გადმოწოლილ ხრიოკ კლდეებს თვალი მიმოავლო.

ასაფრენად გამზადებული შავარდენივით შეკუმშულიყო.

ნისკარტივით მოკაუჭებული ცხვირის ორთავე მხარეს მოწითალო შუქთა მფრეველი ჟღალი თვალები უელავდენ.

კაჟის ფერ მკლავსა და მკერდზე შვილდივით მოჭიმული კუნთები უკრთოდენ.

თვალი შეასწრეს უფროსებმა. ამაყად ჩაილიმეს და ცოტა განზე კლდესთან აყუდებულს აღმასგირს შურით შეხედეს.

ბიმურზოლამ ჭაღარა წვერი დაიბერტყა, ახმიანდა და კიბულა-

ნის ვაჟს სიმღერის კილოზე წარმოთქმულ მონადირეთა ლექსით მი-
მართა წასაქეზებლად:

ვოიდა ლემჩილ იჰავოდა იაკამ,
ვოიდა **გივერ** იჰავოდა **გილა**,
ხითხვი იარე ჭანგულისგა
კოჯას ფივერს დემ ხაცური.

გივერგილაც მოსწყდა თავის ადგილს და თითქოს ჰაერში აფ-
რინდაო ისე გაქრა.

აღმასგირს მოულოდნელად სახე მოელრუბლა:

— გვიან არის. აქ ადგილიც უცნობია.—

მას სიფრთხილე უსაყვედურეს. მონადირე შვილის ქება უთხრეს
და გააგონეს, რომ გივერგილას ნადირობაში განსაკუთრებული ბედი
წყალობდა დალის სახით.

მხრები აიწურა აღმასგირმა თავის გასამართლებლად ჩაილაპა-
რაკა:

— დედაკაცმა დამაბარა, ბიჭს გაუფრთხილდით, წამოსვლის წინ
სიზმარი ენახა. ახლა მენიშნა რაღაც, თორემ არ მახსოვდა.

ჩაიხარხარა ამაზე ბიმურზოლამ. იგი ქალაქებში ნამყოფი იყო
და წერაკითხვაც იცოდა.

— ბევრი სძინავთ ჩვენს დედაკაცებს, აღმასგირ. მეც ასე მე-
წყვის ჩემი, მაგრამ ცოცხალი ვარ ამდენი ხანია. სიზმრის ნუ გჯერა:
ძველ დროში შეიძლებოდა, ახლა კი ცხადიც სიზმარია.

აღმასგირმა არაფერი უპასუხა მაგრამ ბიმურზოლას სხვები შე-
ეკამათენ.

ერთმა კამათს გრძელი ამბავი მოაბა. შიგ ყველა სვანური სა-
შინელება არია: „ცხეკი დაავ“, „ჰეერია“, „შაშშარ“ და „ლახვაარ“.

უცებ, თითქოს ზღაპარს მოჰყვაო, დღემ ფრთები შეკეცა და
მთებში ფერთა აღრევის დრო დადგა.

აიმრიზა აღმასგირ კიბულან მღევის ლანდივით საშინელი და
იმ აღმართს შეეფინა გულჩათხრობით, რომლითაც გივერგილა სანა-
დიროდ გაიჭრა.

მზისაგან შერუჯულ კლდეებ შორის თვითონაც გვერდებ-შელე-
წილ კლდეს ჰგავდა, რომელსაც სასწაულებრ სული ჩადგმოდა და
ამოძრავებულყო.

ახმახი იყო, უსწოროდ ნაგები.

უხორცო. კუთხებ-ჩამოხეთქილი ნაკვთსა და ნაკვთს შორის შე-
ღრუებულნი. მხრებსა და გულმკერდში სვანური რკინით შესალტული.

გამოხედვა ირიბი ჰქონდა, უნდობი და მალი. ჩამოზნექილ შუბ-

ლზე წარბები შავი ფრთებივით ესხა, რომლებიც მოყვითალო, ხორბლის მარცვლის ფერ თვალებს უჩრდილავდენ.

აღმართზე რომ შესდგა, ბარისოდენა ხელის გული თვალებზე ჩამოიფარა და მზის უკანასკნელ სხივზე ოქროსფრად მოხამხამე შორეულ მთებს გახედა.—სახის ძვალზე დაბეგვილი აბედივით გადაკრული კანი ჩაღრმავებულ ნაოჭებს დაესერა და ზედ გაურკვეველი შიშის ლანდი გადაფენოდა.—

გივერგი-ილ!

მაგრამ ამ დროს თოფიც გავარდა და ფეხზე წამოცვივნილი სვანები მალლა ხრიალით ამოვარდენ.

„ვოიდა გივერ იჰავოდა გილა“.

მეორედაც გაისმა თოფის ხმა და სერზე გივერგილაც გამოჩნდა. ფერხულით შეეგებენ გამარჯვებულ მონადირეს სვანები. კაკბებიანად შუაში ჩაიყენეს. დარაზმეს ფეხები და ტანის საზეიმო რხევით გარს შემოუარეს.

ბიმურზოლა იყო პირველი, რომელმაც ინგურის გმინმის ხმაზე შემოსძახა:

„ვოიდა ლილეგო ისგვანი დიდაბ ბინგოშია ვოიდა ლილე“.

მეორეთ უკვე თვითონ გივერგილას კამკამა ხმამ მალლა ასწია:

„ვოიდა ლილეგო დიდება თარინგლეზერის ვოიდა ლილე“.

აღმასგირის ბანმაც ბოლოს მეხური ძლევა მოსილებით ჩაიგუგუნა...

* * *

ძირს ინგურს ნისლიანი ღამის საბანი წამოეხურა.

მალლა ნაპირებს საღამოს ბინდის ლურჯი ლაშქარი შესეოდა. უფრო მალლა, მახლობელ მთებზე, ღონე დაღეული მზის ოქროს ფერი ლივლივი ქრებოდა.

შორს კი, თვალშეუწვდენელი ჩოხა-თვალაშ უშბა თვისი უბადლო აღმასების აბრჭყვიალებით დედამიწის საზღვარს გაცილებულ მზეს შორეულ გზას უნათებდა, ხოლო თავის მოძმეთ, სვანეთის გუშაგთ, თეთრგვირგვინიან თვეთნულდსა და ჭაღარა ლაჰლას, ღამის მოახლოვების ნიშნებს აძლევდა...

ასე მიიწურა დღე ხუბერზე, ფერხულში ჩაბმული სვანების გარშემო.

* * *

გათენებისას ისევ კოლოკებით შეიარაღდენ სვანები. აიკიდეს გუდა-ნაბადი, აიყარნენ და ინგურის ვიწრო ღარის გასწვრივ

ჩამწკრივდნენ ხელ-ფეხ აკაპიწებულები. ჩიხიან მაღალ ნაპირთან მი-
რიყული ძელები რიგ-რიგად ადგილიდან დასძრეს.

ჯერ კიდევ ნისლი ბურავდა გარემოს და მოახლოვებულ გან-
თიადს ღამის ბინდი ვერ გაეფანტა. მაგრამ ინგურს უკვე ეგრძნო
ღლის გამარჯვება, მკლავები გაეშალა, სადაფის არტახები დაეგლი-
ჯა და ნისლის საბნის ნაფლეთები შორს მთის კალთებისკენ გაეტ-
ყორცნა.

ყველაზე წინ, მდინარის მარჯვენა ნაპირით აღმასვლი კიბულან
მიუძლოდა ხეების აშლილ ჯოგს. მის პირდაპირ, მეორე მხარეს,
კლდეებსა და ტალღებს შებრძოლებული გივერგილა ჭოლოკს ხმალი-
ვით იქნევდა და ნისლის ღრუბლების აკაფვით წინ მიიწევდა მამის
თანაბრად.

მისი ჯიხვის „ქვირქ“-ით ბეჭებში შეკრული ტანი, რომელსაც
მხრებს ზემოდან ჰაერში შემართული თოფის ლულა გადმოჰყურებდა,
ღროგამოშვებით ქათვის თეთრ დუღილში ბრინჯაოს ქანდაკებასავით
გამოიკვეთებოდა და ისევ კლდეებსა და მათზე ნასხლტომ ზვირთებ-
ში იმალებოდა.

— გივერგ-ი-ილ! იმე ხარი?!

გაისმოდა მაშინ აღმასვლის ძახილი, და ინგურის ღმუხილში
უცხოდ შეჭრილი მისი დაგმინება მთების თაღოვან კალაპოტით მაღ-
ლა ცას მამის გულის ფარულ ძრწოლას შელალადებდა.

ასე განვლეს კარგა დიდი მანძილი.

უკვე დილა იყო, როცა სვანეთის საზღვარიც გადალახეს და
ხუდონს დაუახლოვდნენ.

ხუდონს ზემოდ ანაზღად წინ გარდუვალი დაბრკოლება გადაე-
ლობათ.— უფსკრულს ჩაძირული ინგურის შუა ტანში წყლიდან ამო-
ზიდულ ვეება კლდეს ზედ თავზე ძელების ხროვა მაღალი ჯიხურივით
დადგომოდა და გზა შეეკრა.

აღმასვლისა და გივერგილას მოდენილი ხეები ტალღებმა ამ
ჯიხურს დაატაკეს. უკუ იქცენ შეტორტმანებით. მაშინ მორევმა ნა-
ფოტივით შეატრიალა, ხოლო შემდეგმა წამოსწრებულმა ტალღამ
ზე აიტაცა ისინი და ზოგი ჯიხურის ღრუში შესტყორცნა, ზოგიც
ზემო სართულში აისროლა.

განაპირას, ამ ორომტრიალის პირდაპირ აღმასვლი ადამიან-
ების ჯგუფი შენიშნა. მათ შორის მოიჯარადრე კაუზა ფიფია დაი-
ნახა. ორიოდე ნაცნობი სვანიც შეამჩნია. სმენა ინგურს ჰქონდა წარ-
თმეული, მაგრამ თვალმა კი მიახვედრა, რომ ხალხი კაუზა ფიფიას
უყვიროდა და ემუქრებოდა.

ფიფიას კი ერთ ხელში დახვეული თოკი ეჭირა, მეორეში —
ოთხკუთხიანი თეთრი ქალაღი, რომელსაც ხშირად შლიდა და კე-
ცავდა. აღელვებულ ხალხს ამშვიდებდა და რაღაცას ბეჯითად უმტ-
კიცებდა. თან ქალაღიან ხელს კლდისკენ აშვერდა. რომელსაც ძელ-
ზე უთითებდა, თოკსაც მისკენ აქნევდა და გაუგებარი ნიშნებით
ახსნა-განმარტებას იძლეოდა.

მალე ბიმურზოლაც გამოჩნდა. მივიდენ აღმაგსირის სხვა ამხა-
ნაგებიც.

— კაუზამ მოგვატყუილა: კლდეს ტრესტი ააფეთქებსო: ასეთი
იყო დაპირება.

განაცხადა ბიმურზოლამ. აიყოლია სვანები და კუზასკენ გაე-
მართა.

გამოირკვა რაც უნდოდა მოიჯარადრე ფიფიას და ის ოთხ-
კუთხიანი ქალაღიც რას წარმოადგენდა.

იგი ერთ ჩერვონეცს პირდებოდა იმას, ვინც გაბედავდა ჯი-
ხურზე გასვლას და კლდეზე განით მიჯორგილ ძელებში ყველაზე უფ-
რო ძირში მოქცეულს თოკის თავს გამოაბამდა.

აღვილი სჩანდა ამ ნაზღევის მოგება, განსაკუთრებით ტანმსუ-
ბუქთათვის. ნაპირსა და კლდეს შუა დიდი მანძილი არ იყო. ისიც
ხიდივით იყო წყალზევით ხეებით დაფარული, რომლების თავები
აქეთ-იქით კლდეებს მტკიცედ ებჯინებოდნენ. მხოლოდ იქ თავმოყრილ
მუშებს ნაზღევის რაოდენობა ეცოტავებოდათ და მომატებას მოით-
ხოვდნენ.

ბოლოს ერთი ტანთხელი ყმაწვილი ხის შუშა დათანხმდა ჯი-
ხურზე გადასვლას. კაუზამაც ფული მის არჩეულ კაცს გადასცა.

ყოველ შემთხვევისათვის გაბედულ ყმაწვილს თოკის ერთი თავი
წელზე მაგრად გამოაბეს, მეორე რამდენსამე კაცს მისცეს ხელში
ნაპირზე, და ასე გაისტუმრეს.

მაგრამ ხეების მრგვალი ზედაპირი ლიპიანი აღმოჩნდა. რამდე-
ნიმე ნაბიჯის გადადგმა-ლა მოასწრო ყმაწვილმა. ფეხი დაუსხლტა
და ძელებზევე დაეცა. ხელი იტკინა. ისევ ნაპირზე გადმოიყვანეს.

ცდამ დაამტკიცა, რომ ხეები მაგრად იყო შეკრული და ხიდი
ამ მხრივ მართლა უშიშარი აღმოჩნდა მაგრამ ფერწასულმა ყმაწვილ-
მა ცდის განმეორებაზე უარი განაცხადა. ხელის ტკივილი მოიმიზეზა.

მაშინ გივგრილამ ბიმურზოლას ყურში ჩასჩურჩულა, რომ ის
იკისრებდა ძელზე თოკის მობმას.

ბიმურზოლამ ხელი დასტაცა გივგრილას, კაუზა ფიფიას წინ
დაუყენა და მისი სურვილი საჯაროდ გამოაცხადა.

გაჯავრდა აღმასგირ. შვილს, ფრთებივით, მკლავები გადაათარა და განზე გაიტაცა. შეუწყრა ბიმურზოლას ასეთი საქციელისათვის. ეგონა, რომ გივერგილას ის აქეზებდა.

გივერგილას თავის გამოჩენის სურვილით ანთებული თვალები ისევ ჩაუქრენ.

აჩოჩოლდენ ნაცნობი სვანები. გივერგილას გამბედაობა მოუწონეს. აღმასგირს ზოგი საქმის სიადვილეს უმტკიცებდა, ზოგი კი ფულს ახარბებდა.

უცნობებმაც, როცა გივერგილა შეათვალიერეს, გადაჭრით სთქვეს:

— ეს ნაზღვევი ამას მოუგიაო.

გივერგილას წინააღმდეგ ახლა სხვა არვინ გამოჩნდა მსურველი. ბოლოს, ყოყმანის შემდეგ, აღმისგირიც ჩააჩუმეს.

გახარებულმა მოიჯარადრემ ფულიც უმაღვე მას გადასცა. მეტი გაფიქრება არ აცალა, ისევ უარი არა სთქვასო, თავისი ხელით უბე გაუხსნა და შიგ ჩაუჩარა.

გივერგილამ თოფი ჩამოიხსნა. მამას მხარზე ჩამოჰკიდა.

შეაბეს თოკი. მეორე თავი აღმასგირმა სხვებს არ დაანება. ჩასჭიდა ხელი და კლდის კიდურზე ფეხის მიბჯენით მთასავით დაეყუდა ჯიხურის პირდაპირ.

ხელები ფრთებივით გაშალა გივერგილამ. ტანის სიმძიმე მხრებთან შემოიბოჭა და დარხეული წინასწორობით თვალის დახამხამებაში გალია მანძილი ჯიხურამდეს.

ყველანი სულგანაბულნი შესცქეროდენ.

არავის ესმოდა ყრუ, ჩათქმული ძახილი, რომელიც აღმისგირს გულის სიღრმიდან ჯლოხინივით ამოსდიოდა:

— გეყაფა, გივერგილა... ახლა დაბრუნდი.

გივერგილა ახლა ჯიხურს ჩაჰყვა. მარჯვედ შეაჯდა ერთს მოხდენილად გამოწეულ ხეს, გადაიღუნა და იმ ძელს მისწვდა, რომელიც დასათოკად იყო მიჩნეული.

— აი, ბიჭი! ყოჩაღ! — დაიგუგუნა ნაპირმა.

და ერთდროულად რაღამაც მდინარეშიც საშინელად გაიხრიალა. მისგან მთების კედლები შეჰქანდენ და გარშემო მიწაც შეინძრა.

დაინგრა ჯიხური და საკვირველი ძლიერებით გამოტყორცნილმა, ისარივით სწორმა ძელებმა, ზევით ჰაერში, დაბლა კიდევ წყალში, თავზირდამცემი ჰმუილ — შუილით თვალით უნახავი დოღი გამართეს. მათმა სიმრავლემ ვიწრობაში კიდევაც ჩამოაბნელა.

ერთ წუთში ვერავინ ვერ გამოარკვეულიყო.

უცებ პირველისაზე არა ნაკლებად შემზარავი გმინვაც გაისმა:

— გივერგილ, იმე ხარი?

იქ მყოფთ ახლა ამ ხმისაკენ მოიხედეს:

ალმასგირ კიბულან წყლის პირად დამდგარიყო მხარბეჭებ-გა-
შლილი, მარჯვენა ხელში თოკის ერთი თავი ეჭირა, მარცხენაში—
მეორე თავი. ხან ერთს დახედავდა, ხან მეორეს და ცოფმორუელი
მხეცივით ღმუოდა.

— გივერგილ, იმე ხარი?

ტყვიასავით მომავალი ხეები ეჯახებოდენ, მაგრამ მას ადგილი-
დან ვერ სძრავდენ.

ახლა ხალხიც გამოერკვა.

— გივერგილა. გივერგილა. — გაისმა ჩოჩქოლით.

მაგრამ გივერგილა არსად იყო.

ალმასგირმა ახლა ნაპირისკენ გამოიხედა.

— გივერგილ! — დაიყმუილა და შემოტრიალდა.

ნაპირზე მყოფთ შემზარავი თვალები შეავლო.

ხალხის დანახვა ეოცა, თითქოს პირველად დაინახაო.

— გივერგილ... — შესძახა და თითოეული შეათვალიერა.

— სად არის, ძმებო, გივერგილ? — ვედრებით იკითხა და თვა-
ლების ცეცხლზე ცრემლი გადაესხა.

კლდის კედელთან შეშინებული კაუზა ფიფია აწურულიყო.

ალმისგირ მას მივარდა. თოკი ხელიდან გააგდო.

— კაუზა, აჰა, შენი ფული! დამიბრუნე ჩემი გივერგილ!

ფული ამოიღო. გაუწოდა. მერე უბეშივე ჩაუდვა საკუთარი ხე-
ლით.

— აჰა, ძმაო....

მკლავებზე ხელები მოხვია, შეევედრა. შეამეღვრია.

უცებ მის წინ კლდის შავი კედელი წითლად შეიღება და ტვინ-
გარეული სისხლი თავის ქალას ნამსხვრევებითურთ კედლიდან სახეზე
შეეშხაპუნა.

ხელთ კი მოიჯარადრე კაუზას ჩოხის მოგლეჯილ სახელოებში
გაყრილი უტანო კლავები შერჩენოდა.

ჩადენილის აზრი და მნიშვნელობა ვერ გაერკვია.

ხელები შეუშვა მკლავებს.

— ალმასგირ!..

მოესმა მოულოდნელად ნაცნობი ხმა. მყისვე გაეხმაურა შეძა-
ხებით:

— ბიმურზოლ! — და მოტრიალდა.

მის ხმაში ახლა სისხლის წყურვილი ჰკივოდა.

მიმოიხედა. გარშემო არავინ იყო. ბიძურზოლაც არ სჩანდა, რომელსაც ეძებდა.— ყველანი შიშით მიმალულიყვნენ.

აღმასვირმა ისევ ინგურს მიმართა.

კლდის ქვემოდ, სადაც ჯიხური დაინგრა, წყლის ზედაპირზე რაღაც ნაცრისფერი ამოტივტივდა და ზვირთში გაერია.

— გივერგილ!

გადასძახა ინგურს და მდევის ლაჯებით მიჰყვა მის გაშმაგებულ მდინარებას...

*
*
*

წყლის ყოველი აქოჩრება შვილს ალანდებდა. ზვირთის ყოველი გაქანება გივერგილას სახეს წარმოუდგენდა.

შვილის ფილთა შერჩენოდა მხარზე, მაგრამ მას არ გრძნობდა. თავში, გულში, ტანში, თვალებში— მხოლოოდენ გივერგილა ჰყავდა. ხმაც პირიდან ამ სახელის სახით ამოუდიოდა. მიდიოდა, საცოდავად მიბლაოდა. კლდეებზე აბიჯებდა. ქვებს ახტებოდა. საკუთარი ძალისთვის ახლა გივერგილას სიმარდე მიემატებინა.

სადღაც გულში იმედი უღვივოდა, რომ გივერგილა თავს არ დაიღუპავდა. ვერ წარმოედგინა მისი დაღუპვა. ამ იმედით ეგონა, რომ გივერგალა მდინარეს გამოყოლილი სადმე წყლიდან ამოსული დახვდებოდა ნაპირზე მდგარი.

მეორე ფიჭრით კი სასოწარკვეთილებას გრძნობდა. მაგრამ ცოცხლის თუ არა, მკვდრის ნახვის იმედი მაინც ჰქონდა. ამ შემთხვევაში თვალებს ხუჭავდა და შუბლს ხელის გულით იფარავდა, რომ საშინელი სურათი არ წარმოედგინა და მკვდარი შვილის სახე არ მოჩვენებოდა, რადგანაც გაგიჟების ეშინოდა და გონების ძალა არ ჰყოფნიდა.

დილა უკვე დღეში გადადიოდა. როცა აღმასვირის წინ სოფელი ჯვარიც გამოჩნდა.

ჯვართან ინგური გაშლილიყო. თითქოს სვლაც შეენელებინა, აქამდე მალალი ნაპირები დავაკებულიყვნენ.

ამ ადგილებსაც იცნობდა აღმასვირ. მაგრამ ამ მხარეს სოფელი ჯვარი იყო დასასრული მის მიერ ხილული და ნაცნობი ქვეყნიერების.

თემის აღმასკომის შენობის პირდაპირ ჩავლის დროს მან შენიშნა, რომ იქ შექუჩებული ხალხი მის დანახვაზე ახმაურდა და მისკენ ხელების გამოშვერით ინგურისკენ გადმოდგა. ხალხს რამდენიმე

ბიჭი გამოეყო და ყვირილით ნაპირისკენ დაეშვა.—გაკვირვებოდათ დანახვა მთიდან უეცრად გადმოვარდნილი საკვირველი სანახაობის სულიერისა, რომელიც ძველი ზღაპრების მღევი—გმირივით, ამ დღის სიკვადეში, ცეცხლის მთასავით მოაბიჯებდა და პირიდან მუგუზლებს, ხოლო თვალებიდან ნაპერწკლებს ჰყრიდა.

მისკენ გამოქანებულ ბიჭების დანახვაზე გული აუჩქროლდა აღმასგირ კიბულანს. შესდგა. ერთს მათგანს სვანური ქუდი ეხურა და გივერგილასავით ტან-ასხლეტილი იყო.

— გივერგილ!—დაიღმუილა აღერსიანად აღმასგირმა,

მაგრამ ბავშვები დაფრთხენ, უკუიქცენ და მიიმალენ.

მაშინ სიმწრისაგან გულზე მოქნეული მუშტი ისე მაგრად დაირტყა აღმასგირმა, რომ მაღალმა მკერდმა ღრმად ჩაიგუგუნა და მიდამოს შემზარავი ზმუილი მოსდვა:

— გივერგილ. ვაიმე, გივერგილ...

და თვალებიდან ცრემლი ღვარად დადინდა.

მაღე ისევ ინგურს მიმართა და მის მსრბოლავ ტალღებს კვლავ შეუსვენებლად მისდია.

მთები თანდათან მის ზურგს უკან რჩებოდნენ. წინ მინდვრები და ველები იშლებოდნენ. ინგურიც საკვირველად იზრდებოდა, დიდდებოდა და ტოტებს ისხამდა. გარშემო ჰაერი მძიმდებოდა და აღმასგირს სულს უხუთავდა. შეუჩვეველ სწორ ხაზებისაგან თვალები სტკივოდა.

არ იცოდა რა ადგილი იყო, სადაც შემოალამდა.

ძლივს მიდიოდა. ჭაობში იფლებოდა. მყარ ნიადაგს ვერ ჰკვებდა. ეკალი ჰკაწრავდა. ოფლი და სისხლი ერთად სდიოდა.

გზას მდინარის ტანით მიიკვლევდა, რომელსაც თითბრის ცის სინათლე ადგა.

როცა მთვარე ამოვიდა, გულს ესაღმუნა: იგი ერთად ერთი ნაცნობი იყო ამ უცხო, მმორიან არემარეში.

უსიტყვოდ შეჰღალდა მას გულის ტკივილი.

მთვარემ პასუხად უცებ ოქროს დაღალეები გადმოშალა და დალის სახე მიიღო. მერე დაირხა, მოწყდა ცას და ძირს დაეშვა აღმასგირის პირდაპირ, საკვირველად ახლოს.

აღმასგირმა კარგად დაინახა, რომ დაღს ჭირისუფლური სახე დაკაწრული ჰქონდა, და მოესმა, რომ ისიც გივერგილას სახელს გაჰკივოდა.

— დალი. დაა-ლი.—მაგრამ ხმა არ ჰქონდა. მხოლოდ ხრიალი ამოსკდა მკერდიდან.

იმედი მაინც მიეცა აღმასგირს. ღონე მოიკრიბა და მუხლების ქნევით კვლავ წინ გაეშურა.

მაგრამ ამ დროს ანაზდად აღმასგირის არეულ თავში ჯერ საიდლამაც მოვარდნილი საშინელი ძალის ღმუილიანი ჩაშუილება შეიჭრა, და შემდეგ თვალწინ გაუგებარი საკვირველება გადაეშალა. — ჰაერისა და წყლის უსაზღვროება ერთმანეთში არეულიყო და უსახეობას ქვეყნიერება ჩაენტქა.

სადღაც კიდევ დაიგუგუნა და ატორტმანებულ სივრცეში ყალყზე შედგომით უკან ქცეულმა ინგურმა აღმასგირს გზა გადაუჭრა.

განგმირულივით შესდგა შიშის ზარდაცემული აღმასგირი.

პირველ წამს საშინელმა დაგუგუნებამ მის ყურთა სმენას ხუდონთან ინგურის კედელზე მიჩიხული ჯიხურის დანგრევის ხმა მოაგონა.

„ნუ თუ კვლავ უნდა განმეორდეს საშინელება და მის თვალწინ გივერგილა აქაც უნდა დაიღუპოს?“

— დალი... უშველე შენს გივერგილას. — უკანასკნელი ღონის მოკრებით დაიღრიალა აღმასგირმა.

წინ აციალებული წყლის სიღრმეში მან მართლა დაინახა დალის მთვარის შუქმფენი სახე, რომელიც ზედაპირისკენ მოისწრაფოდა. — ოქროს თმებში თვალგახილული, მომლიმარი გივერგილა გაეხვია და ალერსით გულში ჩახუტებული უფსკრულიდან ამოყავდა.

— გივერგილ! — არა-ადამიანური გახარებით შესძახა აღმასგირმა და მძიმე ტანის ამჩატებით, ჰაერში შემართული ხელების დიდრონი, კაუჭა თითების მოლანდებული შვილისკენ გაშვერით, წყალი შეაპო და ზღვაში შეიჭრა.

მაგრამ მას ზღვა არ უგრძენია.

ხოლო არც სიკვდილი უგრძენია სიკვდილის წინ, რადგანაც თვალგახეილი შვილის მომლიმარი სახე თვალთაგან არ მოშორებია...

მ მ მ მ ნ მ მ მ

(ნაწყვეტი პოემიდან)


სცენა მორთული
დროშებითა
და პლაკატებით.
დარბაზი ხალხით
სავსეა და
ველარ ვეტევით.
მაგიდა წითლად
გადაკრული —
მაუდიანი
და თავჯდომარე
უფერული,
დაბალ ხმიანი:
„ამხანაგებო!
ჩრდილოეთით
გაგვიჩნდა მტერი:
აჯანყდა ბრბო
და ხელში იგდო
ძალა პიტერის..
ჩვენ რას დაგვაკლებს
ანარქია
ბოლშევიკური, —
მტკიცეა
ჩვენი
ვითარება
პოლიტიკური.
ბოლშევიკების
გამარჯვების
დღეებს დავითვლით.

ვკედთ ახალ დროსა,
არა ბრძოლით,
არა სისხლის ღვრით“...
ტაშის გრიალმა
თავმჯდომარის
სიტყვა დაფარა.
სიჩუმეს წუთის
ხმაურობით
არღვევს ქანდარა.
მომხსენებელი
არ სჩანს—მაშ ვის
უცდის ტრიბუნა?
ქანდარისაკენ
ხალხმა უცებ
პირი იბრუნა.
ფურცლების ცვენა
გავდა ფრენას
თეთრი მტრედების.
ჩვენ ვკითხულობდით
მოწოდებას
ბოლშევიკების:
„ამხანაგებო!
ოქტომბერში
ჩვენი ხსნა არის,
ჩვენშიაც უნდა
ცეცხლის ფერათ
მოვროთოთ მთა—ბარი!
ამხანაგებო!
მზად იყავით
ხელში თოფებით!
თავისუფლებას
მოვიპოვებთ
მხოლოთ ბრძოლებით“...
ზარმა დარეკა,—
სიჩუმეში
ხმამალლა ითქვა:
„ვინ დაუჯერებს
ბოლშევიკებს

და იმათ სიტყვას?
 განვარდნით კრება,
 ხელშემშლელებს
 კანონი დასჯის.“
 მომხსენებელი
 ტრიბუნაზე
 ხველებით ადის.
 ქუჩა კი ამ დროს
 ხმაურობდა: „მოდიან, მოყავთ!
 —გასწით!
 —ნუ გვცემთ!
 —მტრები ხართ!
 —თქვენ და არა ჩვენ!
 —მოგკლავთ!
 მიყავდათ ცემით
 თოფიანებს
 ბოლშევიკები.

F902

Handwritten signature



გ ე ღ ი - რ ე ს კ უ ბ ლ ი კ ა

(მეორე ნაწილი)

I

გზა ავჭალიდან გაჭინთული წიფის მთებამდე
მატარებლებით, ფურგონებით იდგა შუადღენდე.
სდუმდა მინდორი: ნეტავ დარდებს გადათიბავდენ
და გენერლები დაშლილ რაზმებს
ჯარად აღგენდენ.

შეჰკრეს ლაშქარი მეომრებმა უკან დახვეის,
დანარბევ ურმებს

შემთხვევითი ჯარი ალაგებს,
გვარდიელები თეთრეულით და კონდახებით
თავს ლალატობენ და სტოვებდენ ომის ბანაკებს.
შემდეგ შესცვალეს უფროსებმა ბრძოლის გეგმები,
მოხსნეს თხრილები

საომარი მცხეთის მთებიდან,
ლიანდაგებზე დარჩა ჩექმები
და ორთქლის სუნი ბუშლატებიდან.
ბუშლატები და, ზარბაზნებმა ფეხნი მოირთხეს
მაინც სარდალი

რალაც ძალით, ომსაც აპირებს.
დიან ღრუბლები

მზის სახნისით, გადახნულები,
ეშურებიან ცილინდრები, ზღვათა ნაპირებს.
მთებს შთაგონებულს, ომებისგან რა შეაშფოთებს,
დღეებს ამოცლილს

სინდისით ვინ ამოავსებს.
იცვლება დრო და, მდუმარენი მთების ბოთლები
დროშას ამართულს მოელთან მყინვარის თავზე.
სევდას სუნთქავ და

ქეძაფივით გიმტვრევს ხრახნილებს
შრიფტი ბალახის მოედება ყოფის რვეულებს,
დასცქერ ოჯახებს დროებისგან ბუდე აყრილებს
და მნათობებათ ნალებს სტოვებს ჩამომტვრეულებს.
დაუპურებო! დამშეულო! ხორბლის კათხებით
იჭირნახულებ და ჭრიჭინებ ურმის შარებით,
გვესება ზეცავ ამოთხრილნი თვალნი კითხვებით
და სადგურებში ფარაჯებით

ტყისებრ შრიალებ.

ზოგს ჭადი მიაქვს

კარგ გუნების კაცს-კი საცვლები,
ბუმბერაზი მთა, ამართული დედას მაგონებს,
რაც გინდა სთქვა—გასაშრობი ცრემლის მარცვლები
აკრავს ზღვებისაკენ

გაჭენებულ, ნაორთქლ ვაგონებს.
გორში გატეხეს, გამვლელებმა ხილის დუქნები,
ტყვიის მაგიერ ამოივსეს, მხრებზე ჩანთები;
გაბზარა ყინვამ ცარიელი ქალა დოქივი
და რესპუბლიკავ გამტყდარ შუბლით

წაჩანჩალდები.

გზებს შთაგონებულს შუა გახსნილი ცა გადაუკრავს,
ცას შეყრდნობია, დადუმებით კლდეთა კრებული,
დაბლობებია წინ გაშლილი ნაკვირვები და
მორიდებული.

ჟამი გრძელდება

მუხლებ შორის ქარი გამოდის
ვაგლახ — მგელზე ზის

და დაყნოსავს ჰაერს შარდებათ,
ბედს—რესპუბლიკას გეკიდება ცეცხლი გოგირდის
და ხვალამდისინ დღეთა საზღვარებს გადაშორდები.
ერთი ფეხით წინ

და მეორეთი ბრუნდები უკან
ფეხები ბედს და

ქვეშ ტალახსაც ემორჩილება
ვიღაც სულელი ყიამეთში გიტარას უკრავს
და მზის ნაჭრები ყვითლდებიან ჩინელიბივით.
კოცონები სჩანს—შორს მდებარე ალენდრებათ;
და აღრევაა სურვილების ყოველ მხარეზე

ბარგების ზიდვით მცხოვრებლები გაოფლიანდენ
ყველა ბრძანებს და

არვინ ფიქრობს ქვემდებარეზე.
ქვემდებარედან, — მხედარი გარბის უბედაუროთ
უძირო ცაზე დაუთმობენ ტყვიის მანძილებს;
სდუმს დაბლობი და

დაარტყამენ დარდებს დაირებს
და ნახტომები ზარბაზნების ლულებს აგრძელებს.
მთები შემთხვევას შესცქერიან ცაში თხებივით
და ხალხი ჰყრია იმედების ნატეხებივით.

მატარებლები წინ გარბიან დანისლულები,
ყრიან ხიდებს, ფეთქდებიან ლიანდაგები,
სადგურებზე სჩანს ცილინდრები ჟორდანიაში
და კვინეტაძე შემოფანტულ ჯარში ქადაგებს.
დინჯ ნაბიჯებით, გამოდიან ბოლშევიკებიც
და პოლიტბაას მოყვებიან ხალხში საჯაროთ
ხალხი შეყრილა ვაგონებში როგორც ჯირკები
და ზეგანიდან გრიგალია გაჯავრებული.

და ამბობენ რომ უცხოეთით შველა მოვიდა
და ამბობენ რომ ამ ტყუილით

გუდებს ალბობენ,
კიდევ ამბობენ, დაგვიარა მტერმა შოვიდან
და ამბობენ რომ...

და ვინ იცის რას არ ამბობენ.
კაცი უენოთ,

ეტლი უცხენოთ,

ცხენი უბელოთ.

საწყობებიდან გვარდიელებს მოაქვთ ფართალი.
„მიუვალ ციხეთ გადაიქცეს, წიფის ღუმელი“
ბრძანებას გასცემს უდაბნოში

ჯარის სარდალი.

უდაბნოა და რითა და როგორ?

ჯარები უკვე წიფას მიადგნენ
თოვლი დააწვა ირგლივ მთა — გორებს,
ყრიან და თხრიან ფიარებიდან.

ფიარებიდან, — სროლაც მთებიდან

სროლა მთებს გაღმა გადაეკიდა;

ძალა არ მოყვა ყაზარმებიდან

არც მოთმინება დიდ კლდეებიდან.
გაიშლებაო ჯარის ბანაკი
და გაშლილები ბრძოლას ნანობენ,
უკვე არ სურს თოფს ლაპარაკი
არა აქვს ძალა მშობლის კანონებს.
უდაბნოა და, რითა და? როგორ?
მტერს რა ხერხებით გაუმკლავდები
დარდათ აწვები ირგლივ მთა—გორებს
და სალამომდის დარდში ჩაკვდები.

II

ჯგუფ-ჯგუფად იჯდენ ჯარისკაცები.
ხაშურის ახლოს, მინდვრათ გაშლილი
ხელებს ითბობდენ მკვდარ კოცონებზე
და საუზმობდენ გორის ვაშლებით.
მეგრელებ შორის იყო კამათი,
ისმოდა ტყიდან ტყვიის კაკანი,
ეძებდენ სიტყვის, შინგით სამართალს
და გადაეგდოთ თოვლში ნაგანი.
წამოხრილიყვნენ ცეცხლთან ზურგები
დასწვეს ნაღვერდლათ ერთი ურემი
შეკედლებოდენ ზანტი ფურკონებს
და გზებს სტკეპნიდენ ბედაურები.
— „ყოლიფერს ამას ევგენს ვაბრალი.
პირშივე ვეტყვი რომ შემხვდებოდეს
ჩვენ მათოხარნი კუჭ გამომშრალი
ჯარში წაგვრეკა ხვადაგებივით.
მან შეგვიყვანა შიგ შეცდომაში
თურმე თვით მღერდა

თავის ბაიათს

რა გამოვიდა ტყუილა თამაში
და გლებთა მტრების მთავრობაია.
— ო შე კუბაქო,

ევგენს მოშორდი

ის გვიფარავდა ჯარებს ქურქივით,
არ მოუვიდა შველა შორიდან
და ჩვენც ვეცემით პეტერბურგით.

— შენ ნუ გვეძახი გლეხებს კუბაქებს
მუშა და გლეხი

ერთ ბედ ქვეშავართ
შენ მას ემხრობი, ვინაც შეგაქებს
ჩვენ-კი ტაბიკ ქვეშ

მუდამ ვხნეშავართ.

— თუ ეს იცოდი სახლში გარკვევით
ჯარს რესპუბლიკის რისთვის აქებდი,
შენც ჩაიხედე სულის სარკეში,
წინეთ რომ სხვაფრივ გვიქადაგებდი.

— როცა თვით ძალდი პატრონს ვერა სცნობს
თვით უნდა იცნოს ძალდი პატრონმა,
მუშებმა ტვინი გამომიცხრილეს
მაჩვენეს გლეხთა ბედის მხატვრობა.
ხელთათმანებით გლეხების საქმეს
ალაგებდენ და იდგამდენ ოდებს
მათოხარის ბედს, მაზოლით ნაკმეკს
ჯდომით ვერ შექმნი

რა რიგ გინდოდეს.

— უპატრონობაა

ეს ლაპარაკი
ვინ იმთავრობებს ძველი ფარაჯით
ნუ ვიტყვით რამეს — ამის ალაგი
დღეს აქ არ არის

თუ დამჯერებ
ევგენ მიენდო თავის ნათესავს
მთავრობის ჩირგვში იჯდა მორთხმული
მან ვერ მოიმკო —

ის რაც დათესა
და იქნა მტრებით გარშემორტყმული.
— ცოცხით გავხვეტიდი მე მაგ ქოფაკებს
ვიყავით მათთან როგორც ჭურები
ჩავვიდგა ტანში ბოღმა ფოკვივით
და ხარის ნაცვლად

ჩვენ შეგვაბეს აპეურები.
ლდინს გავაცლიდი

შურით ვარ მთვრალი
გადუხურავდი ზღვისკენ დარაბებს,

ზურგზე გვიდია თვე თებერვალი
და დავწვირავდით არაბებივით.
—იმე—წამოხტა ფიცხად გურული—
—უნდა დაგანცვას კაცმა დანაზე
ეს კავკასია

ჩვენთვის გქონდა გადახურული
და დაგვაყენეთ ვაჟბატონო
ჩვენს ქვეყანაზე.

— კილაგ შენ სუნთელს
არ ამბობ მართალს—

შემოედავა გურულს გურული
ნუ თუ ამართლებს მდიდრების
სარდალს

ჩვენ რომ ცით

ვიყოთ გადახურული.“—

გაგრძელდებოდა კიდევ კამათი
მაგრამ უფროსი მოვიდა მკვახეთ
სიტყვები დარჩნენ კამათლებივით
და სხვა დროისთვის გადაინახეს.
უფროსმა ბრძანა:

ვაგონებისკენ,

ნუ ლაყბობთ მუდამ

ხმა ჩაიკმინდეთ,

წადით სადგურზე. ნახეთ ბინები;
ამალამ ვტოვებთ ხაშურის მინდვრებს.

და სწრაფ დადუმდა

დაბლობი ქვეშ და

ცა დაწოლია მინდორს მდუმარეს.
თოვლის ქვეშ მიწა სიმართლეს ხვნეშდა
მთა დაფერდილი მწუხარებს.

ეს დაბლობი გავს, მართლა მდაბიოს—
კივილს ჯავშინიან მატარებლისას;

სროლა ისმოდა ტყიდან მკათიოდ
და სდუმდენ შუბლნი მთათა მრეცლისა.

გადიბიბინებ თოვლო ბარიდან

როგორც ჯეჯილი მარილის

შემდეგ დიდ მთების მოგერიდება

იმედი კლდეს ყავს გადაყვანილი.
თოვლს ფარაჯები როგორც ჩრდილები
შესევია და ვერ გარკვეულან
ტყეში დახვრიტეს დეზერტირები
და თოვლზე სისხლი დარჩა რვეულათ.
დაბლობია და, თოვლის ქვეშიდან
ძველი ჭინკები გუდებს ალბობენ.
წიფის ღუმელი ორთქლით ხვნეშოდა
და უცქეროდა მუცლით დაბლობებს.
აქ იდგენ მთები შთაგონებულნი
ცას ლაყვარდები ცრემლით ჟონავდენ
და მიდამონი დადუმებულნი
გულუბყვილობდენ ალიონამდე.

უდუმდებიო, მოდენილ წკურუმს
ლამემდე ნისლი მთებზე ეკიდა
დრო გაურკვევი აგროვებს ბურუსს
ლიანდაგიდან
ბორბლებიდან
მატარებლიდან.
ჟამთა ნაფურთხით ხრამს ახროტინებს
არკვევს ძვლებსა და
ბედთა ჯილაგებს
ტყვიის წივილით ცა დახვრეტილი
მნათობთ ფინჯნებზე ღრუბლებს ალაგებს.

ფერდობებიდან გაფანტავ ბურანს
და გადაჩხავლებს ყვარუნი ყორანს.
გრგვინავ. გრგვინავ. ებრძვი ჰაერს
და განრისხებით ღუმელში ხვნეში
დარდებს დაარტყამ დაბლობის დაირს
და აკივლდები შორეულ მთებში.
ცა წყვდიადების მოისხამს წკურუმს
და გადაუვლის მთებს და ფერდობებს
დრონი ებრძვიან ნამყოთა ბურუსს...
საუკუნოებს არხევ ფარდებით
და ლოდებივით დარდს ჩაბარდები.

მერე რა რომ,
ბედის წყარომ
გააგრილა დრო ამ დილას,
მერე რა რომ,
ბედის წყარომ
რესპუბლიკა წალეკა
და გადირბინა.

შენ ღრმა ხრამებში აგზარდა საშობ
ელი განთიადს ახალ ჰაერის
სალამომდისინ სულ გარიჟრაჟობ
და ზესკნელიდან გვირტყამ დაირით.
ბურანით ბედს, რესპუბლიკა მოუტანია;—
ბურანში ხედავ ნახევ თარიღებს.
შენ გაგაჟროჟოლებს და ჟორდანიას
ბედის მოყვანილს—

ბედი წაიღებს.

მერე რა რომ
ბედის წყარომ
გააგრილა დრო ამ დილას
მერე რა რომ
ბედის წყარომ
რესპუბლიკა წალეკა და გადირბინა.
გრგვინავ, გრგვინავ—არღვევ ჰაერს
და განრისხებით ლუმელში ხვნეში,
დარდებს დაარტყამ დარდების დაირს
და თავს დაიხრჩობ შორეულ მთებში.

III.

ამართეს დროშა
და ბაქანზე ხალხი შეგროვდა.
სიტყვა სათქმელი უმცროსთაგანს
დღესაც ერგო და,
მას მეშხანები შეყურებდენ შეგირდებივით
გვარდიელები დასცქეროდენ
ქუდებს ერდოდან
გამოჩნდა კაცი. ფეხი დასცა კიბეს ტორივით
და სიტყვები სთქვა, სულ პატარა დიქტატორივით

„შვილნო სამშობლოს

მოისმინეთ მშობლის ძახილი

მტერი მუხთალი

ჩექმებით სდგას ქართლის მდელოზე
მწვერვალ კლდეებზე ილესება ჩვენთვის მახვილი
და თქვენ რას ფიქრობთ

ჯვარზე გაკრულ საქართველოზე.
ჩვენს მიწა-წყალზე კომუნიზმი რის მაქნისია,
სადაც გლეხები არჩვენებში უმრავლესობენ,
მათთვის ქუსლია, საქართველო აქილესივით
და ცა ქუდია ღრუბლებიდან გადავლესილი.
მოქალაქენო მენშევიზმით, ცა გადავჭედით
და მოვიფაროთ კავკასიის დიდი ჩრდილები,
დასავლეთისთვის დარიალი უნდა დავკეტოთ
და ევროპიელთ მივეგებოთ წამოზრდილები.
ყველა წყარონი ჩვენს მიწაზე დანადინები
დასავლეთისკნ მიდიან და

ზღვაში ჩადიან

როცა მდინარეს სურს ევროპის კარანტინები,
კაცები რისთვის მიეგებოს რუსულ ჩაიდანს.

მოაქვთ შიმშილი

წყურვილი და ბლომად მატლები,
გონებას კვეცენ

გრძნობებს სჭრიან ვით მაკრატლები.

რევოლიუცია უნდა მოხდეს ტვინის ფენიდან
შემდეგ ფეხებში გადავიდეს როგორც ნაკადი
ბოლშევიკები კი იწყებენ ყოფას ქვევიდან
და გლეხებიდან აგვიმართეს ბარიკადები.
ბარბაროსები! მტერნი ჭეშმარიტ მეცნიერების
ლიკვიდაციაც მოუწყვიათ მცენარეების.

ჩვენი მთავრობა მშვიდათ იჯდა

მთების უბეში

ღმერთმა დაგვიცვას,—ბრძანებები ღარიბისაგან
ეს, დამიჯერეთ-თორემ ერთად დავიღუპებით
და ყველა გზები მოგვეჭრება

კარებისაკენ.

კისერს მოიტეხს კომუნიზმი კავკასიონთან
და ისტორიას ჩაბარდება შეცდომებივით—

ასეთ აზრებით ორატორი გადაკიოდა
ხელები ცაში იალქნობდენ

ხომალდებივით.

ხალხი-კი სდუმდა

და არაქათ გამოლელებს

არც ომი სურდა,

არც სიტყვების დგომით მოსმენა,
სულში დღეები ჩაეკეცათ რვეულებივით
და ეს აზრები ესობოდათ ტვინში ლურსმნებათ.
მოკომუნისტო გლახობაში სხვაფრივ ქადაგებს
უხსნის სურვილებს საერთოს და

შემდეგ აგრარულს.

ის ქვეყნის ცნობებს ბოლშევიკურ აზრით ალაგებს
და ხველით ავსებს ლაპარაკში

წამებს დაკარგულს:

„ატყუებს ხალხს—უსინდისოთ თქვენი ბელადი
ნუთუ ვერ ხედავს აჯანყებას მშრომელთ ქურების,
რევოლიუცია უნდა მოხდეს თქვენში პირველად
ჩვენ მოწმენი ვართ, ბურჟუათა განადგურების.
რალაც ბრტყელ სიტყვებს

ორატორი ხალხში ღალადებს

თვალს უხვევს მუშებს—ყალბი აზრებით

თქვენ გადახედეთ ნამდვილ ფაქტებს,

ფარულ ქალღმერთებს

რამდენჯერ ძველებს აუჯანყდათ

ქართლში მაზრები.

ტყუილს ქადაგებს ხალხის შიგნით ბერი ბელადი
უნდა გლახობა გადაზილოს

თვისკენ ცომივით,

რევოლიუცია უნდა მოხდეს ტვინში პირველად
შემდეგ ფეხებში, რომ სვლა გექნეთ გამოზომილი.
მარქსმაც იცოდა მნიშვნელობა ქართლის მთებისა
მაგრამ მუშები დააყენა წინა რიგებში,
ვის არ ახარებს მზის ამოსვლა გათენებისას
და ცხენზე ჯდომა მინდორებზე გაჭენებისას;
მაგრამ სხვა არის მანქანები თუჯის კიმილით
და ალიონზე საყვირები შრომის კივილის,
სადაც მომავალს ლითონებით სჭრიან მუშები

გადიბირებ მთებსა და

სდუმს დაბლობი დილამდის
და ბორბლები გადარბიან

გზებს სტოვებენ მთის,
ცაზე ქარი გადარეკავს დანალრუბლებ სინდისს
და ამართულს მთების კედლებს—

ნისლი შვებათ სდის.

ლიანდაგი ავყარეთ და ხანჯლით ვხმარობთ ფიარს,
მიდამონი გარბიან და მიაჟრჟოლებს გზებსა და,
რესპუბლიკა დაგვემსხვრა და, კიბეებზე ყრია.
მსხნელი მაინც არსად აოს.

მატარებელი მირბის—გადაკივის ლიანდაგს
მიდამონი სდუმან—შეყურებენ კლდეს,
მინდორები მძვინვარებენ—დასცქერიან ნიადაგს,
თუ ამ მინდორს ვერ გადურბენ

დედა მოგიკვდეს.

გადიბირებ მთებსა და

დაადუნებ წრიალს

და ბორბლები გადარბიან ქვეშ სტოვებენ
გზებსა და

რესპუბლიკა დაგვემსხვრა და კიბეებზე ყრია
მსხნელი მაინც არსად არს.

მატარებელი მირბის—გადაკივის კლდეს
ბოლშევიზმი ყველგანაა და ფერს უცვლის მთებს.

რევკომია ქალაქში და ცხენენჯებით მოდის,
ჯარი უკვე დაშლილია—არ გვექნება ომი,
ჩვენ მთავრობა მოგიკვდა და

ეგებ ასეც სჯობდეს

რევკომია ქალაქში და ცხენენჯებით მოდის.

(მეორე ნაწილის დასასრული)

5. ზომილეთელი.

პ რ ე ტ ი-მ რ ე უ ნ ა რ ი.

იყვეს ოქტომბრის დიდი დღეობა,
იყვეს საბჭოთა ძღვევის შეგნება,
თორემ მგოსნური მეურნეობა—
შესაფერ ლექსით—მოიძებნება!

შენ ის მითხარი, როცა მგოსანი
ოქტომბერს მუდამ ჰყავდა მუტრიბათ
იყო, როგორც მზე—შუქსხივოსანი,
წარსულის ბნელთა ხვეწათ თუ ქლიბათ.

და დიდი რწმენა, დიდი იმედი,
ბრძოლის ქარ-ცეცხლში იმან ატარა
როცა ოქტომბრის მზის ციმციმეთი
ჯერ ნორჩი იყო, კიდევ—პატარა.

ხოლო, როდესაც გავარდა მეხი,
მას ბევრმა პირჯვრის წერით გაჰხედა,
პოეტმა ძღვევით მოიდგა ფეხი
და ლექსიც უფრო გაათავხედა!..

ბევრს შეიძლება არც კი მოსწონდეს
წარსულიდანვე ბრძოლის პოეტი,
მას შეიძლება დღეს უხვად ჰქონდეს:
მზე ოქტომბრისა თუ საბჭოეთი,

და მოგონება წარსულის, მკვდარის,
ვით გაზაფხულზე—ძველი წლის ფოთლის,—
სახარბიელო არც დიდათ არის,—
ამაოება ეგონოს სოფლის!..

სცდება ასეთი! ოქტომბრის პოეტს
სხვა მზე არც ძველად თუმცა სწყალობდა,
მაგრამ ის მაინც სცნობდა საბჭოეთს
და ოქტომბრის მზით მუსიკალობდა...

და დღეს, თუ ვისმე მზე აბარია,
მძაგს, პოეტისთვის ვისაც ის შეშურს,
მზე ოქტომბრისა თანაბარია
და მას ამიტომც ვუმღერდით ზევსურს!..

მზის მუტრიბისთვის ზოგჯერ ავდარი
გადასატანად, განა, ძნელია:
კარგი თუ რამ სჭირს, შენ ის უთხარი,
თორემ „ავი რა საკვირველია“!

ბრძოლის პოეტზე მეტია ქება
ამ ამტანლობის თუ სხვა მძლეობის:
მასში უკლებლათ მუდამ ეგზნება
რწმენა ოქტომბრის დიდი დღეობის!..

და როცა ქვეყნის კიდითი-კიდეს
დაუვლის მისი მზის ნიაღვარი,
ნახავთ, მათთან ვით ფეხდაფეხ ვლიდეს
ბრძოლის პოეტიც, ვით კომუნარი!

— : —

სანდრო შანშიაშვილი.

პრეზიდენტ პაპული

ბუფონადა ო მოქმედებად.

ფაბულა აღებულია ბ. ლავრენევის მოთხრობიდან.

მოქმედება მესამე.

იგივე სცენა.

პრეზიდენტი და სარეწავის გამგე—ღიაკან.

პრეზ. ხომ გითხარ, მოისურვებს ნავთის სარეწავის დათვალიერებას—მეთქი, და შენ როგორც გამგეს, უნდა გეზრუნა...

გამგე. უკვე ერთი კვირით ადრე თადარიგს შეუდექი!

პრეზ. დელეგაცია დაახვედრე! სიტყვები უთხრან, „ცამ ქუხილი დაიწყოს!“

გამგე. ისე აუბუქოთ, რომ მონოკლითაც ველარაფერს ხედავდეს!

პრეზ. როგორც დაგარიგე: არ დაგავიწყდეს: სავაჭრო სახლი „კანტარიდი!“ გაიმეორე!

გამგე. გაიმეორე? აკი ვსთქვი: სავაჭრო სახლი: გამკვრელიდი!

პრეზ. კანტარიდი!

გამგე. დიახ, კანტარიდი!

პრეზ. სიტყვა-პასუხში ფრთხილად იყავ. უთხარ: ჩემი საქმე სპეციალობაა... ეს მე არ მეკითხება... ეს იმან იცის, ეს ამან იცის... და ამნაირად სიტყვა ყოველთვის ბანზე აუგდე! შენი ტაქტი და ჩვენი გამარჯვება!

გამგე. შესასვლელთან დემოკრატიული ლოზუნგები წავაწერე:

„მუშებო! ნუ მოითხოვთ შეუძლებელს!“

„მუშებო, პატივი ეციოთ ღმერთს და პრეზიდენტს!“

პრეზ. მაგ ლოზუნგებით უკვდავს ჰყოფ შენს სახელს!

გამგე. „დემოკრატიულ რესპუბლიკაში უნდა იყვნენ ლამაზი ქალები“.

პრეზ. აჰ! ქალებს ხელი უშვი! პოეზიაში გადასულხარ და მაგას ჩვენ კონტრევოლიუციად ჩამოგვართმევენ! დანარჩენს მოგელაპარაკები! (გადიან).

2. ლორდ და ოსბორნ.

ლორდ. ამრიგად, თქვენი საქციელი, სერ ოსბორნ, საზღვარს გადასცილებია!

ოსბორნ. რა მოხდა განა? ქალს გამოესარჩლა, მე ბოქსს დავსაქმე... რა ვიცოდდი, თუ პრინცი იქნებოდა?

ლორდ. რას ჰგავს ასეთი სკანდალი ვილაც შანსონეტ გოგოს გულისთვის? ამგვარი თქვენი უაზრო ქცევა დიპლომატიურს კორპუსს და ორს სამინისტროს საქმეს ურთულებს, რაიც იწვევს საერთაშორისო სისხლის ღვრას!. მათი უდიდებულესობა რას მეტყვის?..

ოსბორნ. მე ეგ ფიქრადაც არ მომსვლია!

ლორდ. გაჩუმდით! თქვენ თავს ნებას აძლევთ, უფროსს სიტყვა გააწყვეტინოთ? თითქოს განათლება პრივილეგიურ კოლეჯში კი არ მიგელოთ, არამედ რომელიმე რუსეთის უნივერსიტეტში! როგორ გგონიათ, რად გამოგაყოლათ მათმა უდიდებულესობამ ჩემს ექსპედიციას?

ოსბორნ. ალბად... მახველებდა და აქ კი კარგი ჰავა ყოფილა!

ლორდ. თქვენ სუსტი გონების ბავში ჰყოფილხართ! იქნებ გგონიათ, ტახტმა და პარლამენტმა მეც აქ გასართობად გამომგზავნა? რას გაჩუმდით?

ოსბორნ. რასაკვირველია, სერ! დედაჩემის სალონში ასე ლაპარაკობდნენ...

ლორდ. რაო? მაშ თქვენ ამტკიცებთ, რომ ამ ჯანდაბეთის რესპუბლიკაში მე ბალაგანის კლოუნი ვარ?

ოსბორნ. უკაცრაოდ, სერ!

ლორდ. თქვენ რომ განსაკუთრებული დამოკიდებულება არ გქონდეთ უავგუსტეს მბრძანებელთან, ნაციის შეურაცხყოფისთვის ეხლავ დაგაპატიმრებდით.

ოსბორნ. შეურაცყოფა არ მიფიქრია...

ლორდ. ჩემი შეურაცყოფა და ნაციის — ერთი და იგივეა! თქვენ პატივს არ სცემთ ჩემს მუნდირს! ამდენ ჯილდოს! ნაუტილიის რისხვას... მეხს და ქუხილს!

ოსბორნ. ო, გამაცია! გამაცხელა!

ლორდ. გაჩერდი! იმპერიის საომარ გემით გადაცმული შიკრი-

კი მოიყვანეთ, სუბუქი ყოფაქცევის გოგო, რომელ ყოფაქცევასაც ჰგმობს კანონი და ეკლესია!

ოსბორნ. დიახ, ის გოგო, რომელიც თქვენ მოგწონდათ!

ლორდ. გაჩუმდი! თქვენ ისეთი საქმე ჩაიდინეთ, რაც ჯერ არ გაგონილა საიმპერატორო ფლოტის ისტორიაში! დონ ჟუან! ამის გარდა, მოახდინეთ სკანდალი! სადღაც რესტორანში. ამით გამოიწვიეთ საზოგადოების უკმაყოფილება—თუმცა ამ საზოგადოებას ჩემი შოფერის ღირსადაც არ ვთვლი, მაგრამ დიპლომატიურ მოსაზრებათა გამო, იძულებულ ვარ თქვენ მაგიერ ბოდიში მოვიხადო. განა ეს ჩემი დამცირება არ არის? გაჩუმდი! იცოდეთ, ეს უნდა ეცნობოს მათ უმაღლესობას! დღეის შემდეგ აღარ ხართ გემის კომანდირი და მუდამ ჩემს გვერდით უნდა იყოთ!

გამუდმებით ჩემს გვერდით!

ეხლა კი თავისუფალი ხართ!

ადიუტანტ! ავტომობილი!

3 იგინივე, პრეზიდენტი და გამგე.

პრეზ. თქვენო უმაღლესობავ! თქვენი თანამგზავრი — გამცილებელი! გრათ დიაკან!

ლორდ. ალბად ინჟინერი იქნება—სპეცი!

პრეზ. არა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, თუ არა პარტიულს, ვერ ვანდობთ ისეთ დიდს საქმეს, როგორც არის ნავთის მრეწველობა! თუ არა „ჩვენი კაცი“, ისე ძნელია პროგრესი და ცივილიზაცია!

ლორდ. ვგონებ, ეგ ცხოვრების ღრმა ფილოსოფია უნდა იყოს! ნახვამდის!

პრეზ. (მიაცილებს აღტაცებულ პათოსით).

„იყოსმცა თქვენთვის სიამედ
ნავთის მადნების ნახვაო!“

4 პრეზიდენტი მარტო.

პრეზ. ო, რა შაირების გუნებაზე ვარ! შევარცხვინე ჩვენი პოეტები, რომ თანადროულობას ვერ ჰხედავენ, რაღაცას გაუგებარს ჰბოდავენ, როცა მე ასეთს საქმეებს... ა! ჩემი ქალი! ბარონეტ ოსბორნთან! ისე ვერ გააცურებს, რომ თოკით ყელზე არ მოეხას! დედის მსგავსია! კარგი სასიძოა! ბინა მექნება, როცა სეზონისთვის ნაუტილიას ვეწვევი! (გადის).

5 ლოლა და ოსბორნ.

ოსბორნ. დღეს ისე ნათელი და მომხიბვლელი ხართ, როგორც ზაზაფხულის დილა!

ლოლა. ძალიან მხიარულ გუნებაზე ბრძანდებით!

ოსბორნ. თქვენ რომ დაგინახეთ, თორემ აღრინებულ გუნებაზე ვიყავ!

ლოლა. ძალიან თილისმა უნდა ბრძანდებოდეთ!

ოსბორნ. თქვენთან — არასდროს!

ლოლა. სხვასთან?

ოსბორნ. სხვას, სხვა ანგარიში აქვს!

ლოლა. განა თქვენი სიმპატია ანგარიშით გაიზომება?

ოსბორნ. დიახ, ანგარიშით! თუ რაოდენად მოხდენილია, ტანადი, ლამაზი და...

ლოლა. და?

ოსბორნ. უმანკო!

ლოლა. ო!

ოსბორნ. რატომ „ო!“

ლოლა. ისე! დიდი გემოვნება გქონიათ! მეტად ფაქიზიც!

ოსბორნ. თქვენ როგორი ვაჟი მოგწონთ?

ლოლა. ისეთი, როგორიც თქვენ ხართ!

ოსბორნ. ო!

ლოლა. რატომ „ო!“

ოსბორნ. ისე! მეტად თამამი ბრძანდებით!

ლოლა. სერ! მართლა თუ თქვენი ოფიცრობა გემზე ბალს ჰმართავს?

ოსბორნ. რესპუბლიკის ლამაზ ქალებისთვის!

ლოლა. შეუდარებელი იქნება! გემები! ზღვა! ლამის ილუმინაცია! სინათლის ბრწყინვალება წყალში!

ოსბორნ. ვიცნობ თვალებს, რომელთა ბრწყინვალებაც იმ ბალის ილუმინაციას დაჩრდილავს!

ლოლა. ვისია ეგ წარმტაცი თვალები?

ოსბორნ. ჩემს პირდაპირ რომ ანათებენ!

ლოლა. საძაგელი ლოველას! საშიშია თქვენთან მარტო დარჩენა! რამდენი ქალი გაგიუბედურებიათ?

ოსბორნ. გაუბედურებით არც ერთი! გაბედნიერებით კი მრავალი! ყოველ შემთხვევაში თქვენს გაბედნიერებას, თუ გაუბედურებას, ვგონებ ვერ ველირსები!

(საკოცნელად მაიწევს. ისმის ავტომობილის საყვირი).

ფუ! საკრამენტ! მუდამ უნდა ხელი შემიშალოს ბებერმა! იმ საფრთხობელას ჰგონია, რომელიმე ჯარისკაცთან ჰქონდეს საქმე; მე ვუჩვენებ მაგ ბებერს!

ლოლა. რა დაგემართათ? ვის ემუქრებით?

ოსბორნ. სრულიად უადგილოდ გავიხსენე ლორდ ორპინკტონი!

ლოლა. მერე ასეთი მუქარით?

ოსბორნ. პოლიტიკის ირგვლივ შევეკამათე. ჯიუტობს და არ უნდა ჩემს რჩევას დაუჯეროს!

ლოლა. როგორ? თქვენს რჩევას? ეგ ხომ შეუძლებელია! დამსახურებული მთავარსარდალი, თქვენ კი ბავში, ალბად ჩემზე უფრო გამოუცდელი...

ოსბორნ. მართალია, დიდი დამსახურება აქვს, მაგრამ უბრალო მომაკვდავია; ჩემში კი ნაუტილიის მეფური სისხლი სჩქევს! უნდა პატივს სცემდეს დინასტიას!..

ლოლა. რაო? რა სთქვით? მეფური სისხლი?

ოსბორნ. დიახ! კმარა ინკოგნიტოდ ყოფნა რალაც სახელმწიფოებრივ მოსაზრებათა გამო...

ლოლა. თქვენ მეფის ძმა ხართ?

ოსბორნ. არა!

ლოლა. მაშ?

ოსბორნ. მისი ცელქობის ნაყოფი!

ლოლა. ნუ თუ მართლა? ახ! როგორ ვოცნებობდი!

ოსბორნ. ცელქობის ნაყოფზე?

ლოლა. არა! მეფეებზე! საშინლად მსურდა, ჩემში მეფურ სისხლს ემდინარა!

ოსბორნ. ლოლა! ეგ ხომ ადვილი საქმეა! მოვახერხებთ, როცა კი მოისურვებ! გინდა დღესვე... აი, გავისეირნოთ ავტობილით და...

ლოლა. ალფრედ, რა გიჟმაჟი ხარ!

ოსბორნ. შენ ხომ გიყვარს ტემპერამენტი! ეხლავ ავტომობილით... (გადის. ლოლა რომ მოტრიალდება, წინ გოშიკი დახვდება).

6 ლოლა და გოშიკ

ლოლა. შენ აქ რას ატუზულხარ, გოშიკ?

გოშიკ. ისე! აღელვებული სჩანხარ... იქნებ დაგეხმარო...

ლოლა. მერე, მაგიტომ შეიწუხე თავი?

გოშიკ. თქვენთვის თავის შეწუხება, ჩემთვის სიამოვნება არის. მსურს გემსახუროთ!

ლოლა. ერთი მიბრძანე, რა თავს იგდებ? რით ავხსნა შენი უტაქტობა?

გოშიკ. ნუ თუ გაუგებარია? მიყვარხარ, და დღეს გადავწყვიტე, რომ...

ლოლა. ხა! ხა! ხა! შენ სრულს ჭკუაზე არ ხარ! დაგავიწყდა შენი მდგომარეობა! იცი, ბარონეტ ოსბორნი. ეხლახან გამომიტყდა და შენ კი... ხა! ხა! მამიჩემის მდივანი! გოშიკ! შენ თვითონ იფიქრე, მეტიმეტი მოგდის!

7. იგინივე და ოსბორ.

ოსბორნი. აი, წავიდეთ! ვინ არის ეს მუზმუზელა?

ლოლა. ჩემთვის დამწვარი! ო, რამდენი შეიშალა...

ოსბორნი. (გოშიკს) მარშ!

გოშიკ. ნებას არ მოგცემთ!

ოსბორნი. ბოქსში გივარჯიშნია? აბა, მობძანდი! ერთი! ორი! ჰოპ!
(გოშიკი თავდაყირა გადადის)

დასწყევლოს! კიდევ იყვირებს ბებერი! (გადიან).

გოშიკ. ვაი თავი! ვაი წელი!

8. პრეზიდენტი, მინისტრი, კოლოტი და ბნედელ.

პრეზ. მოდიტ! დიდი საქმე! საიდუმლო საქმე! არ ვიცი, საიდან დაივიწყო. (შუბლზე თით-მიდებული გაივლის)

მინისტრ. რალაც სკუპს გვიპირებს! გაგვაცურებს! ო, დიდი ვინმე ბრძანდება!

კოლოტი. კოლოტი მოატყუოს? მძინავს? ეგ მე გამაცურებს? ეე!

პრეზ. საიდან დაივიწყო? საიდან დაივიწყო? „საკითხავი სწორედ ეს არის“!

მინისტრ. არც ისე ტუტუცია, როგორც გვგონია!

ბნედელ. სთქვი, თუ იტყვი, თუ არა და...

მინისტრ. მოგვშივდა! კუჭი შემომტირის!

პრეზ. ბატონებო! ნუ გაგიკვირდებათ, რომ ოჯახურ მყუდროებას მოგაშორეთ... მიზეზი განსაკუთრებით საყურადღებოა!

(პოზით ემზადება სათქმელად. ყველანი გაფაციცებით შესცქერიან)

წარსულ საღამოს. მალლით დადგენილმა სტუმარმა—გაბერილმა ინდაურმა,—რომელიც ჩვენს სამშობლოში თავს ისე გრძნობს, თითქოს ველურს ქვეყანაში მოსულიყოს, ლაპარაკი ჩამომიგდო ნავთის მრეწველობაზე.

ყველანი ჰო! ჰო! მერე, მერე?

პრეზ. შევატყე ნავთს ჭკუაზე შეუშლია... მისთვის ყოველგვარ სისულელეს ჩაიდენს... და რომ ჩვენ ასეთი შემთხვევა ხელიდან გაუშვათ, დამნაშავენი ვიქნებით!

ყველანი. როგორ? რა ვქნათ?

პრეზ. რამდენჯერმე მკითხა: ვის ეკუთვნის ნავთის სარეწავიო? ან ვინ არის იურიდიული და ფაქტიური მფლობელიო?

მე მაშინვე შუბლზე შუბლზე ხელი ვიტკიცე და...

(ერთმანეთს გადახედავენ).

კოლოტ. მერე, რა უპასუხე? (პასუხს არ აძლევს)

ბნედელ. ენა ჩაგივარდა, თუ განგებ ნერვებზე მოქმედობ?

მინისტრ. ჩქარა! სადილის დრო გადავიდა!

პრეზ. მე რას ვუპასუხებდი, როცა თქვენგან თანხმობა არ მქონდა და არც მოგვილაპარაკნია?

ყველანი. აჰა! კარგი გიქნია!

პრეზ. ვხედავ, ჩვენს შორის პრინციპული წინააღმდეგობა არ არსებობს და ჩემსავით დარწმუნებულნი ხართ, უკეთუ ეს მომენტი ხელიდან გაუშვით, ჩვენის მხრით ბავშობა იქნება! მით უმეტეს, მისი თავხედობა და სალდათური თავისაგდება ჩვენს რევანშს გზას უხსნის! ჩვენ პაპუასების მოდგმისანი არ ვართ, მას მუდამ უნდა ახსოვდეს, როდესაც ჩვენში კულტურა სდულდა და გადმოდიოდა, მაგისი მამაპაპები ტყეში ოთხფეხა ნადირებად დახტოდნენ!

ბნედელ. არ დამავიწყდება ის შეურაცყოფა, მაგან რომ კაპიტნებს მიაყენა! მაგან მიბრძანა, როგორც ბატონი ყმას უბრძანებდა. და მერე როგორის ტონით!

კოლოტ. ჩემთვის ზარალი ჯერაც არ აუნაზღაურებიათ!

მინისტრ. მოითმინეთ! პირადი შეურაცყოფა და ანგარიში შემდეგისათვის! ამ ჟამად საკითხი სახელმწიფო მაშტაბით იჭრება! ამ საქმეს რა გზით და რანაირად მოვაგვარებთ?

პრეზ. ვინ მოგახსენათ, რომ ჩვენ უნდა მოვაგვაროთ? მართლაც ჰკუაზე თხლად უნდა ვიყოთ... რომ ასეთი კომბინაცია ჩვენ ვითავოთ... ჩვენ? რესპუბლიკის მთავრობამ?... ვინ რას იტყვის, რომ ჩვენ შანტა... შანტა... ეს ლა გვაკლია, რომ გამოიმუღავნდეს და ცოცხი მოგვისვან?

მინისტრ. მაშ ვინ ითავებს? ე. ი. მე სულ სხვა მინდოდა მეტქვა. მსურველები, რასაკვირველია, გამოჩნდებიან! მაგრამ ჩვენ გვინდა გარანტია...

კოლოტ. ჰო! გარანტია!

მინისტრ. ჯერ ერთი: განხორციელებულის ეკვივალენტი ჩვენ წარმოგვედგინოს და მეორეც: ეს საიდუმლო არ გამჟღავნდეს!

პრეზ. ასეთ უბრალო რამეზედაც რომ არ მეფიქრა, ტვინის მაგივრად ბზე მეყრებოდა. ამ ოპერაციაში ჩვენთაგანი არავინ ჩაერევა!

ყველანი. მაშ როგორ? მაშ როგორ?

პრეზ. ჩვენ მხოლოდ ორგანიზაციას ვაწყობთ!

მინისტრ. ...და ერთმანეთის თანხმობით!

პრეზ. და ვიმკით ორგანიზაციულ იდეის ნაყოფს!

ყველანი. ჰოო! კარგია!

ბნედელ. ნება მიბოძე, ვიცოდე. ვინ არიან ეგ სხვები?

მინისტრ. მართლაც საინტერესოა!

პრეზ. დიდის სიამოვნებით! ვიცი თქვენი გადაწყვეტილება ერთსულოვანი იქნებოდა, ამიტომ თადარიგიც გავწიე!

(ტაშს შემოკრავს. შემოდიან: კოსტა და ათანასე. ორივენი გრიმებში).

9. იგინივე და კოსტა და ათანასე.

პრეზ. ნება მიბოძეთ გაგაცნოთ ნავთის სარეწავის მფლობელები: „კანტარიდი შვილით“

ყველანი. კოსტა! ათანას! დიდებულია! (ეხვევიან, წინ გამოჰყავთ).

პრეზ. ამათ შეიტყეს, რომ ლორდ ორპინკტონს ჰსურს შეიძინოს ნავთის სარეწავები, ხვალ ეწვევიან და დარწმუნებული ვარ, საქმეც გაიჩარხება!

ბნედელი. დალახვროს! ალბად ჯარის კაცს არ გამეგება ასეთი დიპლომატიური იშკილი! როგორ შეიძლება ესენი ნავთის სარეწავების მფლობელები იყვნენ, როცა ბავშმაც კი იცის, რომ სარეწავები სახელმწიფო კუთვნილებად არის აღიარებული?

პრეზ. აი, მაგაზე მე მოგახსენებ,..

კოლოტ. დაბრძადიო! არ არის საჭირო! პირიქით, მაკვირვებს გენერლის წინდახედულობა! დარწმუნებული ვარ, „კანტარიდს შვილით“, რომელთა გაცნობა დიდად სასიამოვნოა—კიდევ გამარჯობათ—ყოველნაირი უფლება ექნებათ ლორდ ორპინკტონთან საქმის დასაჭერათ. მაინტერესებს არა იმდენად ამ ფირმის უფლებრივობა, რამდენადაც კრედიტის შესაძლებლობა!

ბნედელ. თავსლაფი დამესხას, თუ რამე გამეგებოდეს. აბა აქ ყოფილა ფრონტი და სტრატეგია!

ათანას. ბატონმა პრეზიდენტმა იცის ჩვენი გეგმა და საჭიროდ არ ვცნობთ ფართო მასსამაც იცოდეს...

კოსტა. თქვენ ნაღდათ მიიღებთ 90⁰/₀, დანარჩენი გროშები კი—ჩვენი კურტაჟია! თუმცა ეს დიდი ჩარჩობაა თქვენის მხრით, მაგრამ...

პრეზ. მაშ ასე! რაკი ყველანი თანახმა ხართ, ასეთ კერძო საქმეშიაც არ ვულალატებ ჩვენი რესპუბლიკის დემოკრატიულ პრინციპს და საკითხს კენჭს ვუყრი! ვთხოვ, მომხრემ ხელი ასწიოს...

კოლოტ. მოითმინეთ! მოითმინეთ! ეს მაჯა შემახმეს თუ თითი ავწიო. მინდა გარანტია, რომ ჩემს ვალებს გაანადღებთ! ამიტომ პირობა: ამ კანტარიდებმა ფული მე უნდა ჩამაბარონ!

ყველანი. როგორ თუ შენ?

კოლოტ. გასანაწილებლად და თქვენი ვალის გასასტუმრებლად... თუ თანახმა ხართ...

ყველანი. თანახმა! თანახმა!

კოლოტ. ეხლა უყარე კენჭი!

პრეზ. ვინ არის მომხრე? ასწით! (ხელებს ასწევინ). ერთხმად გადასწყდა! დასწით! კანტერიდებო, მოგვინდვია! მიბრძანდით, საქმე დასვენებულ ტვინს მოითხოვს.

(კანტარიდები გადიან).

10 იგინივე, კანტარიდების გარდა.

მინისტრ. ფულები და ფულები! ვჭამოთ მოხრაკულები!

ბნელელ. ბნო პრეზიდენტო! მიკვირს! სიტყვები ვერ გამომიძებნია! საიდან გამონახეთ, ასეთი მრეწველები? მიუხედავად იმისა, რომ კოხტად აცვიათ, ვგონებ უბრალო „ჟულიკები“ უნდა იყვნენ!

პრეზ. არა ნაკლებ თქვენ მაკვირვებთ! დალოცვილო, რასაკვირველია, ჟულიკები იქნებიან! მაშ ჩვენი აზრის განხორციელებას მონოზან ქალებს ხომ არ მივანდობდით? არ დაგავიწყდეთ მაგათ საქმე ექნებათ უფრო დიდ გაიძვერასთან!

კოლოტ. ჭვიანი ხარ, პაპული!

პრეზ. ერთი ცხადია! ჩვენ არაფერი გვეხარჯება, მოგება კი— განუსაზღვრელი იქნება! ნუ თუ ვერ გრძნობთ: რა დიდებულნი დღე გაგვითენდა!

მოქმედება მეოთხე.

იგინე სცენა

1. ათანას და კოსტა.

ათანას. რას გაჩუმებულხარ?

კოსტა. ვფიქრობ! იქნებ ერთი გზა არ გამოგვადგეს, მეორე უნდა გამოვნახო!

ათანას. გამიგონე კოსტა!

კოსტა. შვილო კანტარიდი-თქო!

ათანას. როგორ გგონია, ხომ საძაგელი საქმე ვიკისრეთ?

კოსტა. რატომ საძაგელი?

ათანას. პირველად მივდივარ ასეთ დიდ ნადირზე და თითქოს ფეხები უკან მრჩება!

კოსტა. ნადირი კი არა,—მელაა—ასე რომ ჩვენ მაგასთან შედარებით კრავები ვიქნებით! ეგენი ერთმანეთს ჰპარავენ, რა დიდი საქმეა, ჩვენც ხელი მოვითბოთ?

ათანას. ასე გგონია?

კოსტა. მგონია კი არა, დარწმუნებული ვარ! წელან თუ ვაჩუმებული ვიყავ, იმ დროს გეგმას ვაწყობდი, იმ ბებერს რა მახინაციით ავაძროთ განზრახულზე მეტი, რომ ჩვენი შრომა ღირსეულად დაჯილდოვდეს. აგერ მოდის! წავიდეთ! ცოტახანს მივფარდეთ, ვითომც ბაღში გავისეირნეთ...

2. ორპინკტონ და ადიუტანტი.

ადიუტანტი. თქვენო უმაღლესობავ! ის ახალგაზრდა—ვგონებ თქვენ ბრძანეთ, პრინციაო—დილას აქეთ მისაღებ ოთახში გიცდით!

ლორდ. დაიცადოს! რა დროს პრინცია! არ მინდა ჩემი ტკბილი ოცნება ვინმემ მომიშხამოს! ვერ წარმოიდგენ, რა საოცრება, რა სიმდიდრე, რა ნავთის სარეწავები ვნახე! აი, ეხლაც თვალწინ მიდგა! (გატაცებით) ის მაღალი კოშკები... ის ღვარივით მომდინარე მუქი თაფლი... შვენიერი საყნოსავი სურნელება და... ეს სულ ოქრო! ოქრო! მთის სიმაღლედ! აი, ამ ყვავილებს თითქოს ნავთის სურნელება ასდიოდეს... რომ შეიძლებოდეს მისი ყიდვა...

ადიუტ. შეუძლებელი აქ არაფერია! მცირე ხნის დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ აქ ყველაფერი აუქციონით იყიდება!

ლორდ. ქარხნების უმეტესობა ვიღაც „კანტარიდებს“ ეკუთვნით. ნუ თუ არ მოსულან? შემთხვევა რომ იყოს, რა უნდა ღირდეს?

ადიუტ. რა მოგახსენოს სამხედრო პირმა... ვგონებ, დაუფასებელი უნდა იყოს...

ლორდ. როგორ? სამხედრო პირმა არ უნდა იცოდეს? აი, შევიცი! ვიცი მისი ფასი... შენ ამბობ დაუფასებელიო! ეგ მოუფიქრებლად მოგივიდა. როცა ჰყიდულობ, უნდა დაფოლდეს... ისე კი დი-

დებულები რამ ვნახე! (ექსტაზში მოსულს ელანდება) აი, აი, ხედავ, ბუხრები! ის შავი ბოლი! ნავთის კოშკებია!

ადიუტ. სერ! ეგ ჩვენი ესკადრა გახლავთ!

ლორდ. ჩვენი ესკადრა? როგორ? ჩვენი ესკადრა? ა! მართალია! დასწყევლოს!.. სულ თვალწინ მიდგა...

2. იგნივე და ლოლა.

ლორდ. მადმუაზელ! მობრძანდით! ვიცი, ჩემი ნახვა გასურდათ! ძალიან ვნანობ, თან არ წაგიყვანე!

ლოლა. მე აქ უკეთეს დროს ვატარებდი!

ლორდ. უჩემოდ უკეთესს?

ლოლა. ნება მიბოძეთ... ბარონეტ ალფრედ აქეთ წამოვიდა... მინდა...

ლორდ. ბარონეტ? იმასთან ეშმაკობ?.. განა თუ ჩემს ჭალარას გაურბიხარ? ო, რა მშვენიერი ნავთის სურნელება მოაფინეთ!

ლოლა. როგორ თუ ნავთის?

ლორდ. თქვენი თმა სწორედ ნავთის ფერია! თქვენ ისე ირხევით და ცქრილებთ, როგორც მილებიდან გადმოჩქეფილი ნავთის მდინარე!..

ლოლა. ლორდ. დამცინით თუ?

ლორდ. არა გოგონი! თქვენი თვალების ელვარება ნავთია (წაეტანება).

ლოლა. გაგიჟდა! გაგიჟდა! უშველეთ! (გარბის).

3. ლორდ და ადიუტანტი.

ლორდ. ჭალარის აშიყობას გაურბის! კრეუზონ! აქ რას გაჩერდი, როცა ასეთი ახალგაზრდა...

ადიუტ. სერ. ისე უცბად იყო, რომ... .

ლორდ. უცბად ხდება, მით უმეტეს, სამხრეთში... რაო? რას ამბობდი? ვინ მიცდის?

ადიუტ. ვილაც ახალგაზრდა—მაქსიმელიან!

ლორდ. დამიცადოს! დამიცადოს! მაგისტანა მაძიებელ პრინცებს გინდ აქეთ დავსვამ და გინდ იქით... ჭადრაკის დროს! მე მინდა... მე მინდა... აი... ისინი არ მოსულან?

ადიუტ. ვინ ისინი?

ლორდ. საქმის ხალხი გავიწყდება და ვილაც პრინცს მაჩეჩებ! ისინი! ტელეფონით რომ გველაპარაკენ!.. დრო დავნიშნეთ... უნდა მოსულიყვნენ.

ადიუტ. აა! ალბად ისინი იქნებოდნენ!... დიახ, ორნი იყვნენ... ორნი... კანტა... კანტა... კვინტი...

ლორდ. სწორედ! მერე??? იყვნენ და არ შემატყობინე? სად არიან ეხლა? პასუხისგებაში მიგცემ...

ადიუტ. ალბად... ალბად... აქ იყვნენ ეხლა...

ლორდ. ნახე! ჩქარა! თვალთ არ დამენახო, თუ ახლავ... მიწიდან ამოიყვა... ციდან ჩამოიყვა.. გააჩინე! მარშ! (ადიუტანტი გადის.)

4. ლორდ და შემდეგ მაქსიმილიან.

ლორდ. ასეთ სერიოზულ ხალხს ყურადღებას არ აქცევს და ვილაც აბუზულ წიწილას...

მაქს. ნება მიბოძე!

ლორდ. აბუზულ წიწილას... (აცქერდება და უცბად უკმეხად) განათქვენ კანტარისი ხართ?

მაქს. მაქსიმილიან!

ლორდ. მიბრძანდით, სადაც იყავით! მე მინდა კანტარისი!

მაქს. ბოდიში, სერ!

ლორდ. ბოდიში მერე! (მაქსიმილიან გადის)

5. ლორდ და კანტარისები.

ლორდ. თქვენ ხარ?

კოსტა და ათანასე. კანტარისები! (ერთმანეთზე უთითებენ)

კოსტა. მამა.

ათანას შვილი!

ლორდ. სასიამოვნოა! ბოდიში, რომ გაცდევინეთ... მაგრამ ჩემი ბრალი არ არის: აი, დაბრძანდით!

ათანას. კოსტა! ვგონებ კარგ გუნებაზე ბრძანდება!

კოსტა. რატომაც არა, სარეწავებს შეიძენს!

ლორდ. როგორ გიკითხოთ? თქვენი ამბავი ვიცი! სარეწავები... იმედია, თქვენი მთავრობა არ გაწუხებთ. როგორც კერძო მესაკუთრეთ...

ათანას. პირიქით.. (კოსტა ათანასეს აჩუმებს)

კოსტა. შენ მე დამაცა! ჩვენი მთავრობა, ლორდ, მკვიდრ კაპიტალისტებს... თქმა გამოტეხით სჯობია, — თუმცა ჩვენი რესპუბლიკის დამცირება, ჩვენივ დამცირება იქნება, მაგრამ...

ლორდ. მომწონს პატრიოტული გრძნობა!

ათანას. ჩვენი მთავრობა მკვიდრ კაპიტალისტებს ძალიან ავიწროებს...

კოსტა. ათანას მართალია! მეც, მაგას მოგახსენებდი: სულ სხვა არის უცხოელი!

ლორდ. მესმის! ვერ გაუბედავენ! საკონსულო ჩაერევა! წინააღმდეგ შემთხვევაში ულტიმატუმი და მისი ჯანი!

ათანას. დიახ!! თქვენ უკეთ მოგეხსენებათ!

კოსტა. მეც მძულს, რადგან უკეთესს დროებას შევსწრებივარ!

ლორდი. ძლივს ვნახე ჩემი კბილის ხალხი! მაგრამ უმჯობესი იქნება პირდაპირ საქმეს შევუდგეთ! დილას თქვენ მელაპარაკეთ ტელეფონით და იმავე წუთში რადიოთი ჩემს მთავრობას ვაცნობე, რაზედაც უკვე პასუხიც მივიღე. ეხლა პირდაპირ საქმეზე!

ათანას. სერ! ვგონებ ამას მსჯელობა არ უნდა სჭირდებოდეს!

კოსტა. ჩვენი საქონელი, თქვენი ფული! თუ გსურთ, ხელი ხელს, გოჭი მგელსა! თუ არა და...

ათანას. მყიდველები სხვებიც არიან!

ლორდ. დიდად მაკვირვებს, თქვენს ახალგაზრდა მწერველობას ამერიკანიზმის მეთოდები შეუთვისებია! ამრიგად, ჩვენი მორიგება ასეთია: ექვსი მილიონი მთელს სარეწავოში და გარშემო ადგილებში მარაგად დამზადებულ ნავთიანად... ბედ წინასწარ ორი მილიონი! ასეა?

კოსტა. სწორედ ასეა! ორი მილიონი!

ლორდ. აი პირობის ორი პირი! წელან დავაწერინე. შეგვიძლიან ეხლავ ხელი მოვაწეროთ კანცელარიაში! ამის გარდა, თქვენ ალბად ბეის მისაღებად დაგაკმაყოფილებთ ჩვენი „კუნძულოვან კომპანიის“ აქციები! ან იქნებ ჩეკს ირჩევთ თქვენს ნაციონალ ბანკზე?

კოსტა. (შეუსტვენს).

ათანას. (წამოდგება და კოსტას მიატრევს).

ლორდ. ბატონებო, საით? თქვენ ვერ გამიგეთ! გეკითხებით რომელ საშუალებას ირჩევთ ფულის გასანაღდებლად?

კოსტა. (ხელის გულს უჩვენებს) ფული გვინდა აი, აქ! ტყულად კი არ მქაოდა ხელის გული! თქვენი ვალიუტით! აქციები კი გემებს მიაკარით, რომ სიმტკიცე შემატოს!

ლორდ. მაგრამ აქციებს თუ არ ინებებთ, შეგიძლიანთ ფულად მიიღოთ თქვენი ბანკიდან!

კოსტა. ბოდიშს კი ვიხდი და ჩვენს ფულებს „საჭირო ადგილებშიც“ აღარ ზოგავენ! უკანასკნელ ხანში მეტად უხეშ ქალაქლებზე იბეჭდება! ჩვენ გვინდა ნამდვილი ფული.

ლორდ. არ შემიძლიან ოქრო მოგცეთ.

კოსტა. ოქროს ზურგს ვინ მოაწყვეტინებს? ქალაღლის იყოს, ოღონდ ზედ თქვენი მეფის სურათით, და არა პაპულის დინგით!

ლორდ. მაგდენი არ მექნება! ჯარი მშიერი დამრჩება... მოიცადეთ ერთი ორი დღე... ერთი კვირა, სანამ...

კოსტა. მე თქვენ საპონს არ განდობდით გასაყიდათ! იქნებ თქვენ კარგი მხედარი ბრძანდებით, მაგრამ ვაჭრობისა დახლინდარს მეტი გაეგება! მთელი ამოცანა სწრაფ ბრუნვაზეა დამოკიდებული და თქვენ კი ბრძანებთ: მოიცადეთო? ეგ სადაურია? რაკი ვერ ვთანხმდებით, მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ლორდ. მოითმინეთ! მოითმინეთ! ეხლავ, ეხლავ!

(ლორდ და ადიუტანტი გადიან)

6. კოსტა და ათანას.

ათანას. კოსტა! მართლა ჩვენ ხელშია? გეფიცები, კიდევ არ მჯერა! იქნებ მილიციის დასაძახებლად წავიდა?

კოსტა. მე ვიცი, მტერთან წავა! შენ ფიქრი ნუ გაქვს, მოხუცო! ფულს ისე მოგვართმევს, როგორც ოფიციალტი მოხრაკულს!

ათანას. ერთი ჩქარა მოვრჩეთ ამ ოხრობას!

კოსტა. პარიკმა ხომ არ შეგაწუხა? გაუძელ! მართალი გითხრა, იმათ იმდენი არ ეკუთვნით, მაგრამ სიტყვის კაცი ვარ! პატიოსანმა კაცმა დაპირება უნდა შეასრულოს!

ათანას. რომელმა პატიოსანმა?

კოსტა. ჩვენისთანამ!

ათანას. ხა, ხა!

7 იგინივე და კოლოტ — ტერასიდან თავს ამოჭყოფს.

კოლოტ. კოსტა! როგორც გატყობთ კარგ გუნებაზე ხართ.

კოსტა. წადი, დაიკარგე არ დაგვნასვო!

კოლოტ. მადლიანი ფეხი მაქვს.

კოსტა. მადლიანი, შენმა მხემ, თვეში ერთხელ ძლივს იბან და წინდები ზედ გალპება!

კოლოტ. მაშ საქმე კარგაა? მოუთმენლად გელოდებით!

კოსტა. წადი დაიკარგე-მეთქი!

კოლოტ. ღმერთი არ გაგიწყრეს, ტყისკენ არ მოუსვა!

კოსტა. შენ ხომ წინ არ დამიდგები?

კოლოტ. ვიყვირებ, აი, ვიყვირებ!

კოსტა. ტს! მოდიან!

**8 იგინივე და ლორდ. უკან ხაზინადარი საკვოიაჟით და
ადიუტანტი შამპანიურით.**

ლორდ. აი, მოგართვით! კეთილ ინებეთ და მოაწერეთ!

კოსტა. ჩემი ხელი იეროგლიფს მიაგავს!

ლორდ. არა უშავს-რა!

ათანას. ხელს ვაწერ: კანტარიდი! ესე არს ნამდვილი! მტკიცე
საქმე გაკეთდა.

ლორდ. დაითვალეთ!

კოსტა. გენდობით, სერ! თქვენ ესოდენ პატიოსანი ბრძანდე-
ბით, და ჩვენც მით უმეტეს... როგორ გეკადრებათ...

ლორდ. პირდაპირი და რაინდული სული თქვენში არ ჩამქრა-
ლა! მომწონს! თქვენი ჩვეულებისამებრ ნება მიბოძეთ შევსვათ სად-
ღეგრძელო და ვუსურვოთ მოგვარებულ საქმეს გამარჯვება!

კოსტა. გაუმარჯოს კეთილ დასასრულს!

ლორდ. როგორ თუ დასასრულს?

კოსტა. ისე, რომ ბოლო კეთილი ჰქონდეს!

ლორდ. მესმის! ეგ დიდებულად ბრძანეთ!

კოსტა. და კიდევ ის, რომ ერთი ისეთი მფარველი ამოგვჩენო-
დეს, რომელიც ჩვენთვის ცოტაოდენ თავს შეიწუხებდეს და ადამია-
ნურ მთავრობას დაგვიდგენდეს...

ლორდ. სახელდობრ?

კოსტა. ბატონო ჩემო! წელან ვერ ვიყავ გულახდილი და ეხლა
მოგახსენებ: ჩვენი მთავრობა მგელია დემოკრატიის ქურქში! გუშინ-
დელი მეწვრილმანეები, მეტიჩარა ვეჭილები, სამშობლოს იდეით
სპეკულიანტები!.. სამგზით კურთხეულ იქნება ის ადამიანი, რომე-
ლიც ამ უპასუხისმგებლო ხროვას განდევნის და აღადგენს მონარქიას!

ლორდ. ძალიან კარგი! მომწონს! მომწონს! მაგრამ ვინ არის
ტახტის მემკვიდრე? განა არის ვინმე კანდიდატი?

კოსტა. კანდიდატი? გახლავთ! ხალხის საყვარელი, მაგრამ თა-
ვის ქვეყნიდან გამოდევნილი...

ლორდ. ვინ არის ეგ?

კოსტა. პრინც მაქსიმილიან!

ლორდ. ჰა! ხალხის სურვილი ჩემს გეგმას ეთანხმება! აქ არის!
რამდენი ხანია—მიცდის! ბოდიში, უნდა დაგტოვოთ! ნახვამდის!

(გადის, უკან ადიუტანტი მისდევს).

9 კოსტა და ათანას.

ათანას. ის უნდელი შენც კაცად აქციე!

კოსტა. მოხუცო, ჭკუას როდის ისწავლი? ვისაც რა ესიამოვნება, ის უნდა ილაპარაკო! მაგას გულის ხეთქება შემდეგაც ეყოფა! ეხლა შეგიძლიან მოიშორო ეგ ბალანი! (პარიკებს იგლეჯენ.)

ათანას. აბა, წავიდეთ!

კოსტა. მოიცა! ბარემ ანდერძიც ჩვენ ავუგოთ! (სწერს). „ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში დიდუურა ბევრი იყო. მოხველ და ერთი კიდევ მოემატე! კანტარიდები ისე უმადურები არ იქნებიან, რომ შენი ფულებით შენივე სადღეგრძელო არ დალიონ! ლორდ! სადაც შენი დაიკვებო, იქ კანტარიდებიც მოიგონე!“

ათანას. მიაწერე: აპრუწუწუ შენს ნავთის საქმეს-თქო!

კოსტა. აპრუწუწუ! ლორდ ორპინკტონს. ეხლა წავიდეთ. პაპული ამ საწვრილმანოს რომ დაინახავს, ხელს ხელში ჩაბლუჯავს და ყალბი აქტიორივით დაიძახებს: „რა ბედნიერი დღე გაგვითენდა!“

(საკვრიაჟს ილღიაში ამოიჩრის და მღერის.)

ჩვენისთანა ბედნიერი,
განა არის სადმე ერი?

10. ლოლა და ოსბორნ.

ლოლა. გარწმუნებ, ისეთს სიტყვებს ჰბოდავდა, რომ ნამდვილი გიჟი გეგონებოდა.

ოსბორნ. ბებერს რა გააგიჟებს, რკინის ნერვები აქვს.

ლოლა. ისეთი სურნელება გაქვს, როგორც ნავთსაო!

ოსბორნ. ნავთს მიუცია ტემპერამენტი!

ლოლა. ალფრედ, როდის სთხოვ ჩემს ხელს მამაჩემს?

ოსბორნ. მამაშენი რა შუაშია?

ლოლა. ხომ უნდა მშობლების ნებართვა?

ოსბორნ. შენი ნებართვაც საკმარისი იყო.

ლოლა. ქორწილისთვის?

ოსბორნ. ჩვენ უკვე ვიქორწინეთ და იმისთანა სიამოვნება პრინცესებთანაც არ მიგრძენია!

ლოლა. ხომ ჯვარი უნდა დავიწეროთ და ეკლესიაშიაც გვირგვინი დავიდგათ?

ოსბორნ. მე თავისუფალი რწმენის და სინდისის გახლავარ!

ლოლა. მე ხომ შენი ცოლი ვარ, ალფრედ?

ოსბორნ. სანამ გვექნება ტემპერამენტი.

ლოლა. როგორ თუ სანამ?

ოსბორნ. გნებავს პირობა დავდოთ და ხელიც მოვაწეროთ, რომ ამა და ამ რიცხვიდან—ამა და ამ რიცხვამდე... ერთი თვით, ორი თვით... მოვიხსენიოთ, რომ პირობის განახლება შეგვიძლიან ორივეს თანხმობით...

ლოლა. ალფრედ, მეფური სისხლი ჩემში არა თუ მდინარებს, მალე ფეხების ფშლეკასაც დაიწყებს...

ოსბორნ. თუ არ გინდა თავისუფლება შეიზღუდო, აკუშორს მიჰმართე... განა შენ ძველი ტრადიციის ქალებს ეკუთვნი! (ლოლა ელდანაცემი წაბარბაცდება).

ლოლა. მიშველეთ! გული... წყალი!

ოსბორნ. (ხელს შეაშველებს). არა გიშავს-რა... გაგივლის...

ლოლა. შენ მე გამაუბედურე!...

ოსბორნ. აკი იძახოდი, რა ბედნიერი ვარო?

ლოლა. უსვინდისო! მატყუარა! ცბიერო!..

ოსბორნ. ო! ო! ნერვებს ნუ აიშლი! „წადი მონასტერში, ოფელია!“

ლოლა. ვაი სირცხვილო!.. (მიდის).

ოსბორნ. „სადღა არის შენი სიწითლე!“ (წერილს დაინახავს) წერილი! „ლორდ ოსპინკტონს“...

11. ლორდ, მაქსიმილიან და ოსბორნ.

ოსბორნ. სერ! წერილი თქვენდამი!..

ლორდ. (მზიარულ გუნებაზე). გმადლობთ, ფრედი! ალბად მოლოცვა იქნება!.. ხომ კარგ გუნებაზე ხარ, ფრედი?

ოსბორნ. დიდებულზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქალის ცრემლებს ვხედავ!

ლორდ. ქალის ცრემლებს? ო, შე ეშმაკო! ალბად ლოლა... ციც! თუმცა... ხა, ხა! ახალგაზრდა ხარ... არა უშავს-რა! მათი უდიდებულესობის ჟინი შენში ნავთივით მოწოლილა. ისიამოვნე! ისიამოვნე! რა მშვენიერი ბუნება არის! მართალია ჟან-ჟაკ რუსსო, როდესაც ამბობს: მექანიური ცხოვრება უნდა დაინგრეს და ბუნებას დავუბრუნდეთო! ის პოეტი როგორ-ღა ამბობს? „ო, რძით გატენილო, ბუნებავ!“ შესცდა! უნდა ეთქვა: „ნავთით გატენილო!“ ფრედი! შეურიგდი მაქსიმილიანს. მოდი! მე უკვე ბოდიშიც მოვიხადე! აი, ასე! რა საჭიროა ქალის გულისთვის ბოქსით ვარჯიშობა? ცხვირიდან სის-

ხლი! ლოყა გასიებული! ეს ხომ ადამიანს ამახინჯებს... ადამიანს კი სილამაზე უყვარს! ო რა ტკბილია სიცოცხლე... უკაცრაოდ, მაქსი- მილიან! განაგრძეთ (თვითონ წერილს კითხულობს).

მაქს. შევიჭერ ყოველ წრეში... უკვე დაარსებულია ორგანიზა- ციები... ხალხი მზად მყავს... ჯარში ოფიცრობა სულ ჩემს მხარეზეა... სულ მომხრე და მომხრე...

ლორდ. არამზადა!

მაქს. რას მიბძანებ?

ლორდ. ეულიკ!

მაქს. რით დავიმსახურე?

ლორდ. მცარცველი შანტაჟისტი...

მაქს. გარწმუნებთ, ფული ორგანიზაციებს მოვახმარე!

ლორდ. (ღმუის) უუ! არ დავინდობ!

მაქს. მიშველეთ! რა დავაშავე?

ლორდ. რას ნიშნავს აპრუწუწუ?

მაქს. როდის მოვახსენე?

ლორდ. მაშ აქ ყველა ფლიდი და გაიძვერა ყოფილა.

მაქს. გარწმუნებთ, მარტო მესამედი დავხარჯე რესტორანში. სხვა ორგანიზაციებს მოვანდომე...

ლორდ. ჩქარა! აქ მოათრიე პანტა-პული?

(მაქს გარბის). ფეხში ჩაავლე... კისერში!.. ავაზაკები... „დიდყუ- რა!“ — ვინ მოგცა შენ ეს წერილი? ვინ მოგცა მეთქი?

ოსბორნ. აქ იდო, მაგიდაზე!

ლორდ. ცრუობ! მოგცემდა ვინმე! ვინ იყო?

ოსბორნ. რა დაგემართათ?

ლორდ. რა დამემართათ? ო! ო! თხუნელების საბუღარს გადავ- წვავ...

12. იგინივე და ფეხ აკრეფით შემოდინ: პრეზიდენტი, მინისტრი, კოლოტ, კოსტა, ბნედელ და ათანას.

ლორდ. აქამდე სად ხარ? რას ჰგავს! მასხარად მიგდებთ? მე თქვენი შვეიცარი ვარ?

კოსტა. (თავისთვის) ასწვია! ასწვია!

პრეზ. რას გვისაყვედურებ, სერ?

ლორდ. ვის ველაპარაკები? ჯიბგირს, თუ ხელისუფლების წარ- მომადგენელს?

პრეზ. ესოდენ ეპიტეტით?.. ალბად შეეხება იუსტვინოს...

კოლოტ. სერ! დღემდე თქვენს ხაზინადარს არ გადაუხდია...

ლორდ. არამზადებო!

კოლოტ. აბა, როგორ გეკადრებათ დიდ გენერალს...

კოსტა. ზელტერი, გული უხურს!

ლორდ. განა არ იცით, რომ ჩემის მოტყუებით, თქვენ ატყუებთ ჩემს იმპერატორს, რომლის ჯენტლმენურ გულკეთილობის წყალობით სულს ითქვამს თქვენი სახელმწიფოებრივი პანოპტიკუმი? იცით თუ არა, რა მოჰყვება ამ ამბავს, უკეთუ მოვახსენე, რომ მართველების ნაცვლად, აქ ვპოვე ათიოდე ჯიბგირი?

კოლოტ. ცუდ გუნებაზე ბრძანდებით... მაგრამ ეშველება! აი, იუსტვინოს რეცეპტით, კასტორკაა საჭირო!

მინისტრ. დიახ, კუჭის მოშლამ, გონების შეშლაც იცის!

პრეზ. ვილაც ბოროტს ცრუ ინფორმაცია მოუცია და ჩემი შეურაცყოფით, სუვერენულ სახელმწიფოს...

ლორდ. მაგ თქვენს სახელმწიფოს ვიყიდი და შიგ სკეტიנג—რინგს გავმართავ, ან ნახირის ბაკებს! შემოძლიან-მეთქი ვიყიდო და გავეყიდო, როგორც ვიყიდე კანტარიდების ნავთის სარეწავები!

კოსტა. დიახ! თქვენი სიმდიდრე განთქმულია!

ლორდ. შენ ვილა ოხერი ეჩრები?

კოსტა. ურიელ აკოსტა ბატონო!

პრეზ. თქვენო უმაღლესობავ! მომკალ და ვერ გამიგია! თქვენ ბრძანებთ: ნავთის სარეწავი ვიყიდეო.. ვისგან იყიდეთ, კეთილ ინებეთ და გაგვაგებინეთ... აქ რალაც გაუგებრობა ჰხდება!

ლორდ. როგორ თუ გაუგებრობა თვითონ პატრონები აქ იყვნენ... კანტარიდი შვილით! ხელიც მოვაწერეთ, ფულიც ჩაიბარეს!

კოსტა. ღმერთო კი მომკალ! ნუთუ არიან კიდევ ისეთი გაიძვერები, რომ ამისთანა პატიოსან ადამიანს ატყუილებენ?

პრეზ. აქ ცხადი გაუგებრობაა!

კოლოტ. რასაკვირველია, გაუგებრობაა!

პრეზ. არავითარი კანტარიდები რესპუბლიკაში არ არსებობენ!

კოლოტ. მართალია! მე აქ ყველა ვაჭრებს ვიცნობ, მაგრამ კანტარიდი?—არასოდეს გამიგია!

პრეზ. გარდა მაგისა, უფლება არავის აქვს გაჰყიდოს ნავთის სარეწავო, რადგან...

მინისტრი. რადგან ისინი სახელმწიფო კუთვნილება გახლავთ!

კოსტა. რესპუბლიკა განა ისე დაეცა, რომ სახელმწიფო ქონება გაჰყიდოს? ვილაც შანტაჟისტები ყოფილან!

ლორდ. რააოო?

მინისტრ. გაიგუდა! ჩქარა ექიმი!

ლორდ. რაოო?

პრეზ. არ შეგეძლოთ ნავთის სარეწავები გეყიდათ, რადგან ჯერ ერთი, არ იყიდება და მეორეც, მაინც არ იყიდება!

ლორდ. ცუდი დრო აგირჩევიათ საოხუნჯოთ პანტაპაპული!

პრეზ. პაპანდაპული, სერ!

ლორდ. რას ნიშნავს: აპრუწუწუ?

(ერთმანეთს გადაჰხედავენ იცინიან)

კოლოტ. ლორდი თვითონ ბრძანდება ხუმრობის გუნებაზე, თორემ აპრუწუწუ? რა საკადრისია?

ლორდ. როგორ თუ ხუმრობის? ფული მივეცი! ხელიც მოვაწერეთ! აი პირობა!

პრეზ. მჯერა, სერ, რომ ფულს მისცემდით, მაგრამ ჰაერი გიყიდიათ!

ლორდ. რაო? რაო?

პრეზ. ჩემი საყვედური ის გახლავთ, რომ სრულ უფლებიანმა მინისტრმა, ნაუტილიის მთავარსარდალმა და მეფის მეგობარმა, საქმე დაიჭირეთ ჩემს დაუკითხავად და გვერდი აუქციეთ კანონიერ გზას!

კოლოტ. მართალია! კანონიერ გზას გვერდი აუქციეთ, რაც თქვენ უმაღლესობას არ ეკადრებოდა!

ლორდ. მე უნდა დამიბრუნდეს ფული და ამას თქვენ გაკისრებთ.

პრეზ. მე? როგორ? რა გზით? თუნდაც შევიპყრათ, ფული დახარჯული ექნებათ.

ლორდ. მე მოვრჩი! უნდა პასუხი გამცეთ: ან თქვენი რესპუბლიკა ადასტურებს ნასყიდობას, ანდა თქვენი ხაზინა მინაზლაურებს კანტარიდებზე გაცემულს რაოდენობას! სამს საათს გაძლევთ ვადას!

კოლოტ. გამაგრდი, პაპული!

პრეზ. ამის გამო პარლამენტი უნდა იქმნეს მოწვეული, ეხლა კი ზაფხულის კანიკულები გახლავთ, სერ!

ლორდ. უნდა შეჰკრიფოთ! კრებას თვით დავესწრები განსამარტებლად!

კოლოტ. კარგი! კარგი! ადვილი საქმეა! ეგ მე მომანდეთ!

პრეზ. პარლამენტი რა უარი სთქვას, მილორდ?

ლორდ. ულტიმატუმ! მაშინ ჩემი ზარბაზნები ილაპარაკებენ!

პრეზ. ო, უბედური დღე გაგვითენდა (ყველანი გადიან).

13. ლორდ და მაქსიმილიან.

ლორდ. მაქსიმალიან! შენი მომხრეები მზად იყვნენ!

მაქს. დიახ, მზად არიან!

ლორდ. პარლამენტის წინ!

მაქს. როგორ?!

ლორდ. და როდესაც ნიშანს მოგცემენ... უნდა მოახდინო გადატრიალება!

მაქს. (ცახცახებს) ოო!

ლორდ. შემოხვალ პარლამენტში, როგორც ბონოპარტე ხუთასთა საბჭოში და გამოაცხადებ მათს რესპუბლიკას გაუქმებულად!

მაქს. მე... მე... სერ! პირადად მე?..

ლორდ. დიახ! პირადათ თქვენ განდევნით კლუბის ხროვას... როდესაც ნიშანს მოგცემენ... ჩემი ჯარის ნაწილიც დაგეხმარება... არამზადები!... შესრულდეს!

მოქმედება მეხუთე.

იგივე სცენა

ტერასის მალა ქეიფია. თამაღობს მაღიანო იუსტვინოს. ისმის შემთვრალეულთა ხმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად:

I

— მე ამას ვამტკიცებ, რომ გავაცურეთ დიდებულად...

— მაგის მეტი — კი გაგვიცურებია!

— აპრუწუწუ ორპინკტონს!

— ვინც არ დასცალოს, ან ცოლი გაექცეს, ან სახლი წაექცეს!

— დაასხი!

— შენ გაკლია!

— ჯიბრში მიდგეხარ?

— გაკლია მეთქი!

— უი შენს პატრონს, რაც მე ვერაფერი დამაკლო!

II

მუსიკა ცეკვით გაივლიან რამდენიმე წყვილი. შემდეგ პრეზიდენტ პაპული და ბონა სოფია.

პრეზ. ჩემო ცუგრუმელა! ტვირთად მაწევს ეს დიდება ეს სახელი! მინდა შენთან ერთად სადმე უდაბნოში... სადაც ადამიანის

ფეხი არ დადგმულა... სადმე კუნძულზე, სადაც მივეცემი თავდავიწყებას!.. მაგრამ, არა! შენ ვერ გნახავდნენ მორთულს სულთანის დედოფალს... იქ მხოლოდ მაიმუნებია, რომლებიც ვერ მოისმენენ სიტყვას არჩევნების ცენზის შესახებ, რაც საფუძველია ჭეშმარიტ თავისუფლებისა... აი, გავათხოვებ ჩემს ქალიშვილს... ვისზე? ო, ფული იყოს, თორემ... ჩემს ცოლს ბერების მონასტერში გამგედ დავნიშნავ და ჩვენ კი... ჰაიდა... შორს.. შორს... ვალიუტა ისეა, როგორც რიყეზე ხვინჭა!

(ფოქსტროტის ცეკვით გაჰყავს.)

III

ლოლა და გოშიკ. (ცეკვით შემოდიან)

ლოლა. ჩემს წყენას ალბად დაივიწყებდი!

გოშ. ვდნები... ვდნები!

ლოლა. ის ვიღაც მეფის უკანონო... უზრდელი ყოფილა!

გოშ. ვიცოდი, სამშობლოს სიყვარული ჩემთან დაგაბრუნებდა!

ლოლა. მისი სისხლი დუნედ მჩქეჯარებს... დღესვე უნდა სთხოვო მამაჩემს, თორემ... უთუოდ ნაადრევი ძეობა დააეჭვებს...

გოშიკ. დღესვე... ეხლავ!

ლოლა. განა დაჩქარებას საჭიროდ არ სთვლი?

გოშიკ. შეჭველად!

ლოლა. რა მიხვედრილი ხარ, გოშიკ!

გოშიკ. შენ ხარ მიზეზი, ჩემო მშვენიერო!

(ცეკვით გადიან)

IV

მადამ პეპული და კოლოტ ცეკვით შემოდიან, შემდეგ კოსტა და სტუმრები.

კოლოტ. უჰ! დავიღალე!

მადამ პეპული. რომ გეუბნები, დაბერდი მეტი! მეტი აღარ შეგიძლიან!

კოლოტ. ხახუნის თამაშა რა ჩემი საქმეა?

მადამ პეპ. ანტონ! სირცხვილია!

კოლოტ. ეხლა სირცხვილია, როცა ასე ოფლში გამწურე?

მადამ პეპული. უშნო ხარ!

კოლოტ. მე უშნო? შემდეგისთვის! ეხლა კი ჩვენებური! ტაშ!

კოსტა. ანტონ კოლოტ ქეიფობს!

მას ჯათა არ მოსვლია!

მაგრამ ჯიბე ავსია! ტაშ! ტაშ!

(კოლოტი ცეკვის შემდეგ დაქანცული სკამზე დაეშვება.)

კოლოტ. ჩემს სიცოცხლეში ერთი დღე და ასეთი! მაღამ პაპული! წავიდა? შნო არ მაქვს? მე?

(მადიანოს გადაეხვევა).

მე მშნო არ მაქვს? მადიანო! მე შნო არ მაქვს?..

მინისტრ. კრიჟანგი ხარ!

კოლოტ. ვაიმე! ვაიმე! შენც ასე მილალატე? მაგრამ შენ მუდამ თვალეზი გეთხრება! მე და კრიჟანგი? მთელ ჩემს ქონებას შევქამ... კოსტა! ენის წვერში გენაცვალე! ათანას, მე შნო არა მაქვს? მე კრიჟანგი ვარ? ლამის გავგიჟდე!.. ლამის ავტირდე!

V

კოლოტ და გოშიკ.

გოშიკ. ანტონ!

კოლოტ. ო, საყვარელო, მაღამ პაპული! (გადაეხვევა).

გოშიკ. ანტონ!

კოლოტ. დარდუხნე! ის, ის! რა იქნა? წავიდა? რა გინდა? შნო არა მაქვს? კრიჟანგი ვარ? მაშ მე შენთვის ფული არ მისესხებია? მერე, დაგიბრუნებია?.. მე კრიჟანგი ვარ? მე შნო არა მაქვს?

გოშიკ. ანტონ! უნდა შეგატყობინო...

კოლოტ. ჰა? ჰო! ჰო! სულ დამავიწყდა... შუბლი მიხურს...

გოშიკ. უნდა შეგატყობინო...

კოლოტ. ვიცი, ვიცი! გამომფხიზლდა! (ყურებს ისრესავს, თვალეზი იფშვინტს) მე შნო არა მაქვს?

აი, ფხიზელი ვარ! ღვინო ვერაფერს დამაკლებს! მაშ შნო არა მქონია?

გოშიკ. ანტონ, მომისმინე!

კოლოტ. გისმენ... ვიცი! პარლამენტის წევრები მოვიდოდნენ...

გოშიკ. არა პირადი საქმე მაქვს!... დაიცადონ... შეგატყობინებ... გესმის? შეგატყობინებ!

კოლოტ. პირადი საქმე? ეხლა? წადი ჭამე და სვი! ვინ ანგარიშობს?

ჩვენს რესპუბლიკაში ჩვენ — ხალხისთვის!.. ერთი... აი, ერთი ყველასთვის.. სოციალიზმი! უნდა გესმოდეს...: მე უნდა შენ გასწავლო? ამის შემდეგ შნო არა მაქვს?

გოშიკ. ახ, ანტონ! მომისმინე! ჩემთვის უნდა გადაწყდეს...

კოლოტ. გადაწყვეტილიც არიცი და მორჩომილიც! ამას პარლამენტი ზეპირად დაადასტურებს! ხელის აწევით... აი, ასე!

გოშიკ. მაშ ქალს მომათხოვებს?

კოლოტ. რაოო? რა ქალი? რის ქალი? ქალი საიდან?

გოშიკ. ლოლას ვთხოვლობ ცოლად, ანტონ!

კოლოტ. (შუბლზე ხელს ადებს). შენ გაქვს ღვინის სიციხე, თუ მე? წადი გამოიძინე.

გოშიკ. ლოლა თვითონ მაჩქარებს, სთხოვე მამაჩემსაო!

კოლოტ. (უცქერის დიდხანს) შენ იცი? ენას ამოგაძრობ! შენც ჭორებს ასდევ, თითქოს ლოლა ჩემი... ჩემი... თითქოს მე ლოლას მამა ვიყო...

არა, ის ჩემგან არ არის... ჩემზე წინ სხვა იყო! მე იმისი მამა არ ვარ...

გოშიკ. ანტონ! იცი რას ვიზამ?..

კოლოტ. ნერე?

გოშიკ. უნდა მიშუამდგომლო...

კოლოტ. მე მაჭაკალი ვარ? მე? მოიცა! არ ხუმბრობ? უნო მაქვს! მოიცა! მე კარგი ქრთამი და მზითვევი მოვაცემინო, რამდენს გაიღებ?... ყველაფერს უნო უნდა, აღებასაც, გაცემასაც... რამდენს მომცემ?

გოშიკ. ანტონ! ოღონდ კი...

კოლოტ. კარგი! მე ვიცი, მხოლოდ ნუ აჩქარდები...

გოშიკ. შვილი რომ ეყოლოს?

კოლოტ. რაო?

გოშიკ. ასე ამბობს: ნაადრევი ძეობა იქნებაო!

კოლოტ. (დიდხანს იცინის) ნაადრევი?... ხა, ხა! ჭკვიანი ყოფილა დედის მსგავსი!

VI

იგინივე და ათანას

ათანას. რას იფხრიწები, ანტონ?

კოლოტ. მე არა სხვა იფხრიწება. ნაადრევი ძეობა! ხა ხა ხა!

ათანას. ანტონ! მოდიან!

ათანას. რა ღმერთი უწყრება? უშველეთ, გასქდა ანტონი!

კოლოტ. ვაი, ვაი მუცელი! ნაადრევი ძეობა!

ათანას. ანტონ! მოდიან! უკან აუარებელი ხალხი მოსდევს!

კოლოტ. მოვიდეს, მოვიდეს! ჩვენც იმას ნაადრევ ძეობას დავახვედრებთ... ჩვენი უკვე დაიბადა...

ათანას. სად არიან პარლამენტის დეპუტატები?

კოლოტ. მელოგინე პაპულისთან! ვაჟს ჰქვია: აპრუწუწუ! არა, ათანას?

ათანას. მოშალე ხუმრობა! ორპინკტონს ესკადრა-საომრად გაუმზადებია...

კოლოტ. ალბად, ნაადრევ ძეობას იდღესასწაულებს!

ათანას. ანტონ, ხომ არ შეიშალე!

კოლოტ. შევიშალე? ანტონს შნო არ აქვს! ანტონ კრიჟანგია! ხოლო ეხლა შევიშალე?

მინისტრ (შემორბის) აბა, პარლამენტი! (კოლოტს) ანტონ! რომ ითავე, სად არიან დეპუტატები?

კოლოტ. მაგის მეტი საზრუნავი ნურა მოგცეს—რა! ჯერ უნდა ნაადრევი ძეობა ვიზეიმოთ, ხა, ხა, ხა!

მინისტრ. რას ამბობ? დეპუტატები ხომ უნდა დავახვედროთ?

კოლოტ. ჩვენ გვჭირდება ხელის ამწევი ხალხი—თითები! თითები კი მზად არიან: მე, შენ, გენერალ ბნედიანი, თვითონ პაპული, კოსტა, ათანასე, ერთი ოთხიოდე სტუმარი; ორი, სამი ჩემი დახლინდარი, ორი ლაქია—იქნება ქორუმი! საპატიო თავჯდომარედ ის გადაყრუებული საზოგადო მოღვაწე და ჩვენი პარლამენტიც: აპრუწუწუ!

პრეზ. (შემორბის) რა ვქნათ? რა ვქნათ?

კოლოტ. ყველა დამშვიდდეს! მე როცა ვთქვი, კადეც გაკეთდება! ეს ნაადრევი ძეობა არ გახლავს!..

ამის შემდეგ მე შნო არა მაქვს? მე კრიჟანგი ვარ?

(კულისებში იძახის) მოდით, თითებო! ყველამ თავისი ადგილი დაიკავოს! (მწყობრად შემოდინ, ვითომც დეპუტატები) აბა, ასწით! (ხელებს ასწევინ) აბა, დასწით! (ხელებს დასწევინ) კარგია! არ დაგავიწყდეს: შენ ხარ სოციალ—დემოკრატი! შენ—ოპოზიცია; შენ—რადიკალი! შენ—მორწმუნეთ, კავშირიდან! შენ? შენ რაც გინდა იყბედე! სულ ერთია, ვერც გაგაჩერებთ და არც აზრი ექნება შენს ლაპარაკს!

მინისტრ. რაო? რაო? მე რა ვიქნები?

კოლოტ. ოპოზიცია, მაღიანო! მადა, კარგი გაქვს და ბევრს მოითხოვ! არ გინდა? ბოდიში! დაე, კოსტა იყოს! —კოსტა! შენ ხარ ოპოზიცია!

კოსტა. მე მიყვარს პირდაპირ და ნაღდი!

კოლოტ. აი, შნო აქვს! შენ კი, მაღიანო... არ იყავ ღირსი, რაც მიიღე!

მინისტრ. შენ თვითონ რა იქნები?

კოლოტ. მე—ნეიტრალი! არც იქით, არც აქეთ!

მინისტრ. ყველაზე მეტი შენ ჩაიჯიბე, ეხლა თავს იძვრენ... ეგ არის ბურჟუაზიული სიმხდალე...

კოლოტ. რა ჩაიჯიბე? ვალს გადახდა არ უნდოდა? მე მხდალი ვარ? მე?

მინისტრ. მართლაც ჩარჩი ხარ! ჩარჩი!

კოლოტ. შენს პორთფელს დაკარგავ და ივლი ისევ მშიერი სოფლის მასწავლებლად!

მინისტრ. მედუქნე!

პრეზ. გაჩერდით! აბა, ეხლა რა დროს ჩხუბია?

მინისტრ. მაგან მეტი ჩაიჯიბა! რაში ერგებოდა, საქმე ჩვენ მოვაწყეთ...

კოლოტ. მე შნო არა მაქვს? მე ჩარჩი ვარ? მე კრიჟანგი ვარ? ამ კორებს შენ ავრცელებ! ან შენ ან მე!

მინისტრ. ამ ტრიბუნიდან ყველაფერს —ვიტყვი, რომ თქვენ ყალბი საზოგადოებით... და აფიორით...

ყველანი. სსს! ხომ არ გაგიჟდი? (პირზე ხელს აფარებენ.)

მინისტრ. აბა, მაშ ანტონ კოლოტის დასაწიხლი ვარ?

კოლოტ. გეწყინა, მაღიანო? მაპატიე... ჩემმა მზემ კეთილი გული მაქვს...

მინისტრ. მეც მაპატიე, ანტონ! ჩემმა მზემ, მთვრალი ვარ!..

კოლოტ. (ერსიანეთს კოცნიან და ხელს ართმევენ) გაუმარჯოს ჩვენს ურყევ კავშირს!

ყველანი. ამინ და კირიელეისონ!

VII

იგინივე, ლორდ ორპინკტონ და მასი ადიუტანტი.

(ამ დროს შემოჰყავთ გადაყრუებული ვინმე მოხუცი და თავჯდომარის ადგილზე სვამენ. ყრუა და ბლუ. მყუდროების დროს ზარს აწკარუნებს, ხოლო როცა აურზაურია, იდიოტურად იღიმება).

ლორდ. ნუთუ ეს არის თქვენი პარლამენტი?

კოლოტ. გახლავს, თუმცა ნაჩქარევად, მაგრამ, მაინც შესდგა... მაშ ეს შნო არ არის?

ლორდ. (ადიუტანტს გამოიხმობს) მაქსიმილიანი თავის ჯარით და

ჩვენი დამხმარე რეზერვით მზად იყოს. როცა ნიშანს მივცემ, უნდა მოახდინოს გადატრიალება! გარეკოს ეს ხროვა!

ადიუტანტი. მესმის! ჩვენი ჯარი მზად არის!

ვინმე მოხუცი. მოხარული ვარ... პატივი დამდეს... ჰა? საზეიმო სხდომაზე, რომლის საგანია... ჰა? კრებას გახსნილად ვაცხადებ... ჰა? სიტყვა ეკუთვნის... ჰა?

ლორდ. ვინ არის ეგ საფრთხობელა?

კოლოტი. ჩვენი კლასიკი! ირჩევდნენ, ვირჩევთ და აირჩევენ საპატიო თავჯდომარედ! უნო აქვს მათუსაილის... მაშ მე კრიჟანგი ვარ? უნო არა მაქვს!

ლორდ. უცნაურია! ყრუ და მუნჯი ალბად კონსპირაციისთვის თუ სჭირდებათ!

პრეზ. (ტრიბუნაზე აღის) ბ-ნებო! მოგეხსენებათ საქმის ვითარება! უცნაური ამბავი დატრიალდა.

კოლოტი. მეტად უცნაური!

პრეზ. მას შემდეგ, რაც ბ-ნმა ორპინქტონმა ულტიმატიური მოთხოვნა წარმოგვიდგინა, ჩვენ დასვენება არ გვქონია თითქმის მშვივრები...

ლორდ. ღვინით ყარს აქაურობა!

პრეზ. ყოველგვარი ზომა მივიღეთ. გადავაბრუნეთ ქალაქის საეჭვო უბნები. ფეხზე დავაყენეთ დამცველი რაზმი... და მაძებარი მილიცია...

კოლოტი. ამას უნო არ უნდოდა? ჩვენი ერთად-ერთი პატიოსნების საფუძველი ფეხზე დავაყენე... მე! მე!

პრეზ. მაგრამ დამნაშავენი ვერ აღმოვაჩინეთ!

კოლოტი. ვინ იცის საით მოუსვეს! ამასაც უნო უნდოდა!

პრეზ. მივმართეთ მოწოდებით და ვუღვიძებდით პატრიოტულ სინდისს, რომ მათი საქციელი ჩვენს სამშობლოს განსაცდელს უმზადებდა და ვპირდებოდით დამნაშავე დასჯილი არ იქნებოდა.

კოლოტი. ცოტა მოკლედ!..

პრეზ. უკეთუ ფულს დააბრუნებდენ...

კოლოტი. ისე როგორ გამოსულელდებოდნენ... დიახ, არ შეისმენდენ.

პრეზ. აწ დავსხდეთ მდინარესა ზედა ბაბილონისასა...

კოსტა. და თანასწორად გავინაწილოთ...

კოლოტი. გავინაწილოთ დიახ, მწუხარება ჩვენი მოკავშირის...

პრეზ. გაცნობებთ ამ სამწუხარო ამბავს, რათა ასეთი სამარ-

ცხინო ინციდენტი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში საერთო ძალით ამოვწუროთ.

მინისტრ. თუ კი რამ დარჩენილა ქვევრში...

პრეზ. ამასთანავე გენერალ ორპინკტონის მოთხოვნა ჩვენმა უზენაესმა მთავრობამ სცნო უკანონოდ და შეუსრულებლად!

კოლოტ. კენჭს ვუყრი! აბა! ასწით! — დასწით! ერთხმად, მართალია!

პრეზ. არ გვაქვს უფლება ნაყიდობა, დავადასტუროთ, ისევე როგორც არ შეგვიძლიან ჩვენი ხაზინიდან დატყუებული ფული აუნაზღაუროთ!

კოლოტ. ასწით! დასწით!

პრეზ. ეს გამოიწვევს სახელმწიფოს ფინანსების კრიზისს...

კოლოტ. რასაკვირველია! ეს განათლებულ კაცს კარგად უნდა ესმოდეს! აბა, ასწით! დასწით! ერთხმად მართალია!

პრეზ. მშრომელ მასების განადგურებას...

კოლოტ. ცხადზე უცხადესია! როგორ გავწირავთ ჩვენ მშრომელ მასებს?

პრეზ. სინდისის და პატიოსნების სახელით მთავრობა წინადადებას აძლევს პარლამენტს, უარყოს ორპინკტონის ულტიმატიური მოთხოვნა და მისი დაკმაყოფილება!

(ტაში. პრეზიდენტი თავის ადგილს იჭერს, მინისტრ მადიანო ტრიბუნაზე ადის, კოლოტი მაგიდას ამოეფარება და უკარნახებს.)

მინისტრ. მაგრამ მთავრობა დიდად შეწუხებულია, პირდაპირ გლოვობს, დარდობს—ჰა? რაო?—ამგვარი ამბით! ცდილობს მშვიდობიან: გამოსავალს. რომ ჩვენი პურმარილი არ შერცხვეს. იცით პურმარილი!? ეს არის, რაც არის. კარგი სუფრა... და აი, ამიტომ უარყოფთ კომანდირს... მოთხოვნას... ბოდიშს ვიხდით, რომ უნდა ეთხოვოს კომანდირს დაივიწყოს და ჩაილულის წყალი დალიოს... ამოვარჩიოთ თამადა... ე. ი. კომისია, ზარალის გამოსარკვევად და გეფიცებით ამ არამზადობას არვის ვაპატიებთ! მაშ გაუმარჯოს...—ანტონ! ხომ დავცხე!—

კოლოტ. წადი! მზარეულთან! ღვინო გაკლია!

ვინმე უპასუხისგებლო. (რომელიც ხან წამოხტებოდა, ხან ხელს იშვერდა.) ფაქტიური მენიშენა. წინადადების მაგიერ, რომ კრება ადასტურებს, რაც ნათქვამს აღემატებოდა, უაღრესი საშუალებებით, და რასაც ესკადრონის კომანდირი რეზოლიუციაში აბათილებს, რის გამოც ჩემი დასაბუთებული წინადადებაა: რომ რადგანაც და ამის გამო და ამის შესახებ ყველამ თავები დავიხოცოთ! ყელები დავიჭრაოთ.

(კოლოტი ტრიბუნიდან ჩამოათრევს).

კოლოტ. ბატონებო, ორატორა—მოგახსენებთ, რომ ასეთს ჩვენს შერცხვენას, სჯობს თავები დავიხოცოთო.

(ტაში. არატორი დიდის თავაზით თავს უკრავს და მედიდურად ადგილს იკავებს)

კოლოტ. სიტყვა ეკუთვნის ოპოზიციას.

კოსტა. (გაქანდება, გამოქანდება. თვალებს აბრიალებს). აი, ყაჩაღი! (ლორდზე უთითებს კოლოტი განგებ ვითომ აჩუმებს.) არ შეგვილიან პასუხი ვაგოთ იმ არამზადის გამო, რომელმა არამზადამაც ეს დიდი არამზადა მოატყუა. ეს უფლებას ბოროტად ხმარობს... ან განა წარმოსადგენია ამისთანა აფიორა? ეს შარია! განგებ მოგონილი შარი! უზურპატორობს ეს ქვეყნის მცარცველი და ჩვენც შესაფერი პასუხი უნდა გავცეთ...

(აურზაური. ზარის რეკა. კოლოტი იძახის ასწით! დასწით! ლორდი წამოდგება. ადიუტანტს ანიშნებს. ყვირიან ლორდი ძირს!)

VIII

იგინივე და მაქსიმილიან შემორბის გაფითრებული, ცახცახებს, ენას ვერ აგებს.

ლორდ. კარგს დროს მოხველ! გამოუცხადე... ამ არამზადებს...

მაქს. მე... მე... თქვენ ვერ წარმოიდგენთ...

ლორდ. რა დაგემართა მაქს?

კოლოტ. მაქს! კიდევ ხომ არ მიგზილეს?

მაქს. უარესი! უარესი!

ლორდ. ეგ აცხადებს, რომ თქვენი პარლამენტი... აბა მაქს?

კოლოტ. რა ხმა ჩაგიწყდა? სთქვი რომ ჩვენი პარლამენტი პენსიას გაძლევს... (ამ დროს უახლოვდება და ცხვირზე ხელს მოიჭერს) ფუ! ყარს!

ლორდ. თქვენი პარლამენტი..

მაქს. სერ, თავს უშველე!

ლორდ. რას როტავ!

მაქს. მოდიან!

ლორდ. უნდა მოვიდნენ და შემოგფიცონ, რომ შენ ხარ ტახტის მემკვიდრე!

მაქს. დამხვრეტენ! ვაი!

ლორდ. რაო?

მაქს. მოდიან ბოლშევიკები... ო! ვაი!

IX.

იგინივე და ოსბორნ.

ოსბორნ. სერ! სერ! ჩვენი ესკადრა განსაცდელშია! ბოლშევიკე-

ბმა ფრონტი გაარღვიეს... ქალაქზე იერიში მოაქვთ... ჩვენი ჯარისკაცები...

(ყველანი გაქვავდებიან)

კოლოტ. გესმის პაპული!

პრეზ. დამარტყი რამე!

კოლოტ. რა ვქნათ?

პრეზ. აპრუწუწუ! აბა, სხვა რა უნდა ვქნათ?

ლორდ. ფრედი! ჩემი კატერი?

ოსბორნ. ერთად ერთი იმედი თქვენი კატერილაა! მას ერთგული მეზღვაურები იცავენ... ისწრაფეთ, სერ!

ლორდ. ჩქარა შოფერი!

(გაქცევას აპირებს, მაგრამ უკან კალთაზე მოეკიდება პრეზიდენტი, პრეზიდენტს კოლოტი, კოლოტს მინსტრი და უკან ახვეინებენ.)

ლორდ. საკრამენტ!

კოლოტ. სერ! მოითმინეთ, სერ!

ყველანი. თქვენო უმაღლესობავ!

ლორდ. რა გინდათ ჩემგან?

კოლოტ. სერ! ლორდ! ეგრე რა გაწყენინეთ... მე ხომ ნეიტრალს ვიცავდი?..

პრეზ. ბარემ... ბარემ ყელები დაგვჭერ...

მინსტრ. თქვენ ხომ ჩვენს მოსარჩლე მფარველად მოგიწვიეთ..

ლორდ. თქვენი მფარველი? თქვენ დიდი კომბინატორები ხართ!

კოლოტ. მოითმინეთ, თუ რამ ისეთი... შეიძლება გამოსწორება... ოღონდ დაგვითმე ტრანსპორტი!

ლორდ. ამ ვერზილას რეცეპტით კასტორკა გარგებს რომ თავმა კარგად იმუშავოს!

კოლოტ. დავლიე და მეტიც მომივიდა... ნუ ინებებ, სერ! დაგვიხსენ! გვიშველე!

ლორდ. როგორ? ეს კატორღელი ხროვა ჩემთან ერთად? იქ? არასგზით!

კოლოტ. კოსტა! ენა ჩაგივარდა?

კოსტა. დღეს მეტად დავიგრძელე, მაგრამ რომ აღარ სჭრის...

ათანას. მოიცათ! განა ქრთამი აღარ ანათებს? ლორდ! მომიტევეთ ჭალარას! აქ თუ გადასწყდა, რომ უარი გეთქვას, ნამდვილი დადგენილება ასეთი არ არის!

ლორდ. როგორ?

ათანას. მთავრობის საიდუმლოება!. რომ ხალხს არ ეყვირა, თორემ თქვენს სამართლიან მოთხოვნას ვინ აღუდგება!

პრეზ. დიახ მართალია!

ყველანი. მართალია!

კოლოტ. ასწით! (ხელებს ასწევენ) დასწით! ერთხმად მიღებულა!

ლორდ. მაშ თანახმა ხართ?

ყველანი. თანახმა—დაგიდასტუროთ ნასყიდობა...

ლორდ. მაშ ხელს მოაწერთ?

ყველანი. დიახ, გავყიდეო.

ლორდ. აბა მაშ ჩქარა: მოაწერთ! (სათითაოთ ხელს აწერენ).

პრეზ. ეხლა, სერ, ჩვენი მდგომარეობა.. გთხოვთ, სატრანსპორტო გემით...

ლორდ. (ქალაქს უბეში იდებს) ასე! ჩემი მთავრობა... იმედია მოისურვებს... არ აწყენინოს და არც გაართულოს დიპლომატიური ურთიერთობა სახელმწიფოთა შორის, რის გამო... (ადიუტანტს) კარანტინი! გემზე არც ერთი!

პრეზ. რა უბედური დღე გაგვითენდა!

1928 წ. 24/VII

— : —

ს უ ე შ ი.

ისევ ტყეში ვარ, და ფიჭვები თაგებს მიხრიან,
მხედებიან როგორც ნაცნობები და ნათესავნი.
აქ მე მრავალჯერ სნეულ მკერდში მზე ჩამიღვრია
და წყაროს თვალი მიწოვია დედის რძესავით.
მიყვარს ბუნება. მაპატიონ ურბანისტებმა.
თუმცა, უნდა ვთქვა, თუჯის ხმაურს არც მე გავუბი:
ქარხანა ტყეში,—ასეთია ჩემი სისტემა.
ვფიქრობ ტრაქტორზე, როცა თივა ჩამივლის ურმით.
ცისფერ ჰაერში რომ იმღერონ ქარხნის ღვედებმა,
ჩემთვის ეს არის სანატრელი და სასურველი.
ხომ შეიძლება გწამდეს რკინის შემოქმედება,
მაგრამ გერჩიოს ქალაქის მტვერს ფიჭვის სურნელი?!

—:—

მიყვარს ჰაერი. ტყიან მთასაც მიტომ ვაფასებ.
მთელი დღე ტყეში ნადირივით დავებოტები.
ლამით ვიძინებ აივანის მაღალ რაფაზე.
თავს დამშრიალებს თეთრი არყი დახრილ ტოტებით.
ასე მგონია, ვარსკვლავები ასხია ტოტებს.
ვარ შემოსილი ღამის სუნთქვით და ტკბილად მცივა.
მოველოდები, როცა ქარი ხეს აატოკებს
და ვარსკვლავები ფოთლებივით თავზე დამცვივა.
ვუცქერი ზეცას. ლურჯ ბუდეში მერცხლები სხედან.
ვიძინებ როცა ცის დუმილი ჩემში გადმოვა.
და ყოველ დილით, რომ ვიღვაძებ, ბალიშზე ვხედავ
ხიდან ცრემლივით ჩამოცვენილ ფოთლების გროვას.

—:—

დგას მთა ტახივით ჯაგრიანი და აქოჩრილი.
ავდივარ ზევით, შემდეგ ხევში გადავეშვები,

სადაც აგდია ცხედარივით ფიჭვი მოჭრილი.
ვიჩოქებ მოლზე და ვსვამ წყაროს სავსე პეშვებით.
თეთრი ღრუბელი, თითქო ციდან ჩამონაგდები,
დამჯდარა მთაზე და ჩემსავით ჩაფიქრებულა.
წაბლსა და მუხას წამოუსხამთ ოქროს ნაბდები
და მწვანე ტყეში თულებივით ჩასაფრებულან.
ხშირია არყი, ჰხარობს თუმცა ფიჭვი მეტ წილად.
ტყეში აქა-იქ ყვითელ ფოთლის ანთია ზვინი.
მზეს ფეხით ვთელავ, ტყეში უხვად რომ ჩალეწილა,
და გუდასავით ვბერავ ფილტვებს ჰაერის ღვინით.

—:—

კარგია წყალი, ტურბინებზე შხეფებს რომ ისვრის.
კარგია ნამიც, მზის წვეთებით თუ ნასხურია.
მიყვარს ტყე და მზე არა მარტო სარგებლობისთვის, —
ფილტვებზე მეტად ტყე მზიანი თვალებს სწყურია.
დგას ტყის ნაპირად ერთი ვერხვი განმარტოებით.
ყოველ ფოთოლზე ნაპერწკლების ფერხული იწვის, —
თითქო სხივების დასევია მას კოლოები,
თითქო ამოდის ცეცხლიანი მახვილი მიწის.
დაიწვა სახე, ღრუბლის კოშკზე სხივი რომ სწერდა.
აგრილდა უცებ. მოიხურა ცამ ტყავი ვეფხვის.
ისმის ჰაერში ჟრიამული უჩინარ მწერთა
და მივიწყებულ სანთელივით ანთია ვერხვი.

—:—

მზემ ტყეს ამართულს შეახია ნარინჯის ქობა
და თვითმკვლელებით გადიჩეხა ღორლიან მთებში.
იისფერ ღრუბელს ოქროს წვიმამ გზა გადულობა
და ტყეს დაემხო სისხლით სავსე ფირუზის თეფში.
მოულოდნელად თუჯის მილში აღუღდა წყალი,
მოახტა მძინარს ბნელ გვირაბში რკინის ბედაურს.
ავარდა ქაფი. დატრიალდა ცხენი გამწყრალი
და ცეცხლის ძუა მიაყარა მხედარს უცნაურს.
და უცებ ტყეში ატყდა შუქის ჩუმი განგაში,
თითქო ზეციდან გადმოფრინდა გუნდი ვარსკვლავთა,
ან თითქო ღამეს, აჩქარებით შემოსულს მთაში,
დაბურულ ხევში ჩაუვარდა ციურა კალთა.

—:—

ლ ე ნ ი ნ

1

იყო ეს:

ბევრი საუკუნის წინად

ლენა —

გამტყდარი ბოლმით

ურტყამდა ტყლაშუნით ზვირთებს

ტაიგის მდუმარე ნაპირებს.

ქარი არხევდა ნაძვებს

და მინდორს, — ყინვით გაკაწრულს, —

ეფინებოდა მანტია გლოვის.

მონადირე —

გადაკარგული უღრან ტყეებში —

ლილინებდა მწუხარედ

თავის სიმღერას:

„სახელოვან ბაიკალზე“

და

იმ ხმებს

სევდით იმეორებდა სივრცე დათოვლილი.

ყინულეთში, — ბორკილებდაყრილ,

თავისუფლების მეგრძოლთა მკერდიდან

ისმოდა განუწყვეტელი

წყევლა:

— „სიკვდილი ჯალათებს!

სიკვდილი მეფეს!

სიკვდილი ყველა მათ —

ვინც აჰყარა უფლება ძლევამოსილ ხალხს

და ძაძით შემოსა მშრომელთა გულები;

ვინც დაატყვევა პატიოსანი შრომა

და წამების უღელი დაადო ქედზე

დამონებულებს!
ოი, სამყაროვ, მჩაგვრელთა და მყვლეფელთა
იყავ წყეული
ათასჯერ
და ათიათასჯერ!
რადგან შენ ხარ მხოლოდ აკლდამა
რჩეულ შვილების:
უკეთეს ზრახვათა,
უწმინდეს იდეალების
და თვით სუქდები მონათა სისხლით,—
გაპოხიერებული იმათი ტანჯვით.
სამყაროვ, მჩაგვრელთა
წყევა შენ!“

2

დანგრეულ ქოხიდან მოვიდა იგი.
უბრალო, როგორც სილატაკე
და ძლიერი,—
როგორც გაუდნობი ფოლადი,
მისი ხმა გავდა სირენის ძახილს,
როცა ზღვაში ილუპებთან გემები
საყვირების ხმაზე
მასთან შემოკრბენ ჩაგრულთ ურდოები
და ცეცხლის ტალღები
მოედო ქვეყანას
ვით წარღვნა.
ეს იყო:
მოხეთქა გრიგალის
რომელიც ჰლამობს
ცეცხლის წვიმებით ამოსწვას ხმელეთი
შეთრთოლდა მსუნაგთა ბუნაგი
და აღმა უეცრად
გადაურბინა სასახლის ბრინჯაოს ფოიებს
დაინგრა მჩაგვრელთა ქვეყანა ძველი
და
ნაცვლად მოვიდა — ახალი, ბრწყინვალე.

* *

მწყობრად .მიაბიჯებენ
 მშრომელთა რაზმები
 სიმღერით ადიდებენ
 გამარჯვების დღესასწაულს
 და ყველგან:
 სიამეა, სიხარული...
 მანქანების ხმაური
 პროპელერის ფრთები
 და მძიმე ტრაქტორი
 ყველა ადიდებს ერთხმად
 სახელს,—
 რომელიც ანათებს მსოფლიოში,
 როგორც კანდელი დაუქრობელი,—
 და არის უკანასკნელი ნუგეში
 ყველა ქვეყნის
 დამონებულთა
 და რისხვა,—მჩაგვრელთა ვაების
 დამტეხი,—
 ეს არის
 სახელი
 ფოლადზე მკაცრი:
ლენინ..

1923.

— : —

ოქტომბერი — ლენინით.

ნეტარება მას,
ვინც დასწრებია
ბარიკადებზე
გარდახდილ
ბრძოლებს;
ვისაც შიში არ
მიჰკარებია,
ვისი გმირობაც
გულებს გვითროლებს.
ვიგონებ:
წარსულს,
ოქტომბრის დღეებს,
რევოლიუციის
დიდ წინამძღოლებს;
თუმც ველარ ვხედავთ
ზოგთა სახეებს,
მაგრამ ანდერძი
წინ მიგვაქროლებს.
აი, გამოჩნდა
ილიჩის ლანდი,
ლანდი კი არა,
ცხადი,
დიადი.
იგია, იგი —
ხალხის ბელადი —
გული საგულეს
აღარ ეტევა,
ის ტრიბუნაზე
მრისხანეთ ადის

და მტერთა მიმართ
იწყებს შეტევას.
დაჰყურებს მიტინგს
იგი ამაყათ
და მოუწოდებს
მღელვარე მასებს:
— ამხანაგებო!
სასახლეს ალყა! —
ბრძანებს
იტაცებს
ათი — ათასებს.
და იერიში
მიაქვთ თეთრებზე.
სასახლეს იცავს
კერენსკის ჯარი.
აფიცრებს ჰგლეჯენ
პაგონებს მხრებზე,
ვინც ურჩობს,
იქვე ეცემა მკვდარი.
და კლასობრივი
ჩაღდება ომი
ტყვიის ზუზუნში
დაჰქრის ლენინი;
ჩასაფრებულია
ყველგან ქვემძრომი
და თოფს უმიზნებს
გულ — აღრენილი.
მაგრამ უვნებლად
დაჰქრის ილიჩი
და ცეცხლს აჩაღებს
სამოქალაქოს;
სწამს გამარჯვება
ხალხის სიმტკიცით
და ველარ ითმენს,
რომ არ შეაქოს:
— ამხანაგებო!
თქვენა ხართ მხოლოდ
რევოლიუციის

თუჯის აბჯარი!
გამარჯვებამდე
უნდა იბრძოლოთ,
უნდა შემუსროთ
მტრის ურდო—ჯარი!
მიწები გლეხებს!
ქარხნები მუშებს!
ძალა-უფლება
საბჭოთა ხელში!—
გასძახის იგი
ზღვა—ხალხს,
ბობოქარს
და აფეთქებებს
იწვევს მსმენელში.
და ხალხიც იბრძვის
გააფთრებულთ,
ქშინვით აწვება
ზარბაზნის ტუჩებს
სტიქიონია
აბორგებულთ
და მის კვეთებას
რა დააყუჩებს?
გრგვინვით,
გრიალით
ინგრევიან
სრა—სასახლენი,
პროჟექტორით
ანათებენ
ცას ყუმბარები;
რევოლუციის
მთავარ სარდლათ
არის ლენინი
და ყველა ფრონტზე
მხედ უტევენ
მისი ჯარები.
მობობლავს ტანკა,
წითელი ტანკა,
ცეცხლის ეშვებით.

ვაშა, რუსეთი
ვინც ააჟანყა
დიდ-ნუგეშებით.
ვეშაპ ჯავშნებით
ზანზარებს ქუჩა,
აღმოდებული;
ბარიკადებზე
იბრძვიან ურჩად
თავდადებულნი.
ცეცხლის სვეტები
აღუმართავთ
ყველა ქალაქებს,
ნგრევის და მსხვრევის
ორგია, —
ჰქმნის არაკებს,
მოძმეთა სისხლი
ბევრ ლეგენდებს
მოავარაყებს.
გველის წივილით
დაფრინავს ტყვია,
გვირგვინოსანი
წითლების ტყვეა,
მის გარს მატროსთა
ხიშტების ტყეა,
სიკვდილის ფერი
მისთვის დასტყვია.
ბრბომ მდიდართ უბნებს
დაუწყო რბევა,
ლეწენ ყველაფერს,
მსხვრევაა,
მსხვრევა!
ისმის განგაში,
მუქარა,
წყევა!
ოო, რა შმაგია
ეს გადარევა!
— ეი, მეზარბაზნევ!
დაუმიზნე

აგერ იმ ტაძარს!
იქ შეიხიზნა
ოფიცრობა
და იუნკრობა!
— ბუმ!—
მოხვდა გუმბათს!
ჩამოინგრა!
ვაშა, ამ ხანძარს!
მშვიდობა ქოხებს!
თეთრ დარბაზებს.
პირქვე დამხობა!
— მხეცებო!
ბეცებო!
რას სჩადით!
რას!—
ჰკივის,
ვინც გაურბის
მტრის სისხლის
ღვრას.
— ჰა-ჰა-ჰა!
ხა-ხა!
დაინახეთ
იმ თქვენს გუმბათზე
გამსქდარ ყუმბარით
ჯვარი როგორ გამოისახა?!
ჰა-ჰა-ჰა!
ხა-ხა!—
მჭახედ შესძახა
და ზარბაზანმაც
სარახრახოდ
მომართა ხახა.
— ურააა!
ცისა და
მიწის ღმერთებს
დავეცით ძეხი!—
ხარხარებს
ვილაც
ჯარის-კაცი,

უბრალო გლეხი.
— ბარბაროსებო!
რას ღრიალებთ
უგუნურ ურას!
რად ანადგურებთ
წინაპრების
შექმნილ კულტურას?—
ცოფს ჰყრიდა
ვილაც ღიპიანი
ღორი-ბურჟუა,
მაგრამ მისი ხმა
ზარბაზნების
ხმამ ჩააყრუა.
და იყო ბრძოლა
დაუნდობელი,
ხელისუფლების
დასაპყრობელად,
ბრძოლა სასტიკი
და ულმობელი
დიდი ოქტომბრის
მახარობელად.
დამარცხდა მტერი.
ძირს დაემხო
ქვეყანა ძველი,
ქვეყანა ძარცვის,
გახრწნილების,
კაცთმონობისა.
ფრიალებს დროშა,
ფრთაგაშლილი,
როგორც ფრინველი,
დროშა წითელი,
დროშა ხსნისა,
დროშა ძმობისა.
მეექვსედ ნაწილს
უზარმაზარ დედამიწისას
დაეპატრონა დიქტატორი —
ხალხი მშრომელი —
ის შეასრულებს

უკვდავ ანდერძს
დიდ ბელადისას
და ეს იქნება
მისი ძეგლი,
ძეგლი, რომელიც
გაუძლებს ყველა
ქარიშხლიან საუკუნეებს.

— : —

მეზობარ — პოეტს

I.

შენ გიყვარს ცეცხლი, აფეთქება და გრიგალები,
ბრძოლის აღმურში გარდაეშვი შენც თავდაყირა,
მარდად არბიხარ აღმართებზე, არ ილალები
და ოქტომბერმა შენც აგანთო, ბრძოლის საყვირად.
შეილი ხარ მაღალ ვულკანების, იქიდან მოხვალ.
მბორგავ ვეზუვის ცხელმა ტალღამ ამოგისროლა,
ნაზი ლირიზმი შენი ხელით შენშივე მოჰკალ,
და იყო მხოლოდ შეჯახება სისხლი და ბრძოლა.

II.

მე გნახე იმ დროს როცა შენში იფეთქა გრძნობამ
და ნორჩ ლომივით დედამიწას ურტყამდი ტორებს,
უთხზავდი ლექსებს განახლების ახალგაზრდობას
და ადიდებდი შენი ქვეყნის აზიდულ გორებს.
ერის აღდგომა, ამაღლება ყოველთვის გსურდა,
რომ არ ჰქონოდა მის დიდებას არას დროს ბოლო,
ბავშო-პოეტო, დარჩი მუდამ ასეთი სუფთა
და მძაფრ ბრძოლებშიც ხელოვანი იყავი მხოლოდ.

1926 წ. ტფილისი.

— : —

ჩ ე შ ი ბ ზ ა

1.

გაფრენილ ჟამის მესმის შრიალი,
წუთები წლების მანძილს ითვლიან;
ცისფერ ოცნების ცისფერ ციალით
რამდენი გზები გამომივლია!
რა მაღალია ეს მწვერვალები,
დედურ აღერსით სულს რომ იზიდავს,
ცრემლით აღსავსე ბავშვის თვალები
გადახვევია მშობელ მიწიდან!..
ვესალმებოდით რამდენ რიჟრაჟებს
გულ-ანთებული ბრძოლის წყურვილით,
გზა გვიტაცებდა რაზმებს გიჟმაჟებს
ნათელი შუქით შემობურვილი.
ჩვენ სხვა ქვეყანამ დაგვიმარტოვა
როგორც მშობელი და შვილი თვისი,
შორი ნათელი გადმოგვათოვა
და შეგვიერთა გრძნეული ფიცით.
დავგმეთ მონობის ყველა კირთები
და ბორკილები ვერ გვამძიმებდა,
რადგან აგზნებულ ბრძოლის ზვირთებში
რწმენა მზესავით დაგვციმციმებდა.
ჩვენ არ ვიცოდით სხვა სიხარული, —
და უკვდავ შვებად სულს ემოსება
მეწამულ გზაზე ლტოლვა ქარული,
ცად აფრენილი წითელ დროშებად!
ვეწაფებოდით გარდაქმნის ალებს
და იყო დიდის რძესავით ტკბილი.
და ისევ ვუმღერ მე ამ გრიგალებს
მებრძოლ ეპოქის მებრძოლი შვილი!

მიწას, გაჟღენთილს სისხლის ნაკადით,
შემოვესალტეთ მრავალ ტალღებად,—
და გვიხარია—ძველი ადათი
ბრძოლებში იწვის და იმარხება!
მწვერვალი ბრწყინავს შორით მაღალი
და გვიხმობს როცა დავგვიანდებით:
ადამიანის სახე ახალი
შუქს აფრქვევს ბილიკს ელვის ანთებით.
ამ გზაზე ყვავილს მე მუდამ ვრგავდი
და ვრწყავდი ჩემი ძარღვების სისხლით...
მოვედ, ოცნებავ, აქარავანდი
და გამიფანტე კაემნის ნისლი!

2.

ჩვენ არ ვიცოდით სხვა სიხარული,—
და უკვდავ შვებად სულს ემოსება
მეწამულ გზაზე ლტოლვა ქარული,
ცად აფრენილი წითელ დროშებად!..
მახსოვს, მშობლებს რომ გამოვეპარე
ყრმა, შეპყრობილი უცხო ოცნებით,
და მიტაცებდა ხმები მგზნებარე
ქარხნების ცეცხლის ასხივოსნებით.
უბეში მედო ჭადის ნატეხი
და გულში ენთო სხივთა ნექტარი:
მწვერვალს მწვერვალით გადავადექი
და აელვარდა გზა უეცარი...
აქ კოჟრიანი ხელით მუშები
მეგონა—სკედდენ ოქროს ზოდებად,
ქურაში მფეთქავ ცეცხლის შუბებით
იმსჭვალებოდა ქვეყნის გოდება.
და მე ოცნებით გამონარიყი
მოველ აქ, როგორც ძმად შეფიცული.
და ენთებოდა წითელ მარიხით
ლამე კუპრივით გადაფისული...
ვმართავდით კრებებს ტყეში ფარულად
და გვედგა ირგვლივ ფხიზლად მზვერავი;
რამდენჯერ შვებად გადმოღვარულა
სიტყვები ღამის ელვით მსერავი!..

და როცა დილით ხმები საყვირის
გვაბამდა შრომის მძიმე უღელში,
აენტებოდა შორი ნაპირის
მზე—ჩაგრულების წმინდა ნუგეში.
ოფლით და სისხლით მუდამ უძლები
ჩვენ დაძლეული გვეგონა მტერი,
როცა მოჰქონდათ მალვით ფურცლები,
ახალ აღთქმიდან ამონაწერი...
ქარხნიდან ქარხნით გადადიოდა
ტალღათა სრბოლის ხმა იდუმალი,
თითქო სივრცეში მზეს უყიოდა
არწივი ლალი, თავისუფალი.
— უნდა აეხსნას კარებს ურდული,—
შორით გვეძახდა ჩვენ ამხანაგი,—
და ქედმაღალი ბრძოლის შურდულით
ილახვრებოდეს მტერთა ბანაკი!

3.

ვმართავდით ტყეში კრებებს ფარულად
და გვედგა ირგვლივ ფხიზლად მზვერავი;
რამდენჯერ შვებად გადმოღვარულა
სიტყვები ღამის ელვით მსერავი!..
ჩამოჰკრეს ზარებს... ბრძოლის ჟამია...
სანგრები ბრწყინავს სისხლის ფერებით,
და ნთქავს ბურუსი სიკვდლის შხამიანს,
როცა გუგუნებს ხმა სიმღერების.
პირველ რიგებში ცეცხლის დანთება
გვწყუროდა ყველას ძმური აგზნებით.
ამ გზაზე როგორ დაიქანცება
უკვდავ მზის ალით მთვრალი რაზმები!
მაღალ მთებს სხივთა ჩქერი ახურავს,
ყვავილებს უმღერს დილა მაისის.
და გვიხარია, რომ ჩვენს ჩაქურას
შვენის სირმები და ბელყაიში.
რა შეაჩერებს რაზმებს წინსვლიანს,
ბრძოლის ქარტეხილს რომ ეზიარა,—
აქ თავს დაესხმის ჯაშუშს სისხლიანს
და იქ მტრის ბანაკს აპყრის იარაღს!..

— კმარა, დღემდე რაც ღამე გვებურა,
გზა ძღვევის შუქით გადაიმოსა,—
ასე გუგუნებს ხასანბეგურა,
ასე გაჰკივის მარსელიოზა...
მაგრამ უძველეს ცოდვის მტვირთველი
ვეშაპის გული მაინც არ კვდება.
რამდენი მსხვერპლი, მსხვერპლი პირველი
ნაპრალით უფსკრულს გადავარდება!..
წითელიშვილო, სისხამ დილაზე
მტერს თავს დაესხი, გიქებენ სროლას...
ცეცხლი დაანთო იქ მერკვილაძემ...
უთანასწორო გამწვავდა ბრძოლა...
რამდენი ღამე, როგორც ფირალებს,
მშობლიურ ცის ქვეშ გვითენებია;
სისხლიან თვალთ გამომზირალებს
ლანდებს ლანდები ადევნებია...
მომავალს ანდერძს ვინ დაუტოვებს
გზა თუ ნაპრალში გადაიჩეხა!
და გამრავლებულ მტერთა ურდოებს
თავს ვატყდებოდით ჩვენ რისხვის მეხად...

4.

მაგრამ უძველეს ცოდვის მტვირთველი
ვეშაპის გული მაინც არ კვდება.
რამდენი მსხვერპლი, მსხვერპლი პირველი
ნაპრალით უფსკრულს გადავარდება!..
სვავენს ვერ აძლებს დამპალი ლეში.
ღამე დაეშვა კუპრის კალთებათ...
და მე პირველად საპყრობილეში
შემომერკალა სევდა სალტებათ.
მზის ასპარზზე ქროლვას ჩვეული
ვუცქერი კედლებს, შუქი მწყურია.
თითქო ზვავია ჩამონგრეული
და ავსულების ნამიწყურია...
და მე მაოცებს, როცა მოძმეთა
მესმის სიტყვები სხივთა ციალით:
გულში იმედებს ვერ ამოჰკვეთავს
ამ ბნელ საკნებში ბორკილთ ჩხრიალი!

ვხედავ—ეხსნება ციხეს თაღები
 და ჩვენი დროშა მზეს თან ხლებია,
 ქვეყანას ძველსა წინსვლის ტალღები
 გარდაქმნის ცეცხლად შემონთებია!
 ღამეა. სივრცე ტყდება ელვაზე,
 წუთს საუკუნე შეთავსებია,
 ოდეს მებრძოლნი სახრჩობელაზე
 რიჟრაჟს სიმღერით ესაღმებთან...
 დარაჯო, კარი მაგრად ჩარაზე
 და დაგვითვალე რამდენჯერც გსურდეს,—
 ჩვენ მანიც გავალთ ბრძოლის შარაზე
 და გადავბუგავთ მტარვალთა ბუდეს!
 კაეშანს რწმენის სხივები მოსავს,
 ბოღმა კი მაინც ისევ ახლდება...
 და გავიხარეთ უეცრად, როცა
 გამოგვიცხადეს გადასახლება...
 ახსნეს ურდული რკინის შავ კარებს...
 დედის თვალებში ცრემლი მიცინის.
 სდგას ღირსეულად, მტერს არ ახარებს
 და სულს უხუთავს მწველი ქვითინი...
 მატარებელი დაიძრა... ვხედავ:
 მიმყვება მთების სახე კეთილი...
 და უკან მომსდევს ბედშავი დედა
 თვალ-ამომშრალი, თმა-გაწეწილი...

5.

მიჰქრის მანქანა... ვრცელი ველები
 უცხო სამყაროდ დატრიალდება...
 რა დაუდგება მძლე გახელებით
 აქ რომ ბრძოლის ზღვა აგრიგალდება!..
 ვით ჯოჯოხეთის საფეხურები,
 განწმენდის ცეცხლად თვალ-გახელილი,
 განვლეთ ციხეთა ბნელ სადგურებით
 გზები წამებით გადათელილი.
 რჩება კედლებზე ობლად წარწერა:
 „აქ საქართველოს იყვნენ შვილები,
 მძიმე განცდებმა ვერ შეაჩერა
 რაზმები რწმენით გულავსილები!..“

ციმბირი. ყინვა. და ყრუ სოფელი.
 ხალხი კეთილი და წელმაგარი.
 სივრცეებს ჰბურავს შეუცნობელი
 ცივად მსუნთქავი თეთრი საფარი...
 უცხო დუმილში სულს მოეწყინა,
 უმიზნო ყოფნით ვერ გივიხარეთ.
 და როცა სოფელს ტკბილად ეძინა
 ჩვენ სამშობლოსკენ გამოვიპარეთ.
 თეთრია სივრცე. ღამეც თეთრია.
 უღრან ტყეებში სვლა დაგვიმძიმდა...
 მღევარი მაინც ვერ დაგვეწია
 და ხსნის იმედი მზედ აციმციმდა...
 აჰა, დამთავრდა გზათა ხვეული...
 და ვით ალერსის უხვად მფანტველი
 თავზე დაგვადგა ღიმად ფრქვეული
 მშობელი ქვეყნის წმინდა ნათელი!
 მთები, ფოთლები, მწვანე ბალახი
 თითქო საუბრობს ნაცნობ ენაზე;
 სივრცე, ოცნებით გადანალახი
 ჟღერს სიჭაბუკის გადაფრენაზე...
 და ისევ წინსვლა დაუდევარი.
 მალვა, კრებები ბნელ სარდაფებში.
 მუდამ, ყოველგან ბრძოლა მედგარი
 იქსელებოდა სხივთა ძაფებით...
 ჟამი უმაღლეს ტალღას უცდიდა,
 ღრუბლებში ენთო ცხოველ მზის ალი...
 იცქირებოდა ყოველ კუთხიდან
 მუდამ მზვერავი ჯაშუშის თვალი...

6.

მოგონებები იცვლიან კილოს,
 აიშლებიან ლანდები ჯარად...
 არ მიმაჩნია მე სათაკილოდ,
 თვალებს რომ ცრემლის ბურუსი ჰფარავს...
 თითქო მწუხრის ჟამს ჟღერდა ზარები,
 თითქო მოსწყურდა სისხლი ძერასა,
 ასე მეტეხის შავი კარები
 გველურ სისინით გადამერაზა...

ჟამთა სვლა ჭკნობით იმუქრებოდა,
 მენატრებოდა შუქი თბილი მზის.
 ფანჯრიდან სევდით იცქირებოდა
 მტკვარის რონინი, ძველი ტფილისი...
 ჩემო კეთილო, მტკვარის ნაპირას,
 სად შუშანიკის ძველი ნიშია,
 სდგებარ მარტოკა, თვალებს ნატირალს
 ოცნება შუქად გადანისლია.
 თითქო მთრთოლვარე ბაასის ქსელი
 აშრიალდება იდუმალებით:
 — აქ იმარხება რამდენი წელი,
 რამდენი ღამის ბნელი თვალებით!..
 — ნეტავი მყავდეს ვინმე მენავე,
 რომ გაგახარო ბრძოლის ამბებით!..
 — აქ სიჭაბუკეს ფეხქვეშ სთელავენ
 და ბორკილების ჟღერენ ჰანგები!..
 მიდიხარ. ქსელი წყდება უხეშად.
 წუთები წლებზე უმძიმესია.
 და ობლად შთენილს მრჩება ნუგეშად
 იმედი ტკბილი და პოეზია...
 მესალმებიან მებრძოლთ ლანდები,
 გზა გაბრწყინდება სისხლით მორწყული;
 ამეტყველებულ სულთა ანთებით
 იხსნება რკალი გარსშემორტყმული...
 და თითქო ციურ აიაზმებით
 სხივი ციმციმით სულს ესხურება:
 კვლავ წინ ილტვიან ჩვენი რაზმები,
 ჟამი რომ ჟამს სცვლის საფეხურებად...
 მეტეხო, სული ვერ დაიმონე.
 რწმენით ავანთე ღამე უკუნი...
 აჰა ნეტარი ხმა გავიგონე
 და მძლე ტალღების შორი გუგუნი...

7.

ვხედავ: მწვერვალებს მოედო ალი ჩაუქრობელი.
 და როგორც ელვის არიჟრაჟება,
 აღვირაწყვეტილ ცეცხლის რაშებად
 მოჰქრის ტალღები—თავისუფლების მახარობელი!..

გადატყდა ხმალი...
 და თვალ ჩამქრალი ეძებს სოროებს ჯალათთა ხროვა,
 მაგრამ ეს შუქი,
 როგორც ქარბუქი,
 გზებს რომ ციმციმით გადმოათოვა,
 ვით გაარღვიოს მომაკვდავ გულის აკანკალებით,
 როდესაც ძველი ქვეყნის დიდებას ნთქავს ნაპრალები!..
 მშობლიურ ზეცის სახე მწყაზარი
 იყო წარმტაცი, როგორც ტაძარის
 უცხო გუმბათი, მზიურ მარმაშით გადანაგები,
 ოდეს მიღებდენ მეტეხის კარებს ამხანაგები...
 შეჩერდა ჟამი...
 აჟღერდა წამი, ვით უკვდავება დაუშრეტელი,
 მზემ აიტაცა ხავს-მოდებული რუხი კედელი
 და ასპარეზი
 მშობელ მხარეში გადაიმოსა წითელ ალამით!
 მზეო, სალამი!
 სალამი შენდა, ქარტეხილების ტალღად ამდგარო,
 მარად წინსრბოლით სულანთებულო მაშვრალთა ჯარო!
 დროშების ბაღი ღიმილით მალლა აელვარდება,
 და ტრიბუნების მღელვარ სიტყვებით გადმოღვარული —
 ზღვა სიხარული
 მასების გულებს გადაეფურჩქნა წითელ ვარდებად...
 ვიცით — გავარღვევთ ფოლადის რკალებს
 და ალში გავხვევთ ყოფნას უძველესს,
 მივესალმებით მრავალ გრიგალებს
 კერპთა სამყაროს გადამბუგველებს...
 მარადისობით სავსეა თასი,
 და შემომცინის, ვით ვარსკვლავიან ზეცის მორევი,
 მაისის დილა ასი ათასი,
 სპეტაკ მწვერვალებს ნაამბორევი...
 მებრძოლთა სისხლით გადანამული
 ძმათ საფლავების ბრწყინავს შორს ქედი...
 ასე დასრულდა გზა მეწამული
 მძლე ოქტომბერის წინამორბედი!

ტფილისი, 1928 წ.

— : —

ეხლა კი,
ძმასაც ძმა ვერ უცვნია.
რა იმედი გვქონდა,
რისთვის ვიბრძოდით,
ნეტავი,
რა მოგვცა რევოლუციამ“?!

—
სიტყვას ფარავდა ტაშის გრიალი,
ბრბოს ვერ აჩერებდა ზარის წკრიალი.

2. ტრიბუნების ძახილი.

1-ლი № ბრძანების თანახმად,
უფრო მაღალია
ჯარისკაცის ხმა.

—
ლოზუნგით,
პლაკატით,
ბაირაღებით,
პიტერის ცის ქვეშ
ღელავდა ბრბო და
საკუთარ უფლების
სისხლით ასაღებად
ყოველ ტრიბუნიდან
მუშა ყვიროდა:
— არ გვინდა ქვეყანას
კერენსკი მართავდეს.
მშრომელი ხალხისთვის
ის უსარგებლოა.
დროებითი მთავრობის
დროება გათავდეს.
ყოველგვარ დროულის
დამხობის დროა“.
პურისთვის,
ზავისთვის
კვდებოდა რამდენი,
რამდენს კი,
ქუჩა ხეტიალით ღლიდა.

ქუჩა ხმაურობდა ნევას ნაპირამდე,
ნევა ღრიალებდა ტალლიდან ტალღამდე.
სანამ სასახლენი

დროშებს გადახრიდენ—
ვიღაც მეზღვაური
ბრბოს წინ გაიძახდა:
— გლესს მიწა მიეცით,
მუშას—ქარხნები
ან-და
აიბარგეთ ზამთრის სასახლიდან“.

იარაღ-ასხმული
ქალაქში დადიოდენ
თოფით და ვაზნებით,
მუშათა რაზმები.

3. სისხლი და ივლისი

დაიწყო პირველი შეტაკების დრო.
ქუჩებში დაიძრა
მღელვარე ბრბო.

ცენტრს მიაშურეს დემონსტრანტებმა,
მიტინგი შესდგა როცა რომ დაბინდდა.
— დაუყონებლივ

გარეკეთ ბანდები,—
გაიცა ბრძანება სამხედრო შტაბიდან.
გავარდა თოფი.

დაიქცა სისხლი.
სისხლის წინ დადგა
ყოველი თვალი.

სისხლიანი იყო
სამი ივლისი,
ივლისი იყო
სისხლით მიმავალი.
ფეხში დაჭრილი ეგდო ყაზახი,

ნატრობდა შველას,
 დედას უბედურს.
 პირდაპირ იდგა
 ზამთრის სასახლე,
 რომელსაც ბრბო და
 სისხლი ემდუროდა.
 — არ შეგერგებათ,
 არ შეგერგებათ,—
 იძახდა ლენინის
 ერთგული გვარდია,—
 კიდევ სხვა შეტევით,
 სხვა შეტაკებებით,
 მორიგი გრიგალი
 რუსეთზე გადიარს.
 ისმოდა სროლა.
 სდუმდენ სახლები.
 ჰაერში ბრწყინავდენ
 ხიშტები პრიალა.
 დაიწყო ქუჩებზე
 ბრბოს გამოძახება.
 ბრძოლის ისტორიამ დრო შეატრიალა.

4. „ავრორა“

ოქტომბრის ღამის წინ
 ღელავდა ნევა,
 ღმუროდა,
 ზუოდა ტალღების ხმაში:
 — საცაა ფინეთის ყურეში შევალ,
 საცაა „ავრორა“-ს შევხვდები ზღვაში.
 კრონშტადის მხრიდან
 პირდაპირ მოდის,
 უმიზნებს პიტერს
 ზარბაზნის ლულა,
 ამართლებს იმედს,
 სურვილს რაოდენს.
 დროებითი მთავრობის
 ბედი განწირულა.

ყუმბართ მოაქვს უფლება კრეისერს,
ყოველი ყუმბარა უფლებას იცავს,—
მოაბრუნებს ბრბოს,

შეარყევს ერს,
შეარხევს სასახლეს,
მიწას და ცას.

ფრონტიდან მოხსნილ ჯარების ხმაურს
პურისტვის,
ზავისტვის

აყვება ზურგი.

ბრძოლისკენ წაიყვანს

მუშას,

მეზღვაურს

ბრძოლისთვის ნათქვამი ლენინის ლოზუნგი:
— როცა არსებობის

საკითხი ისმება,

საქმის მკეთებელი იქნება ტყვია!

სადაც ვერ მიაღწევს

სიმართლის ხმები,

სიმართლეს

ზარბაზნის ლულით იტყვიან.

შფოთავდა ნევა,

ღმუოდა ნევა:

— ხვალ-დილით

„ავრორა“ პიტერში შევა

5. სასახლეთა ომი

დილით

სასახლეს გაშორდა ავტო,
რომელმაც გაიტაცა

პრემიერი მარტო.

სასახლე ეჭირათ

კერენსკის იუნკრებს.

ხვდებოდა ტყვია.

ტყდებოდა ქვები.

უშენდა სმოლნი.

ძალას ვერ იკრებდა.

სმოლნი კი ურტყამდა ტყვიამფრქვევებიდან.

იარალი ესხათ

მუშებს,

ყაზახებს.

ესროდენ მტერს.

ცდიდენ სროლაში.

სანიშნოდ აეღოთ ზამთრის სასახლე,

სადაც იუნკრები

ესაფრენ შიგ.

სასახლე ჰკარგავდა

იმედს,

ძალღონეს,

ბცავდა მინისტრებს,

იუნკრებს აგრეთვე.

„დამნებდი“! —

სმოლნი ტყვიით აგონებდა.

ურტყამდა სმოლნი.

დრო ჰქონდა სიმაგრეთ.

შემდეგ კი

ჯავშანო მიადგა სულ ახლო:

— ეი

სასახლეო! —

ნგრევას თუ იფიქრებ.

იფეთქა კიდევ...

შეშინდა სასახლე,

გაქცევა მოუნდათ კერენსკის იუნკრებს.

ყუმბარა გასკდა.

ხმა იქვე გავარდა.

ძალას და სიმართლეს სასახლე ჩაბარდა.

6. პეტერბურგი

კლასთა ბრძოლას და სისხლს მოუცია —

ოქტომბრის დიდი რევოლუცია.

ლენინი იტყოდა:
 — დრო პეტებურგიტურ
 მღელვარება რო
 სისხლი რგებია.
 რა ვქნათ!
 დავიცვათ
 ფრონტი თუ,
 ზურგი თუ,
 სად ყოველ ქუჩაზე
 ბარიკადებია.
 სად ზამთრის სასახლე
 ბედს შერიგებია.
 ტყვია მეტყველებდა ზარბაზნის ლულითვე.
 თითოული ტყვია
 მტერს შერგებია,
 მოუკლავს ძალით და ხორციით და სულითვე.
 სად იგივე ქალაქი,
 ნევა და ზღვა დელავს,
 სად ბრძოლის ხსოვნაა
 ეხლა დარჩენილი,
 ჯარისკაცს,
 მეზღვაურს,
 მუშას და ყველას—
 ასე მიმართავდა
 ლოზუნგით
 ლენინი:
 — საბჭოთა ქვეყანას
 მტერი რო ურბოდეს,
 ამაგრეთ ქვეყანა
 ფრონტითვე,
 ზურგითვე.
 იქნება შრომის და მზის წინამორბედათ—
 ოქტომბრის დროშა და დრო პეტებურგითვე.

1929 წელი 2—3 ნოემბერი.

— : —

ინდუსტრიული ლირიკა

სადაც უძლეველი შრომის ძახილია
ზეცა გვახურია კვამლით განამური;
თუმცა ფერდობებზე ტყე და ნახირია
მაინც აღარ გვესმის კვნესა სალამურის.

კლდე ლალუმებს ველარ უძლებს,
ტყეებს ფარავს წამლის ბოლი;
ჩვენ, მომავალს სარკედ უმზერთ
და სიცოცხლეს ეჭედავთ ბრძოლით.

გადავადგამთ ნაბიჯს თერთმეტს
კვლავ გავკათავთ სავლელ შარას;
ხრამში ჩავყრით მავნე თეთრებს
თუ ბანდებათ გაიშალა.

მდინარესაც ვაქცევთ ცეცხლად
რომ წვდებოდეს ცამდე ალი:
ელსადგურის მთვარეს შერცხვეს
ველარ გაახილოს თვალი.

მთის წიაღში ეხლაც ხეტიალობს მწყემსი,
ისევ სმენას უტკობს კვნესა სალამურის;
აქ კი, ტფილისელებს გამუდმებით გვესმის
ქარხნის დინამიკა უფრო საამური.

შორი მანძილიდან ვხედავთ მინდვრის ხავერდს
რა ჩააქრობს აღძრულ გლეხთა გულის ხალისს?!

ზოგან სახნისებით თუ კვლავ მიწას ხნავენ
ტრაქტორს მოელიან იმედი აქვთ ხვალის.

გვემუქრება მიწა მებრძოლ ბანკირივით
საშიშია ვიცით მტერი სიწყნარეში;—

მძიმე დაკვრით სკდება კლდე პირდაკირული
და მთის ორწოხებში ტყეუთა სიმწვანეა.

დიდო ოქტომბერო, შენი გრიგალები
შრომით გატაცებულთ, რომ არ უბერავდეს;

ჩვენ, ხომ გვირაბებში გადავიკარგებით
და დაჩაგრულ მასებს ველარ უბელადებთ?!

— : —

შ ა ვ ი კ ლ დ ე .

(ცკლიდან „გივი შადურო“*).

სალამი და დიდება ქართულ მწერლობას და უფრო მეტად —
ქართულ სუფრას!

შადუროს გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შვენება შენი იხილოს,
რომ ნაპირსა შენსა არ მიუჯდეს,
რაც უნდა გზასა ეშურებოდეს.

ჩემი გზა კი, ამხანაგო მეგობრებო, მუდამ სუფრისკენ უხვევს.
პანაშვიდზე რომ მივდიოდე, მაინც სუფრას წავაწყდები და განუ-
სვენეს ნაცვლად მრავალქამიერს შევძახებ.

როგორ იქნება არ განვისვენო!
სამჯერ ხომ მაინც გადავკრავ ღვინოს!
კბილს მოვაძოვებ, თვალს მოვატყუებ,
გამოვიღვიძებ — შუბლს გავიგრილებ.

გავიგრილებ და ისევ სუფრას წავაწყდები. წავაწყდები და —
ერთს ქართველურად კიდევ შევძახებ:
სუფრავ, მაგ შენ მწვანილოვან მთებს!
და მერე თუნდაც დამიგვიანდეს,
გივი ამისთვის აღარ დალონდეს.

მეგობრებო! სად, რისთვის და როდის ეჩქარებოდა ქართველს,
რომ დაგვიანებისთვის დალონებულიყო?! ჯერ არ მომხდარა, რომ
სუფრაზე დამგვიანებოდეს. უმთავრესი მუდამ ეს იყო და ეხლაც ეს
არის, ყოველივე დანარჩენი კი წყალწასაღები ნაგავია.

ჩემს პირველსა და მეათე მცნებაშიც მუდამ ეს ეწერა: გივი
შადურო, სუფრაზე არ დაიგვიანო! და ამ მცნებას ალთქმასავით ვას-
რულებდი.

*) მთარგმნელებს ვთხოვ თუ შესწუხდებიან: ჩემს ნაწერებს მე თვითონვე
ვთარგმნი და ვათარგმნინებ.

მაშ ერთხელ კიდევ ვუძღვნი სალამს და დიდებას ლიტერატორთა სუფრას. მომაქვს ცალიერი კუჭი და იმედით სავსე გული. ორივე გამივსეთ. ჩაგეწერებათ აღაპებსა შადურისასა.

ნუ შესწუხდით, მეგობრებო! გივი შადურს პატარა კუთხეც ეყოფა. აი აქ დავჯდები, ან დავეგდები. გიძღვნით მყინვარის-ოდენა მადლობას და გიბრუნებთ იმ აღფრთოვანებას, რომელსაც თქვენი კალამი მაგრძნობინებს ხოლმე.

თქვენი კალამი... მაგრამ უკანასკნელ დროს თქვენს კალამსაც და ჯიბესაც რაღაც სენი შეეპარა, ჩიორებო. თითქო ორივენი დაჩლუნგდენ, დაილივნენ. ამის გამო მეც დავლონდი და ჩვენი მედუქნეც დაობლდა. დავლონდი, რადგან ნასუფრალი დამაკლდა. აღარც თქვენი ყვილი მესმის. მაგრამ მე ათასი რამ არ მესმის და ბევრი რამ არის ამ ქვეყნად გაუგებარი!

ნუ შეშინდით, ვეფხებო! ვტყუი და ვჭორავ. გამოვტყდები: ჩემი სიბერისა და დაყრუების ბრალია, რომ თქვენი ჯიბისა და კალმის მოდუნება მეღანდება. მოგეხსენებათ, ბებერს იადონის გალობაც კი ყვავის ჩხავილად ეჩვენება ხოლმე. ჩემი ბრალია მეთქი, ჩემი, რადგან შადური—ძველი ამბავია!—გივი შადური მუდამ და ყველგან ბრალიანია. ნამდვილად კი შეიძლება თქვენც იზრდებოდეთ და თქვენი ჯიბეც სუქდებოდეს.

... რა ღვინოა! კურთხეულ იყოს მისი მომყვანი აწ და მარადის... ბოდიშს ვიხდი, მეგობრებო! ძველ კაცს მუდამ ძველი გადამკრავს ხოლმე. პირი ვერ დამიღია, რომ „ღმერთი“, „ანგელოზი“ და „კურთხევა“ არ წამომცდეს. ეპოქალობა მაკლია. სასჯელად თუნდ ღვინოში დამახრჩეთ, თუნდ ამ სანოვაგით ჩამქოლეთ, ეხე-ხე!... თქვენი დღეგრძელობისა იყოს. ასე მტერიმც დაგეცალოთ, მტერი!

ხშირად ვხმარობ ძველ სიტყვებს, მეგობრებო. მაგრამ შეიძლება აღამიანს დილით-დილამდე ძველი სიტყვები ეკეროს პირზე და ამავე დროს ეპოქის ერთგულიც იყოს. ამ მხრივ მეც ეპოქის მოხარკე ვარ. უკეთესის სურვილსა და ერთგულებას ვაძლევ ხარკად. ამაზე მეტი არა მაქვს-რა და მეტს ნურც მომთხოვთ, რამეთუ, ფრანგებისა არ იყოს, ულამაზეს ქალსაც კი იმაზე მეტის მოცემა არ შეუძლიან რაც მოეპოებაო. მეც უკლებლივ ვიძლევ ყველაფერს რაც კი მომეპოება, მორჩა და გათავდა! ეხე-ხე!

რა მიბრძანეთ? რას იძლევიო? ყველაფერს, ესე იგი არაფრისგან არაფერს, რადგანაც არც არაფერი გამაჩნია—გარდა ღვინის წყურვილისა, თქვენი მადლის რწმენისა და უკეთესის იმედისა. და ეს იმედიც მარტო თქვენთვის მინდა, მზეჭაბუკ ამირანებო, თორემ მე...

მე ჩემთვის აღარაფერს ველოდები. ეექვ, მეგობრებო: ღმერთმა რომ გადმომხედოს, ჩემსავით ატირდება.

თუმცა ვტყუი, მუდამ ვტყუი: ღმერთი არასოდეს არა სტირის... არა სცალია... ისიც მდიდრის მხარეზეა. მუდამ მასთან არის, მასთან ილხენს და ყველაფერში ეხმარება. გამიწყრეს მისი მაღლი თუ სიმართლეს არ ვამბობდე.

ეხე-ხე! ღვთის მაღლის გახსენებაზე პატარა ავბავი მაგონდება. ერთმა ვინმემ ეკლესიიდან ხატი გამოიტანა, რამდენჯერმე რევოლვერი დაახალა და დაიძახა: „ხალხო, თუ თქვენს ღმერთს ძალა მოეპოება, დამსაჯოსო!“ ერთმა უკბილო მოხუცმა ჩაუჩიფჩიფა: „შვილო, რალა მაგაზე მეტი სასჯელი გინდა, გაუგოებებიხარო“ იხი-ხი! მეც იგივე დამემართა: გამიწყრეს მეთქი ღვთის მაღლი. გამიწყრა და გაათავა. ამაზე უარესს რალას მიზავს! ჭკუა წამართვა და სალახანად გადამაქცია.

მგონი ღვინო მეკიდება. ამიტომ ჩემს ბოდვას დიდ ფასს ნუ დასდებთ, არწივებო. ვაჩხაკუნებ და მე თვითონვე არ მესმის, რადგან ამ ქვეყნისა ბევრი რამ არ მესმის.

რამ აგაშფოთათ, დევებო? დღევანდელმა კრიტიკამ? თავი დაანებეთ. ისევ ღუმილი სჯობია, რადგან ღუმილი—დამიჯერეთ—უდიდესი სიბრძნეა და ნამდვილი ხელოვნებაა. თქვენც ჭკუა მოიკრიფეთ, იყუჩეთ და შემოქმედების გზით იარეთ. მოგეხსენებათ, ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო.

მართლა, ჭკუის ხსენებაზედაც მომაგონდა: დაიხსომეთ, მეგობრებო: გულკეთილი ყველას უყვარს, ტუტუცი უვნებელია, ჭკვიანი კი სახიფათოა. ერიდებიან, გაურბიან. მე კი არც არავინ გამირბის, არც ვინმე მერიდება. მაშ არც სახიფათო ვყოფილვარ და არც ჭკუა მქონია, ეხე-ხე!

მასპინძლებო! მაპატიეთ, პარადოქსებით გავავსე ეს დარბაზი, რადგან მე თვითონაც პარადოქსი გახლავართ. მოგეხსენებათ, კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებისო...'

გმაღლობთ, მეგობარო. სხვა ნაჭერი მიბოძეთ. მკერდი ქალისა, ბარკალი ქათმისაო, თუმცა... იხი-ხი! ორივე ქალისა სჯობია, ორივე! ღვინოც წითელი მიბოძეთ... აგრე. მერსი ბიენ, მონ შერ ამი.

რა მიბრძანეთ? ქეიფზე როგორ არის გივი შადური? გუშინდელზე უარესად და ხვალინდელზე უკეთესად. ერთ დროს აღმა ავდიოდდი, მერე კი თავქვე დავეშვი და ჩემი თავი ველარსად შევაყენე.

ერთსაც გეტყვით, ჭაბუკებო: ამ ქვეყნად მხოლოდ ის ცხოვრობს ვისაც მადა და გემოვნება აქვს. დანარჩენები კი მეშჩანები არიან:

დასცოცავენ, ჩიფჩიფებენ, ილოღნებიან და თავიანთ არარაობას თვითონაც ვერ ამჩნევენ. თქვენ კი...

მარტო თქვენთვის მოუცია ბუნებას შადაც, გემოვნებაც და სიმართლის გრძნობაც. კალიას ყური ფეხზე აქვს, პოეტს კი — გულში. სრული სიმართლე გიჟის ნაბოღვარია. არ ყოფილა, არ არის, არც იქნება. მაინც ვისაც სიმართლის ყური დაეხშო, კალამი უნდა გადასტეხოს და სტატისტიკას მიუჯდეს, რადგან სიმართლე...

მგონი ისევ შევტოპე. სიმართლის სამსახური დონ-კიხოტის საქმეა. რა იცოდა უბედურმა, რომ სიყალბეც და სიმართლაც თანაბრად საჭირო ყოფილა ხალხისათვის. თქვენ, პოეტებო, ცხოვრებაში თქვენც დონკიხოტები ხართ, სხვები კი სანჩო პანჩოები არიან. ამიტომ მარცხდებით მუდამ, ამიტომ იმარჯვებს მეშჩანინი. საკუთარი დარდის ზიდვა მწერლისთვის ჯოჯოხეთია, მაგრამ ყოვლად აუტანელია როცა ქვეყნის ვარამიც ზედ აწვება... თუმკა ვაი იმასაც, ვინც ამ ვარამს არ ატარებს გულში.. ამიტომ მეცოდებით და ამიტომ მიყვარხართ, ძმებო და მეგობრებო! მაგრამ ზოგჯერ თქვენი ნაუბარი აღარ მესმის, რადგან ამ ქვეყნისა საერთოდ ბევრი რამ აღარ მესმის.

საწყალი სანჩო პანჩო ურიგოდ მოვიხსენე. მწერლობაში მასზე უარესებიც არიან. ერთ ბერს ვიცნობდი. მთვარიან ლამეში კეტს აიღებდა, მდელიოზე გავიდოდა და საარშიყოდ გამოსულ ქალ-ვაჟებს ღრიალ-მუქარით ერეკებოდა.

ასეთი ბერები მწერლობაშიც გამრავლდენ. კეტებით დასდევენ მთვარეს, ლამაზ ქალებსა და მომხიბლავ სიტყვებს. არ გაექცეთ, პოეტებო! თქვენც აიღეთ მარგილები და ურტყით მათ, გარეკეთ, გააჩუმეთ, თავიანთ საქმეს დაუბრუნეთ.

დეკადანსი მე თვითონაც მეჯავრება, მაგრამ სადაც ჯანსაღი სიყვარული არ არის, სადაც სავსე მთვარე არ მიჰგოგავს, სადაც თბილი ლამის სუნი ოდნავ მაინც არა ტრიალებს და ზამბახი არ იცრემლება, იქ არც მშვენიერება მეგულება, არც ხელოვნებას გაუვლია.

მთვარიან ლამეში კამეჩიც კი აბლავდება, თორემ ადამიანი როგორ არ ამღერდეს! ვირი ზევით ვერ აიხედავს, ვარსკვლავების კამკამს ვერ დაინახავს, მათს იღუმალებას ვერ მისწვდება, მაგრამ როცა დრო მოუვა, ისიც კი გაიჟღინთება ხოლმე მშვენიერების გრძნობით; მოლზე გაგორდება, ფეხებს აფშეკავს და, ცას რომ დაინახავს, მოიხიბლება, გაინახება და გულში დაიძახებს: ღმერთო დიდებულო, ეს რა ამბავია!

ეხე-ხე! მგონი ისევ შევტოპე და თქვენც გაბრიყვებთ. მთვარეს მაინც არ დაემალოთ. თუ თქვენს გულში ამოვიდა და დაგიძახოთ, გაჰყევით და ესაუბრეთ. თუ ისე ჩავიდა, რომ ცალი თვალითაც ვერ შეხედეთ, სჯობია თქვენც ცოცხი ან სადგისი აიღოთ.

დიდება თქვენს გულუხვობას, მასპინძლებო! ეგ ყანწიც რომ დავცალო, ბეგარას ველარ მოვიხდი, ამბავს ველარ გიამბობთ. საამბობი კი ბევრი დამრჩა. მაღლობას მარტო ამით თუ გადაგიხდიდით. მეც ადამიანი ვარ, მაშასადამე ისტორიაც მომეპოება. მე მოგიტახრობთ, თქვენ კი მოისმინეთ და მოილხინეთ.

ისტორია, ბატონებო, მარტო ინფუზორიტს არა აქვს, თორემ ოდნავ ჯიშთან ცხენსაც და ძაღლსაც კი მოეპოება. ადამიანს კი, ისიც ჩემისთანა ნათრევ-ნახეტიალს, ისტორიის მეტი რაღა დარჩენია! ვისაც უცხოვრია, სათქმელი მუდამ ექნება, თუ არ უცხოვრია, ტვინი გააღვიძოს და ჭორი მაინც მოიგონოს. დამიჯერეთ, მეგობრებო, კარგად მოჭორილი ამბავი მშრალ ქრონიკას სჯობია.

მაშ ეს ყანწი უკანასკნელი იყოს. ჯერ ნამდვილი ამბები არ გამომლევია, ამიტომ ჭორებს შემდეგისთვის შევინახავ.

სილანს! სმენა და გაგონება!

* *
*

ჩემი ავტო ზათქით, ღრიალით და გუგუნით შემოვაგდე დარიალაში.

„წყალნი მთით დაქანებულნი
უფსკრულსა იკარგებიან,
თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან“.

სამოცდალიანი მერსედესი ისე შემოიჭრა ხეობაში, როგორც დაფრთხალი ხვლიკი სოროში. მარცხნივ ჩაბარუხი ვერცხლის უზარმაზარ ბაბთასავით კრიალებს, მარჯვნივ თამარის ციხე-კოშკი მობუხუღა.

ამ ციხეზე ითაღლითა ლერმონტოვმა: ლუკრეცია ბორჯიაზე მოჭრილი ლეგენდა დარიალაში გადმოიტანა:

„В глубоких теснинах дарьяла
царица Тамара жила“.

«ცარიცას» მაგიერ „ცარენა“ მაინც დაეწერა.

ავტოს ისე მოვაქანებ, თითქოს ორთავ ორმოცი ეშმაკი შეგვიჯდაო. ორივე მხრიდან კი —

„ბუმბერაზ მთანი მღუმარედ
ცათამდის აყუდებულნი,
სხედან ვით დევნი, სპეტაკის
ყინულ-გვირგვინით შემკულნი“!

ქვეით ბინდი წევს, ზევით კი მყინვარის თავი ზღაპრულ ნალვე-
რდალივით იწვის. იელვა და მიიმალა.

ამ ხევში თითქო ყველაფერი შეიცვალა და არც არაფერი შეცვლი-
ლა. მარტო გზა თუ გაკეთდა ხეირიანი. აღარ გვაწვებიან წარღვნასა-
ვით არცა ხაზარნი, არცა სკვითები, არცა ძურძუკი, აღარც სარმატი.

მოხევე აღარ სდარაჯობს ლარსის ყელს. ნუგზარ ერისთავი
აღარ მოიწევს ანანურიდან. აღარ სწვიმს სისხლის წვიმები, აღარც
ჰქუხს ჩოფიკაშვილის გორია.

აღარ გადმოჰყავთ ჩერქეზთა ლამაზები. ელგუჯა მზალოს აღარ
მოიტაცებს. მათია ცხენიდან აღარ გადმოდის, რომ ყური მიწას
მიაკრას და ყაზახების ცხენთა თქარა-თქური შორიდანვე გაიგოს.

სადღაა მთის მგელი იაგო! სად დაიკარგა აფთარი კობა! ვინ
ან რამ მოსპო ჟუჟუნა მაყვალაი, ხევის თვალი ნუნუაი და ჩერქე-
ზეთს ნაზარდი მზალოი?!

გზა სწორია და მშვიდობიანი. ელგუჯა არსად არის ჩასაფრე-
ბული. ველარც მაყვალას იპოვით მაყვლიანში განდევნილს. ონო-
ფრეც გაჰქრა ხევის თოვლივით: სხვა სხვის მაგივრად ვილა წავა
ციმბირში! და თვითონ სიტყვა „გაციმბირებაც“ „ხევნაჩალნიკებს“
და ჩათარ-დივანბეგებს გაჰყვა უკუნეთში.

თემი ძველებურად აღარ თემობს. ხევის ბერს გოჩას სპარს-
ანგელოზიდან ბავრაცი აღარ გამოაქვს, ეჟვანებს არ აწკარუნებს და
საკუთარ შვილს ონისეს თემის ღალატისათვის თავისავე ხელით
აღარა ჰკლავს.

მრავალი წელიწადი გაივლის და სამაგიეროდ წითელი თემი
დამყარდება. დეკანოზის ნაცვლად აღმასკომი გამოიტანს წითელ დრო-
შას და ახალ თემთაობას გაუძღვება. და თუ დასჭირდა, საკუთარ
მამას გოჩასაც განგმირავს ახალი თემის ღალატისათვის.

ქვეით ყველა და ყოველივე იცვლება, ზევით კი მუდამ თეთრი
მყინვარი პაპასავით ბაღღების ხროვაში ჩამდგარა და არა უკვირსრა:
ნახა, ხედავს, ნახავს.

მაშინ მყინვარზე ვინ ავიდოდა, ვინ რათ შეჰკადრებდა! ახ-
ლა კი დაიბრიყვეს ჭალარა მოხუცი. ისე აღიან და უფაჩუნებენ თა-
გში ჩვენი ჭაბუკები, თითქო ერთი ბოთლის დასაცლელად ნარიყალას
სერზე გასულანო, და თანაც დაუდევრად „სემიჩკას“ აკნაწუნებენ.

საოცარია, როგორ გაკვირვებულან რუსები, პირველად რომ შემოსულან დარიალაში. ყველაფრისთვის „ჩორტი“ დაურქმევიათ, რასაც კი მათი ტრამალური თვალი და გული შეუშინებია: ЧОРТОВ МОСТ, ЧОРТОВА СКАЛА, ЧОРТОВА ГОЛОВА, ЧОРТОВА ГОРА.

კლდის ნაპრალებიდან ქაჯები ელანდებოდათ, მთის თხემიდან ეშმები დასცქეროდნენ, თერგის ზვირთებიდან ალის ხმა ესმოდათ და მთელ ხეობაში ჭინკებს, მიონებსა და ირონებს ხედავდნენ. მაინც მოდიოდნენ, თან კიბე და საღებავი მოჰქონდათ და მოსიპულ კლდეზე ადლის ოდენა ასოებით აწერდნენ: ი ვ ა ნ ი ვ ა ნ ო ვ ი ჩ ი ვ ა ნ ო ვ!

ძველი ამბავია: არარაობას გენიოსზე მეტად ახრჩობს უკვდავების წყურვილი. ჩვენ რუსთაველის ნამდვილი გვარიც კი არ ვიცით, ჩუხლომელი მეშჩანინი კი ოცჯერ მაინც მიაწერს ბუნებას ზედ მკერდზე: ი ვ ა ნ ი ვ ა ნ ო ვ ი ჩ ი ვ ა ნ ო ვ!

აწერს და არ იცის, რამდენ მგინებელს მოულობს. დააწერს და წავა. მერე წვიმა მოვა, ქარი დაჰბერავს და ქერა სალმანასარების გვარებსაც წაიღებს.

ნუ დასძრახავთ უკვდავების მაძიებელს: ბაღლინჯოც მარადიულობას უმიზნებს.

რა არ ახსოვს, ვინ არ უნახავს ამ ჭალარა გზას! ამ გზით ეძებდა ვახტანგ გორგასლანი თავის დას, ოსთა მიერ გატაცებულს. აქ აგროვებდა დავით აღმაშენებელი ჩერქეზ-ყაბარდოელებისაგან მუდმივ ლაშქარს. ამ გზით მირბოდნენ რუსეთს ვახტანგ-არჩილ-თეიმურაზები. ამ გზით წავიდა საბა დიდებულიც, ბედის ათასი მაძიებელიც და... ბაგრატიონთა მთელი გვარიც, რადგან აქედანვე ისმოდა ორ საუკუნეში მათი მუდარა მოსვლისა და შველისათვის. და ბოლოს შველაც ამ გზით მოუვიდათ.

აქედან გარბოდა გარსევან ჭავჭავაძე მშველელის მოსაყვანად. ისიც მოვიდა და მისი შვილი ალექსანდრე ამავე გზით წაიყვანა. აქ სტიროდნენ ცხარე ცოემლით ორბელიანები, დოდაშვილები, ერისთავები და რაზმაძენი. აქ საუბრობდნენ ქართლის ბედზე გრიგოლ ორბელიანი და ვინმე ვანო აფხაზი, ილია ჭავჭავაძე და ჩიბუხიანი მოხევე ლუწია, ყაზბეგი და ფრანგი მოგზაური, ერეკლე და რუსის გენერალი. რაც რამ აქ თქმულა, რაც რამ აქ ქმნილა, რომ დაიწეროს, ქვეყნის სტამბები ათ წელიწადსაც ვერ დაბეჭდავენ.

ყოველივე წავიდა, გაჰქრა, გათავდა! დღეს ქართლის ბედიც სულ სხვა გზით მიდის და საუბარიც სულ სხვაგან ხდება. ეს გზა კი მთლად დაიჩემეს ტურისტებმა. და მოხევესაც ქართლის ბედზე საუბრის ნაცვლად ყოველ დღე ეკითხებიან: რამდენი მეტრი აქვს აგერ

იმ მწვერვალს? რა ტომისაა აგერ ის კაცი? რამდენს იწველის თქვენი ძროხა და ცხვარი? რამდენ საათს მუშაობთ დღეში და გაქვთ თუ არა ლარიბთა კავშირი?

ველარც პოეტი იცლის ღუნია-მოხვევისათვის: ცხენის ნაცვლად ავტოთი მიჰქრის და გზად მიმავალ ელგუჯებს პაპიროსებს უყრის.

ღმერთო ძლიერო, რა სისწრაფით იცვლება შენი ქვეყანა, და რა მალე გვავიწყებ გუშინდელ დღესა!

* *
*

დიდებული ხელობაა შოთვერობა! მუდამ ლალი ხარ, თავისუფალი, მხნე და მხიარული. ავტოს ძმასავით შეეზრდები. შეიყვარებ, შეგიყვარებს; გაიტან, გაგიტანს; მოუვლი, მოგივლის; აცხოვრებ და გაცხოვრებს.

გონება არა აქვს, მაგრამ კვიციც ტუტუცია. როცა გაჰხედნი, შეასწავლი და შეაჩვევ, მაშინლა გამოდგება ტაიჭად. ავტო ვერ წავა ცხენის გზით. ავტო ვერ წავა თავისთავად. სამაგიეროდ თუნდ ოციოდეს აიკიდებს, ტფილისიდან ერთ დღეში კავკავში ჩაიყვანს და სალამოზე დააბრუნებს.

ცხენი კვდება. ცოცხალის ნაცვლად მალე მუხეუმშილა ვიპოვით ჩვრებითა და ჩაღით გავსებულს ფშუტურას. საზარელი ამბავია! ვინ მოსთვლის იმის მაღლს? ვინ დაუწერს პოემას? ვინ დაუდგამს უკვდავების ძეგლს? მგონი პარიზში ააგეს ბრინჯაოს ცხენი, რადგან ცოცხალის ნახვა მეტად გაძნელდა. მაგრამ ეს ძეგლი მხოლოდ ლანდია ღირსისა. ვინ იცის, იქნება ხუთიოდე საუკუნის შემდეგ მაღლიერმა თაობამ რუსთაველის ქუჩაზედაც აღმართოს ცხენის ტაძარი?! ჯერ-ჯერობით კი...

ჯერჯერობით ცხენი კვდება. ჩვენშიც თითქმის მოკვდა. გადაეჩვივნენ ერთმანეთს ცხენი და ქართველი. ოდესღაც ფრთოსან მერნებს ზრდიდნენ ჩვენი წინაპრები. ავლანისტანის ხრიოკსა და ბაღდადის მინდვრებს სთელავდა ქართული რაში. ყანდაპარის, გერათისა და შახჯანაბადის—დღევანდელი დელის—ციხე-გალავანებიც უნახავთ.

ეხლა კი აღარც სახელი დარჩა მისი, აღარც ნიშანი. შორს წამსვლელი აღარ არის ქართველი, ალბათ ამიტომ გადაუგვარდა ცხენიც, და რაშის ნაცვლად ხელთ კნაჭა ჯაგლაგილა შერჩა.

გული აიცრუეს ერთმანეთზე. აღარ გააქვთ, აღარ უყვართ, აღარ ეცოდებათ ერთმანეთი. უწინ მათრახსაც ძლივს აკადრებდნენ, ეხლა კი უგულო ქართველი კეტს ურახუნებს თავპირში. და რადგან

ცხენი უკვე მოკვდა ან საცაა მოკვდება, მაშ სალამი მის მემკვიდრე ავტომობილს!

მშვენიერია მეთქი შოფერის ხელობა. ისე სკამ მანძილს, როგორც ხევსური ხინკალს. ჰაერი მუდამ სუფთა, სანახაობა—ახალი, და მგზავრიც—ახალთ-ახალი: მუდამ გულლია, მუდამ უხვი და ნაირ-ნაირი.

უნდილსაც გამოაღვიძებს კარგი მოტორი. მისი რითმი დონდლოსაც გადაედება და სისხლიც იმ მოტორივით დაუწყებს ჩქეფვას.

ბედნიერი ვიყავი ბედნიერთა შორის, როცა მეც ავტოს საჭეს ვყავდი მიკრული.

არაფერიც არ მაკლდა: სისხლი—მდულარე, კუნთები—რვალი-სა, კუჭი—სირაქლემასი, კბილები—მგლისა და იმედი—დევის-მადური.

ოცდა რვისა ვიყავი მაშინ. ჩემი გული ჩემი მოტორივით მუშაობდა—მტკიცედ, მკაფიოდ და ხალვათად. და ჩემი მკლავიც ისე შეეზარდა საჭეს, როგორც ყბას საღეჭი კბილი.

ჩემს მერსედესში მგზავრები მისხედან. ორნი არიან, მხოლოდ ორნი: ოციოდე წლის ქალი და ჩემი ხნის ვაჟი. თვალი ძლივს მოგკარი, როცა კავკავში „გრანდ-ოტელ“-იდან გამოვიდნენ და ჩემს ავტოში ჩასხდნენ. ვაჟს წინა დღესვე დავაკვირდი, როცა მირიგდებოდა. მეტად მსუქანი, უნდილი და მოხარშულ ლოქოსავით დონდლო. პირიც მუდამ ღია ჰქონდა და თვალებიც თევზისა ესხდა.

ქალი მაღალია, სხარტი, შავგვრემანი.

— სადმე კლდეზე ხომ არ გადაგვჩეხავთ?—მკითხა, სანამ დაჯდებოდა.

უმალვე შავი კლდე გამახსენდა და უნებურად მიუგე:

— შავი კლდისა მეშინია, თორემ სხვაგან არხეინად ბრძანდებოდეთ.—და პირსახეში შევხედე.

და უმალვე მისი თვალები და კბილები მეცა თვალში—დიდრონი, სუფთა, კრიალა კბილები და ზეთში ამოვლებული წენგოს ფერი თვალები.

ისევ ავხედე და ახლალა დავინახე: თვალებში შიში ჩასჯდომოდა და ტუჩებიც წნორის ფოთოლივით უთრთოდა.

— რალაც შავი კლდე გაგახსენდათ?—ძლივს ამოიღო ხმა.

— ისე ვთქვი, თორემ...

— მაინც?

ისევ შევხედე და გავკვირდი: რა დაემართა ამ ქალს? რამ ააყრუოლა? რად ჩამაცივდა შავი კლდის გახსენებაზე? მიზეზს აღარ დავედევნე და ხეპრულად დავამშვიდე:

— არხვინად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო. მეც თქვენთან ერთად გადავიჩეხები.

— ვერაფერი ნუგეშია, ღმერთმანი—გაიცინა და კბილების ორი მძივი გააელვა.

— სანუგეშო ის არის, რომ მე თქვენზე მეტი ხიფათი მომეღის. ისე ვარ აქ ჩაჭედილი როგორც მკვდარი კუბოში.

ისევ დანისლდა. ხშირი წარბები თვალებზე ჩამოიბურა და თითქო თავისთვის ჩაიჩურჩულა:

— მართალია. შოფერის ადგილი ყველაზე სახიფათოა. მანდედან გადმოხტომა შეუძლებელია. გთხოვთ ფრთხილად იაროთ.

— გულმშვიდად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო. ჩაბრძანდით. ქალი მარდად ჩაბრძანდა, ვაჟი კი უხეშად ავიდა და ისე გაიშლართა, თითქო მკვდარი ზაქი დააგდესო.

უკნიდან ხშირი ლაპარაკი მესმის, მაგრამ სიტყვებს ვერ ვარჩევ. ქარი იშვიათად მოატრიალებს ორიოდ სიტყვას და ყურში ჩამიწვეთებს: „ჩორტი“... თამარი... დევდარაკი... გველეთი.

მივხვდი: ვაჟი ნავალია ამ გზაზე, ქალი კი პირველად მოდის. ერთმანეთს შენობით ელაპარაკებიან, მაშადასამე ან ცოლქმარი იქნება, ან დანიშნულები, ან კიდევ ნათესავები.

ნათესავები... დანიშნულები...

„რა შენი საქმეა, გივი შადურო, ცოლქმარია თუ დანიშნულები?—ვეუბნები ჩემს თავს გუნებაში—შენ გზას ადევნე თვალყური. მართლა არსად გადასჩეხო ავტომობილი.“

აგრეა, ვიცი. გულდაუდებელი შოფერი ადრე თუ გვიან ფათერაკს წააწყდება. მისი გულისყური ავტომობილს მუდამ წინ უნდა მიუძღოდეს, თორემ...

აგრეა. ვიცი მეთქი. მაგრამ იმ დღეს კავკავიდანვე გულისზრახვამ გამავსო. „ეს ქალი ვინ არის? სადაურია? ვისთან მიდის? ან ის კაცი ვინ არის მისი—ქმარი, ნათესავი თუ ნაცნობი?“ ლამაზი ქალი, ამაზე უფრო ლამაზი, ასობით წამიყვანია, მაგრამ ასე უცებ ჩემი გონება არავის დაუფანტია.

გულმოდგინედ ვებრძვი ჩემს თავს. გალესილი თვალი გზაზე მაქვს მიბჯენილი, მაგრამ გზის ნაცვლად თვალები და კბილები მელანდება—დიდრონი, სუფთა და კრიალა კბილები. წინ ისინი მიმიძღვიან და მილიმიან. მეც მივდევ და ვლამობ დავეწიო.

— ნელა, გენაცვა, ნელა!— ხანგამოშვებით მესმის ქალის ხმა უკნიდან.

გონს მოვალ. შევანელებ. მაგრამ კბილები კვლავ მიზიდავენ, გამირბიან და მეც მიტაცებენ.

სადღაც და ოდესღაც შემხვედრია ეს თვალ-კბილი, მაგრად სად? როდის? და ეს აზრი — შოფერისთვის ავი აზრი — ბურღივით ჩამეჭედა თავსა და გულში.

ავტო ლურჯი ბუჩანკალივით ამოვაფრინე დარიალიდან და ბოძალივით გავუშვი სიონისკენ. წინ ისევ კბილები მიმიძღვის. უკან კორიანტელის კუდი მომდევს. თანაშემწე შალვა გვერდით მიზის და ზოგჯერ გაოცებით მიმხერს.

ალბად ფიქრობს: სად, როდის დალიაო? რა იცის ოცი წლის ჭაბუკმა, რომ სწორედ იმ ჟამს ვითვრებოდი — კბილებს ვსვამდი, თეთრ კბილებს მოვდეგდი და თანაც ვფიქრობდი: სად? როდის? ვისთან?

— ნელა, გენაცვა, ნელა!

ქროლას ვანელებ. უკან მიხედვის წყურვილი მახრჩობს. ავტოს უმიზეზოდ ვაჩერებ და შალვას ვეუბნები:

— ჩაიხედე.

და სანამ თანაშემწე მოტორს ათვალეირებდა, ქალისკენ მიგბრუნდი და ვუთხარი:

— აგერ სიონი... გუდის მთა... შვიდი ძმა... კობი.

— ვიცი, ვიცი. — იღრინება ლოქო-კაცი.

— დიდებულია! მშენიერია! — თეთრი კბილებით ცივად ჩურჩულებს ქალი. მერე მეკითხება: — გუდაურის გვირაბი შორს არის?

— ნახევარ საათში ავალთ.

ქალმა კბილები დამალა. დაბნეულია. მოგრძო სახეზე რაღაც კაეშანი დასწოლია.

— თავი ხომ არ აგტკივდათ, ქალბატონო?

— დიახ... არა... რათ უნდა ამტკივდეს?

— სისხლნაკლები ვერ უძლებს. ძალიან მალლა ვართ.

პასუხს არ მაძლევს. ავტო დავძარი და ისევ გამოვრეკე. ეხლა მარტო კბილების ნაცვლად უკვე ქალის სახე მიმიძღვის ლანდივით, და იმ სახეზე ორ რიგად გაყინული თოვლის კბილები ჩამწკრივებულან.

ოსის ბიჭები ცეკვით გვიხვდებიან და ყვირილით მოგვდევენ...

— დავაი პაპიროს!.. კარანდაშ!.. პაპიროს!

ჯვარის ქედი გადმოვლახე და თავქვე დავეშვი. მიღეული თერგი უკან დაგვრჩა. არაგვის სათავე და ხეობა გამოჩნდა. აჰა გუდაურის გვირაბიც. ნაბიჯით შევიყვანე ავტომობილი. გრილა. ნიადაგი

სველია. აქა-იქ შუის თინათინი სვეტებივით ჩამოშვებულა. მაშინაც
სეთივე იყო ეს გვირაბი...

მაშინ, თერთმეტი წლის წინათ, როცა...

არა, არ მიყვარს ეს ადგილი. ახლოს რომ მივალ, ტანში რა-
ღაც სიცივე მიჯდება, სულში უნებური შიში მიძვრება თვალებს
თითქმის ვხუჯავ და ისე მომყავს მანქანა, თითქო ვიწრო და უმო-
აჯირო ხიდზე გავდიოდე. მუდამ მსურს ეს ალაგი ისარივით გა-
დმოვსერო, მაგრამ უნებურად ვიდრიკები და ქიანჭველასავით მოვ-
ცოცავ.

ისიც ვიცი, რომ იშვიათად გავივლი შეუჩერებლივ. თითქმის
ყველას გაგონილი აქვს შავი კლდე, სადაც თერთმეტი წლის წინათ
შავი ამბავი მოხდა, და ყველასგან მესმის:

— შოფერო, გააჩერე. — ავტოდან გადმოვლენ, კლდეზე გადაე-
ყუდებიან, ერთ საზარელ ამბავს იგონებენ და ნახევარ საათს ყაყანებენ.

აი ეხლაც: გამოვედი თუ არა გვირაბიდან, ლოქო-ვაჟის ხმა
მომესმა:

— გააჩერე — და ქალს უთხრა — აი აქ... ამ კლდეზე.

ჩამოვიდნენ, დაბალ კედელს მიადგნენ და შავ კლდეს გადა-
ხედეს.

ქალმა უცებ ამოიკვნესა, ორივე ხელი თვალებზე აიფარა და
კედელზე ჩამოჯდა.

„ვინ? სად? როდის?“ — ისევ ვეკითხები ჩემ თავს.

ვაჟი გვერდით მოუჯდა, მკლავი მოხვია და ამშვიდებს, ანუ-
გეშებს:

— ნუ, კმარა... წავიდეთ...

„ვინ არის ეს ქალი? სად მინახავს? როდის? ვისთან?“

ორივენი სალი კლდის ნაპირზე სხედან. ექვსას-ორმოცი ადლი
აქვს შავ კლდეს. ჟრუანტელი მივლის, მთელი ტანი მითრთის, რად-
გან ოდესღაც...

ეს რა ამბავია? მეგონა, ქალს თავბრუ დაესხა მეთქი, ნამდვი-
ლად კი სტირის...

„ვინ? სად? როდის?“

ჯერ ოდნავ აკანკალდა. ორთავე ხელის გული თვალებზე აიფა-
რა. ხმამალლა აქვითინდა და თავი მუხლზე დაბჯენილ ხელებში ჩაი-
გდო.

„ვინ? სად? როდის?... მოგძოო სახე, კუპრივით შავი თმა, პა-
წაწა ხალი ზემო ტუჩზე, დიდრონი, კრიალა კბილები და წენგოს
ფერი თვალები. ახლა ეს ქალი შავ კლდეზე ზის და გულამოსკვნით

სტირის. ვილაცას იგონებს, ვილაცას გლოვობას. ვის? რატომ? რისთვის?

და უცებ ელვასაკით გამკრა შორეულმა მოგონებამ.

* * *

თვრამეტისა შევსრულდი, კავკავის გიმნაზია რომ დავასრულე. შევსრულდი და დავობლდი: მამა მომიკვდა და მე და დედა-ჩემი ხელცარიელი დაგვტოვა.

ორივენი აუფართხალდით. დედა-ჩემი კერვას შეუდგა, მე კი გრიგოლაშვილს მივადექი და ვუთხარი:

ძია, შოფერობა მასწავლე.

ამხედ-დამხედა, მკლავი გამისინჯა, ინგლისური ჩიბუხი გააბოლა და დიდრონი კბილებით მკითხა:

— რამდენს იწონი?

— ოთხნახევარს.

— სწორედ?

— სწორედ.

— ოთხნახევარი და რვა—წაიბუტბუტა თავისთვის—და რვა იქნება თორმეტ-ნახევარი... ჰმ...—და უცებ გადასჭრა:

— ივარგებ. აგერ ავტომობილი. გარეცხე.—თვითონ იქვე ჩამოჯდა და თვალი ამაღევნა.

მუნდირი გავიხადე, დავიმკლავე და საქმეს შევუდექი. ვრეცხავ, ვწმენდავ და ვაკრიალე. ის კი აბოლებს და დინჯად ისვრის:

— სახურავი დახურე... იქ არ დაასველო... აქ მოწმინდე... ის გარეცხე... ეს გაბერტყე.

უცებ ფეხი წამისხლტა და ცხვირით ტალახი გავგლისე. და იმავე დროს ბავშმა თავზე ხითხითი დამაყარა.

— ვისი ხარ, ქალო?—ვეკითხები.

— აგერ იმისი — და გრიგოლაშვილზე მიმითითა—აგერ იმისი, იხი-ხი!

— ხი-ხი შენა და შენ თავსა! შენი ბრალია.

— რათ არი ჩემი ბრალი?—უცებ იწყინა პაწაწა ქალბატონმა და სატირლად მოემზადა.

— შენი ბრალია მეთქი! — და თვალზე ცრემლი რომ დავუნახე, უმაღვე დავუყვავე — კარგი გოგონა, კარგი. ვეხუმრები. შევრიგდეთ.

— შევრიგდეთ—უმაღვე გამოიდარა და მომთავაზა — ეხლა მაკოცე.

ავიტაცე, დავკოცნე და გამოვკითხე:

— რამდენი წლისა ხარ?

— შვიდისა.

— შენი სახელი?

— რუსიკო.

— ლამაზი სახელია. რუსიკო, რუსია, რუსი. მაშ რუსი ყოფილ-
ხარ.

— არა, მოხევე ვარ.

გამეცინა. დიდხანს ვეთამაშე, პაწაწა გული მოვინადირე და
მაშინლა გავანებე თავი, როცა მისი მამა წამოდგა, მხარზე ხელი და-
მკრა და გამოაბოლა:

— ხვალ ტფილისში მივდივართ. დილის ხუთ საათზე აქ იყავი.
არავითარი ბარგი არ წამოიღო, გაიგე?

— გავიგე.

— ახლა წადი.

რუსიკო მხარზე შეისვა და შინ შეიყვანა
მეორე დღეს თბილად ჩავიცვი და სწორედ ხუთ საათზე იმ
ეზოს მივაღექი.

— რუსიკო, შენც მოდიხარ?

— მაშა!

— ჯერ არ ყოფილხარ ქალაქში?

— არა.

— მაშ მოდი გაკოცო.

— აჰა— და დილის სუსხით შეწითლებული ლოყა მოძიშვირა.

ეზოში ნიკო თავზარაული შემოვიდა. ერთი ახმახი ვინმე იყო:
მაღალი, მსუქანი და უნდილი. კავკავში ლუდის ქარხანა ჰქონდა და
ორას ათასად ფასობდა. ოდესღაც იმავე ქარხანაში შავ მუშად
მუშაობდა. ხელმარჯვე იყო და დაწინაურდა. პატრონი რომ
მოუკვდა, მისი ქვრივი შეირთო და გაგოროზდა. ახლოს ალა-
რავის იკარებდა. საქმე ბევრი ჰქონდა და ხშირად დადიოდა ტფი-
ლისს, როსტოვსა და ბაქოში. მუდამ დინჯი, მუდამ ჩუმი, მუდამ ცი-
ვი და უპირო კაცი იყო. ადამიანს ვერ იპოვიდით, რომ მისგან მა-
ნეთი ან ერთი ბოთლი ლუდი რგებოდა. არავის არ იცნობდა და
არაფერი არ იცოდა თავის ლუდისა, ფაფუკი ქვრივისა და უკვე
მოზრდილი გერისა, რომელსაც ტფილისში ზრდიდა. აღარც კავკავის
ქართველობა იცნობდა გამდიდრებულ თავზარაულს, რომელიც გაგ-
არეულებულ ღორივით უცებ განზე გადგა და თავის ნათესავებიც
კი დაივიწყა.

შინიდან ავტომობილის პატრონი გამოვიდა და ახალმოსულს
ჰკითხა:

— მივდივართ?

— მივდივართ.

— მაშ ხაბძანდით.

თავზარაული ჩაჯდა და ავტომობილი ჩაზნიქა.

— შენ აქ დაჯექი, გოგონი.— და მამამ თავის ქალიშვილი უკანა სკამზე დასვა. მერე მე მომიბრუნდა—შენც აქ დაჯექი. იქ ხელს შემიშლი.

— რუსიკო, შენს გვერდით ვიქნები. გიხარია?

— ძალიან.

— მაშ მაკოცე.

პაწაწამ მკლავები მომხვია და ორივე ლოყაზე ჩამკოცნა. რუსიას მამა საჭეს მიუჯდა, საათი ამოიღო და თავზარაულს მოუბრუნდა:

— ექვსის ჩარექია. თქვენს საათზე რომელია?

— სწორედ ექვსის ჩარექია. დასძარით.

— ეს დრო დაიხსომეთ. დაგვეჭირდება.

მაშინ ვერ გავიგე, რათ უნდა დაეხსომა ის უამი თავზარაულს? მერეღა მითხრეს, მაგრამ გვიანლა იყო.

ნაწყენი ვიყავი. ჩემი თავი უკვე შოფერის თანაშემწედ მიმაჩნდა და მის გვერდით უნდა მჯდარვიყავი. მითხრა, ხელს შემიშლიო. მაშ ჩემს ალაგზე არასოდეს არ დამსვამს,— ვფიქრობდი— რადგან მუდამ ხელს შევეშლი. ჩემი მოშორების მიზეზიც მერე გავიგე. მაგრამ ისევ გვიანლა იყო.

თავიდანვე ისე დასძრა ავტომობილი, რომ საზურგეს მივაწყდი და ქუდიც კინალამ გადამივარდა. რომ გაიმინდვრა, თვითონაც გაგიჟდა და ავტოც გააგიჟა.

„რა ვქნა, რა დაემართა ამ ადამიანს?— ვფიქრობ და ვერ გამიგია.— ნაქები შოფერია. მუდამ დინჯი, ფრთხილი და თავდაჭერილია. ეხლა კი მისი ავტო ლამის მიწას მოსწყდეს და ცაში აფრინდეს“.

რუსიკო წრიპინებს, ხტუნავს და მეხვევა. მეც არხეინად ვარ. შიში გამიქრა. ქროლამ გამიტაცა. გრიგოლაშვილი სახითათოს ვერაფერს გაბედავს. სხვა რომ არ იყოსრა, ქალიშვილი უზის ბეწვის ხილზე.

დარიც მშვენიერია. ნაწვიმარია, მაგრამ ქვიშნარი ნიადაგი უკვე გახმა. გარდა ამისა, კვირა დღეა და გზაზე თითქმის არავინ მოსჩანს.

ჩვენი ქროლა დარიალამ შეანელა. ყაზბეგიდან კი ისევ შურდულის ქვასავით წამოვედით. სადღაც აქეთ, სიონთან თუ კობთან,

გზა ჯერ შენესტიანდა, მერე შეტალახდა. მოსახვევებში თვლები სხლტება და ბოლოს ისე ისვრის, თითქო მე და რუსიკო გოდორში ჩაგვყარეს და ძალზე გვანჯღრევენო. რუსიკო ხითხითებს და წრიპინებს, მეც ვიციანი და თანაც მეშინია.

— პავლე, ნელა — ხანგამოშვებით იძახის თავზარაული გაბზარაული ხმით და ორთავე ხელით საჯდომს ებჯინება.

— არხეინად! ნუ გეშინია! — გვამშვიდებს გრიგოლაშვილი და ოდნავ ანელებს ქროლას, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ სირბილის მაგიერ ისევ მიჰქრის და მიზუზუნებს.

კარგად მახსოვს: გვირაბში რომ შემოვედით, თავზარაულმა შესძახა:

— კაცო პავლე, სად მიეჩქარები!

— რეკორდი, ჩემივე რეკორდი უნდა ავიღო. — მოისმა ბინდში შოფერის პასუხი.

უმაღლესი გამახსენდა: ორი თვის წინათ გრიგოლაშვილმა რეკორდი დაამყარა: ეს გზა სწორეთ ექვს საათში გაირბინა. იმ დროს ეს სისწრაფე მაქსიმალური იყო და ჯერ არავის ეჯობნა გრიგოლაშვილისთვის. მაშ რამ აიძულა საკუთარ თავთან შეჯიბრება და ბრძოლა?

მიზეზი რამოდენიმე ღლის შემდეგ გავიგეთ: ერთს ფულიან ავარასთან სანაძლეო დაედო ათ თუმანზე. წინანდელ რეკორდისათვის საათის ერთი ჩარეჟი მაინც უნდა დაეკლო და თან, სულ ცოტა, თოთხმეტი ფუთი უნდა წაეღო.

მაშინლა გამახსენდა მისი ბურტყუნიც, როცა მზომავდა და ჩემს წონას კითხულობდა: „ოთხ-ნახევარი და რვა ფუთი იქნება თორმეტ-ნახევარიო,“ და ალბათ თავისთვის დაუმატა: „და ჩემი რუსიკოც ერთ-ნახევარი, სულ გამოვა თოთხმეტი“, ბარგის წამოღებაც ამიკრძალა და თურმე თავზარაულსაც პირობა ჩამოართვა, რომ ბარგს არ წამოიღებდა.

სანამ სანაძლეოზე დასთანხმდებოდა, თავზარაულთან გაქცეულა და ერთი კვირით ათი თუმანი უთხოვინა. უარი რომ მიიღო, გამობრუნდა, ერთი ბოთლი კიდევ დასცალა და დათანხმდა. თურმე სამ დღეს ეძება ის ათი თუმანი. თამასუქი ნოტარიუსთან ჰქონდა და სახელის გატეხვისა ეშინოდა.

მაშინლა გამახსენდა გრიგოლაშვილის ნათქვამიც: როცა ავტოში ჩავსხედით, თავზარაულსაც საათზე დაახედვინა და უთხრა: „ეს დრო დაიხსომეთ. დაგვჭირდება“.

ერთ წვრილმანსაც მოვკარი თვალი და ისიც მოვიგონე: მთავარ ქუჩაზე რომ გამოვიდა ავტომობილი, გრიგოლაშვილმა საყვირის

ღრიალით გაავსო იქაურობა. ერთი სახლის აივანზე ის ავარა თითქმის შიშველი გამოვარდა, საათს დახედა, თავი დაგვიქნია და გრიგოლაშვილს რაღაც ანიშნა.

— რეკორდი, ჩემივე რეკორდი უნდა ავიღო! — დაიძახა შოთერმა, და იმავ წამს ავტო გვირაბიდან გამოვარდა.

ამ ალაგას გზა ოდნავ მარცხნივ უხვევს, მარჯვნივ კი შავი კლდის უფსკრული ალებს შავ პირს. კლდის ნაპირზე, გზის ზედაპირის დონემდე, კედელია ამოყვანილი, კედლისა და კლდის გაყოლებაზე ქვის ბოძებია ჩაყრილი, ორ რიგად ხის ხარიხებით გავლებული.

ყოველივე ანაზღად, თვალის დახამხამებაზე მოხდა. პირდაპირ მიმავალმა ავტომობილმა ოდნავ მარცხნივ გატრიალებისა ან პირდაპირ წასვლის ნაცვლად უცბად მარჯვნივ მოიტრიალა დინგი და კლდის ნაპირს მიადგა.

ბნელი ძალებისა არაფერი მჯერა, მაგრამ ზოგჯერ მგონია, რომ იმ დროს შოთერის გვერდით უხილავად სატანა იჯდა. გრიგოლაშვილს უცებ გამოსტაცა საჭე და მარჯვნივ მოაბრუნა.

იმავე წამს ხარიხების ჭრაჭუნი და ჭახა-ჭუხი მოისმა. ამ მომენტმა ელვასავით გამირბინა თვალწინ: ავტომ დინგით გაანგრია ხარიხები, ერთი წამით შესდგა, თითქო უძირო ხევეს გადახედა, თითქო შეყოყმანდაო და უმაღლეს ისევ დაიძრა. და იმავ წამს თვალწინ თავზარაულის ზურგი ამეშოტა.

უბადრუკი აზრია, ვითომ ასეთ ჟამს გონებას რამე ძალა ჰქონდეს. უძლურია, მკვდარია, სძინავს. მარტო ალლოლა მეფობს — ელვაზე უფრო სწრაფად და ცეცხლზე უფრო მწვავედ.

ავტომ რომ დინგი მიიბრუნა, უკვე ზეზე ვიდექი. ხარიხების ჭახუნი რომ მომესმა, რუსიკო უკვე ხელებში მყავდა. მძლავრად მოვიქნიე, ზედ გზაზე გადმოვაგდე და მეც გადმოვყე.

გადმოვყევი, მაგრამ ეშმამ ერთი ხელით საჭე მიაბრუნა და მეორე მე ჩამავლო. შავი ტყავი მეცვა. წელზე მოკლე ქამარი ჰქონდა. ეს ქამარი ავტოს კარის რაზას მოედო და კლდისკენ გამათრია.

ყოველივე ისევ ელვასავით დატრიალდა: ხელები ავიქნიე და ტყავიდან გამოვსხლტი. ეშმა უკან მეწეოდა, წინიდან კი ბედი მშველოდა: ტყავის ღილები შეუკრავი დამრჩენოდა.

ავიკლაკნე, წავტორტმანდი. გავსწორდი და მივიხედე. თურმე ზედ კლდის ნაპირზე ვქანაობდი.

ავტოს ბოლომ თვალწინ გამიქროლა და იმავ წამს ის უძირო და პირღია ხევი საზარელმა, უიმედომ და სასოწარკვეთილმა გმინვამ და ვალალმა შეაზანზარა.

ეხლაც ყურებში მიწივის ის კივილ-წივილი—წივილი გველვე-
შაპისა, რომელიც უცებ აღუღებულ ცეცხლში ჩავარდა.

ამ წივილს უცებ წვრილი კივილი და ხარის ბლავილი შეუერთდა:
რუსიკო კლდეს გადაჰყუდებია, თმებს იგლეჯავს და ხევს ჩაჰკივის:

— მამა!.. მამა!.. მამილოოო!!

თავზარაული ჩემს ფეხებთან ფართხალებს: კლდეზე გადავარდნი-
ლა, მაგრამ ორივე ხელით კედლის ნაპირი ჩაუბლუჯავს და ყელგა-
მოჭრილივით ხრიალებს:

— მიშველე! მიშველეეე!!

საბრალო ბავშვი ხელის ერთი მოქნევით უკან გზაზე გადა-
ვადე, ის ხელი ქვის ბოძს მოვხვიე და მეორე ხელი თავზარაულის
მაჯას ჩავჭიდე. იმავ წამს მისი მეორე ხელი მგლის პირივით მეცა-
მკლავში.

რვა ფუთი მეწევა უფსკრულისკენ. ფეხმოსაკიდებელი არა მაქვს
რა, რომ ტვირთი შევიმსუბუქო. ჩალუნული ვდგევარ და ვიდრი-
კები.

ვიდრიკები და ხევს გადავცქერი. იქ, ქვეით, ექვსას-ორმოცი
მეტრის სიღრმეზე, შავ კლდეს რამდენიმე ტინი გამოუშვერია. მა-
თი ქიმები პირდაღებულ ქიმერებივით იბღვირებიან.

გადავიხედე და დავინახე: ავტომობილი უზარმაზარ ფრინველი-
ვით მიჰქრის უფსკრულში. აგერ, დინგი პირველ ტინს ჩაჰკრა, ორად
მოიკეცა, ჰაერში გადატრიალდა და ისევ წავიდა. მიჰქრის და თან-
დათან იკუმშება, მრგვალდება, მცირდება..

აგერ, მეორე ტინზე დაეცა, ისევ გადატრიალდა და ისევ ცა-
რიელ სივრცეში ჩავარდა.

თავზარაულის ხელი მარწუხივით მიჭერს და მეც იმავე გზით
მეწევა. მე ვიღუნები, ვირკალები, მაგრამ იმ საზარელ ფრინველს
თვალს ვერ ვაშორებ.

ხევის ძირში არაგვი თეთრი თოკივით მიიკლაკნება. აქეთა ნა-
პირზე სოფელი გუდა მობუზულა. სახლები სათამაშო ქოხებს ჰგვა-
ნან. და დაღეწილ-დაკეცილი ავტომობილიც იმ სოფლისკენ მიეჭანე-
ბა. იგორავა, იხტუნავა და სადღაც სოფელთან გაიხირა.

რამდენ ხანს მიჰქროდა რკინის კუმში? რამდენ ხანს ჰქონდა
მიბმული ჩემი თვალი? ორ წუთს, მეტს არა, მაგრამ ის ორი წუთი
ორ საათად მომეჩვენა.

სანამ ის გიჟური ქროლა და ხტუნაობა არ შესწყდა, ავტოს
თვალი ვერ მოვაშორე და ჩემს თავს ველარ დავუბრუნდი.

გრიგოლაშვილის ფრენა დასრულდა. ეხლაც დავხედე თავზა-

რაულს. და მომეჩვენა თითქო სიკვდილ-სიცოცხლემ ერთმანეთი ჩაბ-
ჯუჯესო.

მე მისი მაჯა მიჭირავს. იმ ხელით თავზარაული კლდის ნაპირს
ებლაუჯება, ხოლო მეორე ხელი ჩემს მაჯაზე აქვს გირაგივით მოჭე-
რილი. უცებ მისი მეორე ხელიც მოსხლტა კლდეს და ძალღივით
მეცა მკლავში.

მეცა და გადამწია.

მანამდე ორად ვიყავი მოკუზული, ეხლა კი, უცებ რვა ფუთი
რომ ჩამომეკიდა ერთ ხელზე, ველარ გავუძელი და ჩავიჩოქე. ჩავი-
ჩოქე და ნახევარი ადლით კიდევ ჩავიწიე კლდის ხახაში.

ერთმანეთს თვალებში შევცქერით და ვყვირით:

— მიშველე! — ბლავის ჩავარდნილი.

— ხელი მოსჭიდე კლდეს, ხელიიი! — ჩავხრიალებ პირში.

— მიშველეეე!

— კლდეს მოეჭიდე მეთქი, კლდეეეე!

მაგრამ ჩემი არაფერი ესმის. გაბერილ-გაგიჟებული თვალები
შუბლზე აეყარა, ძარღვები დაეკლაკნა, პირი ლამის გაეხია.

ჩემი ძვლები კრუსუნებენ, ლავიწები კრაჭუნებენ, ძარღვები
იჭაჭებიან; სისხლი წივირს, ყურები ლამის დამისკდეს, ტაძარი გამი-
წყდეს და საცაა საზარგული დამეხევა და თვალებიც გადმო-
ცვივა.

და ვხედავ, ნათლად ვხედავ საზარელ სამარეს, რომელიც სა-
ცაა ორივეს ჩავვყლაპავს. და ამ წამს, სიცოცხლის უკანასკნელ წამს,
დედა-ჩემი მელანდება:

— დედი! დედაა! — დავიბლავლე განწირულმა, აღარ მახსოვს,
ხმამალლა თუ გულში.

ჩემი დედა თავჩალუნული ზის და ჰკერავს. თითქო შვილის კი-
ვილი გაიგოო: წამოიჭრა და ათრთოლდა.

ქვის ბოძი თანდათან მისხლტება მკლავიდან. თითებიტლა ვი-
მაგრებ, მაგრამ ამაოდ: ბრძოლა დასრულდა! გათავდა!

— მამააა!! — დამდნარ რკინასავით მესხმის ყურებში რუსიკოს
კივილი.

— მიშველეეეეთ!! — ერთხელ კიდევ დაიძახა თუ დაიხრიალა თავ-
ზარაულმა.

და დედა-ჩემიც ერთხელ კიდევ მომელანდა: თმებში ხელები
წაივლო და წივილ-კივილით გამოეჭანა.

უცებ — კურთხეულ იყოს ის წამი აწ და მარადის, უკუნითი
უკუნისამდე! — უცებ უკნიდან რალაც კივილ-ჟივილი მომესმა და იმა-

ვე წამს მე და იმ ბოძს აქეთ-იქიდან ორი ხელი სალტესავით შემო-
გვერტყა და ორიც თავზარაულის მკლავებს დასწვდა.

— მაგრა იყავ! ნუ შეშინდი! აქა ვართ!—ჩაძეღვარა იმავე წამს
მთელ სხეულში მათი შეძახილი.

თავზარაული თითქო საფლავიდან მოფოფხავს და მეც წელში
ვწორდები. ძლივს გავაშვებინე ჩემი ხელი და იქვე ბოძთან ჩა-
ვიკეცე.

ჩავიკეცე და დამტვრეული ხელებით თვალებსა და შუბლს ვი-
სრესავ. მერელა შევნიშნე, რომ სისხლით ვითხუპნიდი პირსახეს: იმ
ხელის თითები, ბოძზე რომ მქონდა შემოვლებული, გადამქლექოდა
და სისხლით მქონდა მოსვრილი.

ოდნავ გონს მოვედი და მივიხედე. რუსიკო ერთი სალდათის
მკლავებში ფართხალებს, თავზარაული შუა გზაზე ზის, სულელურად
იციინის, ხელებს ასავსავენს და ბლუკუნებს:

— გაგაგა... დავრჩი... ცოცოცოცხალი ვარ. მამამადლობე-
ლი ვარ... ცოცოცოცხალი ვარ.

მეორე სალდათმა იღლიებში გამიყარა მკლავები და ამწია.

— წამოდექი! გასწორდი!

წამოდექი, გავიზმორე და გავსწორდი. ძვლები თავიანთ ალა-
გებში ჩალაგდნენ. თვალებიც სათვალურებში ჩამისხდნენ. ძარღვები
კვლავ გაიშალნენ და მოდუნდნენ. ყურებში მწარე კივილი აღარ მე-
სმის. მხოლოდ სისხლილა მიბეჭუის და ლავიწებიც ოდნავ მიკვნესიან.

— ცოცოცოცხალი ვარ... გაგაგადავრჩი—კვლავ იღრიჯება
თავზარაული.

რუსიკო მომვარდა და მუხლებზე მომეხვია. ავიტაცე, ჩავიკონე
და მეც იმ ბავშივით ავტირდი. ის კი ისევ უფსკრულისკენ მიიწევს
და გაჭკივის:

— მამაა! მამილოოო!!

თავზარაული წამოდგა, ხელი ჯიბეზე გაიკრა და აფუსფუსდა:

— მამამადლობა უნდა გაგაგადაგიხადოთ, ბიბიბიჭებო.

გაბერილი საფულე ამოიღო და გადაშალა. ფული დასტებად
ეწყო. სამი თითო-თუმნიანი ამოაცოცა და სამივეს დაგვირიგა.

— გეგეგერგებათ... ღირსები ხართ... იქექექეიფეთ.

უნებურად ავიღეთ და ერთმანეთს გადავხედეთ. უცებ ყელში
რალაც მომაწვა. სახეზე თითქო ცხელი წყალი შემომასხესო: ავილე-
წე და ავიტრუსე.

რუსიკო ჩამოვსვი, თუმნიანი ოთხად დავკეცე და თავზარაულს
ცხვირში გავკარი—ერთხელ, ორჯელ და მესამეჯერაც მივაყოლე.

— აგრე! აგრე, გენაცვალოს ჩვენი თავი!—სამჯერვე დამიბეჭდეს სალდათებმა.

მერე ისევ რუსიკოს ჩავკიდე ხელი და წამოვედი, თითქმის გამოვიქეცი. ბავშვი მორბის, ფეხებში მეხლართება და სლუკუნებს.

— წამო, გენაცვა—ვეუბნები—წამო მამა ვიპოვოთ.

სოფელ გულაში უნდა ჩავიდეთ და იქ ვიპოვოთ. ადვილი სათქმელია: „წამო, ვიპოვოთ“. გვირაბიდან სადგურ მღეთში უნდა ჩავიდეთ და იქიდან არავს ავყვით. ოცი კილომეტრი მაინც იქნება.

ჯერ მოვრბივართ. მერე მოვდივართ.

რუსიკო რომ ავტოდან გადმოვაგდე, ხელ-ფეხი ეტკინა. ეხლადა იგრძნო ტკივილი. ნიდაყვი დაულურჯდა. ფეხი დაუსისხლიანდა.

მოვბანე, შევუხვიე, მხარზე შევისვი და წამოვედი, თანაც ვანუგეშებდი:

— საბრალო რუსიკო... საწყალი ქალი! დაობლდი განა, გენაცვალოს გივი!

თავზე მომეხვია და თმას ცრემლით მისველებდა.

ვისვენებთ და ისევ მოვრბივართ. ვილაცები გვაჩერებენ, გვეკითხებიან. ვილაცები გორაკ-კლდეებზე გადამდგარან და ერთმანეთს გაჰკივიან: ახალ ამბავს ატყობინებენ და თავქვე მირბიან.

პასუხის ნაცვლად ხევისკენ ვიშვერ თითს და ვეუბნები:

— იქ... ქვეით... გულაში...

ჯერ სამიოდე დაგვედევნა, მერე ათიოდე გამოგვეყვა, შემდეგ მთელი სოფელიც დაიძრა. ბავშვები, დედაკაცები, ხნიერები—ყველანი მოგვდევნენ, მორბიან, მოგვძახიან. მათი ყაყანი და ჟივილ-ხივილი ქვემო სოფლებშიც ისმის. იქიდანაც გამორბიან, სხვებსაც ეძახიან და ყველანი მღეთესკენ მიეშურებიან. მალე მთელი ხეობა დაიძრა და წამოვიდა.

— გიამბე, შენი წირი მე, როგორ გადავარდი ხევში?—არ მასვენებენ გულაურელი ოსები.

— გითხარი, გენაცვა, გაგაგებინე—ჩამატვიდა მეორე.

— არ ვიცი, არ მახსოვს.—მოკლედ ვუჭრი და მოვრბივარ.

— რამდენი კაცი გადავარდი?—სირბილითვე მომდევნ და მეკითხებიან.

— ერთი. — ვუპასუხე.

— ერთი?

— ერთი, მხოლოდ ერთი. შოფერი გადავარდა, აი ამ ბავშვის მამა.

— მარტო ერთი გადავარდი?

— მარტო ერთი გადავარდა.

— მადლობა ღმერთსა, ადვილად გადარჩენილხართ.

ვილაცა დანჯღრეული ფურგუნით დაგვეწია. მე და რუსიკო ჩაგვსხეს და წამოგვიყვანეს. ხალხი ჩამოგვშორდა: ბილიკებით მობიან, ჩვენ კი გზატკეცილით მოვდივართ.

მლეთეში გავლაც კი გვეძნელება. რამდენიმე სოფელს აქ მოუყრია თავი. გრიგოლაშვილის გვამის მოტანას ელოდება, მანამდე კი გამოკითხვით სულს გვიხუთავენ და ბავშვის დაობლებას გლოვობენ.

ალარ მახსოვს, მოლოდინში ერთი საათი გავიდა თუ ორი. ბოლოს სადღაც დაიძახეს:

— მოაქვთ! მოაქვთ!

ზევიდან მართლა რალაც მოაქვთ. უქმე დღე იყო და ხალხიც უქმად იყო, ამიტომ გრიგოლაშვილის გვამს ორიოდ სოფელი მოსდევდა.

თვალცრემლიანი ვუმზერ სამგლოვიარო პროცესიას. ვუმზერ და ჩემი თვალებისაც არა მჯერა: ერთის ნაცვლად ორი საკაცე მოაქვთ.

„შეიძლება აქაური ვინმე მოკვდა ზემო სოფელში—გავიფიქრე—ან ავად გახდა ვინმე და ექიმთან მიაქვთ თუ მიჰყავთ“.

სადგურის კიბეზე ვდგევარ. მოიტანეს და ორივე საკაცე კიბესთან დადგეს.

— ჰირისუფალი შენ იქნები?—ეკითხება სოფლის გზირი თუ მამასახლისი.

— მე ვარ.

— აჰა, ორივე მოგიტანეთ. ჩაიბარე და უპატრონე.

— ორივე?—და კიბეზე ჩავდივარ.

— ჰო, ორივე შენი მკვდარია.

— ჩემი? ორივე?—და ფერი მეცვალა.

— ერთი ავტომობილჩი ეგდო, მეორე კი ზემოთ კლდეჩი გახირულიყო.

— გზაჩი თუ გადმოვარდა ავტომობილიდან—დაუმატა ვილაცამ.

— მძიმე ვინმე ყოფილა—ამბობს მესამე—რვა კაცმა ძლივს ჩამოვიტანეთ გუდაჩი.

— ეს შოფერი ძლივს გამოვიღეთ ავტომობილიდან—მითხრა გზირმა თუ მამასახლისმა და საკაცეს ნაბადი ახადა.—შეხე, როგორ შენახულა თავი!

თავი მართლა შენახულა. ერთგანაც არ არის გაკაწრული.

— სამაგიეროდ ძვლები ბოთლივით დაემტვრა. გუდასავით თუნდ ორად დაიკეცება, თუნდ ოთხად.

— ისა?—ვეკითხები მთრთოლვარე ხმით და ღრმა რწმენით, რომ ის მეორე „ჩემი“ არ არის.

— ესა? აი ნახე—და იმასაც ნაბადი გადახადა.

დავხედე და გავშტერდი. ენა დამება და გონება გამიხვედა.

— ორივე იცანი?.. ძმობილო, იცანი მეთქი?

— ვიცანი.—ძლივსლა წავილულლულე.

— ორივე?

— ორივე.

— გვითხარი, ვინ არიან.

— ეს... ეს პავლე გრიგოლაშვილია. ავტომობილის პატრონია.

— ვიცით... ვიცნობდით—გაისმა აქეთ-იქიდან.

— ესა? ეს ვილა არის?

— ეგა?.. ეგ ნიკო თავზარაულია.

— სნოელი თავზარაულია? მოხევეა?

— ჰო, მოხევეა.

თურმე ამასაც იცნობდნენ. ზოგს გაგონილი ჰქონდა, ზოგს ნახული, ზოგიც პირადათ იცნობდა.

სანამ ხალხი ყაყანებდა, მე საგონებელს ვიყავი. ამ კაცმა კინალამ მეც გადამიტანა. ჩვენი ჭიდილი ცხადი ამბავია „მგონი არ გავგიჟებულვარ, რომ ლანდი ცხადისგან ველარ გავარჩიო—ვეფიქრობ ჩემთვის.—ორი სალდათი მოგვეშველა. ამოიყვანეს მეც გადამარჩინეს. მერე ფული გვაჩუქა... იმ ფულით ცხვირი გავუწკიპე.—აგრე! აგრე!—იძახდნენ სალდათები. იქ დავტოვეთ. ესეც კარგად მახსოვს. არა, ჩემს გონზე ვარ! არ გავგიჟებულვარ! მაგრამ... ან ის იყო ლანდი რაც ზევით მოხდა, ან ეხლა მელანდება თავზარაულის გვამი. იქნებ სხვა ვინმეა? იქნება მეჩვენება“?

დახრილი ვდგევარ და დაძაფული თვალებით ვსინჯავ. ის არის! თავზარაულია, თავზარაული!

— ზედ რამდენი ფული ჰქონდა გრიგოლაშვილს?—მეკითხება სოფლის ხელისუფალი.

— არ ვიცი.

— ცხრა მანეთი და ორი აბაზი გამოაჩნდა.

— აგრეა! მართალია! ერთად დავთვალეთ!—უმოწმებენ აქეთ-იქიდან.

— თავზარაულს?

— თავზარაულს... ბევრი ჰქონდა...

— ზედ არაფერი ჰქონია.

— ალბათ ამოუვარდა.

— კლდეში სადმე გადმოუვარდებოდა. — ისმის ყაყანი.

— აგრეა! . აგრე იქნება!

— აგრეა! — ვადასტურებ მეც, და ერთი წვრილმანი ელვასავით მისერავს ხსოვნას: მე და რუსიკომ ორიოდ კილომეტრი გამოვირბინეთ და დასასვენებლად გუდაურის სადგურის მახლობლად გზის ნაპირზე ჩამოვსხედით. უცებ ზემო გორაკებზე ორ კაცს მოვკარი თვალი. მოკუზულები მირბოდნენ, თითქო ხალხის თვალს ემალებოდნენო. მზის შუქზე მათს თოფებს კრიალი გაჰქონდათ. გორაკს გადასცდნენ და მიიმაღნენ.

„საღდათები... ბევრი ფული... უმაღური თავზარაული. — გავიფიქრე უმაღ — მერე ხელი ჰკრეს და... გაიქცნენ. ცხადია! ასეა!“.

უმაღ მოვბრუნდი და სადგურის გამგის ოთახში ავვარდი, სადაც დაღლილ-დატანჯულ რუსიკოს ეძინა. გავაღვიძე, მოვუალერსე და ფრთხილად ჩავუწვეთე:

— რუსიკო, გენაცვალოს გივი! გახსოვს ის საღდათები, მე რომ გადამარჩინეს?

— ჰო, მახსოვს.

— ისინი და თავზარაული, სქელი ძია, ზევით დარჩნენ, არა?

— ზევით დარჩნენ.

— ჰო და... საღდათები წამოსულან, იმ ძიას კი თურმე ფეხი დაუსხლტა და იმ კლდეზე გადავარდა.

მწვანე თვალები გულში ჩამინათა და იქაურობა მოჩხრიკა.

— მერე? — მკითხა.

— არავის უნახავს როგორ გადავარდა. იმ საღდათებს დააბრალებენ და თავებს დასჭრიან.

— დასჭრიან?!

— დასჭრიან, უეჭველად დასჭრიან!

— შენ რომ გადაგარჩინეს?

— მაინც დასჭრიან. ამიტომ ეხლა ის საწყლები ჩვენ უნდა გადავარჩინოთ.

— როგორ?

— როგორ და ესე: ვინცობაა გკითხეს რამე, ყველას უთხარი, მამა და თავზარაული ერთად გადაიჩეხნენ-თქო. მიხვდი? გაიგე?

— გავიგე. ეგრე ვიტყვი. — და მომეხვია.

სამი დღის შემდეგ ორივენი კავკავში დავასაფლავეთ. ცოტა ხნის შემდეგ რუსიკოც თვალიდან დამეკარგა.

ვიხეტიალე, ვიარე და ავტოს საქმეს დავუბრუნდი. დავუბრუნდი მეთქი. ნამდვილად კი ოდესღაც ეს საქმე იმით დავიწყე, რომ ერთხელ გავრეცხე გრიგოლაშვილის ავტო და ორივეს დალუპავნახე—ავტომობილისა და მისი პატრონისაც. და კინალამ მეც გადავყევი.

* * *

იმ დღიდან თერთმეტი წელიწადი გავიდა. დავვაჟაკადი, დავმწიფდი და ის ალაგი—შავი კლდე—ხუთასჯერ მაინც გადავსერე.

აი ეხლაც, ხუთასპირველჯერაც შავ კლდეზე მიყენია ავტომობილი. კლდის თავზე, დაბალ კედელზე, რუსიკო ზის და მამას სტირის.

ღმერთო ჩემო, აქამდე როგორ ვერ ვიცანი დიდი კბილები, მომწვანო თვალები და ზემო ტუჩის ხალი?! კავკავიდანვე მაწვალე-ბდნენ. მიზეზიც ვერ გამეგო. ეხლა კი ყოველივე ცხადია, ჩემ თვალწინ ყოველივე ერთ წუთში ასდგა და გადაიშალა.

მამას სტირის. ალბათ მეც ვაგონდები. მე ვერ ვიცანი, მაგრამ თვითონაც ვერ მიცნო. ან რა საკვირველია! თერთმეტი წელიწადი გავიდა, თერთმეტმა გაირბინა და გაჰქრა!

ავტომობილიდან ჩამოვედი და ხუთიოდე ნაბიჯი გადავდგი.

— საკვირველია, — მესმის ამ დროს იმ კაცის ხმა — საოცარია: ორივენი აქ დაილუპნენ, ორივენი ერთ წუთში დავობლდით.

ეს სიტყვები ტყვიასავით მომხვდა: თავზარაულია, თავზარულის შვილია! მამას ტფილისში ჰყავდა მაშინ, გიმნაზიაში სწავლობდა. მხოლოდ ერთხელ მოვკარი თვალი: როცა ორ გვამს ვასაფლავებდით, შვილიც ამოსულიყო ქალაქიდან. ეხლა კი ესეც აქ არის, შავ კლდეზე, აქ არის და რუსიკოს უზის გვერდით. ანუგეშებს და შენობით ელაპარაკება.

და წელანდელი კვიატი აზრი ხელახლად დამეჯახა: „ვინ არიან? ცოლ-ქმარი? დანიშნულები თუ მეგობრები?“ და მეორეც დამეტაკა: „იცის თუ არა ამ თავზარაულმა მამის სიკვდილის ნამდვილი ამბავი? უამბო რუსიკომ თუ დაუმალა?—და გადავჭერი.—რა თქმა უნდა, უამბობდა. ქალია. ენაზე რა დაადგება!—და ყოყმანის შემდეგ ხელახლად მოვკვეთე: „მერე რაო! თუნდაც იცოდეს! რა მოვალე ვარ პასუხი ვაგო თერთმეტი წლის შემდეგ? და თუ მომთხოვა, თუ ვაჟკაცურად მომთხოვა, შავი კლდე აქ არ არის! მამის გზაზე დავაყენებ!“

ქალს წინ ავეშოტე და ვუთხარი:

— ქალბატონო რუსიკო, გაგონდებათ გივი შადური?—გაოცებულმა შემომხედა.—ცხადია, დავავიწყდებოდით. თერთმეტი წელი-

წადი გავიდა მას აქეთ, რაც ამ ალაგზე... აი ამ ალაგზე, ავტომობილიდან გადმოგაგდეთ.

— ღმერთო ჩემო!—და ზეზე წამოიჭრა—ღმერთო ჩემო! გივი! გივი შადური! ჩემი მხსნელი!—ორივე ხელი ხელში ჩამჭიდა, თავი მკერდზე მომაყუდა და ცრემლნარევი ლულლული ამოუშვა:—გივი... ჩემი გივი... ივი! ჩემი მხსნელი... ელი! ჩემი ერთი კვირის მეგობარი... ბარი!

— აი სად შეგვახვედრა ბედმა ერთმანეთი, რუსიკო! იმავე ალაგზე, საცა... გახსოვს, მკლავი რომ გატკინე?

— ღმერთო ჩემო...ემო! როგორ დამავიწყდება ის დრო და ეს ალაგი...აგი! მაგრამ შენ როგორ დაგავიწყდი, შენ?!

— საკვირველი არაფერია. შვიდი წლისა იყავი. ეხლა კი... ისიც გეხსომება, აი ამ გზით რომ თავქვე მივრბოდით.

— ახა-ხა!—ჩაიხითხითა და ცრემლი მოიწმინდა—მხრებზე რომ შეგაჯექი, არა?

— ჰო, მხრებზე რომ შეგისვი. და მიგარბენინებდი. კოჭლობდი, რადგან ფეხი გატკინე, როცა ავტოდან გადმოგაგდე.

— მგონი ხელიც დამიშავდა.

— ხელიც დაგიშავე. იმედია მეპატიება.

— ეგ რა სათქმელია, გივი!

— ალბათ ისიც გეხსომება, მლეთეში რომ დაგეძინა.

— ძალიან კარგათ მახსოვს, ყველაფერი მახსოვს.

— რომ გაგაღვიძე და...

— ეგეც მახსოვს. რაც მითხარი, ყველაფერი... შეგისრულე.

გულს მომეშვა. მაშ ჩემი ჩანაბერი კარგად შეუნახავს. თავზარაულს გადავხედე. გაბუებული იჯდა და უკმეხად გვიმზერდა. თავის მამასავით ფშუტურას ჰგავდა: თითქო შიგნეული გამოაცალეს და ჩაღვით გაავსესო.

— რა ვქნა, ეს რა დამეშართა!—წამოიძახა რუსიკომ—გაიცანით ერთმანეთი.—და ორივეს ვინაობა დაასახელა.

— მივხვდი, გავიგე—სთქვა თავზარაულმა და უნდილად ჩამომართვა ხელი.

— მეც მივხვდი.—ვუპასუხე და ისევ რუსიკოს მოვუბრუნდი:—წავიდეთ, თუ...

— წავიდეთ, წავიდეთ—დაფაცურდა ქალი—გვეყო.

— იქ დაჯექი—ჩავჩურჩულე ჩემს თანაშემწეს. შალვა ჩემს ალაგზე დაჯდა.

— პეტრე, აქ დაჯექი—უთხრა რუსიკომ თავზარაულს და წინა

საჯდომზე დასვა, თვითონ კი უკან შეხტა, ბალიშს ხელი დაჰკრა და თვალი მიყო. უმაღლ მივუჯექი და ავტოც დაიძრა.

რუსია გვერდზე ამეკრა და ჩამჩურჩულა:

— არც კი გცხვენია. ობოლი დამივიწყე და ერთხელაც აღარ გამიხსენე.

— ჩემი ბრალი არ არის, რუსიკო. თვალიდან დამეკარგე. მეც ბედის სათრეველა გავხდი და ველარსად შეგხვდი. შენა? შენი ამბავი მითხარი.

— ამას წინათ ქალაქში გადავედი. ეხლაც იქა ვარ.

— დედა-შენი?

— მომიკვდა—და ერთხელ კიდევ დაისველა მომწვანო თვალები. ჩვენს თვალწინ თავზარაულის ზურგი გაშლართულიყო—დაბლვერილი და უკბეხი.

რუსიკოს შევხედე და ამ ზურგზე ვანიშნე. უმაღლ მიმიხვდა, ტუჩებზე ხელი აიფარა და უსიტყვოდ მიპასუხა: არაფერი არ იცისო.

— არავინ?

— არავინ. არც დედამ იცოდა.

არც დედამ! აღტაცებული და გაოცებული შევცქეროდი დიდრონ კბილებსა და მომწვანო თვალებში. იშვიათი, თითქოს დაუჯერებელი ამბავი მესმოდა: ქალმა, შვიდი წლის ბავშვმა, ჩემი ჩანაგონი საიდუმლოება თერთმეტ წელიწადს შეინახა! შეინახა და იქ, ფასანაურის ხეობაში დამახვედრა.

— ყოჩაღ, ქალო! ბარაქალა! ვაშა!—ჩავჩურჩულე და ხელი მაგრად ჩამოვართვი. ჩამოვართვი და დიდხანს შევინახე. და მცირე ხნის შემდეგ პაწაწა ხელმა დაძახებას დაძახებითვე მიპასუხა: ხელი მომიჭირა და აღანძული სახე იქით მიიბრუნა.

შემდეგ, როცა მოიხედა და მომწვანო სხივები თვალებში მომანათა, წინამჯდომის დაბლვერილ ზურგზე ვანიშნე და ისევ უსიტყვოდ გამოვკითხე. პასუხად დიაცურად გამიღიმა და მხრები შეიშმუშნა.

— ხომ არ გათხოვედი, რუსიკო?

— ჯერ არა.

— ჯერ არა! მაშ...—და ისევ იმ ზურგს ჩავუქნიე თვალი.

რუსიკოს სიცილი ტყეში შევარდა.

— ნუ მაწვალე, რუსიკო!

— მე გაწვალე? როგორ? რით?

— ნუ ეშმაკობ!—უცებ ღიმილი მოვიშორე და ხელზე ხელი დავტაცე—ამას რამდენი უფლება აქვს?... ამდენი?—და თითებით ვანიშნე თავზარაულის და მანძილზე—მცირე, საშუალო და გრძელი.

მისი სიცილი ვერცხლის ზანზალაკივით აწკარუნდა.

ნუ დამიმალავ, რუსიკო! რამდენი, ბევრი თუ ცოტა?

ისევ მიმიხვდა და თითის ნახევარი მაჩვენა: ამ კაცს ჩემზე ამოდენა უფლება აქვსო.

— მე კი — და ორთავე მკლავი გავშალე — მე კი ამოდენა მაქვს, არა?

ჩაფიქრდა. შემომხედა და —

— აგრეთა. უფრო მეტიც, თუ ისიც ვიანგარიშეთ — და ხელი შავი კლდისაკენ გაიშვირა.

— და თუ არ ვიანგარიშე?

— მაშინ ამოდენა დაგრჩება. — და მკლავის ნახევარი მომიზომა. კინალამ გადავეხვიე: ამ დაბლვერილ ზურგს, ახალ თავზარაულს თითის ოდენა იმედი უნდა ჰქონდეს, მე კი წყრთის ოდენა, და თუ ისიც ვიანგარიშე, რომ რუსიკოს შავ კლდეზე სიცოცხლე ვაჩუქე, ეს ქალი თმის წვერებიდან კოჭებამდე მე მეკუთვნის, მე, მე! მე!!

— მაშ ყველაფერს ვანგარიშობ, ყველაფერს! — უკვე ხმამაღლა შევძახე და გაბუტულ ზურგს მუშტით დავემუქრე.

— ნაჩემარი ხარ, ქალაუ! — ისევ ჩავჩურჩულე — მაშინ თურმე ჩემი საბედო გადავარჩინე.

— ნაშენარი?

— დიად, ნაჩემარი, ნაჩემარი!

შუბლი დაიკეცა, წარბები გაიშალა, მძიმე რამ აზრი აისახა სახეზე და მწვანე თვალები თვალებში ჩამინათა. დიდხანს მიმხერდა და უსიტყვოდ მქექავდა. მერე ბალღურად ჩამაკვნესა:

— ნუ ხუმრობ, გივი.

— გეფიცები, არა ვხუმრობ.

პირი ტყისკენ მიიბრუნა და დადუმდა.

დანარჩენი კინოსურათივით დატრიალდა.

ფასანაურის პატარა რესტორანს პატარა ბალი აქვს. თავზარაულმა რუსიკო იმ ბალში შეიყვანა და სადილი მოითხოვა. მეც მივდექ-მოვდექი და უნებურად ფოთლიანს მივეფარე. უცებ შევდექი: ფოთლიანის მეორე მხრიდან რუსიკოს ჩურჩული მომესმა:

— გეუბნები, ჩვენთან უნდა დასხდენ მეთქი.

— მე მხოლოდ ჩემ ტოლთან ვჯდები სუფრაზე. — ჩაიბურტყუნა თავზარაულმა.

თითქო გველმა მიკბინაო. მოვტრიალდი, მაგრამ რუსიკოს ხმამ შემაყენა: „რას უპასუხებს ნეტა რუსია?“ — უმალ გავიფიქრე, და პასუხიც მაშინვე მომესმა:

— შენი ტოლი!.. რით არ არის შენი ტოლი?

— შოფერია.

— მერე რა! სამაგიეროდ ნასწავლიც არის და ზრდილიც.

— მაინც შოფერია. მე არასოდეს არ ვყოფილვარ დემოკრატი.

— სამაგიეროდ უმაღური ყოფილხართ.—და თქვენობითი ფორმა „ყოფილხართ“ ხაზგასმით გამოსთქვა.

— უმაღური? ჰოოო, მესმის, გავიგე, ბოდიშს ვიხდი. ეხლ-ლა გამახსენდა, რომ ოდესღაც სიკვდილისაგან გიხსნა. მაპატიე ჩემო კეთილო. ეეე... შოფერ! ბიჭო, დამიძახეთ შოფერებს!

ფოთლიანიდან გამოვედი და თავზარაული თვალით გავზომე. მღუღარე ბრაზი მახრჩობდა. მაგრამ რის მაქნისია მარტო ბრაზი! გეგმა მინდოდა, მოქმედების გეგმა!

— რა გნებავთ?

— თქვენც აქ დასხედით. ერთად ვისადილოთ.

— გმადლობთ, ბატონო ჩემო.

— დასხედით მეთქი!—და ხმაში ბრძანების კილო ჩაასხა.

— ჩვენთვის რა საკადრისია თქვენთან სადილობა!—და მოსამსახურეს მივუბრუნდი — აქ გაგვიშალე.

სამი ნაბიჯის მანძილზე მეორე სუფრა გავაშლენე. ცალ-ცალკე დავსხედით და სადილს შევუდექით. ორივე მაგიდაზე ეწყო შეუქმელი მწვადი, მყინვარის სუსხი, მკვახე ღუმილი და ჩვენი დაბლვერილი თვალები.

გამწარებული ვიჯექი და რუსიკოს შევცქეროდი: ნეტა რა მანძილია ჩემსა და ამ ქალის შორის? სად ვნახო, როგორ დავუხვდე და საიდან მოვუარო“? ვფიქრობდი, მაგრამ ვერაფერი მოვიგონე რადგან ბრაზი ვერაფერი მრჩეველია. სამაგიეროდ მტკიცედ გადავწყვიტე: ვერა, თავზარაულო, ვერ დაგიტმობ დიდკბილას და თვალ-მომწვანო რუსიკოს! დეე ძალამ გადასჭრას ჩვენი დავა!

მაგრამ დავა უფრო ადრე და ადვილად გადაწყდა ვიდრე მეგონა.

მოსამსახურემ ორი ანგარიში მოიტანა. თავზარაულმა ორივე ჩამოართვა და ხელი ჯიბეზე გაიკრა.

— ჩემი ანგარიში მე მომეცი!—დავუძახე მოსამსახურეს.

— ნუ სწუხდებით.—მომიბრუნდა თავზარაული—რუსიკოს გადამრჩენს ერთი სადილი მაინც ერგება.

რუსიკოს გადავხვდე. შეკრთა და აიმრიზა.

— ერთი სადილი?—და მეტის თქმა ველარ მოვახერხე.

— გეცოტავათ? რა თქმა უნდა მეტი ღირს. მოვრიგდებით, გადაგიხდით. — და მსახურს ფულის დასტა გაუწოდა.

ერთხელ კიდევ ვიგრძენი ღველფის შემოყრა. წამოვიჭერი, მსახურს ფული გამოვტაცე და ძლივს ამოვიხრიალე:

— გადამიხდით?

— დიახ, გადაგიხდით.

— აგრე იყოს! ჯერჯერობით კი მე თვითონვე გადაგიხდით.

და ის დასტა მძლავრად გავკარი ფშუტურა ცხვირზე — ერთხელ! ორჯელ! და მესამეჯერაც მივაყოლე.

შავი კლდის ამბავი თერთმეტი წლის შემდეგ განმეორდა ფასანაურში. ოღონდ ეხლა ნამის ნაცვლად შვილი შემომელახა, და სალდათების მაგიერ შალვას დასტური მომესმა:

— აგრე! აგრე, გენაცვალოს ჩემი თავი! ერთიც მივაყოლე ჩემ მაგიერ ერთიც!

და შალვას მაგიერიც მივაყოლე.

დანარჩენი სწორედ ერთ წამში დატრიალდა და დასრულდა. თავზარაულს ფორთოხლის ფერი დაედო. სავსე ბოთლს დასტაცა ხელი, მაგრამ ჩემს ხელში ბრაუნინგს რომ მოჰკრა თვალი, ბოთლი ჩაუვარდა და გაშეშდა.

— შალვა! — შევძახე და თვალი ავტოზე ვანიშნე.

იმავ წამს მარცხენა ხელი რუსიკოს წელზე მოვხვიე და გამოვწიე. უკან ვიხევდი, თან ქალს მოვათრევდი და თავზარაულის შუბლს ბრაუნინგს არ ვაშორებდი.

— არ შეინძრე, თორემ...

არავითარი „თორემ“ საჭირო აღარ იყო: თავზარაული პირლია იდგა, წამწამებს ახამხამებდა და ბლუკუნებდა:

— დადადაიცა... არ მემემესროლო. მე არარაფერი...

და მართლა აღარაფერი არ შეეძლო.

რუსიკო თან მიძალიანდებოდა, თანაც მომდევდა.

— გივი, რა დაგემართა!.. რას სჩადიხარ!.. რა გინდა ჩემგან! ხელი გამიშვი!..

უცებ გაიგო რაც მინდოდა. აფართხალდა, მგონი განგებ, მაგრამ დაუგვიანდა: ჩემი ავტო იქვე იდგა და შალვაც უკვე საჭეზე იყო მიკრული.

ავტოს კარი გავაღე და ქალი თითქმის შევაგდე. მეც შევხტი და დავძახე:

— შალვა, გარეკე!

ავტომობილი კლდის ქვასავით მოსხლდა. უცებ მივიხედე. თავ-
ზარაული იქვე იდგა და პირლია შემოგვცქეროდა.

რუსიკო თევზივით ფაცურებდა და ლულლულვებდა:

— გივი!.. პეტრე!.. დაიცა .. რას შვრები, გივი!

ძალით დავსვი და მოვეხვიე:

— იჯექი! ნუ ჰკივი!

ისიც იჯდა და ტიროდა. ავტო კი გრიგალივით მოჰქროდა და
მტვრის კუდი მოჰქონდა.

რუსია ჯერ ტიროდა, ბორგავდა, იმუქრებოდა. მერე დადუმდა. შემ-
დეგ გამიღიმა. ბოლოს კი ისეთი კასკასი ასტეხა, რომ ავტოს გუგუ-
ნიც კი დააყრუა.

ანანურის წვრილმანებში, გზა რომ იკლაკნება, თავი მოვუბ-
რუნე და ფოთლიანით უფრო მეტად ჩამწვანებულ თვალეებში დიდ-
ხანს ვუმზირე. შემდეგ დავწვდი და მისი კბილები—კრიალა და
დიდრონი კბილები—ჩემს ტუჩ-კბილებს გავაცანი და...

და მეორე დღეს ნაჩქარევი ქორწილი გადავიხადე.

* *
*

აგრე, მეგობრებო! ვაჟკაცის გულს ათი უღელი კამეჩიც ვერ
დაიმაგრებს, თუ... თუ ქალის პაწაწინა გულიც მიეშველა.

მშვიდობით, ბატონებო! დიდება და მადლობა თქვენს გულსაც
და სუფრასაც! რა ბრძანეთ? ერთი ყანწი კიდევ დავცალო? იყოს ნე-
ბა თქვენი. გამშრალ პირს მუდამ მოუხდება... აჰა, ძირში ჩავხედე.
ნახვამდის, მეგობრებო, მხოლოდ ნახვამდის—ახალ სუფრამდე, რო-
მელიც შეიძლება უჩემოდ გაიშალოს, მაგრამ უჩემოდ ვერასოდეს ვერ
დასრულდეს! ეხე—ხე!

ორეგუარ, მეზ ამი! სალამათ, იოლდაშებო, სალამათ!

— : —

წერილები

პროფ. შალვა ნუცუბიძე

მასშტაბური და კულტურული რევოლუცია.

დღეს ოქტომბრის რევოლუციის მეტერთმეტე წლის თავზე, კულტურულ რევოლუციაზე ლაპარაკი ერთ უაქტუალეს და მომქმედ საკითხათ უნდა ჩაითვალოს, რადგან რევოლუციის განვითარების დღევანდელ ეტაპზე სწორედ კულტურის პრობლემაა ყველაზე წინ წარმომდგარი. ცხადია, რომ კულტურულ რევოლუციის პრობლემა თავის თავად და დამოუკიდებელი არ არსებობს, ნათელია, რომ კულტურა, როგორც მორიგი ამოცანა სხვა ძირითად ამოცანების შენაცვლებას და მათ მაგიერობას კი არ ნიშნავს, არა იგი აღმოცენებულია სოციალისტურ აღმშენებლობის და მის საფუძვლად დებულ საწარმოო ძალთა განვითარებისა და სოციალისტურ ორგანიზაციის სწორედ იმ გარკვეულ ნიადაგზე, რომელმაც თვით შეამზადა ამ საკითხის წამოჭრა. კ. მარქსი ამბობდა და ეს მარქსიზმის ერთი ძირითადი მომენტთაგანია, რომ მოვლენათა ობიექტიური რიგი, რომელიც ისტორიულ განვითარებაში გარკვეულ პრობლემას აყენებს მისი გადაჭრის საშუალებასაც ამზადებს და ამ პირობის გარეშე არ ხდება არც კრიზისი, არც რევოლუცია და არც „საზოგადოებრივ ფორმაციათა“ ცვლა ისტორიაში. იგივე წესი ვრცელდება იმ „საზოგადოებრივ ფორმაციაზე“, როგორსაც წარმოადგენს ჩვენი დრო და მისი ერთი ელემენტთაგანი—კულტურული რევოლუცია. ამიტომაც, ოქტომბრის რევოლუციიდან დაძრულ სოციალურ ძალთა გაშლაში და უპირველესად ყოვლისა ამ ძალთა განვითარების შუა ხანაში—სამრეწველო და საზოგადოდ სამეურნეო აღმშენებლობაში უნდა იპოვნებოდეს ის ძალებიც, რომელიც კულტურულ რევოლუციის საკითხის როგორც დასმის, ისე გადაჭრის შესაძლებლობას შეამზადებს.

ოქტომბრის რევოლუცია და მისი უშუალო განვითარება სამოქალაქო ომის ქარცეცხლში, როგორც პირველი საფეხური, რომლის შინაარს კლასთა ბრძოლის სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაში გაშლა შეადგენს—იმ ეპოქის პირველი საფეხურია, რომელიც ოქტომბრის რევოლუციიდან განვლილ დროს წარმოადგენს; მეორე საფეხურია

დაცემულ და იმპერიალისტურსა და სამოქალაქო ომებით განადგურებულ მეუნეობის რეკონსტრუქცია.

მესამე საფეხურია — კულტურულ ფრონტის გაშლა, კულტურულ რევოლუციის ლოზუნგის გამოცხადებასთან ერთად მისი საქმით ჩატარებაც და შესრულების ცდა, სწორედ ეს უკანასკნელი ამოცანა, განვლილ ეპოქის უკანასკნელ ნაკვეთის სახით მოვლენილი, წარმოადგენს იმ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას, რომლის დამოკიდებულება საერთოდ ოქტომბერთან უნდა გარკვეულ იქნას.

კულტურაზე ამ თერთმეტი წლის განმავლობაში, რა თქმა უნდა, ლაპარაკი ყოველთვის იყო. ყოველი მარქსისტის ცნობიერებაში რამდენათაც მისთვის ეკონომიურ ბაზისის და იდეოლოგიური ზედნაშენის განუუქმებელი კვანძი არსებობდა, ახალ შესაქმნელ ეკონომიურ სიტუაციაში ახალი იდეოლოგიური პრობლემები ისახებოდა და ამით კულტურის საკითხიც ნათლად იშლებოდა. ეს, ასე ვთქვათ საერთოდ ფაქტიურად უკვე 1918 წლის 25 აგვისტოს ე. ი. პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის, რამოდენიმე თვის შემდეგ ვ. ი. ლენინი გამოდის მასწავლებელთა ყრილობაზე განსაკუთრებული სიტყვით, რომლის თემას სოციალისტური აღმშენებლობა და კულტურის საკითხები შეადგენს. ასეთივე ხასიათისაა ვ. ი. ლენინის მოწოდება, 1919 წლიდან წერა კითხვის მცოდნეთა მობილიზაციის შესახებ წერა კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ. კიდევ უფრო გარკვეულია ახალგაზრდობისადმი მიმართვა ვ. ი. ლენინისა, სადაც ნათქვამია: „თქვენ იცით, რომ წერა-კითხვის არ მცოდნეთა ქვეყანაში სოციალიზმის აშენება შეუძლებელია“ და კვლავ მოუწოდებს კულტურულ-განმანათლებელ მუშაობისაკენ. ასეთი და ამისდაგვარი მიმართვა კულტურის საკითხისაკენ მუდამ იყო ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ ამით ჯერ კიდევ არაა დასმული ის სპეციფიური საკითხი, რომელსაც კულტურული რევოლუციის პრობლემა ეწოდება. ცხადია, კულტ განათლებისაკენ მიმართული ყოველი ნაბიჯი კულტურულ რევოლუციის განხორციელებისკენაა მიმართული მაგრამ ეს მხოლოდ სამზადისია კულტურულ რევოლუციისათვის, მისთვის აუცილებელი და საჭირო მასალა, მაგრამ არა თვით კულტურული რევოლუცია.

მეორეს მხრივ, კულტურულ რევოლუციის პრობლემა მხოლოდ შორეულად, ასე ვთქვათ, შემოვლით და არა პირდაპირ უკავშირდება იმ აზრთა გაცვლა-გამოცვლას, რომელიც პროლეტარულ კულტურის შესახებ სწარმოებდა. მართალია პროლეტარულ კულტურის საკითხიც იმავე კულტურის პრობლემას უკავშირდებოდა და როგორც

სოციალისტურ რევოლუციის ერთი ელემენტიაგანი თითქოს კულ-
ტურულ რევოლუციის ერთი ეტაპი უნდა ყოფილიყო. ნამდვილად
კი ასეთი პირდაპირი კავშირი არა სჩანდა არც ტროცკის და არც
ბოგდანოვის სებურ პროლეტკულტის კონცეპციაში. ერთი სო-
ციალისტურ კულტურის სახელით სავსებით აუქმებდა პროლეტარულ
კულტურის ღირებულებას, მეორე „საერთო ორგანიზაციულ“ პრინ-
ციპზე დამყარებით კულტურის მოვლენებში და კერძოდ ხელოვნება-
ში მხოლოდ ასეთ გამოყენებითი, „ორგანიზაციულ“ მომენტს ხედა-
ვდა. მთელ ამ აზრთა სხვაობას რევოლუციის გარკვეულ ეტაპისა-
თვის დამახასიათებელ აქა-იქ დასაყრდენის ძეგლის მეტი დადებითი,
არაფერი გააჩნდა და იმავე რევოლუციის განვითარების მოთხოვნაა,
რომ დიდხანს ასეთი სიტყვიერი ომი არ გრძელდებოდეს „რათა სა-
ქმე არ შედგეს და არ შეფერხდეს. სწორედ ამით აიხსნება, სხვათა-
შორის, ვ. ი. ლენინის განცხადება 1923 წ.: „ვიდრე ჩვენ ვლა-
ყობდით (ნოშთალი) პროლეტარულ კულტურაზე და მის დამოკიდე-
ბულებაზე ბურჟუაზიულ კულტურასთან ფაქტებმა გადაგვიშალეს ცი-
ფრები, რომ ბურჟუაზიულ კულტურის მიმართაც ჩვენი საქმე მოისუ-
სტებს“-ო.

აქ ლენინი ერთსა და იმავე დროს ორ გარემოებას უსვამს
ხაზს 1) რომ პროლეტარულ კულტურაზე უნაყოფო ლაპარაკი ცა-
რიელ „ლაყობად“ იქცა და 2) რომ პროლეტარულ კულტურაზე
ლაპარაკამდე საჭიროა ბურჟუაზიულ კულტურის ცოდნის საქმის მო-
გვარება. პირველი უდავოა; რაც შეეხება მეორეს ვ. ი. ლენინი
რომ სწორედ ასე ჰფიქრობდა იქედან სჩანს, რომ ჯერ კიდევ 1920
წელში იგი ამბობდა „პროლეტარული კულტურა უნდა იყოს იმ ცო-
დნის კანონზომიერი განვითარება, რომელიც კაცობრიობამ შექმნა
კაპიტალისტურს, ბატონყმურს და მოხელეთა საზოგადოების უღელ
ქვეშ“.

ამის მიხედვით ნამდვილი ლენინისტური იყო ის პოზიცია, რო-
მელიც ეჭირა პროფ. ლუპელს კულტურულ რევოლუციის შე-
სახებ მოსკოვში 9 აპრილს 1928 წ. გამართულ დისპუტზე. ის ამ-
ბობს: „მომავალ სოციალისტურს კულტურის ამოსავალი წერტილი
არის არა ცარიელი ადგილი, არამედ კაპიტალისტურ საზოგადოების
კულტურა“. ცხადია, რომ კულტურა ვერ იქნება პროლეტარიატის
მიერ დოგმატიურად შეთვისებული, პირიქით აქ საჭიროა კრიტიკა
და კრიტიკა დაუნდობელი, როგორც თვითონ ავტორიც აღნიშნავს
(„Научный работник“ მოსკოვი, № 5—6, 1928 წ. გვ. 48,9),

ამ რიგად კულტურულ რევოლუციის ერთი აუცილებელი ელე-

მენტია პროლეტარიატის მიერ იმ მარაგის დაპატრონება, რომელიც რჩება კაპიტალისტურ საზოგადოებას, რომელიც მას გააჩნია. ამით კულტურული რევოლუცია რევოლუციის საერო ხაზზე რჩება: პროლეტარიატი, რევოლუციონურის გზით ძალა უფლების მომპოვებელი თანდათანობით ეპატრონება ბურჟუაზიულ საზოგადოების მარაგს, მათ შორის კულტურულს. რევოლუციის და „საზოგადოებრივ ფორმაციათა“ ცვლის თვალსაზრისით აქ განსხვავება არაა. კულტურულ რევოლუციის განსხვავება რევოლუციის სხვა ფრონტებისაგან განისაზღვრება სხვა არაფრით, გარდა იმისა, რაც თვით ამ კულტურის შეთვისებასა და გადამუშავებასთან არის დაკავშირებული.

ოქტომბრის რევოლუციიდან ე. ი. 1917 წლ. დღემდე განვილილმა გზამ კულტურულ რევოლუციის პრობლემა ერთ-ერთ საფეხურზე წამოაყენა, მაგრამ თვით ამ საფეხურისათვის კულტურული რევოლუცია გარედან მოვლენილი და შემთხვევითი არაა, ეს ნაწილობრივ უკვე გაირკვა, მაგრამ საკითხის ახლობლივ კიდევ ერთ ახალ მხარეს შლის. მეურნეობის რეკონსტრუქცია და საზოგადოთ მეურნეობის ფრონტი იყო ჩვენს მიერ აღებული ეპოქაში ერთგვარი წინამძღვარი და პირობა კულტურულ რევოლუციის ამოცანისათვის. მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, თითქოს აქ ცალმხრივი დამოკიდებულებაა. პირიქით, კულტურა თვით წარმოადგენს მეურნეობის რეკონსტრუქციის ერთ აუცილებელ კომპონენტს ე. ი. თანხლებულს და ხელის შემწყობ გარემოებას, რომლის გარეთ, როგორც ამას ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა, სოციალიზმის აშენება შეუძლებელია. (იხ. ოქტომბრის 1920 წლ. მოწოდება ახალგაზრდობისადმი).

ვ. ი. ლენინის პროგნოზს ე. ი. რომ განათლებას და კულტურას კავშირი აქვს თვით მეურნეობის წარმატებისათვის და ამდენად განათლების საქმე იმავე დროს წარმოების ერთი განუყოფელი ელემენტია, – სავსებით ამართლებს ოქტომბრის რევოლუციის ნიადაგზე წარმოებული სამეურნეო პრაქტიკის დაკვირვება. ასე მაგ. ამხ. ს. სტრუმილინის ნაშრომის, „სახალხო განათლების სამეურნეო მნიშვნელობა“ მიხედვით განათლების (და მაშასადამე, კულტურის) მეოხებით შრომის ნაყოფიერების აწევა სჭარბობს სახელმწიფოს მიერ განათლებაზე გაწეულ ხარჯებს 27,6 ჯერ. იმავე ანგარიშით სახელმწიფოს მთელი დანახარჯი განათლებაზე ნაღდდება უკვე პირველ წლინახევრის განმავლობაში და შემდეგი 35,5 წლიდან (იმ 40 წლიდან, რომელიც მიღებული აქვს ავტორს ნორმალ სამუშაო ხანათ) სახელმწიფოს ყოველწლიურად რჩება ამ კაპიტალზე 73%.

წლიური წმინდა მოგება. (მოყ. კომაკადემიაში ამხ. კრიჟანოვ-სკის მოხსენების რეფერატის მიხედვით „Ком. револ. Москва, 1928 წ. № 13). აქედან ნათელია, როგორ და რა სახით იქცევა მეცნიერების და შრომის კავშირი იმ რეალ ღირებულებად, რომელიც სოციალისტურ აღმშენებლობის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს და რომლის შესაძლებლობა ოქტომბრის რევოლუციით იწყება და სახიერდება.

ჩვენი კავშირის ინდუსტრიალიზაციის საკითხი, როგორც სასიცოცხლო ძარღვი სოციალისტურ აღმშენებლობის და მეურნეობის რეკონსტრუქციისა უდაოა და დაკავშირებული მეცნიერებასა და კულტურასთან, ეს ასე არა ამა თუ იმ გარეგნულ და შემთხვევითი მოვლენების მიხედვით (შახტის საქმე და სხვ.) — არა ეს ასეა არსებითად იმდენად კულტურული და ტექნიკური რევოლუცია ამ ნაწილში ოქტომბრის რევოლუციის ნიადაგზე აღმოცენებულ საქმიანობისა ხელიხელ ჩაკიდებული მიდიან წინ. ცხადია, რომ ასეთ კავშირს ყველაზე კარგად ამჩნევენ ამ საქმიანობის ახლო მდგომნი. მ. ი. ლაპინოვ-სკობლო თავის წერილში „კულტურული და ტექნიკური რევოლუცია“ (Н. пар., 1928 წ. № 13) ამბობს: „კულტურულ და მასშტაბთან მჭიდროდ დაკავშირებულ ტექნიკურ რევოლუციის პრობლემა აყენებს ჩვენს წინ მთელ რიგ ძირითად ხასიათს ამოცანას“. იმავე ავტორის ცნობებით განსაკუთრებით განვითარდა კავშირის მასშტაბით ქიმიის შესწავლის საქმე და, რაც საინტერესოა, არა ქიმიის გენერლების“ ე. ი. ქიმიკოს — მკვლევართა და აღმომჩენთა გამრავლების ხაზით, არამედ ქიმიკოსთა არმიის შექმნის სახით. ამის მიზეზად დასახელებულია საკვლევადიებო ინსტიტუტების შექმნა, უმაღლეს სკოლაში ქიმიის კათედრების გამრავლება და განსაკუთრებით მეცნიერულ მუშაობის კოლლექტივიზაცია.

ამ რიგად კ. მარქსის ცნობილი აზრი, რომ გარკვეულს პირობებში იღეა იქცევა ეკონომიურ ძალად ჰპოულობს თავის გამოხატულებას ჩვენი სინამდვილის იმ მომენტში, სადაც კულტურა და განათლება ერთვის წარმოებას, როგორც ერთი კომპონენტი და პროდუქციაში თავის ეკვივალენტ გამოხატულებას აღწევს. ის რაც ამ შემთხვევაში შრომის და მეცნიერების მექანიკურ კავშირს ახასიათებს, კარგად იცოდა და იცის ბურჟუაზიულმა ქვეყანამ (ცივილორიზმისა და სხვ. სახით), ხოლო შრომის და მეცნიერების კოლლექტივიზაცია და, მაშასადამე, მათ შორის ორგანიული კავშირი ოქტომბრის რევოლუციის ნამოქმედარია და მთელი შემდგომი თერთმეტი წლის პრაქტიკის მიღწევად უნდა ჩაითვალოს. კულტურა

და განათლება არა მეტი ექსპლოატაციისათვის, არამედ სოციალისტურ თანამშრომლობისათვის. ასეთია აქ ძირითადი განსხვავება.

მაგრამ შეცდომა იქნება, თუ კულტურულ რევოლუციის დახასიათება მარტო იქ ვეძიეთ, სადაც განათლებისა და წერაკითხვის გავრცელების საკითხია მოთავსებული. ხშირად ჰგონიათ, რომ პროლეტარიატის ამოცანა კულტურულ რევოლუციაში „განათლების მიღებით“ განისაზღვრება. თუ პროლეტკულტის ირგვლივ ატეხილ დავაში მხოლოდ სამზადისია კულტურულ რევოლუციისათვის და მეტი არაფერი, თუ ინდუსტრიალურ—სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება სწავლისა და მეცნიერების მხოლოდ ერთი ხელის შემწყობი ელემენტიაგანია სოციალისტურ კულტურის შემუშავებისათვის, თუ ეს ყველაფერი მხოლოდ ასეა და მარლთაც ასეა, ცხადია, რომ „კულტურულ-განმანათლებელი“ თვალსაზრისით და მიდგომით მთელი კულტურულ რევოლუციის ამოწურვა უმართებულო და შემცდარი იქნება. არ კმარა მარტო იმის თქმა როგორც ეს ამხ. კერჟენცევს ნოსდის თავის მოხსენებაში: „კულტურული რევოლუცია და თეატრის ამოცანები“, რომ კულტურულ რევოლუციის ამოცანას შეადგენს რაც შეიძლება ფართო მასების კულტურისათვის ზიარება. მართალია თავის დროზე, როგორც ვიცით ვ. ი. ლენინი ბევრსა და ხაზგასმითაც ლაპარაკობდა განათლების და წერაკითხვის მნიშვნელობაზე, მაგრამ მას არსად არ უთქვამს, რომ კულტურული რევოლუციის ელემენტი ყოფილიყოს, მას კარგად ჰქონდა, რა თქმა უნდა, განათლების მნიშვნელობა გათვალისწინებული, მაგრამ კულტურულ რევოლუციაზე ლაპარაკის დროს ხაზს უსვამდა „ყოფა—ცხოვრებას“, „ცხოვრების ნაირობას“ — რუსულად „быть“, „привички, навыки, идей“, „привычки, навыки, убеждения“. ყველა ამ ცნებას თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია და ყოველ შემთხვევაში თითოეული მათგანი და ყველა საერთოდ გაცილებით უფრო დიდი მოცულობისაა, ვიდრე განათლება და „კულტურისათვის ზიარება“.

ამიტომაც, წმინდა ლენინისტური თვალსაზრისით კულტურის ბალანსი (და მასთან კულტურულ რევოლუციისაც) დამთავრებული და ჩამოყალიბებული ცნებაა. ესაა მთელი ყოფა-ცხოვრება, თავისი იდეოლოგიით, ჩვეულებით, რწმენით (და არა სარწმუნოებით) და ნაირობით. სოციალისტურ აღმშენებლობაში ყველა ამან თავისებური, სრულიად განსაკუთრებული განსახიერება უნდა მიიღოს და გზა მისკენ არის, გზა კულტურულ რევოლუციისა. თუ ეს თვალსაზრისი

გარკვეულად მიღწეული არაა, თუ ფართო მასებში განათლების გავრცელებისა და კულტურისათვის ზიარების (კერძენ ცევი) თვალსაზრისზე დავრჩით, მაშინ, აქ ყველაფერია გარდა რევოლიუციისა და საქმის მთელი გასაქანი „საგანმანათლებლო ლიბერიალიზმით“ ამოიწურება, რომელსაც საკმაოდ დიდი ჰასაკი აქვს, ხოლო სწორედ მასის თვალსაზრისით მეტად მცირედი მიღწევანი.

ყველა ამის მიხედვით ირკვევა, რომ კულტურულ რევოლიუციის ცნებაში მრავალი მომენტი იყრის თავს, რომელთა განსხვავება და განცალკევება საჭიროა როგორც მეცნიერულად, ისე პოლიტიკურად, კულტურა, როგორც საერთო საგანმანათლებლო ცნება—ასეთია პირველი ელემენტი კულტურულ რევოლიუციის, მხოლოდ აღებული არა განცალკევებულად და თვითარსებულად, არამედ მთელ პროცესთან დაკავშირებით, რომელიც ანბანის ცოდნის გავრცელებით იწყებს, მაგრამ მარტო კვალიფიკაციის აწევა და ამით პროლეტარიატის უფრო ხელსაყრელი ექსპლოატაცია კი არ აქვს მიზნად, არამედ სოციალიზმის საბოლოო მიზნები, მისთვის თანამშრომლობა და მისი მოახლოება. ასე ესმოდა ლენინს განათლების მნიშვნელობა, ასეთ გადანასკვაში განათლებისა და სოციალისტურ აღმშენებლობისა დასახა მან კულტურულ რევოლიუციის პრობლემა ჯერ კიდევ თავის სიტყვაში განათლების მუშაკთა ყრილობაზე 1918 წელს. მეორე ელემენტი კულტურულ რევოლიუციისა, რომელიც აგრეთვე სოციალისტურ აღმშენებლობის საბოლოო მიზნების ასპექტში უნდა იქნას წარმოდგენილი, არის განათლებისა და კულტურის გაგება, როგორც ეკონომიურ ძალისა, როგორც საწარმოო ძალთა განვითარების წარუხოცელ ელემენტებისა. მესამე და დამამთავრებელი ელემენტი, რომელიც, როგორც ასეთი, უშუალოდ უკავშირდება სოციალისტურ შენებას და მის შინარსში შედის, არის ეხლახან გამორკვეული ცნება კულტურულ რევოლიუციისა. იმ ისტორიულ განვითარების გასაგებად, რომელსაც წარმოაწდგენს ოქტომბრის რევოლიუციის შემდგომ განვლილი ხანა, აუცილებელია ამ სამი ელემენტის ერთი მეორისაგან განსხვავება და მათი როგორც ცალკე, ისე სინთეტიურად, გაგება ხოლო ამ გაგებით იშლება თერთმეტი წლის პერსპექტივაში თანდათან ზრდა სოციალისტური საქმიანობისა და მასთან ერთად კულტურულ რევოლიუციის აქტუალურ სინამდვილედ გარდაქცევა.

ცხადია, რომ კულტურულ რევოლიუციის გაშლა ოქტომბრიდანვე იწყება, ხოლო შემდეგი მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი უფრო ელემენტარ და მარტივ ფორმიდან, უფრო მნიშვნელოვან და

რთულ ფორმებისაკენ ისწრაფის. ამ თანმიმდევრობასაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ საერთო ტენდენციის ხასიათი აქვს. მართლაც, თუ ერთის მხრივ წერაკითხვის პრობლემიდან მუშათა ფართო წრეები ჯერ მუშათა ფაკულტეტების საშუალებით და შემდეგ უმაღლეს სკოლის გზით კვალიფიკაციის და განათლების უმაღლეს პოზიციამდე ავიდა, მეორეს მხრივ იგივე წერაკითხვის პრობლემა მწვავე სახით სდგება განმეორებით. ამხ. ნ. კრუპსკაია გოდებით აღნიშნავდა მოკლე ხნის წინ წერა-კითხვის უცოდინარობის ერთგვარ შეუდრეკელ სტაბილიზაციას. ჩვენშიც, საქართველოს განსახკომის მოხსენებაში განათლების მუშაკთა ამა 1928 წლის ყრილობაზე, აღნიშნული იყო, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ვერ მიდის სასურველი სისწრაფით წინ. მაგრამ ასეთი მდგომარეობა, გამოწვეული მთელ რიგ გარემოებათა მეოხებით, არ აუქმებს და ვერც გააუქმებს ოქტომბრით შექმნილ ამ საერთო ტენდენციას, რომ გზა უმდაბლეს ცოდნადან—წერა-კითხვიდან—უმაღლეს ცოდნამდე გაიხსნა და გაიმართა.

უნდა არსებითად განვასხვავოთ ერთი მეორისაგან ორი მოვლენა: რის შესაძლებლობა შექმნა ოქტომბრის რევოლუციამ და რის განხორციელება გვიანდება ან სავსებით ვერ ტარდება სინამდვილეში პირველი საკითხი—ოქტომბრის რევოლუციის, მისი ამოცანების, მისი სოციალ-ეკონომიურ აგებულობის დახასიათებას შეიცავს; მეორე საკითხი კი სდგას პირველის გარეთ, ან, ყოველ შემთხვევაში, განცალკევებულია მისგან თავისი ცნებით და განისაზღვრება იმ ფაქტიურობით, რომელიც დროისა და სივრცის პირობებს უკავშირდება. ყოველ შემთხვევაში ეს პირობის და არა პრინციპის საკითხია. ოქტომბრის რევოლუციით სახელმწიფო ძალა-უფლებას დაპატრონებულ პროლეტარიატს რომ სხვაგვარი ეკონომიური (და კულტურულიც) მემკვიდრეობა დახვედროდა, ადვილი გასაგებია, რომ განვლილი თერთმეტი წლის ფაქტიური სახე და მაღწევათა მარაგიც სხვა იქნებოდა. ეს მოხდებოდა რევოლუციის მთელი ფრონტისა და, მაშასადამე, კულტურულ ფრონტის გასწვრივაც. ამის მაგივრად, პროლეტარიატს დახვდა იმპერიალისტურ წომისაგან გავერანებული და გაძვალტყავებული ქვეყანა, რომელსაც სამოქალაქო ომმა და მის მეოხებით პატენტურმა (დაფარულმა) საგარეო შემოტევამაც, უკანასკნელი სასიცოცხლო ნიშანი წაართვა და რის გამო უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაწრეტილი შეუდგა ახალი და მძიმე საქმის კეთებას. ამით აიხსნება რომ თერთმეტი წლის განმავლობაში რევოლუციონურ შემოქმედებას ყოველთვის აქტიური ბალანსი არ აქვს, მაგ-

რამ შეცდომა იქნება ამის მიხედვით იმ პერსპექტივებისა და შესაძლებლობათა უგულებელყოფა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციით იწყება, ჩვენს წინ იშლება და ჩვენგან აქტიურ საქმიანობას მოითხოვს.

კულტურულ რევოლუციასა და პოლიტიკურ რევოლუციას შორის ერთი ძირითადი განსხვავებაა, რომელიც თვით კულტურულ რევოლუციის ცნებასაც უფრო ახლობლივ არკვევს და განვლილი ხანის შეფასებაშიაც კიდევ ერთ დასაყრდენს იძლევა. განათლებასა და კულტურას თავის თავად ყოველთვის ახლავს ერთგვარ ახალ პერსპექტივების გაშლა. კიდევ მეტი—ხშირად ლაპარაკობენ რევოლუციაზე ტექნიკაში, მეცნიერებაში სოფლგაგებაში და სხვ. არის თუ არა ასეთ შემთხვევებში ხმარებული ცნება რევოლუციისა იგივე, იმასთან შედარებით რასაც ჩვენ დროში კულტურულ რევოლუციას ვეძახით? ცხადია, რომ არა. მეცნიერებასა და ტექნიკას შეუძლია ძირეულად შესცვალოს მანამდე არსებული წარმოებისა და სოფლგაგების ფორმები, მაგრამ მასა მის გარეთ დარჩეს; ამიტომაც იყო, რომ ვ. ი. ლენინი „ყოფა-ცხოვრებასა“ და სხვ. ლაპარაკობდა და მხედველობაში მშრომელი მასა ჰყავდა. აქედან ნათელია, რომ არც ტექნიკისა და მეცნიერების განვითარება თავისთავად და არც „განმანათლებელი“ მუშაობა ან პროლეტარიატის „კულტურისადმი ზიარება“ არ ამოსწურავს კულტურულ რევოლუციას. უკანასკნელი არის მაშინ, როდესაც მთელს ტექნიკურსა და მეცნიერულს მონაცემს ერთვის პოლიტიკური ძალა, უფლების მშრომელთა მიერ დაპყრობა ე. ი. კულტურული რევოლუცია შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოქტომბრის რევოლუცია მოხდა და პროლეტარიატი სახელმწიფო ძალა-უფლების მესვეური და მპყრობელი გახდა. ასეთია ის განუუქმებელი დასკვნა, რომელსაც იძლევა მთელი ზემოდ წარმოებული ანალიზი.

ოქტომბრის რევოლუციამ შესთქვა ისტორიის კარი, რომელიც მასის კულტურისათვის დახშული იყო და რევოლუციონურ შემოქმედების შემდგომი გაშლის პროცესში სოციალისტური აღმშენებლობა და კულტურული რევოლუცია ერთი მეორეს გადაანასკვა. კულტურა პლიუს პროლეტარიატის დიქტატურა, ასეთია ჩვენს სინამდვილეში კულტურულ რევოლუციის სახე.

ამ საერთო ნიადაგზე გასაგები და მისაღებია ყველა იმ საკითხების მნიშვნელობა, რომლებიც აღნიშნული აქვს ამხ. ლუნაჩარსკის თავის სიტყვაში კულტურულ რევოლუციის შესახებ, საკითხები ახალი იდეოლოგიისა, ანტირელიგიურ აღზრდისა, ოჯახის და სქესის

პრობლემა, კულტურა ჰიგიენური და მთელი ცხოვრების ადათისა და აღნაგობის გასწვრივ. აქ იშლება ვეებერთელა არე იმ სამუშაოსი, რომელიც დიდ ენერჯიას, დიდ სიფაქიზეს და ასეთსავე სიფრთხილეს მოიხზავს. ახალი ადამიანის გაგებაში, რა თქმა უნდა, სავსებით უნდა ამოღებულ იქნას მომენტები, რომლებიც საიდუმლო და უწვდომელ ძალებისადმი მორჩილებაში ისახება. კლასობრივ მონობის დამსხვრევა სრული ვერ იქნება თუ შენარჩუნებულ იქნა იდეოლოგიური მონობა უხილავისადმი. სოციალისტურ კულტურის ერთი დიდი ამოცანა იმ ფეტიშის დამსხვრევაა, რომლის სოციალური ძირი საქონლის ფეტიშიზმია და რომლის განვითარება მონობის ყოველგვარი იდეოლოგიური გამოსახულებაა. ამიტომაც ახალი ადამიანი, რომლის აღზრდა მარტო სკოლას კი არა, მთელს ჩვენს საზოგადოებრივ-კოლექტივისტურ ცხოვრებას ევალება, ყოველგვარი იდეოლოგიური მონობისაგან განთავისუფლებულ უნდა იქნას.

ზევით ტექნიკურ რევოლუციისა და კულტურულ რევოლუციის კავშირის დახასიათების დროს მოვიყვანეთ ცნობა მეცნიერულ მუშაობის კოლექტივიზაციის შესახებ. ეს გარემოება მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა კულტურულ რევოლუციის პრაქტიკაში. ამხ. პოკროვის კი, ცნობილი მარქსისტი და მეცნიერი კომპარტიის მე-XV ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ მეურნეობის გეგმიანი მუშაობა თუ მეცნიერების მეოხებით და დახმარებით ეწყობა, აქედან იბადება არა ნაკლები ამოცანა თვით ამ მეცნიერების გეგმიანი ორგანიზაციის შესახებ. ეს დებულება ისევე უდაოა, როგორც დებულება სოციალისტურ მეურნეობის გეგმიანი ორგანიზაციის შესახებ. ერთი უმეორედ ვერც იარსებებს და ვერც იხეირებს. რ. ს. ფ. ს. რ. მეცნიერების გეგმიანი ორგანიზაციის საქმე დღითი დღე იზრდება და ეწყობა კვლევა-ძიების ინსტიტუტებისა და სამეცნიერო ასოციაციების სახით. ეს არაა ამოცანა ერთი სამეცნიერო ხელმძღვანელ დაწესებულების შექმნისა, როგორცაა მაგ. სამეცნიერო აკადემია, არამედ მთელი მეცნიერულ მუშაობის ორგანიზაცია თვით ამ მუშაობის კოლექტივიზაციისა და პროდუქციის აწევისათვის. ეს საკითხი დგას ჩვენში, როგორც ოქტომბრის რევოლუციის მეთორმეტე წლის ამოცანა.

ასეთია მოკლე მიმოხილვის სახით წარმოდგენილი ოქტომბრისა და კულტურულ რევოლუციის ურთიერთობა. ჩვენს წინაშე კულტურული რევოლუცია სდგას, როგორც გადაუდებელი ამოცანა, მაგრამ ოქტომბრით გაჩარხული გზა გამარჯვების თავდება.

— : —

მიხეილ ნიკოლოზის ძე პოკროვსკი

საბჭოთა საზოგადოებრივ მოღვაწეთა შორის მიხ. ნიკოლოზის ძე პოკროვსკი ერთს უშესანიშნავეს პიროვნებას წარმოადგენს. მისი დაბადების სამოცი წლის თავს დიდი აღფრთოვანებით იხდის მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა იმიტომ, რომ მ. ნ. პოკროვსკიმ თავის მრავალფეროვანი და ხანგრძლივი ინტენსიური მოღვაწეობით უდიდესი როლი ითამაშა რუსეთის რევოლუციონურ მოძრაობის ისტორიაში და მარქსისტული მეცნიერების განმტკიცების საქმეში.

მ. ნ. პოკროვსკის მოღვაწეობა სამი უმთავრესი ხაზით მიემართებოდა: იგი ცნობილი არის, როგორც მეცნიერი და აკადემიური მოღვაწე, როგორც რევოლუციონერი და იატაკს ქვეშ მომუშავე, როგორც პროლეტარული სახელმწიფოს მშენებელი, როგორც სახელმწიფოებრივი მოღვაწე. ყველა ამ დარგებში პოკროვსკიმ უდიდესი ნიჭი, ცოდნა და ენერჯია გამოიჩინა: უნდა ითქვას, რომ ასეთი შეთანხმება ერთს პიროვნებაში ამ სამი სხვადასხვა სამოღვაწეო დარგისა იშვიათ მოვლენას წარმოადგენს ისტორიაში. ჩვენ ვიცით მთელი რიგი პიროვნებათა, — ამ შემთხვევაში მარქსისტული მიმდინარეობიდან: კ. კაუცკი, გ. პლехანოვი, და სხვ. — რომელნიც საუკეთესო თეორეტიკოსებად ითვლებოდნენ, და რომლებმაც იშვიათი როლი ითამაშეს მარქსისტული აზროვნების დამუშავებასა და გავრცელების საქმეში, მაგრამ პრაქტიკულ რევოლუციონური მოღვაწეობის მხრივ თითქმის სრულ გაუგებრობას იჩენდნენ: მარქსიზმის დიდი თეორეტიკოსების პრაქტიკულ — რევოლუციონური საქმიანობა ერთ დიდ ნინუსს წარმოადგენდა. ამ მხრივ მ. ნ. პოკროვსკი იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს: პოკროვსკის თეორიული მეცნიერული მუშაობა ღრმად იყო დაკავშირებული პროლეტარულ რევოლუციონურ მოძრაობასთან და ახალი, სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის საქმესთან. პოკროვსკი მეცნიერულ მუშაობასთან ერთად მხურვალე რევოლუციონურ მოღვაწეობას ეწეოდა იატაკს ქვეშ: ერთის მხრივ მარქსისტულად აშუქებდა რუსეთის ისტორიის საკი-

თხებს, ხოლო მეორეს მხრივ კი—გაცხოველებულ რევოლუციონურ საქმიანობას ეწეოდა მუშათა კლასის დასარაზმავად არსებულ წყობილების დამხობის მიზნით, შემდეგ კი, როდესაც ისტორიამ მოუწოდა მას პროლეტარულ სახელმწიფოს მშენებლობისაკენ, მ. ნ. პოკროვსკიმ იშვიათი სახელმწიფოებრივი ნიჭი გამოიჩინა: იგი აღმოჩნდა არა მარტო დიდი მეცნიერი და დიდი მრღვეველი დახვედებული სახელმწიფოებრივი წყობილების, აოამედ დიდი მშენებელიც სოციალისტური საზოგადოებისა.

ამ მხრივ მ. ნ. პოკროვსკი მთლიანი, სინთეტიური პიროვნებაა, ახალი ტიპის ადამიანი არის, რევოლუციონური ეპოქის მეცნიერს წარმოადგენს: იგი ჭეშმარიტი და სახელოვანი მოღვაწე არის ლენინის სკოლისა; მხოლოდ მარქსისტულ—ლენინურ სკოლას შეეძლო მოეცა ასეთი რევოლუციონური მეცნიერი, ასეთი იშვიათი მრავალფეროვანი პროლეტარული მოღვაწე.

როგორც მეცნიერმა—აკადემიურმა მოღვაწემ, მ. ნ. პოკროვსკიმ სახელი გაითქვა რუსეთის ისტორიის მარქსისტულად დამუშავებით; თუ მარქსმა აღმოაჩინა საერთო საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონები, მ. ნ. პოკროვსკიმ მთლიანად და სავსებით გამოიყენა მარქსისტული სოციოლოგია რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საქმეში. ამ მხრივ მან დიდი ცვლილებები შეიტანა რუსეთის ისტორიულ მეცნიერებაში. პროფ. პოკროვსკი მეცნიერულ მუშაობას შეუდგა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებიდან: პირველ ხანებში იგი ითვლებოდა კლიუჩევსკის შკოლის მოწაფეთ და იზიარებდა მარქსიზმის ეკონომიურ კონცეპციას. მე XX საუკუნის დასაწყისიდან მან გასწყვიტა კავშირი პროფ. კლიუჩევსკის სკოლასთან და მთლიანად დადგა მარქსიზმის სოციოლოგიისა და დიალექტიურ მატერიალიზმის ნიადაგზე. კლიუჩევსკისათვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელი იყო მარქსის დიალექტიური მეთოდი: მისთვის მიუღებელი იყო მარქსიზმის კვლევის მეთოდი მთლიანად და სავსებით, იგი იღებდა მხოლოდ ეკონომიურ ფაქტორს და ისიც არა ისტორიულ პროცესში არამედ ისტორიის შესასწავლად. ამ მხრივ კლიუჩევსკისთვის გაუგებარი იყო კლასთა ბრძოლის მნიშვნელობა ისტორიულ პროცესის საქმეში. პოკროვსკიმ უარყო თავისი მასწავლებლის კლიუჩევსკის ეკლექტიური მსოფლ-მხედველობა ისტორიულ პროცესის ახსნაში და მთლიანად შეითვისა მარქსისტული კონცეპცია. მარქსისტი მ. ნ. პოკროვსკი საზოგადოების ფორმათა განვითარებასა და ისტორიულ პროცესებს აშუქებდა და აშუქებს, არა მხოლოდ ეკონომიური კონცეპციის მიხედვით, არამედ განსაზღვრულ

ეკონომიურ ბაზაზედ აღმოცენებულ სოციალურ ურთიერთობითა და კლასთა ბრძოლის საზომით. ამ რიგად ნამდვილი სწორი მარქსისტული მეთოდი რუსეთის ისტორიის დამუშავების საქმეში მ. ნ. პოკროვსკიმ შეიტანა. ერთს თავის შრომაში მ. ნ. პოკროვსკი სწერს: „მეცნიერული ისტორიოგრაფია, ისე როგორც მეცნიერული ისტორია შეიძლება აშენებული იქნეს კლასიურ პრინციპზე. მხოლოდ კლასიურ მიდგომას შეუძლიან გააშუქოს უამრავი ისტორიული კონტრავერზები, აღმოაჩინოს გასაღები დაუსრულებელ, საუკუნოების მანძილზე გაჭიმულ ისტორიულ საკითხების დავისათვის, ახსნის რა ამ უკანასკნელს, როგორც სხვადასხვა კლასიურ მსოფლმხედველობის შეტაკებას“. — ამ რიგად პოკროვსკიმ არა მარტო ისტორიული პროცესის ახსნის საქმეში შეიტანა კლასთა ბრძოლის პრინციპი, არამედ თვით ისტორიული მეცნიერება და მეცნიერული ისტორიოგრაფია კლასთა ბრძოლის პრინციპით გააშუქა მ. ნ. პოკროვსკი მეცნიერულად ამტკიცებს, რომ რუსეთის ისტორიული მეცნიერება და მისი საუკეთესო წარმომადგენელი შეგნებით თუ შეუგნებლათ კლასთა ბრძოლას გამოხატავდა: ისტორიკოსი — მეცნიერი რუსეთის საზოგადოებრივ განვითარების ისტორიას იმ კლასის საზომით — აშუქებდა, რომლის ნიადაგზედაც ის იდგა და რომლის ინტერესებსაც იგი გამოხატავდა; ამრიგად რუსეთის ისტორიული მეცნიერება და ისტორიოგრაფია გაქვინთილი იყო კლასიურ საზომით, გაბატონებული კლასების თვალსაზრისით: არისტოკრატიულ-ბიუროკრატიულ და ლიბერალურ ბურჟუაზიული მიდგომა ისტორიულ საკითხებისადმი, — აი რა ახასიათებდა რუსეთის ძველ ისტორიულ შკოლებს პოკროვსკის აზრით. „ყველა ეს, — ამბობს ავტორი, — ჩიჩერინები, კაველინები, კლიუჩევსკები, ჩუპროვები, პეტრაჟიცსკები, ყველანი უშუალოდ გამოსახვევენ გარკვეულ კლასიურ ბრძოლას, რომელიც წარმოებდა მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე რუსეთში და მათ მიერ დაწერილი ისტორია სხვას არაფერს წარმოადგენს თუ არა პოლიტიკას, წარსულით შეცვლილს“. მაგრამ თუ ზემო დასახელებული მეცნიერები აყენებდნენ გაბატონებული კლასების თვალსაზრისის ისტორიულ წარსულის გაშუქებაში, მ. ნ. პოკროვსკის წილად ხვდა პროლეტარული საზომი შეეტანა რუსეთის ისტორიის შესწავლის საქმეში და პროლეტარიატის კლასიური თვალსაზრისით გაეშუქებია რუსეთის საზოგადოებრივი განვითარების პროცესი. ამ მხრივ პოკროვსკისათვის ისტორიულ წარსულს მხოლოდ თეორიულ-ისტორიული ინტერესი კი არ ქონდა, არამედ ღრმა მნიშვნელობა თანამედროვე პირობებისა და თანამედროვე კლასიურ ბრძოლის ასახუნელად. წინააღმდეგ რუსეთის ისტორიულ მეცნიერებაში

გაბატონებულ შეხედულებათა, პოკროვსკიმ რუსეთის განვითარების სრულიად ახალი სქემა მოგვცა, რომელიც გაშუქებული არის დიალექტიურ-მატერიალიზმის ძირეულ პრინციპებით. პოკროვსკი იღებს რუსეთის ისტორიას თავისი დიალექტიური განვითარების პროცესში, თუ ერთი სამეურნეო საზოგადოებრივი ფორმა როგორ გადადის მეორეში და როგორ ხდება საზოგადოებრივ წყობილებათა ცვალებადობა თანახმად სამეურნეო ცვლილებების და მის ნიადაგზე წამოჭრილ კლასთა ბრძოლისა. ამ მხრივ პოკროვსკიმ ისტორიულად და მეცნიერულად დაასაბუთა, თუ თავისი შინაგანი განვითარების გზით, სოციალურა ურთიერთობისა და კლასთა ბრძოლის ზეგავლენით, მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ეტაპების განვლის შემდეგ, რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრება როგორ მიდიოდა და როგორ მივიდა კიდევაც პროლეტარულ რევოლუციამდე და პროლეტარიატის დიქტატურამდე. პოკროვსკის განმარტებით რუსეთის ყოველი სამეურნეო ფორმა და მის ნიადაგზე აღმოცენებული საზოგადოებრივი პოლიტიკური წყობილება ისტორიულად აუცილებელ მოვლენას წარმოადგენდა, მაგრამ მასთანვე ისტორიულად წარმავალს და დროულს, რომელსაც თავისი განვითარებისა და შემდეგ წარმოშობილ დაშლის პროცესში აუცილებლად ადგილი უნდა დაეთმო უფრო უმაღლესი საზოგადოებრივი წყობილებისათვის. ამ მხრივ პოკროვსკი გზას უკაფავდა და უნათებდა პოკროვსკი—რევოლუციონერს: პირველი ისტორიულად და მეცნიერულად ასაბუთებდა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ეტაპებს, ყოველი პერიოდის სოციალ-კლასიურ შინაარსს, მისი წარმატებისა და შემდეგ კი ლპობაში შესვლისას, მისი დაშლის აუცილებლობას; ხოლო მეორე კი იყენებდა რა პირველის მეცნიერულ დასკვნებს, პრაქტიკულ რევოლუციონურ მოღვაწეობას ეწეოდა პროლეტარიატის დასარაზმავად, დახვედრებული წყობილების აღმოსაფხვრელად და პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად. ასე შეხვდა ერთი მეორეს ისტორიულ ცხოვრების გაგებისა და შეცვლის საქმეში პოკროვსკი მეცნიერი და პოკროვსკი—რევოლუციონერი.

პოკროვსკის, როგორც მარქსისტული აზროვნების წარმომადგენელს რუსეთის ისტორიულ მეცნიერებაში, გაცხარებული ბრძოლის წარმოება დასჭირდა რუსეთში გამეფებულ ისტორიულ აზროვნებისა და საერთოდ კი რუსეთის განვითარების თავისებურობის წინააღმდეგ. პირველად სლავიანოფილებმა და შემდეგ კი ნაროდნიკულმა აზროვნებამ დაამკვიდრა რუსეთის ისტორიულ მეცნიერებაში შეხედულება რუსეთის ისტორიის თავისებური, ევროპისაგან განსხვავე-

ბული, განვითარების შესახებ. მათი აზრით ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრება და ისტორია თავისებური გზით წავიდა, რომელსაც სრულიად არ შეესაბამება რუსეთის ცხოვრების ისტორია: რუსეთს აქვს თავისებური განვითარების გზები, ევროპისაგან განსხვავებული, აქედან წარმოდგება მთელი რიგი საკითხებისა და მოვლენების თავისებურობა რუსეთის ისტორიაში. ასეთი „კარჩაკეტილი“, ნაციონალური გაშუქება პრინციპიალურად მიუღებელი და ისტორიულად გაუმართლებელი იყო პოკროვსკისათვის. მან ისტორიული ფაქტების ზედმიწევნითი მეცნიერული ახალიზით ნათელყო, რომ რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება იმავე კანონებს ემორჩილება, როგორც დასავლეთ ევროპის, რომ რუსეთმა ისეთივე პერიოდები საზოგადოებრივ სამეურნეო ფორმაციებისა განვლო, როგორც გაიარა ევროპის და მთელი კაცობრიობის ცხოვრების განვითარებამ. ამით პოკროვსკიმ ძირიან-ფესვიანად უარყო ის ყალბი შეხედულება რუსეთის ისტორიაზე, რომელიც გამეფებული იყო რუსეთის მეცნიერებაში, და მისცა მას სწორი მარქსისტული განმარტება. თავის შესანიშნავ შრომაში, „რუსეთის კულტურული ისტორია“, მ. ნ. პოკროვსკი სწერდა: „ეკონომიური განვითარების სამ სტადიას — პირველყოფილ კოლექტიურ მეურნეობას, ტომობრივ ანოჯახურს, სახელოსნო მეურნეობასა და კაპიტალისტურს ჩვენ ვხვდებით რუსეთის ისტორიაშიც. ქრონოლოგიურად ეს საფეხურები ერთმანეთს სცვლიან საკმაოდ სისწორით: ანოჯახურ-ტომობრივი მეურნეობა ახასიათებს მოსკოვის წინა დროს რუსეთს XV საუკუნეებში; XVI-XVII საუკუნეები წარმოადგენს რუსეთში კაპიტალიზმის წინა დროს სახელოსნო ინდივიდუალის პერიოდს... მე-XVII-ე საუკუნიდან ჩვენ უკვე გვაქვს სავაჭრო კაპიტალი, ხოლო მე-XIX საუკუნიდან სამრეწველო კაპიტალიზმიც“ (М. Покровский: „Очерки истории русской культуры“. გვ. 32 1924 წ.).

პოკროვსკიმ გააშუქა მთელი რიგი ღრმად მნიშვნელოვან საკითხებისა რუსეთის ისტორიიდან. განსაკუთრებულ და მსახურებად უნდა ჩაეთვალოს პოკროვსკის სავაჭრო კაპიტალის განვითარებისა და როლის გამორკვევა რუსეთის ისტორიაში. რუსეთის სავაჭრო კაპიტალის როლის გამორკვევით პოკროვსკიმ ნათელყო მთელი რიგი სხვა პრობლემებისა, რომელთაც მანამდე არ ღირსებიათ სწორი მეცნიერული გაშუქება: განსაკუთრებული ერუდიციითა და სიღრმით პოკროვსკიმ უარყო რუსეთის თვითპრობლეობის წარმოშობისა და განვითარების ზეკლასიური თეორია და ნათელყო მისი კლასიურ-ეკონომიური საფუძვლები. მ. ნ. პოკროვსკიმ მთელ რიგ შრომებში დაამტკიცა, რომ რუსეთის

თვითმპყრობელობის ეკონომიურ ბაზას წარმოადგენდა ბატონ-ყმობა და სავაჭრო კაპიტალი, ხოლო მისი სოციალურ-კლასიური შინაარსი ამავე ეკონომიურ საფუძვლებზე აღმოცენებულ სოციალურ ფენების — მემამულეების და სავაჭრო ბურჟუაზიის-თავისებურს შეთანხმებას წარმოადგენდა. მანვე ნათელჰყო რუსეთის XVII-XVIII საუკუნეების გლებთა მოძრაობის კლასიურ-ეკონომიური საფუძვლები სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად; მისივე მეცნიერული შრომის წყალობით ახალი ახსნა-განმარტება მიეცა დეკაბრისტებისა და ნაროდნიკების მოძრაობებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პოკროვსკის ღვაწლი მეცნიერების წინაშე რუსეთის რევოლიუციონური ეპოქების დამუშავების საქმეში: 1905 და 1917 წლები და მათ შორის არსებული რეაქციონური პერიოდი პირველად მ. ნ. პოკროვსკიმ გააშუქა მარქსისტულად.

ასეთი არის მ. ნ. პოკროვსკის მეცნიერული ღვაწლი და მნიშვნელობა. ამ ღვაწლს აფასებს არა მარტო რუსეთის მუშათა კლასი და საბჭოთა საზოგადოებრივობა, არამედ ევროპის ბურჟუაზიული მეცნიერებაც იძულებული ხდება აღნიშნოს მისი დიდი მეცნიერული ერთდიცია და დამსახურება.

არ შეიძლება არ აღნიშნოს მ. ნ. პოკროვსკის ინტერესი საქართველოს ისტორიისადმი.

რასაკვირველია, მას დრო და საშუალება არა აქვს ზედმიწევნით შეისწავლოს საქართველოს ისტორია და გააშუქოს იგი მარქსისტულად. უნდა აღინიშნოს, რომ რამოდენიმე პერიოდი ჩვენი ცხოვრებიდან მაინც გადაიქცა პოკროვსკის კვლევის ობიექტად. მე-XIX-საუკუნის პირველ ნახევარს მან ნათელი მოფინა მით, რომ გამოარკვია რუსეთის სავაჭრო კაპიტალის გავლენა ჩვენი ცხოვრების ვითარებაზე და ის ღრმა სოციალ ეკონომიური პროცესები, რომელიც დაიწყო სავაჭრო კაპიტალის განვითარებით საქართველოში: ერთის მხრივ დაშლა ნატურალური მეურნეობისა, მეორეს მხრივ დაცემათავად-აზნაურობის, ხოლო მესამეს მხრივ ბრძოლა რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის შორის ამიერკავკასიის ბაზის დაპყრობის საქმეში, განსაკუთრებით საინტერესო არის მისი გაშუქება ვორონცოვის პოლიტიკისა, რომელიც უმთავრესად ეყრდნობოდა სავაჭრო კაპიტალის ინტერესებს საქართველოში. საქართველოში 1905 წლის რევოლიციონური მოძრაობის კლასიური ბუნებას და სოციალურ ურთიერთობასაც მიაქცია პოკროვსკიმ ყურადღება და საინტერესო დასკვნები მოგვცა.

მაგრამ პოკროვსკის მნიშვნელობა და მოღვაწეობა, როგორც

აღვნიშნეთ, მარტო მეცნიერული მუშაობით არ ამოიწურება: იგი რევო-
ლიციონურ მუშაობასაც ეწეოდა და მხნედ იდგა ბოლშევიკურ პარ-
ტიის რიგებში. პოკროვსკი ლიბერალურ წრეებიდან მივიდა მუშათა
კლასთან და დადგა მისი მებრძოლი რაზმის რიგებში: 1904 წლი-
დან იგი გახდა ბოლშევიკური ფრაქციის წევრი და მისი იდეოლო-
გიის დამცველი. ბურჟუაზიულ ბანაკიდან მუშათა კლასთან დაახლო-
ვება და მარქსიზმის შეთვისება სხვა პირებმაც სცადეს რუსეთში.
ასეთები იყვნენ „ლეგალური მარქსიზმის“ წარმომადგენელი: პ.
სტრუვე, ტუგან-ბარანოვსკი, ბულგაკოვი და სხ. მაგრამ ეს ცნო-
ბილი პროფესორები სრულიად არ სცდილობდნენ კავშირი გაეწყვიტათ
ბურჟუაზიულ აზროვნებასთან: მათ მარქსიზმის მხოლოდ რამოდენი-
მე ელემენტი შეითვისეს და ცდილობდნენ რევოლიუციონურ მარქსიზ-
მის თეორია ბურჟუაზიული შინაარსით აეესოთ. მეორე მხრივ მათი
მიზანი იყო მუშათა მოძრაობა რუსეთში დაემორჩილებიათ ბურჟუა-
ზიის ინტერესებისათვის. მაგრამ, როდესაც მეოცე საუკუნის დასა-
წყისში მუშათა მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო, რომელიც მი-
მართული იყო, როგორც ბურჟუაზიის ისე თვითმპყრობელობის წი-
ნააღმდეგ, ეს პროფესორები დაფთხენ და სავსებით გადავიდნენ ბურ-
ჟუაზიის ბანაკში. სულ სხვა გზას დაადგა პოკროვსკი: მან შეითვისა
მარქსიზმი მთლიანად და სავსებით მთელი თავისი რევოლიუციონური
სისტემით: პოკროვსკიმ შეიგნო პროლეტარიატის როლი და მნიშვ-
ნელობა საზოგადოებრივ ცხოვრების გარდაქმნის საქმეში: მაშინ რო-
დესაც ზემოდ-დასახელებული პროფესორები დააფთხო აბობოქრე-
ბულმა მუშათა მოძრაობამ, პოკროვსკი მთელი თავისი ენერჯიით
ჩაება ამ მოძრაობაში პროლეტარული რევოლიუციის ტექნიკურად
მომზადების მიზნით. როგორც 1905 წლის რევოლიუციაში, ისე
1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების საქმეში პოკროვსკიმ მხურ-
ვალე მონაწილეობა მიიღო. რეაქციის პერიოდში იგი სხვა პროფე-
სორ ინტელიგენტებისა არ დასდგომია ლეგალობის გზას და არ
შეუთვისებია ლიკვიდატორული მსოფლმხედველობა. 1909 წლიდან
იგი გახდა ემიგრანტი და აღფრთოვანებით ემზადებოდა იმ მომენ-
ტისათვის, როდესაც კვლავ იფეთქებდა რევოლიუცია.

საერთაშორისო ომის დროს ის ლენინელებთან ერთად ებრძო-
და სოციალ-ნაციონალიზმს და უკიდურეს მემარცხენე ფრონტს ამა-
გრებდა. მეცნიერი და მოაზროვნე იგი ბოლომდე დარჩა მუშათა
კლასთან ერთად ყველა თავის გამარჯვებისა და დამარცხების პე-
რიოდში.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მ. ნ. პოკროვსკის წილად

ხვდა აქტიური მონაწილეობა მიეღო პროლეტარული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში. აქაც პოკროვსკიმ ფართოდ გამოიყენა თავისი დიდი მეცნიერული ერუდიცია: იგი არა მარტო მეცნიერ-მრეწვეელი გამოდგა დახვედრულ წესწყობილებისა, არამედ საუკეთესო მეცნიერ-მშენებელი სოციალისტური საზოგადოებისა. პოკროვსკის უმთავრეს სამოღვაწეო სფეროს სწავლა-განათლებისა და კულტურული რევოლუციის ფრონტი წარმოადგენდა. პოკროვსკის ხვდა წილად ძირითადი რეორგანიზაცია მოეხდინა უმაღლეს სასწავლებლებში და შეეფარდებია იგი პროლეტარულ რევოლუციის ინტერესებისათვის. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა მდებარე შკოლებში საზოგადოებათ-მეცნიერების ახალ საფუძვლებით მოწყობის საქმე. იგი იყო პირველი ორგანიზატორი მუშათა ფაკულტეტებისა. მისი ხელმძღვანელობით და მუშაობით დაარსდა კომუნისტური აკადემია, წითელი პროფესურის ინსტიტუტი, ისტორიკ-მარქსისტთა საზოგადოება, სახელმწიფოს სამეცნიერო საბჭო და სხვ. პირდაპირ იდეალურ სიმაღლემდე აიყვანა პოკროვსკიმ არქივის საქმის ორგანიზაცია, რომლის მეთაურიც ის არის; რუსეთის ცენტრ-არქივის ორგანიზაცია პირდაპირ წასაბამ მაგალითად ხდება არა მარტო ჩვენისთანა პატარა ქვეყნებისთვის, არამედ ევროპისთვისაც. პოკროვსკის უშუალო ხელმძღვანელობით იზრდება მთელი თაობა ახალგაზრდა ისტორიკოს-მეცნიერების, რომელნიც ანაყოფიერებენ პოკროვსკის შკოლას და მარქსისტულ-ლენინურ ხაზს ისტორიულ მეცნიერებაში.

ჭეშმარიტად: მ. ნ. პოკროვსკის დღესასწაული ეს საბჭოთა მეცნიერების დღესასწაულია; მისი გამარჯვება ეს ლენინელ მეცნიერის გამარჯვებაა სამეცნიერო ფრონტზე.

— : —

მ მ მ ლ ი ს კ მ რ ა ნ მ ი *)

ჩვენი ევროპული მსოფლიო, როგორც ყოველი მსოფლიო საერთოდ ცივილიზაცია-მქნილი, შეუჩერებელი ექვემდებარება გაერთიანებისა და გათანასწორობის კანონს. ზნე და ჩაცმულობა, ხალხური ჩვეულება და ეროვნული ცეკვა—ყოველი ეს ჰქრება თანდათან, ან და რჩება ხელოვნურად როგორც ისტორიული უცნაურობა, მუზეუმურ შენარჩენი. ევროპა ეროვნულდება,—და რომელიმე თანადროულ ქუჩაზე ველარც კი გრძნობ მეტად, სიგანის რომელ გრადუსის ქვეშაა იგი გაყვანილი: ასე ძლიერ ერთფეროვანდებიან ნივთიერი ფორმები (და ამით შეუმჩნეველ—სულიერი ფორმებიც) ოდესღაც ასეთი გამომეტყველი და პიროვნული ხალხურ-ხასიათებისა.

მსოფლიოს ამ გარეგან გაერთფეროვნებას წინ უდგება სულის ნება, მომართული ცვლისა და მრავალსახეობის გეზით. რამდენად უფრო ფართოვდება ერთიანობის ცივილიზაცია, იმდენად უფრო იხამს ფრთებს ეს ნება. მეზობლური აღარ აკმაყოფილებს მას მეტად. ეკზოტიური იზიდავს მას. და აი, ჩვენ ვხედავთ წარმოშობილ ლიტერატურას, რომელიც მასალასა და სახეებს იღებს უცხო-მხარეულიდან, ტროპიკულ და ანტარკტიულ ზონებიდან. ხოლო ცხადია, მხერა ამ ქვეყნებში გადასროლილია უმეტეს-წილ ეკსპრესის ფანჯრიდან თუ ნავთსადგურის ზღუდედან (მიწის ირგვლივ მგზავრობისას). განათებულია მხოლოდ ფეროვანი, გარე-მხარე ამ სფერების, ძვირადაა მოცემული ამ პოეტურ რეპორტაჟებით ნამდვილი ესსენცია, პირვანდელი სურნელი უცხო ხალხის, და კიდევ უფრო იშვიათად—სუნთქვა მათი (სფეროების) სულების. რომ ეს შეიგრძნო, რომ ეს განასახიერო, ამისთვის საჭიროა ღრმა ჩაძირვა, სისხლეული კავშირი და ელემენტური გზნება, დაუბრკოლებელი შთაგონება მშობლიური სიყვარულის. პოეტურ შემოქმედებაში ნამდვილ ეკზოტიკის მოცემა შეუძლია

1) ეს წერილი წარმოადგენს წინასიტყვას, რომელიც გაუკეთა სტეფან ცვაიგმა გრიგოლ რობაქიძის რომანის „გველის პერანგის“ გერმანულ გამოცემას („რიგენ ლიდერიხსის“ გამომცემლობა).

მხოლოდ ღვიძლ შვილს თავის ხალხისას, სულით ფესვებგამდგარს უკანასკნელში.

ხალხთა ერთიმეორისადმი შეუჩერებელმა ცნობისმოყვარეობამაც (რომელსაც ომი უმეტესად ხელს უწყობდა უფრო ვიდრე ხელს უშლიდა) ბევრი-რამ მოგვცა ბოლო დროს: ესკიმოსები, ჩინელები, იაპონელები გვითხრობდნენ ჩვენ მათი კულტურებიდან, თავორთან და განდისთან ერთად გამოცხადდა ჩვენთვის თანადროული, ფრიად ცოცხალი ინდოეთი. და აი, გამოდის ასპარეზზე ახალი ხალხი,—მე ვფიქრობ, პირველად,—გრიგოლ რობაქიძის ამ რომანით: ქართველები. უძველესი ერი, რომელსაც ჯერ კიდევ ალექსანდრე შეხვდა თავის გალაშქრებისას, რომელშიაც ნაყოფიერ ირევა მრავალი ტომი, განუწყვეტელ განმცდელი რუსების, ოსმალოების, სპარსელების გავლენისა, დაბინადრებული დედა-მიწის უმშვენიერეს კუთხეში, სახელგანთქმული თავის სიმღერებით და ლეგენდებით, და სამარცხვინოთ, ჩვენთვის, ევროპელებისათვის გაუცნობი. თუ რაოდენ მდიდარია იგი მითიური ძალებით, აღვსილი გმირული სულით და იმავე დროს ზიარებული თანადროულობას, ეს მე პირველად პოეტის ამ წიგნიდან გავიგე, რომლითაც მან თანაბარ გაგვიწია მნიშვნელოვანი სამსახური ჩვენ და თავის სამშობლოს. მისთვის რომ—მისი პლასტიური განსხეულების (Gestaltung) მეოხებით ცხადდება სრულიად ახალი და არაჩვეულებრივ მხიბლავი ზონა ჩვენი ახალ-ნდომის სულის წრეში. ვინაიდან ქვეყნის რომელიმე მხარე ან ხალხი მოცემულია ნამდვილად წამსავე, თუ კი მას შესძლევს თხრობა და განსახიერება.

თაურის ქაოსიდან დუღს რაღაც ამ წიგნში, როგორც ყოველში, რომელშიაც ახლად აცხადებს თავს ლიტერატურა. უძველეს ბალღადებიდან, გადასულ ლეგენდებიდან ორნამენტალურ ექსოვებიან მომხდარი ამბების ხალიჩას ცეცხლოვანი ზოლები. გაგონდებათ ხანდახან ზღვარგადუსულობა სპარსული გმირული სიმღერების, უხვად მფანტავი რომანტიკა აღმოსავლელების. და უეცრად: ელვარებს შემოჭრილი სინათლე თანადროულობის: ხედავ—მიხმაურობენ „საბჭოების“ ავტოები ალექსანდრეს შარაზე, მოჰყავთ ციტატა ბოდლერიდან, — ძველი ქვეყანა და ახალი ქვეყანა, მაგიური და რეალური სფეროები ერთვიან ერთიმეორეს სრულიად უჩვევ, ჩვენთვის ახალ შუაგულ-შეჭრით, რომლის გამართლება შესძლო მხოლოდ პოეტურმა ამ ეპიური ხელოვნებისა, ხშირად არაჩვეულებრივმა პოეტურმა. და რა ცეცხლეულობა ისხმის ამ ასახვებიდან! მრავალი გვერდი გასურს ამოსჭრა და სტროფულად დააღაგო, როგორც ლექსები, — ისინი მართლაც ლექსებია. ზოგიერთი თავი გასურს მოისმინო რომელიმე მეზღა-

პრესაგან, რომელიც (ეხლა უკვე იშვიათად) თავს ამოჰყოფს ხოლმე
ლაძლამობით ძალზე ცივილიზაცია-ქმნილ აღმოსავლეთის ბაზრებზე.
ყოველ ფურცელზე—ანთებული, ბალღადური მომენტებია სრულიად
უცხოური სილამაზისა. და თუმცა გრძნობას მკაფიოდ ვერ გაურჩე-
ვია, ვის უნდა ვუმაღლოდეთ ამ ეკზოტიურისათვის, ვით ვარდის ზე-
თი თუ ჰაშიში თავბრუდამხვევი სუნნელებისათვის, პოეტ რობაქი-
ძეს თუ თვითონ საქართველოს, —ტყვედ ვუვარდებით სიამით ამ ახა-
ლს. მე ამ წიგნმა გამიფართოვა სამყაროს სახე, გამაბედნიერებლად
გამინათა ჰორიზონტი ეკზოტიურის მიმართ და მაგრძნობინა ჯერ
კიდევ უცხო ფორმა ეპიური შემოქმედებისა. ხამადან და ტფილისი,
ქვეყანა ბაზრების და ქარაგნების, მაცდუნებელ ახელებენ უკვე ფანტა-
ზიას აღმოსავლური, განთიადური განათებით მას შემდეგ, რაც მე წა-
ვიკითხე ეს არაჩვეულებრივი წიგნი, რომელსაც ვერ დაატევ ვერც
ერთ კატეგორიაში, და რომელიც—ჩვენს მატერიალისტურ, ყოველ-
თვის უმცოდნეს და უმეცნიერეს ქვეყანაში —ძღვევამოსილებით აცხა-
დებს შემოქმედებით სიცოცხლეს დაუშრეტელი მითოსისას.

— : —

კლასიკოსების პრობლემა.

კლასიკოსებთან დამოკიდებულების საკითხი ერთ-ერთ ძირეულ პრობლემას წარმოადგენს ჩვენი ლიტერატურული თანამედროვეობისათვის. ეს პრობლემა დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხთან, როგორც არის ახალი ჟანრებისა და საერთოდ ახალი ლიტერატურული ფორმების შემოღებისა და განმტკიცების საჭიროება.

კლასიკოსებთან დამოკიდებულების გამორკვევა მარტო ჩვენი დროის საჭირობათა მოთხოვნილებას არ წარმოადგენს. ეს კითხვა ერთნაირის სიმწვავეით ისმებოდა ყველგან და ყველა დროის ლიტერატურაში — ახალი მხატვრული პრინციპებისა და ლიტერატურული სტილის ჩასახვის პერიოდებში. კლასიკოს მწერლებთან ურთიერთობის გამორკვევა გულისხმობდა უმეტეს შემთხვევებში მათგან ჩემკვიდრეობით მიღებული ტრადიციული მხატვრული კულტურის რევიზიასა და დეკანონიზაციას. ამას ადასტურებენ ფაქტები ლიტერატურის ისტორიიდან.

მეორმოცდაათე წლებში ახალგაზრდა ტოლსტოი დეკანონიზაციას უკეთებდა წინა ლიტერატურული თაობის — რომანტიკოსების მიერ გამომუშაებულ ნორმებს. ბორის ეიხენბაუმი თავის წერილში „ტოლსტოის კრიზისების შესახებ“ სწერს: „ტოლსტოიმ დაიწყო, როგორც რომანტიული პოეტიკის ლიკვიდატორმა, როგორც დამარღვეველმა განმტკიცებული კანონებისა. მან გამოსცვალა მასალა, ხერხი, ფორმა... იმ თავითვე ტოლსტოი გრძნობდა თავის თავს უკვე ხრწნაში შესული რომანტიული ხელოვნების ფონზე. მან გვერდი აუარა მამებს და დაუბრუნდა პაპებს, მე-18 საუკუნეს. მისი მასწავლებლები და შთამგონებლები შეიქნენ — სტერნი, რუსო, ბერნარდენ დე-სენ-პიერი, ფრანკლინი, ბაუფონი, გოლდსმიტი... სევასტოპოლის მოთხრობებში ტოლსტოი ბაძავს სტენდალს... ტოლსტოი ებრძოდა რომანტიულ შაბლონებს და ამ ბრძოლაში „რეალიზმი“ მხოლოდ მოტივირობა იყო: ტოლსტოის სურდა ეწერა სხვანაირად, ვიდრე სწერდენ მისი მამები (Б. Эйхенбаум — „Сквозь Лит.“ 67). ასეთივე ლი-

კვიდაცია უკვე უნიადაგო რომანტიული განწყობილებებისა ქართულ პოეზიაში იწყება 60-იანი წლებიდან ილია ჭავჭავაძის შკოლის გამოსვლით. ისე, როგორც თავის დროზე ტოლსტოიმ რუსულ ლიტერატურაში „მამების“-გან ნაანდერძევი ლიტერატურული ნორმების დასარღვევით მიმართა პაპებს—სტენდალს, რუსოს და სტერნს,—ილია ჭავჭავაძემაც ქართული ლიტერატურის გასაახლებლად და გასააქტუალურებლად აღადგინა ის გატეხილი ხაზი, რომელიც მოდიოდა უშუალოდ დავით გურამიშვილიდან და რომელიც მდგომარეობდა პუბლიცისტურ განხრაში თემატიურად („ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის“...) და პოეზიაში ხალხური ენისა და მოტივების, როგორც პოეტური ხერხის, შემოტანაში.

როდესაც ილია გამოდიოდა სამწერლო ასპარეზზე, გაბატონებული ლიტერატურული ნორმების და საერთოდ ტრადიციული მხატვრული კულტურის გამომხატველი იყო ჟურნალი „ცისკარი“. ილიას და ახალგაზრდა აკაკის პირველი შეტევაც ამ ციტადელის წინააღმდეგ იყო მიმართული, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამ ჟურნალში დაიწყეს პირველად ბეჭდვა. მაგრამ აქ იბეჭდებოდნენ „ლიტერატურული მამები“ და აქვე იყვენ გამაგრებულნი ეპიგონებიც.

ტრადიციული პოეტიკის ფონზე ილიას და აკაკის ახალგაზრდობის ლექსები უჩვეულო და მანამდე დაუშვებელ მოვლენას წარმოადგენდნენ. მათი ლექსები თანამედროვეებს ეჩვენებოდათ ვულგარული და დაბალი ლიტერატურის კატეგორიით. ყველამ იცის, რომ გრიგოლ ორბელიანი „აკაკიებს—ბაკაკიებს“ და მათთან ერთად, რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძესაც ქართული ენის წახდენას აბრალებდა. ახალგაზრდა აკაკის უბრალო ენით დაწერილი ლექსები ისე ეჩოთირებოდათ მის თანამედროვეებს, რომ ხშირი იყო შემთხვევა, მკითხველები მიმართავდნენ მას თხოვნით „არ ეწერა მას ასე მდაბიოდ“. მაგრამ ეს მდაბიურობა სტილისა შეგნებული პოეტური ხერხი იყო ახალი თაობის მწერლობისათვის. საჭირო იყო „მაღალი სტილის“ სიტყვის ხელოვნების დარღვევა, ქართული ლიტერატურის განვითარების ინტერესები მოითხოვდნენ ანტონ კათალიკოზის მიერ შექმნილი სტილისტიური და გრამატიული ნორმების სრულს ლიკვიდაციას. ამასთან ერთად დრო და პირობები, — ლიტერატურის ორგანიულ-იმანენტური კანონების გარდა, — მოითხოვდნენ ლიტერატურაში არალიტერატული მასალისა და სოციალურ გარემოში არსებული ფაქტებისა და მოვლენების შეტანას.

ახალგაზრდა ილია პატივს სცემდა რასაკვირველია კლასიკოსებს. იგი კარგათ გრძნობდა, რომ თავის დროზე მათ სათანადო მხატვრული ფაქტებით შეასრულეს თანადროულობის სოციალური

დაკვეთა. ილიამ თავის ლექსებში და კრიტიკულ წერილებში თავისი შეფასება გაუკეთა ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ნიკ. ბარათაშვილს, გრ. ორბელიანს. მაგრამ ამან არ დაუშალა ილიას შეექმნა კლასიკოსებისაგან განსხვავებული პოეტიკა და დაერღვია არსებული ლიტერატურული ტრადიციები. ილია დასცინოდა თავისი დროის რომანტიკოს-ეპიგონების ლექსებში „საფლავებზე ტირილს“, „უიმედო სიყვარულის გამო წუთისოფლის დაუდგრომლობაზე ჩივილს“, და საერთოდ ყველა ვარიაციებს მრავალჯერ გადაღეჭილი და გაცვეთილი თემებისას. გარდა ამისა, როგორც ვთქვით, ილია და აკაკი სწერდენ ლექსებს, სადაც შეჭქონდათ თავისი დროის საჭირბოროტო კითხვები, ყოველდღიური მასალა ის, რაც წინა თაობის პოეტების აზრით არ შეიძლებოდა გამხდარიყო ლიტერატურული შემოქმედების ობიექტად. აკაკის და ილიას სატირები, გამოცანები, აქტუალური სოციალური პრობლემებით გაყდენთილი ლირიკა და ეპოსი—დასაწყისი იყო ახალი ეტაპისა ქართულ ლიტერატურაში.

მოტანილი მაგალითები ჩვენ დღეს საშვალებას გვაძლევენ გარკვეული პოზიცია დავიკავოთ კლასიკოსების შეფასების საქმეში. პროლეტარული მწერლობის მიერ წამოყენებული ლოზუნგი „კლასიკოსებთან სწავლების“ შესახებ, რასაკვირველია, საგულისხმოა. მაგრამ სწავლა არ უნდა იქნეს გაგებული იმ გვარად, რომ თანამედროვე, მით უმეტეს პროლეტარულმა, მწერალმა ახალი ლიტერატურის შენების დროს ისარგებლოს კლასიკოსების მიერ შექმნილი და ჩამოყალიბებული ფორმებით და ხერხების კომპლექსით. დღეს უკვე მიზანშეუწონელია მწერალმა სწეროს ისე, როგორც სწერდა ილია, აკაკი, ლომოური, ნინოშვილი, გიორგი წერეთელი. ის ტექნიკური ხერხები, ის მეთოდი მასალის ორგანიზაციისა, რომელიც მოიხმარეს ჩამოთვლილმა მწერლებმა თავისი ნაწარმოებების გასაკეთებლად,—დღეს უკვე მოძველებულია. ის ლიტერატურული ფორმა და სიუჟეტის შენების გარკვეული წესი, რომელიც განმტკიცდა ქართულ ლიტერატურაში უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში,—ამ ჟამად საკმაოდ გაიაფებულია და გაბანალებული. ამიტომ დღეს მოთხოვია, გაკეთებული კონსტრუქტიული ელემენტების ძველი და ნაცნობი კომბინაციით,—უკვე აღარ მიდის მკითხველთან, მკითხველს უკვე აღარ სჯერა მისი. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ, დროთა სვლაში ადგილი აქვს ნაცნობი ლიტერატურული ფორმის „ავტომატიურ ათვისებას“: მრავალჯერ გამოყენებული და დაძველებული ფორმა ვეღარ აჩერებს ყურადღებას, ვერ იწვევს ინტერესს, მკითხველი ცნობილობს მას, იმის მაგიერ, რომ ხედავდეს. ერთი თეორეტიკოსის არ იყოს, ეხლა

რომანებს და მოთხრობებს აშენებენ ტრადიციული შემადგენელი ელემენტებისაგან, ისე როგორც ბავში კუბიკებისაგან — სურათებს აკეთებს. ამიტომ ლიტერატურის განვითარებისათვის საჭიროა ლიტერატურული ფაქტები კეთდებოდნენ საკონსტრუქციო ელემენტების ახალი კომბინაციებით. ესეც არ არის საკმარისი. საჭიროა ახალი მასალა ლიტერატურის გასაცხოველებლად. მასალა, რომელიც მანამდის არ ყოფილა შეტანილი ლიტერატურაში და მისთვის უცნობია.

„ლიტერატურული ფაქტი,— როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს იური ტინიანოვი,— ეპოქიდან ეპოქამდე—ცვალებადი მცნებაა: ის, რაც წარმოადგენს „ლიტერატურას“ ერთი ეპოქისათვის, არ იყო ასეთი წინა ეპოქისათვის და კვლავ შეიძლება არ იქნეს მომდევნო ეპოქისათვისაც. მეორე მხრით, მხატვრული ლიტერატურის საკუთარი ინერცია, — აგრეთვე ეპოქიდან ეპოქამდე—დუნდება და მაშინ იგი წყაროებს ეძებს სხვა სფეროში. ამგვარად წმინდა ყოფაცხოვრებითი ან მეცნიერული დამოკიდებულება ფაქტთან იწვევს ახალ ლიტერატურულ მოვლენას. ასე განახლდა რუსული ლიტერატურა კარამზინის ეპოქაში ყოფაცხოვრებითი, ეპისტოლარული დამოკიდებულებით ფაქტებისადმი. ასე განახლდა ლიტერატურა ტოლსტოის შემოქმედებაში ფილოსოფიური, მორალური მიდგომით. აქ საკითხი ეხება მასალას, პრობლემას ლიტერატურის დამოკიდებულებისა ლიტერატურის გარეშე მოვლენებთან“ („Фельетон“ сн. стат. 6).

რაც შეეხება კლასიკოსებისგან გამომუშავებულ ფორმებს და ამ ფორმების შესწავლას, აქ უნდა ითქვას ერთი გონებამახვილი მწერლის სიტყვები: ძველი ფორმა თანამედროვე მწერალმა უნდა შეისწავლოს. საჭიროა კლასიკოსებისაგან ვისწავლოთ, თუ როგორ აუცილებელია მწერლისთვის არ გაექცეს თავის დროს, საჭიროა დავიმახსოვროთ, რომ კლასიკოსებმა, როდესაც ისინი შემოვიდნენ ლიტერატურაში, კი არ გაიმეორეს თავისი წინამორბედი ოსტატების მიერ შექმნილი ფორმები, არამედ პირიქით, სასტიკად შეებრძოლნენ მათ, უარჰყვეს და მათთან დასაპირისპირებლათ შექმნეს სრულიად განსხვავებული, სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის ფორმები, შემოიტანეს ხელოვნებაში ახალი, თავისი დროის იდეები და მალეღვებელი აქტუალური კითხვები. ამით მათ წასწიეს ლიტერატურა და უჩვენეს მას განვითარების ახალი ხაზი და პერსპექტივები.

დაუშვებელია, რომ თანამედროვე მწერალმა დაჰკარგოს დრო იმის გაკეთებაზე, რაც ვერ მოასწრეს და დაუმთავრებელი დარჩათ წინა ლიტერატურულ თაობებს. ეს არის ფუჭი და უმადური შრომა. მწერალი უნდა ეცადოს შეასრულოს ის საქმე, რაც ისტორიას და

თანამედროვეობას მისთვის, თანამედროვე მწერლისთვის დაუკისრებია. არ შეიძლება მხატვრული შემოქმედებითი ენერჯია იცლებოდეს უმიზნოთ, როგორც ჰაერში გასროლილი თოფი. ლიტერატურულ ნაწარმოებს უნდა ჰქონდეს თავისი გამიზვნა და სოციალური დანიშნულება, საჭიროა ყოველ ლიტერატურულ ფაქტს, როგორც ფაბრიკიდან გამოსულ საქონელს, ერტყას თავისი დროის იარლიკი. ბევრი ჩვენი მწერალი ეტანება „მარადიულ“ პრობლემებს, სწერს სიყვარულზე, ღვინოზე, დროის და სივრცის გარეშე მდგომ თემებზე, მაშინ, როდესაც საჭიროა ლიტერატურაში შემოტანილი იქნას რევოლუციონური დროის მასალა, ტექნიკური და ეკონომიური კატეგორიის ფაქტები, თანამედროვე ყოფა, გარდამავალი ხანის მღელვარე და მრავალფეროვანი ცხოვრება, ახალი ადამიანი. ჩვენში ზოგიერთ მწერალს ჰგონია, რომ ეს დროული მასალაა, ეფემერი და წარმავალი და ჩვენთან ერთად დაჰკარგავს ინტერესს, ისე როგორც იტყვიან „წყალნი წავლენ და წამოვლენ“, ამიტომ ისინი არჩევენ „მარადისობისათვის“ მუშაობას, არ არის ეს სწორი. პუშკინის ეპიგრამებიც კი, სხვა ჟანრებს რომ თავი დავანებოთ, დღემდის ცოცხლობენ, ილია ჭავჭავაძის სატირები და „პასუხი მამებს“ ეხლაც მომქმედის ლიტერატურული ფაქტები არიან, მიუხედავად იმისა, რომ ადრესატებს—ოდესღაც ხორცშესხმულ ადამიანებს, უკვე აღარ ვიცნობთ და ამ ნაწარმოებთა შექმნის სიტუაცია ხშირად ჩვენთვის უცხოა. იგივე ითქმის აკაკის „გარემოების საყვირის“ კატეგორიის ლექსებზეც. ამგვარად ლიტერატურის ისტორიაში არ ყოფილა მაგალითი, რომ ვინმეს აეღოს პირდაპირი ბილეთი „მარადისობაში“, არამედ ყოველთვის საჭირო იყო ჩამოხტომა და ვიზის დამოწმება თანადროულობის სადგურზე.

კ. გამსახურდიას ნოველაში „ტაბუ“, ერთი კაცი, სახელად მანჩა გულდაწყვეტილი ამბობს, რომ „ჩვენ დროში მიმინოსათვის არავის სცხელა“. თუ მიმინოს მივიღებთ პირობით, როგორც ფეოდალური მცონარეობის და უქმად დროს ტარების სიმბოლოს, ეს აზრი სწორია. მანჩას სიტყვები ლიტერატურაზე შეიძლება გავრცელდეს და ითქვას, რომ ჩვენ დროში უმიზნო და, როგორც თემატიურად, ისე ფორმალურად,—თანადროულობის გარეშე მდგომი ლიტერატურული ნაწარმოების საკეთებლათ არავის არ უნდა სცხელოდეს. ცხადია იმიტომ, რომ ქართული ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით, ეს იქნება ადგილზე სირბილი და ხმელეთზე ცურაობა.

ქართული ლიტერატურის განვითარების ინტერესი კი მოითხოვს ახალი ჟანრების დამკვიდრების გარდა, ლიტერატურაში ახალი

თემატიკისა და ახალი მასალის შემოტანას. რაც შეეხება კლასიკოსების მიერ ნაანდერძევი ლიტერატურული ფორმების გადახალისებას და რესტავრაციას, (რაც მეტად საგრძნობი მოვლენაა ჩვენს ლიტერატურულ ყოველდღიურობაში), უნდა ითქვას, რომ რესტავრატორული და ეპიგონური განწყობილებები მოასწავებენ ლიტერატურის კრიზისს, უილაჯობას და ჩიხში ყოფნას. რესტავრატორობისა და ვარიანტების კეთების ნაცვლად საჭიროა მხატვრულ ფორმებს, რომლებმაც გარკვეულ სოციალურ გარემოში შეასრულეს თავისი დანიშნულება, დავუპირდაპიროთ თანადროულობის შესაფერისი მხატვრული ფორმები. ამ საშვალეებით შეიძლება დაუბრუნდეს ლიტერატურას დაკარგული ნდობა.

კულტურული ჰიგიენის თვალსაზრისით ლიტერატურამ უნდა გაიხადოს ძველი პერანგი.

15.X.28.

— : —

ლადო ალექსი-მესხიშვილი

(გაგრძელება)

უნდა ითქვას, რომ ქუთაისის თეატრის ანსამბლი იყო სახალხო ჰიმნი და მისი დირიჟორი ლადო მესხიშვილი. როცა სათავადაზნაურო კრებაზე მას უსაყვედურეს, რომ ის სარგებლობდა მათი ფულებით, მათი შემწეობით მუშაობდა და მკურნალობდა საზღვარგარეთ და რომ სირცხვილია ეხლა თავისი დადგმებით ხალხს აჯანყებდეს და აბუნტებდეს. ლადო მესხიშვილმა დამშვიდებით ასე უპასუხა:— მე არ ვეკუთვნი რომელიმე ერთ კლასს, მე მთელ ხალხს ვეკუთვნი, მე ვმუშაობდი და ვმკურნალობდი თქვენი ფულებით ისე, როგორც ამ ხალხის ფულებითაც.

ჩემი ხელოვნება — ჭეშმარიტების სამსახურია და თქვენ არა ერთხელ გადაიხდით კიდევ ფულს და მოხვალთ მესხიშვილის საყურებლად წარმოდგენებზე, სადაც თქვენ ის მიგითითებთ თქვენს უსამართლოებაზე.

აქ მე მინდა გავჩერდე, ეს სიტყვები თავის თავად ლაპარაკობენ მესხიშვილის დიდ ადამიანურ პათოსის სიღრმეზე.

ქალაქში დიდი არეულობა იყო, ისმოდა თოფის ხმა და ცეცხლი მძვინვარებდა, ტეატრს არ შეეძლო მუშაობა, ამის გარდა მამას გული სტკიოდა ამხანაგებზე ინციდენტის გამო და გადაწყვიტა ქუთაისის დატოვება.

აქ თავდება ქუთაისის ტეატრის დიდი ისტორია.

ჩვენ დავტოვეთ ჩვენი აკვანი, მესხიშვილმა თავისი ღვიძლი შვილი და თავისი გული — ქუთაისის ქართული ტეატრი.

ის მოკლე პერიოდი, რომელიც ჩვენ ტფილისში გავატარეთ კარგად არ მახსოვს — ალბად იმიტომ, რომ ცოტა იყო ისეთი რაც დამმახსოვრებოდა.

ბავშები გიმნაზიაში წაგვიყვანეს. ჩვენ ვცხოვრობდით ძია სარდიონის ოჯახის ახლოს ვარდისუბნის ქუჩაზე.

ტეატრში საქმე სუსტად ჩიდოდა, გაჭირვება შეეჩვია ჩვენს

ოჯახს მამა გულს არ იტეხდა, სახლში გახშირდა ლაპარაკი, რომლისგანაც მე მესმოდა, რომ ყოველდღე ლუკმა-პურისთვის ზრუნვა მამისთვის შეურაცმყოფელი იყო და მის ძალას აღემატებოდა.

სწავლის ფული ვერ შეჰქონდათ დროზე და ჩვენ ხშირად ვბრუნდებოდით სახლში იმ პირობით, რომ მშობლებისთვის მოგვეგონებია ამის შესახებ.

დამეწყო ქუთაისის მალარია, რომელმაც დამასუსტა — და ემუქრებოდა მთელ ორგანიზმს.

ექიმები გვირჩევდნენ ჰაერის გამოცვლას, რადგან ესლა დარჩა, სხვანაირათ ხსნა არ იყო ავადმყოფობისაგან.

ეს იყო მოსკოვში გამგზავრების მიზეზი, მაგრამ როცა ეხლა ვფიქრობ ამ მიზეზებზე — უფრო ღრმა მიზეზებიც ირკვევიან.

არ მინდა სრულიად ანგარიში გაუწიო იმ ბრალდებას, თითქო მამამ „ულაღიატა საქართველოს“, აქ სხვა უფრო დიდი მიზეზები იყო ვიდრე „სამშობლოს ღალატი“.

და მართლაც დამაფიქრებელი იყო, რომ ადამიანი, რომელიც ამდენხანს მუშაობდა ქართულ ტეატრისთვის და ხალხისთვის, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლის უკეთესი დრო შეაღია ქუთაისის მოწინავე ტეატრის შექმნას, არტისტი, რომელსაც რუსეთის სცენაზე მარიუს პეტიპას პუზინსკის, იაბლოჩკინსა და ჟურნადთან ერთად ჰქონდა სახელი, თავის ხალხის სიყვარულისთვის სტოვებს ყველაფერს და ბრუნდება საქართველოში, სწავლობს ენას.

ადამიანი, რომელიც დიდმა რევოლიუციამ მოსტაცა სამშობლოს მაგრამ ისე იყო დაავადებული სამშობლოს ნახვის სურვილით, რომ 70 წლის მოხუცი ქარიშხლიან ზღვაზე ჩაჯდება შხუნაში, რომ როგორმე მიაღწიოს სამშობლოს ნაპირებს.

მე ვიცი, რომ ამ მოგზაურობამ ძლიერ გატეხა მამა და როცა ცოტათი ამოისუნთქა სამშობლო მიწაზე სიკვდილის წინ დალოცა (წერილი ტფილისიდან მოსკოვში ჩემი და ჩემი დის სახელზე).

ვიმეორებ სამწუხაროა, რომ სიტყვა ღალატი თუნდა ასე პირლიათ იყო ოდესღაც წამოსროლილი.

ვუბრუნდები მესხიშვილს და უპირველეს ყოვლისა ვფიქრობ იმაზე, როგორც მხატვარზე და მინდა ცოტათი მაინც გამოვიცნო ის მიზეზი, რომელმაც გამოიწვია 1906 წელს მისი გამგზავრება მოსკოვში. მისი აქტიორული გონება მოძრავი და დაუდევარი იყო, სცენაზე პირველ გამოსვლის დღიდან ის უარყოფდა ტრაფარეტს, მისი გამოსვლა ახალი მოვლენა იყო დრამის ხელოვნებაში. ეს ჩათესლილი ჰქონდა მას ხასიათში.

მესხიშვილს არ შეეძლო სცენიდან მიეცა გამოფიტული შთაგონება. მესხიშვილმა ბევრი იმუშავა ქუთაისის ტეატრში, როგორც პედაგოგმა, არტისტმა და რეჟისორმა და ეხლა დაებადა სურვილი კიდევ უფრო გაეზარდა თავისი მხატვრული გამოცდილება.

გახა ძართლა არტისტი დათვია, რომ თავის სოროში ლოკოს თავისივე თათი?

ჯერ კიდევ ქუთაისში, როდესაც მას გაზეთები და ჟურნალები ჰქონდა გამოწერილი უცხოეთიდან ლადო ამბობდა ხოლმე:

— წარმომიდგენია, როგორ ჩამოვრჩით უცხოელებს, შეიძლება რუსულ ტეატრსაც კი“. — ასეთი ფიქრი დიდიხანა აწუხებდა.

ნამდვილ მხატვარს ყოველთვის აქვს ასეთი დაეჭვება.

როცა ტფილისიდან მივდიოდით ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ დროებით მივდიოდით, მამა ყოველ შემთხვევაში დაბრუნდება, თუ ჩვენ იქ შევრჩით.

ჩვენ არ მივდიოდით უკვე მოწყობილ ადგილზე, მამას არც კი ჰქონდა სამსახური გამორკვეული, გზას გაუდექით დაგირავებულ ნივთებისგან აღებულ ფულით.

რასაკვირველია დაღლილობა გვემჩნეოდა გაჭირვებულ ცხოვრებიდან და ჩემ ავადმყოფობიდანაც.

ჩვენ მივდიოდით შორეულ თოვლიან მოსკოვისკენ.

ყველანი ვსტიროდით. მამა მწუხარედ ემშვიდობებოდა ამხანაგებს, მაგრამ ესენი არ იყვნენ მისი ქუთაისის მოწაფეები, რომელნიც მას ასე უყვარდა და რომლებზეც ნაღვლიანობდა ტფილისში.

გზაში საუბარი იყო იმაზე, რომ მოსკოვში ჩვენ უნდა მიგველო საუკეთესო განათლება. ასე ვცილდებოდით საყვარელ და მშობლიურ პეიზაჟებს. მთები, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავდით, პატარა მდინარეები — რომელთაც ხიდის მაგიერ ბოგირები ჰქონდათ გაკეთებული, წყაროები, ჩიტების სხვანაირი გალობა სამხრეთში, თანდათან გვშორდებოდა, ინთქებოდა და ბოლოს სულ გაჰქრენ.

შევედით მოსკოვში, მტვერის და სიციხის ბული ადიოდა ადუღებულ ასფალტის დამხუთავი სიციხე თავში გვცემდა.

ფაეტონის მაგიერ უბრალო „ვანკები“ ერთ ცხენიანი და ვერც კი გაიგებ მუცლით დადის თუ ფეხით მირბის, მაგრამ იცი, რომ სადაც საჭიროა ვერ მიგიყვანს.

გზაზე მამამ ჩაიწერა მისამართი აქტიორების სასტუმრო „ეიჟენ“ პეტროვკაზე, სადაც ჩვენ შევედით.

მე ცხელებას ვყავდი აყვანილი, მაგრამ დიდი აღელვების დროს საგნებზე წარმოდგენა იცვლის თავის რაკურსს მიუხედავად იმი-

სა, რომ დედა გვიშლიდა ლადომ მაინც წაგვიყვანა კრემლში ცარ-პუშკას დასათვალისწინებლად, ამას ჩვენ დიდი ხანია ვთხოვდით მამას, მიუხედავად დაღლილობისა მამა ავარდა ივანე ველიკის სამრეკლო-ზე, რომ ზევიდან დაეხედა მოსკოვისთვის, დაწვრილებით ეკითხე-ბოდა დარაჯებს ყველა დატებს და ცნობებს.

ანტერესებდა ივანე მრისხანე — და ამბობდა, რომ ამ როლის-თვის ის აქ მასალებს მოსძებნიდა.

მამა მოსკოვში სწავლობდა და მოსკოვი ეჩვენებოდა, როგორც სტუდენტობის დროს, გასაკვირველი არ არის, რომ ჩვენ იმ დღეს ვი-სადილეთ მაშინ პოპულიარულ „ტესტოვის ტრაქტირში“.

ჩვენ გაგვაკვირვა უზარმაზარმა არლის ინსტრუმენტმა და უზარმაზარმა პიროგებმა, მამას არ სცოდნოდა მათი სიდიდე სათი-თაოდ შეუკვეთა ჩვენთვის. გულიანად ვიცინოდით.

რამოდენიმე დღის შემდეგ მე ვიწვევი შეცვიებული და შეცხელე-ბული... ჩემი და ნინაც ავად გახდა, რაღაც ნანადირევის ხორციდან, რომელიც ჩვენ „ეიჟენი“-ს მენიუმ შემოგვთავაზა, ექიმმა კი ეს გა-რეული ფრინველი ყვავად გამოიწნო. ტფილისიდან წამოღებული ფულები შემოგვაკლდა, სასტუმროში ცხოვრება ძვირი იყო და ბინის შოვნაც არ იყო ადვილი.

დედამ დიდი გულუბრყვილობა გამოიჩინა, სადღაც ნახა ბინა, მისცა ბე და ხელწერილი კი არ ჩამოართვა, შემდეგ მამასახლისმა უარი სთქვა ყველაფერზე და იძულებული გავხდით უკან დავბრუ-ნებულიყავით.

მალე დავაგირავეთ ნივთების ნაწილი და ბინაც ვიპოვეთ. ეს მხარე მოგვარებულია. ჩვენ მოვეწყეთ და როგორღაც ვცხოვრობთ.

ჩვენ შეგვიყვანეს კალაიდოვიჩის გიმნაზიაში, სადოვანია სამო-ტიოჩნიაზე. მე და ჩემ დას ძალიან მოგვეწონა უზარმაზარი შენობა. მამას კი გაეგო, რომ იქ ასწავლიდნენ მოსკოვის საუკეთესო პროფე-სორები: ზოგრაფი, პოტიომკინი, რეფომატსკი და სხვ. მაგრამ სწავ-ლა სექტემბერში იწყებოდა და ჩვენ ჯერ-ჯერობით სახლში ვისხედით.

ტეატრებში არ იყო სეზონი, დირექტორები სხვაგან იყვნენ წა-სული, მამა ძალიან დაფიქრებული იყო, ხანდახან ისე მიდიოდა თითქო რაღაცა სტანჯავდა, მაშინ ჩვენ დიდხანს ველოდით ფან-ქარაქთან.

ლამე ძლიერი ელექტრონის სინათლე აუშვებდა ცაზე ალს, ჩვენ ვტიროდით, გვეგონა ხანძარი დაიწყო და დედაც შეფიქრიანდებოდა. მამა ბრუნდებოდა არც ისე გვიან, მაგრამ მეტად შეწუხებული.

დაიწყო სეზონის გახსნისთვის მზადება. მამა ელაპარაკა ა. სუმ-

ბათაშვილს-იუჟინს, მაგრამ მან გული მოიყრუა, კიდევ მოილაპარაკეს და მამას იწვევენ „სამხატვრო ტეატრში“.

ჩვენ ოჯახში დიდი მხიარულება გაჩაღდა, მაგრამ ეტყობა ნაადრევი იყო ლადომ ზედიზედ მიიღო როლები, რაც იშვიათი იყო ამ ტეატრში.

ამზადებდა ექიმს „ბრანდში“ და თვითონ ბრანდს, შუისკის, და ბოლოს ჰამსუნის ახალ დადგმაში „ცხოვრების დრამა“ მამას.

ყველაფერი ეს დიდი საპასუხისმგებლო სამუშაო იყო.

კიდევ ამზადებდა ბრუტს „იულიუსს კეისარისთვის“.

მთელი სეზონის განმავლობაში კარგად მიდიოდა მუშაობა, მამას ძლიერ უყვარდა სტანისლავსკი.

საკვირველია, რომ მესხიშვილის გარშემო ეხლაც შეიკრიბა ახალგაზრდობა. სტუდიელები.

ისინი მოდიოდნენ ჩვენთან და მამაც ეხმარებოდა როლის სწავლაში. ეხლა რომ უკვირდება, მესხიშვილში ვხედავთ ისეთ ნიჭს, რომელიც ძალიან უხვია, რომელსაც უყვარს სცენა და დაუზოგავად ხარჯავს თავისი ოსტატობისა და ფანტაზიის მარაგს.

მე ვიცნობ აქტიორებს, რომელნიც თავის მოყვარე და ეგოისტები არიან, ესენი თუ რამეს შენიშნავენ ახალგაზრდა, უმცროსს არტისტს, სცენაზე სიხარბით კვდებიან, იმათ არც თავის ტოლების ატანა შეუძლიანთ. მესხიშვილში ყოველთვის სცხოვრობდა იდეალისტი. მესხიშვილი ძალიან ჭკვიანი არტისტი იყო, ამას ამოწმებს ასეთი ავტორიტეტი როგორც ილია ჭავჭავაძეა და სხვები.

ამის შესახებ ბევრია დაწერილი დ. კასრაძის წიგნში „ლადო მესხიშვილი“.

არც მისი ტემპერამენტი და არც ვნება არ უშლიდა ლადოს როლის გადმოცემის, დამაჯერებელ სირბილეს.

მას გრძნობით უყვარდა ცხოვრება და ბუნება ადამიანისა და ყოველთვის ამართლებდა კიდევ.

მისი აქტიორული ფიზიოლოგია ისროდა მას ერთი სახის ფორმიდან მეორეში.

მისი გალერეია: — ურიელი და ჰამლეტი — გადადიოდა რასპლიუევში და ფრანც მოორში.

და ამ სიცხოვლის გრძნობას თავისი გაჰქონდა, მას უყვარდა თავისი მახინჯები.

ლადო მესხიშვილს ისეთ პლასტიურ სისრულემდე აჰყავდა მახინჯებისა და ბოროტმოქმედთა სახეები, რომ გაყვარებდათ და მისი მახინჯები და სიმახინჯე სილამაზეში გადადიოდნენ. მოვიყვან წი-

ნააღმდეგ მაგალითს: რუსეთის ცნობილი მსახიობი მ. ა. ჩეხოვი, როცა თამაშობს სახასიათო ამპლუებს, ანალიტიურად უდგება. ის თითქო სადღაცა გადასროლილ სახეებს იღებს, მერე ჩერდება... და ასე სტოვებს ამ სახეებს.

მისი პირადი გრძნობა ვერ პოულობს საშუალებას ასეთი სახეების ხელოვნებამდე ასაყვანად.

აი, ჩემი ადამიანი, შეხედეთ, რა ლეშის სუნით არის გაჟღენთილიო.

აი, რატომ ხდება, რომ მაყურებელი თეატრიდან ამ პატალოგიით გამოდის. მიუხედავად მსახიობის დიდი ოსტატობისა.

მესხიშვილი თავის ლექციებში (სტუდიელებთან) ამბობდა, რომ არსებობს უთუოდ კავშირი პსიხოლოგიისა აქტიორის ხელოვნებასთან. ის ამბობდა, რომ მსახიობი უნდა სწავლობდეს ადამიანების ფსიხოლოგიას, უნდა აინტერესებდეს ექსპერიმენტალური ფსიხოლოგია.

მის სწავრ მაგიდაზე აუარებელი ტომები ეწყო პსიხოლოგიის საკითხებზე.

მახსოვს, გოგოლის „შეშლილის წერილები“-ს სწავლის დროს ის დადიოდა ფსიქიატრულ საავადმყოფოში და აკვირდებოდა ავადმყოფებს.

აქედან შეიძლება სხვამ გამოიყვანოს უსამართლო დასკვნა, თითქო მესხიშვილი ფსიხოლოგიურ მიდგომის საფუძველზე ნატურალისტურ ხერხით თამაშობდა. მაგრამ სწორედ აქ იმარჯვებდა მისი იშვიათი მხატვრული ნიჭი.

მართლაც ის დიდი კაცი იყო ხელოვნებაში.

ნატურალისტურ უხეშ ხერხებზე მაშინ ბევრი დიდი აქტიორი წაფორხილდა. ამ შემთხვევაში სამაგალითოა სიკვდილის სცენა. მე მინახავს როგორ კვდებოდა მარიუს პეტიპა ნაპოლეონის როლის შესრულების დროს.

მაყურებელი ხედავდა სიკვდილის ფიზიკურ პროცესს. მაგრამ მაყურებელი მაინც გულცივად ხვდებოდა ამას, პირიქით რალაც შიშსა და ერთგვარ ზიზღსაც გრძნობდა.

თუ როგორ გრძნობას იწვევს მაყურებელში ფიზიოლოგია, რომელიც ვერ გადადის ხელოვნებაში, ამის მაგალითს იძლევა პარიზის საშინელაბათა თეატრი „გინვოლი“.

მე ვნახე მხოლოდ ერთი წარმოდგენა, ამის შემდეგ მე ვეღარ შევძელი ამ საზიზღარ სანახაობის ცქერა.

მთელი პიესა მხოლოდ ერთ მომენტისათვის იყო გაკეთებული:

ერთ პატარა გოგონას ორი მოხუცებული ქალი თვალებს სთხრის. ისე დაწვრილებით აკეთებენ ეს დედაბრები ამ საქმეს, ისე შემადრწუნებელი სინამდვილით, რომ გინდა იყვირო, თავი დაანებონ ამ საშინელებას. ასეთ „სინამდვილიდან“, ასეთ ფსიხოლოგიიდან მესხიშვილის შემოქმედებაში არაფერი არ იყო.

რასაკვირველია, მან იცოდა სიცოცხლის ფიზიკა, მისი კანონები, და იმისთვის სწავლობდა ამ კანონებს.

თუ ისეთ რამეს გააკეთებ, რომელიც მართალს არ გავს, მაშინ მაყურებელი არ დაიჯერებს, მაგრამ ამ სიმართლეს დიდი ადგილი არ ეჭირა მის შემოქმედებაში, ასეთი რამ თავის თავად იოლად ხდებოდა მის გონებაში და არ ეჩრებოდა მაყურებელს თვალებში.

სულ უბრალო პიესებში, მელოდრამებშიაც კი, მესხიშვილი არ სცდილობდა გამოეწვია მაყურებელში მარტო უხეში სინამდვილის გრძნობა და ნატურალისტური მიმსგავსება.

ქუთაისში იყო სუფლიორი მიშა მარჯანიშვილი. ერთხელ ამ კაცმა დიდი თავაზიანობა გამოიჩინა და თავის „ბუდკაში“ მეც დამითმო ადგილი.

ამ დროს მიდიოდა პიესა: „და-ძმა“.

სცენა ასეთი იყო: ძმა (თამაშობდა მესხიშვილი) კვდებოდა სცენაზე. ამ პიესაში არავითარი იდეა არ არის. სცენაზე უბრალოდ კვდება ადამიანი. მაგრამ მესხიშვილს ადამიანი ყველაფერზე უფრო უყვარდა, და მისთვის მისი სიკვდილიც ყველაფერი იყო.

თქვენ აქ მარხავდით ვილაც მშვენიერს, ლამაზს და ახალგაზრდას. დიდ სცენიურ პაუზაში მესხიშვილი თითქო გალობდა ადამიანზე და თავზარდაცემულ მაყურებელს უნდოდა ეყვირა:

— გაჩერდი, ბედო!.. ადამიანის სიცოცხლე კვდება!..

ასე კვდებოდა სცენაზე იაპონელი მსახიობი-ქალი განაკო-ოოტა. მოსამსახურე-ქალს დაეკარგა თეფშები, რომელიც მას ჰქონდა მიბარებული.

აზრი, რომ ეჭვს მიიტანენ და მას ქურდობას დააბრალებენ, მიიყვანს ამ ქალს თავის მკვლელობის განზრახვამდე. ამ ქალში ისეთი სინაზე იყო, ისეთი მოვალეობისა და გულუბრყვილო პატიოსნების გრძნობა, რომ მაყურებელი უყურადღებოდ სტოვებდა ხარაკირს (მუცლის გამოფატვრას), ისე ოსტატურად აკეთებდა ამ სცენას განაკო-ოოტა.

ვუბრუნდები მამის ცხოვრებას მოსკოვში.

სამხატვრო თეატრში მოწყობის შემდეგ, ყოველდღიური ფიქრი ფულის შოვაზე დროებით დავიწყებულ იქნა. ჩვენ ეხლა ხუმრობით

ვიგონებდით განვლილ მწუხარე ცხოვრებას და მე დავწერე კიდევ
ბავშური კუპლეტები:

Мы приехали в Москву,
Разогнать свою тоску.
Но веселья не видали,
А ломбарды все узнали.

მამას ხშირად დავყავდით სამხატვრო წარმოდგენებზე. ყველა-
ზე უფრო გაგვაკვირვა „ნამდვილმა საგნებმა“. მაგალითად: კიბე პიე-
საში „ვაი ჭკუისაგან“, გათენება ფანჯრებზე, ლაქები კედლებზე, სა-
დაც წინად სურათები ეკიდა.

როცა ვიგონებდით ქუთაისის თეატრს, გვაგონდებოდა, თუ რო-
გორ ღელავდა საზოგადოება, როცა მიჩერებოდა სცენას, როგორ სტი-
როდა ეს ხალხი, როგორ იცინოდა, უკრავდა ტაშს და ყვიროდა „ვა-
შა“-ს. და საათობით უცდიდა თეატრიდან არტისტის გამოსვლას, რომ
კიდევ ელაპარაკა თეატრზე.

სამხატვრო თეატრში ტაში აკრძალული იყო, მაყურებელს და-
შლილი ჰქონდა თავისი გრძნობის გამოთქმა, თითქო პირში ბურთი
ჰქონდა ჩაჩრილი, საერთოდ ხალხი ძალიან ზანტად მოძრაობდა ხა-
ლიჩებით დაგებულ ზალაში, ხალხი თითქო ვერც კი ამჩნევდა არ-
ტისტებს, თითქო იმისთვის მოსულა თეატრში, რომ წყნარად გაატა-
როს ორი ან სამი საათი.

ქუთაისში და ტფილისში კი მაყურებელი მსახიობზე უფრო
იღვებოდა და ღელავდა.

მამა ჯერ აღფრთოვანებული იყო პიესებზე მუშაობის დროს
და ამბობდა:

— „მართლა ასე უნდა გაკეთდეს პიესა“-ო.

მამას ისიც მოსწონდა, რომ ყველანი საერთო კულტურას ეწა-
ფებოდნენ და ძალიან ბევრს მეცადინეობდნენ, მამას მხოლოდ ახალ-
გაზრდობა ებრალებოდა, ამბობდა ძალიან ბევრს ასწავლიან, მაგრამ
სცენიდან ძალიან შორსა ჰყავთო და ასე აქტიორად გახდომა ძნელიაო.

მაგრამ ერთხანად ძალიან მოსწყინდა ბევრი მეცადინეობა და
ამბობდა ძალიან გაგრძელდა მაგიდასთან მუშაობა და სცენა აღარ
სჩანსო.

მაგრამ სტანისლავსკით მაინც აღფრთოვანებული იყო.

— ნამდვილი მხატვარია — და სცენა აქტიორს ისე უნდა უყვარ-
დეს, როგორც მას უყვარსო, — ამბობდა ხოლმე მამა.

ნემიროვიჩ-დანჩენკოს აქებდა, როგორც ძალიან ჭკვიან კაცს.
თეატრში ჩვენ ძალიან პატივისცემით გვეპყრობოდნენ.

მამას გარეგნობა ყველას ხიბლავდა.

ხალხი ძველებურად მკიდებდა ხელს კალთებზე და მეკითხებოდა:
— ვინ არის ეს ლამაზი კაციო.

მამა ძალიან მიყვარდა და მიჩვეულიც ვიყავი, მაგრამ როცა ასეთ რეპლიკებს გავიგონებდი, თვითონ მივაჩერდებოდი მის გარეგნობას.

მამა საშუალო ტანის კაცზე ცოტა მაღალი იყო, მაგრამ დიდებულად ეჭირა თავი, რომელიც ლამაზად ედგა ტამზე და ოდნავ უკანისკენ ჰქონდა გადახრილი.

თმა მისთვის ნამდვილი სამკაული იყო.

მამა ბავშობიდან მახსოვს შეჭალარავეებული, ბოლოს კი სულ ჭალარა შეიქნა და ამ ჭალარას ვერცხლის ფერი გადაკრავდა.

სახე ახალგაზრდა ჰქონდა, შუბლი გახსნილი, წარბები წვრილი, მაგრამ გამოსაჩენი.

საერთოდ მასში იყო რაღაც ელინური.

თვალები ჰქონდა მსხვილი და მრგვალი, მოლურჯო ფერისა, მაგრამ მაინც მუქი.

ცხვირი სწორი ხაზით მოდიოდა შუბლიდან და ტუჩებიც ძალიან გამომეტყველი. ტუჩები არც წვრილი ჰქონდა, არც მსხვილი და რაღაც თავაზიანი ღიმილი არ სცილდებოდა.

განა შეიძლება აქტიორის სახეზე მუდმივი განომეტყველება დარჩეს? მამასაც ამაყი სახე ჰქონდა, მხოლოდ ხანდისხან დალონდებოდა და სევდას დაიფენდა.

მახსოვს მოსკოვში ერთი განათლებული ებრაელი მ. ხშირად დადიოდა ჩვენთან. ეს კაცი ამბობდა:

— მე თქვენთან დავდივარ მხოლოდ იმისთვის, რომ შევხედო, როგორ იღიმება ვლადიმირ სარდიონიჩიო.

აღრე მამა ძალიან გვანდა ბაირონს, მაგრამ შემდეგ სახის ნაკვთები უფრო დაურბილდენ.

ერთხელ ერთ კაფეში ჩვენ მაგიდის პირდაპირ ერთი სუბიექტი იჯდა და ასე უთხრა თავის დამას, რომელიც, როგორც ეტყობა, დაინტერესდა მესხიშვილის გარეგნობით.

— ეს ხომ ეკატერინე მეორეა შარვალშიო.

მამას გულიანად გაეცინა. აგრეთვე ჩვენც ყველას. კარიკატურისთვის ეს ძალიან მოხდენილად იყო ნათქვამი.

მაგრამ მალე დადგა მამისა და სამხატვრო თეატრის განწყობილებაში საბედისწერო უამი.

ასეთი ფინალი ბუნებრივიც იყო.

მესხიშვილის დიდი ინდივიდუალური ნიჭი, მისი მუშაობის და-

მოუკიდებელი მანერა და გემოვნება არ ემორჩილებოდა სამხატვრო თეატრის მთელ მუშაობას და დისციპლინას.

თეატრის საერთო ტონი მეტად ინტიმიური იყო და არ ეგუებოდა მის აქტიორულ ტემბრს, რომელიც უმთავრესად ტრაგედიებზე იყო დაყენებული, ან და ისეთ პიესების დიაპაზონზე, როგორც: ყაჩაღები, ვენეციელი ვაჭარი, ურიელი, ჰამლეტ, კინი, კარლოსი, რიჩარდ მეფე, ტარტიუფი და სხ.

მაშინ მისი სცენიური პიროვნება უფრო ეგუებოდა მცირე თეატრს. ეს თეატრი ინახავდა აქტიორის ხელოვნების დიდ ტრადიციებს, მაგრამ ვიმეორებ, არ ვიცი რა იყო მიზეზი, მხოლოდ სუმბათაშვილმა არ შეუწყო ხელი, რომ მამა მცირე თეატრში მიეწვიათ.

სამხატვრო თეატრი მიდიოდა ანსამბლის თეატრის ხაზით. თეატრი ანსამბლს არ უთანასწორებდა გამოჩენილ აქტიორებს, არამედ უფრო საშუალოს და ამიტომ დიდ არტისტებს უხდებოდათ დათმობაზე წასვლა.

როგორც არ უნდა იყოს „ანსამბლის“ ამოცანები, მაინც მოსკოვნი, სტანისლავსკი და კაჩალოვი გამოდიან ანსამბლის ჩარჩოებიდან.

კნუტ ჰამსუნის „ცხოვრების დრამა“-ს რეპეტიცია იყო. თეატრში ეტყობა რალაც ყოყმანი იყო და პირობით ტონს სინჯავდენ. დეკორაციებიც პირობითი დეკადენტური ჰქონდათ. ამიტომ ერთ რეპეტიციაზე ნემიროვიჩ-დანჩენკომ უთხრა მესხიშვილს:

— შეეგუეთ დეკორაციების ტონსო.

მესხიშვილმა, ცოტა ნერვებაშლილმა ამაზე, ასე უპასუხა:

— მე მერჩია, რომ დეკორაციები შეეგუებიათ ჩემი ტონისთვისო.

აქ გაიხსნა კვანძი. მამა არ დადიოდა რეპეტიციებზე. მეგობრულად მოელაპარაკა თეატრს და მალე სულ დასტოვა კიდეც ეს თეატრი.

მამის წასვლამ ძალიან შეგვაწუხა ჩვენცა და სტუდიელებიც, რომელნიც ჩვენთან დადიოდენ და ღელავდენ.

მამას წინანდებურად უყვარდა სტანისლავსკი და კარგად იგონებდა ნემიროვიჩ-დანჩენკოს.

შემდეგაც, როცა მამა ჩვენ დაგვშორდა, სტანისლავსკი არ გვაკლებდა მზრუნველობას, და მხოლოდ მისი წყალობით გავათავეთ ჩვენ საშუალო სასწავლებელი.

ამ დროს ანტრეპრენიორმა ოზეროვმა დაიწყო მოსკოვში იბსენის სახელობის თეატრის მოწყობა. ამ თეატრში მიიწვიეს მესხიშვილი. თეატრი მოთავსებული იყო აკვარიუმის შენობაში, სადღვამთიას ქუჩაზე.

დარჩა ეს იბსენის თეატრად, თუ სახელწოდება მას ჩამოსცილდა, კარგად არ მახსოვს. ეს თეატრი ძალიან ხანმოკლე იყო. შემდეგ მამა მსახურობდა რიაზანში, სადაც თვითონ მეთაურობდა საქმეს. როცა მამა აკვარიუმის თეატრში მსახურობდა, ადესიდან ჩვენთან ხშირად ჩამოდიოდა ჩემი ძმა შალვა.

სახლი მაშინვე გაივსებოდა სტუდენტებით, ზოგიერთები მოპირდაპირე პოლიტიკურ ბანაკებსაც ეკუთვნოდნენ და მათი კამათი, თუ მამა არ ჩაერევოდა, ძალიან მღელვარედ მიმდინარეობდა.

ერთ დღეს მოულოდნელად ჩამოვიდა ადესიდან შალვა ორი ამხანაგით. შალვა ძალიან აღელვებული იყო და მხოლოდ იმის თქმა მოასწრო — მოსკოვში იმიტომ ჩამოვედით, სტუდენტების კრებაზე ერთ სტუდენტს უნდა ვცემოთო.

ეს ამბავი, როგორც ეტყობა, ასე მოხდა კიდევ და ღამე შალვა თავისი ამხანაგებით უკან გაბრუნდა.

მთელი მოსკოვის პერიოდის განმავლობაში მამა ავადმყოფობდა და ძალიან შეწუხებული იყო ჩვენი ბედით.

შალვა ადესის სტუდენტების ცენტრალურ ორგანოს თავმჯდომარე იყო და მისი ცხოვრება გადაბმული იყო ხშირად ციხეებთან. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მას აღმოაჩნდა ვიღაც სხვა კაცის პასპორტი. გადაუწყვიტეს დახრჩობა ამ ყალბ ორეულს.

მამა დიდხანს დადიოდა ლენინგრადში და უმტკიცებდა მთავრობას, რომ შალვა მისი შვილია და მისი პასპორტი ყალბია.

მე და ჩემი და ნინა გიმნაზიაში კარგად ვსწავლობდით.

ჩვენი გიმნაზიის ამხანაგები დარწმუნებული იყვნენ, რომ საქართველოში ხალხი ტიტველი დადის და ტყავებს ატარებს. ჩვენ ეს, რასაკვირველია, ძალიან გვწყინდა.

ზეფხულის სეზონში მივდიოდით მამასთან არხანგელსკში, სადაც ის მსახურობდა.

ეს დრო კარგად მახსოვს, რადგან ჩვენ უკვე მოზრდილი ბავშვები ვიყავით და ვაკვირდებოდით მამის თამაშს.

ჩვენი და ნინა კი თამაშობდა და მღეროდა კიდევ ხანდისხან.

არხანგელსკში მამა ძალიან უყვარდა ხალხს.

თამაშობდა იოანე მრისხანეს, დოქტორ შტოკმანს, კინსა და რასპლიუევს. ეხლაც, როცა ვხვდები იმ დროინდელ არტისტებს, მამას დიდი სიყვარულით იგონებენ. მაშინ მამასთან მსახურობდა ეხლანდელი მოსკოვის პროფკავშირების თეატრის ხელმძღვანელი ლიუბი-მოვ-ლანსკოი.

მამა ძალიან უყვარდა აგრეთვე იქ გადასახლებულ პოლიტიკურებს, რომლითაც სავსე იყო მაშინდელი არხანგელსკი.

ეს გადასახლებული ხალხი მოწყვეტილი იყო ცხოვრებას და თეატრში ყოფნა და თეატრზე წერა მათთვის სიხარულს შეადგენდა.

დიდად შეწუხებული გვაცილებდნენ არხანგელსკიდან წამოსვლის დროს პოლიტიკური ტუსაღები.

მოსკოვში რომ დაბრუნდა, მამას უნდოდა ტფილისში წამოსვლა. ჩვენ უნდა დავრჩენილიყავით მოსკოვში — მე გიმნაზიისა და ნინა კი პედაგოგიურ კურსების გასათავებლად.

ვალებში ვიყავით ჩაფლული, ლომბარდებში გვეკარგებოდა მამის ნივთები, რომელთანაც ასეთი ძვირფასი მოგონება გვაკავშირებდა.

ამის მიზეზით, როცა საკმაო დიდი თანხა მისცეს მამას, დათანხმდა ზამთრის სეზონში კრასნოიარსკში წასულიყო.

ძალიან უნდოდა ტფილისში წასვლა, მაგრამ ენანებოდა ოჯახის დატოვება.

ჩვენ გვეშინოდა კრასნოიარსკის ჰავის. მამა მიჩვეული იყო სამხრეთის თბილ ჰაერს და კრასნოიარსკის ციმბირის სიცივეს ვერ აიტანდა.

მაგრამ მამა მაინც წავიდა.

ჩვენ ვცხოვრობდით ერთ ბინაზე პოეტი ვ. მაიაკოვსკის ოჯახში. ჩვენ გვაერთებდა საერთო მოგონება შორეულ ქუთაისზე და ძალიან დავმეგობრდით.

შემდეგ ჩვენ ჯერ კიდევ სიცოცხლის დროს დავკარგეთ მამა. კრასნოიარსკში ლადომ კავშირი დაიჭირა კონოვალოვის ქაღალდით. ეს კავშირი მისთვის საბედისწერო შეიქნა.

მამა ჩაუვარდა ხელში ამ ქალს, რომელიც ბევრად მაზე ახალგაზრდა იყო ხნით, და რომელმაც დაუმორჩილა მისი ნება თავის ხასიათს.

ჩვენი ცხოვრება ამის შემდეგ გაჭირვებულზე გაჭირვებული იყო. დედა და ჩემი და ნინა განუწყვეტლივ მუშაობდნენ. მეც ძალიან ვმეცადინობდი და შევედი დრამატიულ კურსებზე. აქ მე მეძლეოდა ა. პ. ჩეხოვის სტიპენდია და გავათავე წარჩინებით. ჩემი და მუშაობდა ბალიევის „ლეტუჩაია მიშ“-ის თეატრში, სადაც თანდათან იხვეჭდა სახელს.

კრასნოიარსკიდან მამა ჩავიდა ტფილისში.

აქ მას მოუწყვეს გრანდიოზული იუბილე.

ჩვენ ვიტანჯებოდით მამის შორს ყოფნით.

არაფერი არ დავგრჩენია ამ იუბილეს სამახსოვროდ.

მამამ მოგვწერა წერილი, რომელშიაც პატიებას გვთხოვდა და გვწერდა, ანა ვასილიევნა გამოგიგზავნით საიუბილეო დიდ პორტრეტებსო, მაგრამ ჩვენ პორტრეტები არ მიგვიღია და ძალიან ვწუხდით, რადგან ვიცოდით, რომ დადგება დრო, როცა მესხიშვილის პორტრეტი ქართველ საზოგადოებისთვის და ქართულ თეატრისთვის ძალიან გამოსადეგი დარჩებოდა.

მიაღწევენ კი როდისმე ქართულ თეატრის მუზეუმამდე ეს რელიკვიები? არ ვიცი! მაგრამ ბევრი კი უნდა დარჩენილიყო.

მამას შევხვდით ერთ ზაფხულს ტფილისში.

ძალიან მწუხარე შეხვედრა იყო.

რევოლიუციის პირველ დღეებში მამა ჩამოვიდა მოსკოვში და სცხოვრობდა კონოვალოვის ქალის სახლში. ხშირად მოდიოდა ჩვენთან, მაგრამ ყოველთვის შიშითა და ძრწოლით.

საერთოდ ლაღო ძნელი საცნობი გახდა. ძალიან დაშინებული იყო ცხოვრებით. ჩვენ მეტად ნაზად გვეპყრობოდა და ხშირად სტიროდა.

მე განვიცდიდი იმ ტკივილს, რომელიც ალბად ყველას განუცდია, როცა ხედავს თავის ახლობელს, რომელსაც წლებმა თავისი დალი დაასვეს და ადამიანი დაარღვიეს.

დაიწყო მოსკოვის შიმშილის დღეები.

მამა ხშირად შემოდიოდა ჩვენთან. რა ბედნიერებას ვგრძნობდი, როცა რამე გვექნებოდა მამისთვის გასანაწილებლად, მაგრამ სელიოტკის გარდა მაგიდაზე არაფერი არ იყო. მამას ერთი ლა დარჩა ნალველი, ერთი დაუცხრომელი სურვილი ასულდგმულებად.

მამა ლაპარაკობდა საქართველოზე, დედასთან ერთად იგონებდა წინანდელ მუშაობას, ძველ ამხანაგებს და ხელახლავ ატირდებოდა. ცრემლები მის განსაკუთრებულ ნერვიულობას გამოხატავდენ, არ შეეძლო თავის შეკავება.

ასეთი საუბრები აიძვებდენ, ის უფრო ხშირად დადიოდა და იგონებდა ძველ ცხოვრებას.

ჩემთან ერთად გადიოდა პეკის როლს შექსპირის პიესაში „ბევრი ხმაურობა სულ არაფერზე“.

მაშინ ვმსახურობდი მოსკოვის დრამატიულ თეატრში და მერე კიევში წავედი პრაქტიკისთვის, მალე იქ გადმოსახლდა ჩემი დაც.

ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით მამას. ვწერდით ერთმანეთს წერილებს, მაგრამ მალე ეს საშუალებაც არ იყო.

მამამ მოიწერა წერილი სოფელ „რაზდუმოვი“-დან, სადაც ის ცხოვრობდა ანა ვასილიევნასთან და შვილ ლადიკთან ერთად. გვწერ-

და საქართველოში მინდა წასვლაო. ეტყობოდა, ეს იყო ერთად ერთი მისი სურვილი.

ჩვენ მაინც მოვახერხეთ მისთვის სანოვაგის გაგზავნა.

წამოსვლა შეუძლებელი იყო.

მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ მივიღე დედისგან და დისგან წერილი, რომ მამა საქართველოში მიდის. ისინი ადესაში შეხვდნენ ერთმანეთს. დედა მწერდა, ვერ ვიცანი ლადო, ისე დაბერებულა, დაავადმყოფებულა და დაშლილაო.

ბედმა უკანასკნელად შეახვედრა ისინი ერთმანეთს.

მამა ამბობდა, რომ გრძნობს აღსასრულის მოახლოვებას და ჩქარობს თავის სამშობლო მიწაზე სიკვდილსა და განსვენებას.

გზაში ქართველები შეხვედროდნენ.

სასტიკი შიმშილის და სისხლის დღეები იდგა. გემი არ იყო, მაგრამ ვერაფერმა ვერ შეაჩერა მამა.

ჩასხდნენ შხუნაში. დაიწყო ქარიშხალი და დიდხანს უყურებდნენ ადესიდან, თუ როგორ აბურთავენდა ზღვა ამ შხუნას.

ტფილისიდან იშვიათად მოგვდიოდა ამბავი. (ჩემთან მოწერილი წერილები ჩავაბარე საქართველოს მუზეუმს).

ეს წერილები სავსეა ადამიანის ბედნიერებით და სიხარულით. იმ ადამიანისა, რომელმაც ფეხი თავის სამშობლო მიწას დააბიჯა; იმ მიწას, სადაც მიდიოდნენ მისი საუკეთესო დღეები.

მამა იწერებოდა საქართველოზე, აქვს უფლება საქართველოს ბედნიერი ცხოვრებისა, როგორც საზოგადოებრივ განვითარებულსა და კულტურულ ქვეყანასო.

მაგრამ მესხიშვილის ორგანიზმი მოტეხილი იყო. ზღვაზე დიდი ხნით მოგზაურობამ უფრო მოუთავა ხელი.

24 ნოემბერს 1920 წელს გარდაიცვალა ქართული თეატრის არტისტი ლადო ალექსი-მესხიშვილი.

4½ საათზე მე ამის შესახებ წავიკითხე შემთხვევით საქართველოდან მოსულ გაზეთებში მოსკოვში.

მოკვდა ქართველ ერისთვის არტისტი, რომელიც ემსახურებოდა დიდ კაცობრიულ ხელოვნებას, რომელსაც ყველაზე უფრო უყვარდა თავისი ხალხი, რომელსაც ყოველთვის სწამდა ადამიანის ცხოვრება და რომელმაც ეს აღთქმა გადასცა თავის მოწაფეებს.

ჩვენთვის კი მოკვდა მამა, მთელ სიცოცხლეში ასე ნაზად და მხურვალეთ რომ გვიყვარდა, რომლის სახე ისეთი დიდი დარჩება, როგორიც ის იყო სინამდვილეში.

როცა ვფიქრობ იმაზე, თუ რა გააკეთა ლადო მესხიშვილმა ხალ-

ხისტვის და თავის თანამედროვე თაობისთვის, ვიმეორებ მის საკუთარ სიტყვებს:

— მე არ ვეკუთვნი ერთ რომელიმე კლასს, მე ვეკუთვნი მთელ ხალხს, ჩემი ხელოვნება ემსახურება ჭეშმარიტებას, თქვენ კიდევ დიდხანს იართ თეატრში და მე გაჩვენებთ თქვენ უსამართლობას სცენიდანო.

— : —

თანამედროვე თეატრი

შ. დ—ვა.

ქართული თეატრის შემოქმედებითი გზები.

(„ანზორი“-ს დადგმის გამო რუსთაველის თეატრში).

ქართული თეატრის საკითხი ჩვენში ამჟამად საერთო ინტერესს იწვევს, ამიტომ „ქართული მწერლობის“ რედაქცია საშვალებას აძლევს სხვადასხვა შეხედულებათა წარმომადგენლებს, გამოსთქვან თავიანთი აზრი, საერთოდ თეატრზე და კერძოდ ახალი დადგმების შესახებ.

რედ.

ქართული თეატრის ზრდა ანტითეატრიკული გზით მიდიოდა: აქტიორული ინდივიდუალიზმის თეატრმა, სადაც მხატვრული ანსამბლის ხარჯზე გაბატონებული იყო ცალკე „სახელები“ (კ. მესხი, ლ. მესხიშვილი, ვ. აბაშიძე, მ. საფაროვის ქალი და მრ. სხ.)—ადგილი დაუთმო მხატვრული კოლექტივის შემოქმედებას. ეს პერიოდი ხასიათდება მოსკოვის სამხატვრო თეატრის პრინციპების დამკვიდრებით ქართულ თეატრის შემოქმედებაში. თეატრში გეგემონათ გამოდის მხატვარი, და სცენის დეკორაციულ მორთულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ფერთაწერითი დეკორაციებში სცენიური მოედანის პრობლემა ორგანზომილებიან სივრცის ხაზებში იყო გადაჭრილი ასეთს პირობებში აქტიორის გარეგანი ტექნიკის ხარჯზე პირველ რიგში მისი შინაგანი ტექნიკა წამოიჭრა.

ორგანზომილებიანი სივრცე შეუძლებლათ ჰხდის აქტიორის გარეგანი ტექნიკის გაშლას, რისი უმთავრესი მიზეზი იმ ფაქტიურ კონფლიქტში უნდა ვეძიოთ, რომელიც არსებობს აქტიორის სხეულსა და სცენის დეკორატიულ მორთულობას შორის: აქტიორის რეალურ სხეულის მოძრაობას სამი განზომილება განსაზღვრავს, ხოლო სცენის ფერთაწერითი მოწყობა კი ორგანზომილების ფარგლებში თავსდება. ამ რიგად დეკორაციები უმთავრეს შემთხვევაში შეუძლებლათ ჰხდინან მოძრაობას და მით სცენაზე ამკვიდრებენ სპეციფიურ სტატიკას. „გან-

ცდის“ თეორიამ როგორც ფუნდამენტალურმა პრობლემამ აქტიორის შინაგანი ტექნიკის გაშლის საქმეში აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა, მაგრამ მისმა ნატურალისტურმა ტრაქტოვკამ დაუკარგა თეატრს სპეციფიური მხატვრული ენა, რის შედეგათ მივიღეთ „განცდის“ დაცლა ნებისყოფითი ელემენტებისაგან და მისი ფიზიოლოგიამდე დაყვანა.

სტატიკა, ნატურალისტური განცდა, „ჩეხოვისებური განწყობილება“, („Чеховское настроение“), მხატვრული შემოქმედების დაკარგვა—ასეთი იყო ქართული თეატრი რევოლიუციამდე.

რევოლიუციას ძლიერი დინამიკა ახასიათებს, კინემატოგრაფიულ ტემპს თანამედროვე ადამიანი თვით ცხოვრებაში განიცდის. ცხადია, მას არ აკმაყოფილებს და ვერც დააკმაყოფილებს სტატიური-დეკორატიული თეატრი, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მაყურებელში მხოლოდ ინტიმურ-ნატურალისტური განცდა და არა წყურვილი ბრძოლის და სასიხარულო ხალისი ახალი ქვეყნის მშენებლობის. ამ მოვლენამ სულ სხვა შემოქმედებითი გზები დაუსახა ქართულ თეატრს: ფიზიოლოგიური განცდა მოკლებულია მხატვრული დაჯერების პოტენციას, ორგანზომილება უძლურია გაშალოს რეალური მოძრაობა, სტატიური რამპა წინააღმდეგობაშია ეპოქის კინემატოგრაფიულ ტემპთან. თეატრი არ უნდა იყვეს ცხოვრების ილლიუსტრატორი, ოქტომბრის რევოლიუციამ მას მშენებლობითი ფუნქცია დააკისრა: თეატრი მხატვრულათ უნდა ზრდიდეს ახალ მაყურებელს, აძლიერებდეს მასში ბრძოლის წყურვილს, აღრმავებდეს სოციალისტურ მშენებლობას, ნიადაგს ჰქმნიდეს ახალი ფსიქოლოგიური ტიპის წარმოსაშობათ. ეს კი თხოულობს ახალ სისტემას აქტიორის აღზრდის და სცენიურ მოედნის მოწყობის საქმეში. პირველი იერიში განახლებულმა ქართულმა თეატრმა ძველ დეკორატიულ სტატიკაზე მიიტანა: მან მოსპო ფერთაწერითი გეგმონია და კონსტრუქციების შემოტანით, სცენაზე სამიგანზომილება დაამკვიდრა. განსაკუთრებული სიძლიერით კონსტრუქციების მნიშვნელობა გამომჟღავნდა „ანზორის“ დადგმით. დადგმის ავტორმა ა. ახმეტელმა უმთავრეს ამოცანად იმ რიტმის გამოვლინება დაისახა, რომელიც მოცემულია ლეკებში. მთელი დადგმა მასიურ მოძრაობაზეა აშენებული. თვითეული აქტიორის მოძრაობა მასის მოძრაობის გეგმაში და პერსპექტივაშია მოცემული; აქედან: მოძრაობის ყოველი მომენტი მათემატიკურადაა გამოანგარიშებული. მოძრაობის ასეთმა მათემატიზაციამ შექმნა აბსოლიუტური რიტმი, სადაც დაჭერილია ტონი და ხასიათი „მკაცრ“ მთიულის. ა. ახმეტელმა „რიტმის“ ძიება ბგერაშიაც გადაიტანა: ამით

აიხსნება მთიული დიალექტით ალაპარაკება მსახიობების. მაყურებელი ინსტიქტიურათ ჰგრძნობს, რომ ლეკის სპეციფიური მოძრაობა თავისებურ დიალექტს თხოულობს; ყოველივე ამას რასაკვირველია დიდათ ხელი შეუწყო ირ. გამრეკელის კონსტრუქციებმა. პირველი ორი მოქმედება კონსტრუქციის ხაზებშია მოცემული; მესამე და ნაწილობრივ მეოთხე (ჯავშნოსან მატარებლის სცენები) — თითქოს ნატურალიზმის სტილში: რეალური ჯავშნოს გამოყვანა. ამაში ხედავენ სტილის აღრევას. სტილის მთლიანობის ასეთი გაგება აუცილებლათ უაზრობაა. მთელი დადგმის აზრი „ანზორში“ დეკორატიული სტატიკის შემოქმედებითი ძლევაში მდგომარეობს. ეს ძლევა საჭიროა, რომ აქტიორის მოძრაობა სამგანზომილებიან სივრცეში გაიშალოს. რეალური ჯავშნო ხელს უწყობს სამგანზომილებას. აქედან დებულება: კონსტრუქტივიზმს უფრო მეტი ორგანიული ნათესაობა აქვს რეალიზმთან, ვინემ ფერთაწერითი პირობითობასთან, კიდევ მეტი: ხშირად რეალიზმი ლოდიკურათ გამომდინარეობს პირობითი კონსტრუქტივიზმისაგან. და ეს ხდება უმთავრესათ მაშინ, როდესაც კონსტრუქციები მოძრაობის ფონათ კი არ არიან მოცემული, არამედ თვით მოძრაობის სუბიექტათ („ილრიალე ჩინეთო“, „რღვევა“, „საჭე მარცხნივ“, „ანზორ“ და სხ.)

„ანზორში“ მკაფიოთ არის მოცემული გარკვეული სისტემა აქტიორის აღზრდის, გარეგანი ტექნიკა შინაგანი ტექნიკის გამომხატველი უნდა იყვეს. ყოველი ეესტი, ყოველი მიმიკა, ყოველი მომენტი მოძრაობის უნდა ამხელდეს და შლიდეს გმირის შინაგან განწყობილებას, მის განცდებს, მის სულისკვეთებას. აქტიორის მთელი მოძრაობა ბგერების გარეშედაც უნდა წარმოადგენდეს თავისებურ „შინაგან მონოლოგს“, სადაც მოცემულ უნდა იქმნეს აქტიორის მიერ განსახიერებელი მხატვრული სახის მთელი სულიერი ავლადიდება. განცდის საფუძველი გულწრფელობაა. მაგრამ გულწრფელი განცდა ნატურალისტური განცდაა. აქტიორის გულწრფელი განცდა ძილის, ეს ნამდვილი დაძინებაა სცენაზე, მისი ასეთივე განცდა ტირილის, ნამდვილი ტირილია, მაგრამ ეს ხომ ხელოვნება არ არის?—მეორეს მხრივ გულწრფელობის გარეშე მხატვრული შემოქმედება შეუძლებელია. აქ თავისებური წინააღმდეგობაა. მაგრამ ეს წინააღმდეგობა მხოლოდ მოჩვენებითია: აქტიორს არასდროს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ის აქტიორია, მაგრამ აქტიორმა უნდა დაავიწყოს მაყურებელს, რომ ის თეატრშია, — მაყურებელია. ამას შესძლებს აქტიორი განცდის დამორჩილებით ნებისყოფისადმი. ნებისყოფითი ელემენტების ფონზე განცდის გაშლა და ასე გადაცემა მისი მაყურებელი დარბაზისა-

თვის, — ჰქმნის ნამდვილ მხატვრულ შემოქმედებას. მაგრამ ამ შემოქმედებას აქტიორი აღწევს გარეგანი ტექნიკის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს უმთავრესს ემოციონალურ გამტარს აქტიორის განცდებისას მაყურებელ დარბაზზე. ამით აიხსნება, რომ რუსეთის თეატრში განსაკუთრებული გულისუური ექცევა აქტიორის მოძრაობის პრობლემას, მის გარეგან ტექნიკას. სცენის ყოველი აქსესუარი ხელს უნდა უწყობდეს შინაგანი განწყობილების გამოვლინებას. აქედან: საჭიროა ყოველი საგნის „ამეტყველება“, ფერი, სინათლე, მუსიკა ასეთივე მიზანს უნდა ემსახურებოდეს. ამ მხრივ აღსანიშნავია „ანზორის“ მუსიკა. ლარბის სიმღერის მელოდია დაუვიწყარია. ამ მელოდიაში გასაოცარი ძლიერებითაა გამომჟღავნებული მოხუცი ლეკის მანსურის ტანჯვა-ვაება სოფლის გადაწვის და ოჯახის ამოწყვეტის გამო. ისმენტ მელოდიას და გრძნობთ თუ როგორ „ატირდა გლეხის სოფელი“...

ასეთივე ძლიერია მუსიკა აგრეთვე მესამე სურათში, როდესაც ანზორი იგონებს თავის გადამწვარ ოჯახს, დაღუპულ ცოლშვილს. აქ ხაზგასმული ის მოვლენაა, რომ მაყურებელს ესმის არა ანზორის სიტყვები (ის გაჩუმებულია) არამედ მუსიკა, მაგრამ ეს მუსიკა საუკეთესო მეტყველია ყველა იმ ტანჯვისა და ვაების, რასაც განიცდის ანზორი.

სინათლის ეფექტებსაც ასეთივე ამოცანა აქვს. ა. ახმეტელი სინათლის გამოყენების მხრივ ერთ-ერთ საუკეთესო ოსტატათ ითვლება. ამისდამიუხედავათ ჩვენ არ შეგვიძლია გავიზიაროთ ის მომენტი, როდესაც ლიანდაგზე გაწოლილ ახმას ანათებენ; შესაძლოა ეს იყო რეჟისორის უბრალო ხერხი: აჩვენოს მაყურებელს ახმას სახე, მაგრამ ეს მიზანს ვერ აღწევს, რადგან მაყურებელ დარბაზისათვის ეს სინათლე თავისებურ მისტიციზმით არის გაჟღენთილი და მას რაღაც მაგიური მნიშვნელობა ენიჭება მაყურებლის შემეცნებაში.

მონოლოგიური მომენტები ჯავშანოში მეტისმეტათ გრძელია. სრულიად უზიანოთ შეიძლება მათი შემცირება.

დასასრულ საჭიროა აღინიშნოს რომ აუცილებლათ მეტს ეფექტს შექმნიდა, უფრო დიდი და ძლიერი ჯავშანო. საკმარისია მოვიგონოთ თუ რა დაუვიწყარი შთაბეჭდილება დასტოვა „რღვევის“ გემმა, რომ დავრწმუნდეთ ამ მოსაზრების სისწორეში: ხშირათ მოძრავ ნივთს უფრო ძლიერი ემოციონალური გავლენა აქვს მაყურებელზე ვინემ სიტყვას.

„ანზორი“ — დიდი გამარჯვებაა რეჟისორის, მსახიობების და მთელი თეატრის.

— : —

რუსთაველის თეატრის საზღვრი.

პირველი წარმოდგენა.

თეატრალური რეპერტუარის თემატიური განახლება და გარე-ვოლიუციონერება, აუცილებელი საჭიერებაა ჩვენს სინამდვილეში, და თავდებია თეატრის მომავალ გათანამედროვეების. თეატრის თემატიური განახლების შედეგია „რღვევა“ და „ლიუბოვ იაროვია“. „იღრიალე ჩინეთო“, უსათუოდ თემატიურ სიახლესთან ერთად, თვით პიესის ხერხობრივი აღნაგობითაც რევოლიუციონურია და ამით ის რევოლიუციონურ რეპერტუარში ბედნიერი შემთხვევა. სულ სხვაა „რღვევა“, ის ძველი ტრადიციული პიესის სტრუქტურით არის მოცემული და სცენაზე განსხეულებულიც. რადგანაც ჯერ უკეთესი სტრუქტურის პიესები არ არსებობს, ჩვენი რევოლიუციონური მაყურებელი მისი თემატიური სიახლითაც კმაყოფილდება.

ცხადია ამ პირობებში, ყოველ ახალ რევოლიუციონური ხასიითის პიესას, თუმოთხოვნილების მინიმუმს მაინც აკმაყოფილებს, თეატრმა კარი უნდა გაუღოს და განასხეულოს სცენაზე. ასეც მოხდა „ანზორის“ არჩევანით რუსთაველის თეატრში.

მაგრამ შედარებით ზემო-დასახელებულ პიესებთან „ანზორი“ უსათუოდ რეაქციონური მოვლენაა და ეს უნდა გამოტანილ იქნეს მზის სინათლეზე.

ამ წერილის დამწერის განკარგულებაში არ არის რუსული ტექსტი ივანოვის პიესა „ჯავშანის“ რომლიდანაც „ანზორი“ — არის გადმოკეთებული. მხოლოდ ჩვენ ვიცნობთ ამ პიესის დედანს მოთხრობის სახით. მოთხრობის შტრიხები პიესაში, საზოგადოებრივი ურთიერთობის აღვნიშვნაში, დამახინჯებულია. პიესა „ანზორში“ ანზორის გარევიოლიუციონერება ხდება შურისძიების ნიადაგზე. ეს შტრიხი ხაზგასმულია ავტორის მიერ და ამით გარეაქციონერებულია პიესის მთავარი მხარე. ანზორის ოჯახს ამოწყვეტენ თეთრები, ანზორი როდესაც ამას შეიტყობს გადაწყვეტით ამბობს, რომ შური უნდა იძიოს და სისხლი აიღოს, ამ სისხლის აღების ნიადაგზე ხდება რევოლიუციონური აჯანყება: არავითარი კლასობრივი სახე, არავი-

თარი იდეის შეგნება. პიესა ბოლომდის ატარებს ამ ხასიათს და არ ღალატობს შურისძიების გრძნობას.

შემდეგ რევოლუციონური მოძრაობის ანბანური უცოდინარობა ჩნდება როდესაც უკანასკნელ მოქმედებაში, ანზორის რაზმი ჩადის ქალაქში. აქ მუშები უორგანიზაციოდ და დაშლილათ გამოდიან. ანზორის რაზმი მუშებს გამბედაობას და ორგანიზაციულობას მატებს. ეს ესერული ათვისება რევოლუციის ხდება კმაყოფილი სიდინჯით და მას არავითარი მოტივი და შენაშენა არ აქვს პიესაში გაკეთებული. როგორც შურისძიების და სისხლის აღების მოტივი არ გამოდგება რევოლუციონურ აჯანყებაში, ისე შურის მაძიებელ გლეხების (უფრო გარკვევით კულაკების) მოწინავეობა მუშების, მიმართ წარმოუდგენილია.

შეიძლება მეტი დეტალების დასახელებაც, მაგრამ პიესის საერთო განწყობილების დასახასიათებლად, ესეც საკმარისია. ეს შეცდომა შედეგია პიესის ურევიზიო გადმოკეთების და ჩრდილოეთ კავკასიის ლოკალზე გადმონერგვის.

პიესის გადმოკეთება საერთოდ შემცდარი გზაა დრამატურგიის. ყოველი პიესა აშენებული განსაკუთრებულ ლოკალის პირობებში, წარმოადგენს ამ ლოკალის მასალების კარნახით, აშენებულ დრამატიულ კონსტრუქციას. აქედან ცხადია რომ პიესის დრამატიულ და სიუჟეტურ კონსტრუქციას კარნახობს ლოკალის მასალის თვისებები. ამიტომ ერთი ლოკალის მასალებზე აშენებული პიესის გადანერგვა (მხოლოდ სახელების შეცვლით) არ შეიძლება მეორე ლოკალზე.

მეორე ლოკალზე სხვა მასალებია. ხოლო ეს მასალები სრულიად სხვა სიუჟეტის კონსტრუქციას მოითხოვენ, თორემ მოხდება ერთი ლოკალის თვისებების მეორეში გადანერგვა და ადგილობრივ მასალების თვისებების უცოდინარობის გამოჩენა და დამახინჯება.

ავტორმა ციმბირის მასალაზე აშენებული სიუჟეტი გადმონერგვა ჩრდილოეთ კავკასიის შემთხვევებზე და რადგან მზგავსი შემთხვევები აქ არ არსებობენ, ეს შემთხვევები გამოიგონა და ციმბირს შეუთანხმა. პიესა შეცდომებით აწესო და რევოლუციონურ რეპერტუარის რიგიდან ამოვარდა. ამ მასალების გადაჯგუფებამ გამოიყვანა ის, რომ ვაჟკაცობით განთქმული მთის ხალხი ლეკები, სიმხდალეს იჩენენ და ჩინელი სჯობნის გამბედაობაში. ეს ციმბირის მასალის კარნახით აშენებული დრამატიული კოლიზიაა და არა ლეკების მასალით. შემდეგი შეცდომაა, ჩრდილოეთ კავკასიაში ჩინელის გამოყვანა. ამის საპასუხოთ ამბობენ, რომ ჩინელის ნახვა ტფილისშიაც შეიძლება, მაგრამ ეს გასამართლებელი საბუთი არ არის. ტფილისში და ჩრდილოეთ კავკასიაში ჩინელი შემთხვევი-

თი მოვლენაა და მისი რევოლუციონერობა გამონაკლისი. ციმბირისათვის ეს ტიპური მოვლენაა, და ამიტომ დამაჯერებელი და მართალი. ჩრდილოეთ კავკასიის ლოკალს სჭირია სრულიად სხვა ტიპური მოვლენის მონახვა და არა ციმბირის ტიპაჟების გადმონერგვა. ბოლოს მთელი რევოლუციონური მოძრაობა ჩრდილოეთ კავკასიის, ავტორის მიერ სრულიად შეუსწავლელია და პირდაპირ გადმოკეთებულია ციმბირიდან. ივანოვის „ჯავშანში“ აღწერილი ეპიზოდი კიდევ ტიპური მოვლენაა ციმბირის პარტიზანულ ბრძოლების და რევოლუციის, მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიაში, ბაქოში და პეტროვსკაში ამის მსგავსი ამბები არ არის ტიპური; აქ სულ სხვა ხასიათის და კონსტრუქციის რევოლუციონური მოძრაობები იყო. მას სჭიროდა შესწავლა და მისი ტიპიზაციის შექმნა. პიესაში ეს ცდა არ არის და ის წარმოადგენს როგორც რუსები იტყვიან: თითებიდან გამოწოვილ ტყუილს.

დიალექტის ხერხს, ავტორმა პიესის გასაუბედურებლად მიმართა, მივიღეთ სრული თეატრალური „Зауми“ არტისტული მეტყველების ფარგლებში. სიტყვა სრულიად დაიკარგა, მისი ადგილი დაიკავა არა ლეკურ დიალექტმა არამედ ებრაელ, ჩინურ, მეგრულ და კინტოურ ჟარგონებმა. დიალექტის ჟარგონებათ დაშლამ შექმნა არტისტულ მეტყველების აღრევა და „ბაბილონის, გოდოლი“.

პიესაში ფაბულა და სიუჟეტი დაშორებულია ერთმანეთს. ფაბულა იწყება ანზორის ოჯახის განადგურებით, ხოლო თავდება თეთრების კაპიტნის მოკვლით. პიესა მაინც გრძელდება მუშების შეხვედრამდე. ეს ხდება იმიტომ, რომ ავტორს პიესა სიუჟეტურად კი არა გაუშლია, არამედ პანორამულათ აუწერია სცენები და ამიტომ პიესას კორსტრუქცია არა აქვს. რადგან ფაბულის განფენა არ ხდება სიუჟეტურათ, პიესა დაიკარგა და გაგვრჩა ცალცალკე ეპიზოდები. ეპიზოდების ცალ-ცალკეობიდან გამომდინარეობს მასის მექანიკური შეყვანა პიესაში. აქ მასსა მოცემულია როგორც ციტატა და არ როგორც ორგანიზული ნაწილი პიესის. მასა კი სიუჟეტს უნდა ხსნიდეს და ანვითარებდეს მას, ის უნდა თამაშობდეს და წარმოადგენდეს პიესაში მომქმედ გმირს. აქ მასა არ თამაშობს, არამედ ავსებს სცენას და ყოვლად უნიჭო ოსტატობით ხმაურობს (ეს უკანასკნელი რეჟისორს ეკუთვნის). ყოველივე ამას „ანზორ“ დაარქვეს, (ყაზბეგის ელისოს მთავარი გმირის სახელი) და სეზონი გახსნეს. ოფიციალურ პრესის წარმომადგენლების (რეცენზენტების) უმრავლესობა გულცივად შეხვდა ამ დადგმას.

მხოლოდ „ზარია ვასტოკა“-ში ვიღაც რეცენზენტი შ. დანიძე

აღტაცებაში მოიყვანა ამ დადგმამ, გამოიტანა რეცენზენტის ყანწი და სადღეგრძელო სთქვა.

რა მოხდა.?

რა და გავიმარჯვებთ თეატრალულ ხელოვნებაში და მერე როგორ? მსოფლიო მაშტაბით.

სასიამოვნოა გამარჯვება და ისიც თუ მსოფლიო მაშტაბითაა განფენილი. მაგრამ ჩვენ ვერ ვენდობით სადღეგრძელოს, ქეიფის დროს პიროვნებას კრიტიკის უნარი დაჩვენებულ აქვს.

გაუსინჯოთ კბილი ამ გამარჯვებას.

მართალია ზემოთ თქმული ამტკიცებს, რომ რეჟისორს „ქონდა ძლიერ სუსტი კონსტრუქციით აშენებული პიესა და მისი დამარცხება მოსალოდნელი იყო. ამ შემთხვევაში პიესა კარნახობდა რეჟისორს დამარცხებას.

მაგრამ დამარცხებაც არის და დამარცხებაც; ზოგიერთი დამარცხება ხელოვნების ყოფაში ძვრას ახდენს. შეიძლება თუ არა ასეთი იმედი ვიქონიოთ ახმეტელის უკანასკნელ დემონსტრაციის შესახებ. რასაკვირელია არა.

სამწუხაროა და სავალალო ეს მოვლენა მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.

პირველი რაც მთავარია პიესაში ეს ირაკლი გამრეკელის დეკორაციები. ალბად რეჟისორია დამნაშავე, რომ ეს ნიჭიერი დეკორატორი ამ უკანასკნელ ხანებშიმარცხდება. „ანზორში“ დეკორაციები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ეს კონსტრუქციებია თავის თავად. პირველ მოქმედებაში ხიდი არაფრის მაქნისი არ არის სცენაზე, მას შეუძლია მხოლოდ საფრთხობელას როლი აასრულოს ბავშვებისათვის. სწერდენ: რომ „აულის“ (მესამე მოქმედება) კონსტრუქცია კარგი გაკეთებულია და ქება ეკუთვნის დეკორატორსო. უპირველეს ყოვლისა ეს კონსტრუქცია არ არის. პიესის კონსტრუქციული გაფართოება მოითხოვს ნიუანსებით და შტრიხებით მთლიანი ერთეულის შთაბეჭდილების მიღწევას. აქ პირდაპირ აღებულია აული და როდესაც ხალხი გამოდის სცენაზე, აულიც ხალხის სიღრმეში იკარგება.

სრულიად მიზან შეუწონელია კონსტრუქციის დანიშნულება და გამომტყველება სცენაზე. აქედან ნათლად სჩანს როგორ ალაღ-ბედზე და უსისტემოთ და გაუთვალისწინებლად ხდებოდა რეჟისორის და მხატვრის მიერ დეკორატიული კონსტრუქციების არჩევანი. ჩვენთვის სავსებით გამორკვეული არ არის დეკორატიულ გაფორმების სიცუ-

დეში, თუ ვინ არის ამ ორ პიროვნებაში დამნაშავე. გამორკვეული მხოლოდ ისაა რომ. დეკორაციები ცალკე დგანან და მსახიობები ცალკე დახტიან. ყოველივე ანის შემდეგ ეს დეკორაციები მაინც პირველობენ ამ დადგმაში. მოაშორეთ დეკორატორული კონსტროქციები წარმოდგენას და მისგან არაფერი არ დარჩება.

მსახიობები სცენაზე არ დადიან, მათ კარგა ხანია სიარული დაავიწყდათ-ისინი დახტიან სცენაზე კალიებივით და ბალეტის ნაბიჯებით უახლოვდებიან მოჯადოვებულ წრეს. ეს არის დრამა.

თეატრალური ხელოვნება: მოძრაობის, სიტყვის, დეკორაციების, და განათების შეთანაბრებას მოითხოვს. საერთოდ ხელოვნების ფაქტი წარმოდგენს ამ ფაქტში შემავალ მასალების შეთანხმებას და მათ დამოკიდებულების განსაზღვრულ კონსტრუქციაში დამორჩილებას. თეატრიც ამავე ცდას მოითხოვს. სპექტაკლში, საჭიროა თეატრის ყველა ელემენტების მთლიანობის შექმნა განსაკუთრებულ აღნაგობის საშუალებით; სწორედ ეს არა სჩანს „ანზორის“ დადგმაში. აქ დეკორატიული კონსტრუქციები ცალკე დგანან და მსახიობები ცალკე. ეს კიდევ არიფერი-თვით მსახიობებს შორის ანსაბლიური დამოკიდებულება არ არსებობს; მსახიობები ჩნდებიან ერთეულებად. ისინი ერთმანეთს კი არ ელაპარაკებიან და ადგენენ სპექტაკლის განფენას ერთმანეთთან შეთანხმებით, არამედ თვითმიზნობრივ პოზებით გამოდიან და არავითარ ნათესაობას არ გრძნობენ ერთმანეთს შორის. ეს არღვევს ანსამბლიურ დამოკიდებულებას პიესის აღმასრულებელთა რიგში და ჩვენ მთლიან წარმოდგენას ვერ ვღებულობთ. შემდეგ მსახიობები სრულიად სხვა და სხვა ტონით და აქცენტით ლაპარაკობენ (თუმცა მონადირეა საჭირო რომ საერთოდ ლაპარაკი დაიჭიროს) ზოგი დეკლამატორობს, ზოგი ცრუ-კლასიკური სიდარბაისლით ყლაპავს სიტყვებს და ზოგი კიდევ ჩვეულებრივი მოლაპარაკეა (ასეთი ბედნიერი შემთხვევაა): მაგალითისათვის შეადარეთ ქალების ლაპარაკი და ანზორის მეტყველება. დავითაშვილის ხვნეშა და სარაულის ადამიანური ბაასი და მიიღებთ წარმოდგენელ და დაუშვებელ სხვადასხვაობას არტისტულ მეტყველებისას, რომლის ჩაშვება ერთ წარმოდგენაში შეუძლებელია.

ახმეტელს მთავარ მიღწევად ჩაუთვალეს „შესანიშნავი“ მასიური სცენები და ის გამოაცხადეს მასის დირიჟორად. ცხადია აქაც ანბანური უცოდინარობა მასიურ სცენების როგორც დალაგების ისე მისი დაფასების. გაზეთ „კომუნისტის“ რეცენზენტმა ეს მასიური მოძრაობები დაიწუნა და მის აღნაგობითი ხერხს „მეტრო-რიტმი“ უწოდა. წოდება უსათუოდ პირობითია, მაგრამ ჩვენ დროებით ვი-

სარგებლებით ამ სახელით და ვეცდებით გავარჩიოთ ამ „მეტრო-რიტმი“-ს მნიშვნელობა ხსენებულ სპექტაკლში.

ყოველი ხერხი გამომდინარეობს მასალის თვისებიდან; ხელოვანის დიდი ოსტატობაც იმაშია, რომ განსაზღვრულ მასალას მოუნახოს მისი შესატყვისი ხერხი და ამ ხერხით მოახდინოს აღებულ მასალის აღნაგობა.

ცხადია ფიწალით კატლეტის აღება არ შეიძლება და ჩანგლით თივის გადმოტვირთვა ურმიდან. ასეთივე პირობებია ხელოვნებაშიც. „მეტრო-რიტმი“ გაჩენილი სიმბოლისტურ თეატრის ციტადელზე მეტერლნიკურ თეატრალურ მასალას მოითხოვს ან უკეთ მისგან არის აღმოცენებული. პაუზები და გამოთვლილი მეტრიული ნაბიჯები ქმნიან რალაც გაურკვეველ მისტიურ შთაბეჭდილებას რომელიც ეხლანდელ მაყურებელს არ სჯერა. რევოლიუციონურ აჯანყებების და ბრძოლის ენტუზიაზმის გამოსახატავად კი ასეთი არაბუნებრივი მოძრაობები არ გამოდგება, რადგან რევოლიუციამ ასეთი ვიწრო-კალაპოტებში დემონსტრაცია არ იცის. წარმოუდგენელია და არა დამაჯერებელი ამ გამოთვლილ ნაბიჯების გადადგმა და ასე წვალება მსახიობის და შემდეგ მოუთმენელ მაყურებლის.

როგორც პაუზებს ისე ამ „მოჯადოვებულ ხალხის ნაბიჯებს თავის ადგილი აქვს და მათი წამ და უწუმ წვალება არ შეიძლება. წამდა უწუმ პაუზები სამუდამო დამუნჯებამდე მიიყვანს აჯანყების გადმოცემას და ამ შემთხვევაში თეატრს.

ეს „მეტრო“ ნაბიჯები ქმნიან ამ საშინელ არტისტულ შემოქმედებას, რომელიც მხოლოდ ამ თეატრს შეუძლია აიტანოს.

გეგონებათ მსახიობები „კორსეტებში“ შეუკრავთ და გაჭირვებულნი დახტიან და ღმუიან.

ლაპარაკი რასაკვირველია სცენიდან სრულიად არ ისმის. მსახიობები კვნეტენ ამ „დიალექტით“ დატვირთულ სიტყვიერ მასალას და აუდიტორიაში გაისმის ჩურჩული: „რა სთქვა“. მაყურებლის „რა სთქვა“ ყველას გვესმის, მხოლოდ მსახიობმა რა სთქვა, ეს არავინ არ იცის და ეს ყრუებისთვის გამართული წარმოდგენა, თავის არსებობას თოფების სროლით გვატყობინებს.

ყოველივე ამას დაუმატეთ დაბნეულობა პიესის მთლიან მონტაჟის გაკეთებაში და მიზან-შეუწონელი სცენებით პიესის დატვირთვა. აწიოკებულ „აულში“ ქალები ფერიებივით გამოწყობილი და გაწვრთნილი გამოყავს რეჟისორს. „აულის“ მდგომარეობა და ამ ქალების მორთულობა და ხასიათი სრულიად არ ეგუება ერთმანეთს. ამავე დროს დაუშვებელია უმოტივო მხიარულება სოფელში განცდილ

უბედურებათა შემდეგ. გადასვლა ვერ არის დამაჯერებელი. არც კონტრასტია მოცემული.

მსახიობების გარეგანი გამომეტყველება-კი ძლიერ პარადიულია. სამოქალაქო ომის ცეცხლია ირგვლივ გამეფებული, თეთრები და წითლები იბრძვიან სამკვდრო-სასიცოცხლოდ და ამავე დროს მომქმედი პირები გამოწყობილნი არიან, ისე თითქოს სადმე ბალ-მასკარადში აპირებდენ წასვლას.

სწორედ აქ პიესის მთლიანი ხასიათის განცდა არ არის მოცემული. აქ მხოლოდ ახუხულებულია სცენიური კონსტრუქციები და ხალხი აღრიალებული უორგანიზაციოდ.

არც მუსიკა შველის დადგმის უმწეობას. ხშირად მსახიობის მეტყველება და მუსიკა ებრძვიან ერთმანეთს. აქ მუსიკის შეთანხმება კი არაა მსახიობის თქმასთან და მდგომარეობასთან, არამედ ცალ-ცალკე ეპიზოდების უორგანიზაციოდ დატვირთვა.

პირველ მოქმედებაში ანზორი უფრო ძლიერი და დამაჯერებელია თავისი გარეგანი გამომეტყველებით და იმ სიტყვიერი „ზაუმით“ რომლითაც თავის ტანჯვას გამოხატავს, ვიდრე მუსიკა. მუსიკამ დატვირთა ეს სცენა და დრამა მოკლა სრულიად. „აულში“ პირდაპირ ანზორის სიტყვიდან გადავდივართ მუსიკაში. სამგლოვიარო მუსიკა ანზორის გარეგნობის და მეტყველებითი „ზაუმის“ შემდეგ უშლის პიესას და სრულიად არ ეხმარება.

თოფის სროლამ და საერთოდ ბუტაფორული მოტორების უორგანიზაციოდ ხმაურმა წარმოდგენაში, ისედაც აქტიორის დაჩლუნგებული მეტყველება სრულებით მოსპო. აქტიორის რაობა ჩაკვდა და დარჩა თოფების სროლა და დაუსრულებელი სროლა...

პარტერში ტყვიის წამალის სუნი სდვას, ქალებს ისტერიკა მოდის და ბავშვებს სული ეხუთებათ.

ასეთი ზოოლოგიური ზედგავლენა მაყურებელზე, თეატრის მოვალეობას არ შეადგენს და თუ ამ გზას თეატრი მაინც ადგია, ეს თეატრის უკულტურობაა და მეტი არაფერი.

როგორც ხსენებულ წარმოდგენის მნახველი დაინახავს ამ წარმოდგენაში თეატრის ყველა ელემენტებია მოცემული, მაგრამ მთლიანი კონსტრუქტიული სპექტაკლი მაინც ვერ მივიღეთ. ვერ მივიღეთ რადგანაც თეატრის ელემენტების ცალ-ცალკე დემონსტრაცია ხდება და ეს მთლიან სპექტაკლს კიდევ არ ნიშნავს.

ასეთია დაახლოებით ეს თეატრალური ვაკხანალია, რომელსაც „ანზორს“ უწოდებენ. დამარცხება უნდა აღიარებულ იქნეს დამარცხებათ. დროა ქართული ხელოვნების ყოფაში მოისპოს სადღეგრძელოებით მხატვრული შემოქმედების დაფასება და ნათლი-მამობა.

როგორც სამოქალაქო ომებს, ისე ხელოვნების შინაგან ცხოვრებას ნათესაობით საკითხის გადაჭრა არ უყვარს.

— : —

„ა ნ ზ მ რ“.

ვ. ივანოვს „ჯავშანო 14—69-დან“ გადმოკეთებული ალ. შანშიაშვილის მიერ.
დადგმა ა. ა ხ მ ე ტ ე ლ ი ს.

გადმოკეთებულ პიესათა შორის ხსენებული გადმოკეთება დამაკმაყოფილებლად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა შეიძლებოდა ამ პიესის მეტი დინამიურობით გამართვა. გადმოკეთებული პიესის სუსტ მხარეებს შეადგენს სიუჟეტის გაჭიანურება ზოგიერთი მომენტების გაუმართლებლობა და ინდივიდუალ ლერძზე აგება მოქმედებისა.

ყოველივე ამის გამო მთელი პიესა ამოიწურება პირველი სამი აქტით და ამგვარად მეოთხე და მეხუთე მოქმედებანი არსებითად პირველი მოქმედებების განმეორებას შეიცავენ.

ყველა ეს ნაკლი პიესისა დადგმაშიაც განმეორებულია და კანონზომიერად და მიზანშეწონილად განვითარებული პირველი მოქმედებები, უკანასკნელი ორი მოქმედებით ძალზე შესუსტებულია. ნაცვლად იმისა, რომ მოქმედება crescendo ვითარდებოდეს, იგი აულში იწურება და შემდეგ ძირს ეშვება უფერულობამდე. რეჟისორ ახმეტელის შემოქმედება ამოწურულია მესამე აქტით, სადაც იგი იძლევა თავისი რეჟისორული შემოქმედების უმწვერვალეს მიღწევას. ამ შემთხვევაში მისთვის შესაფერისი დახმარება გაუწევია მოცეკვავე დმიტრიევს, რომელსაც მთიურ ლეკურის რიტმით აქვს გაშლილი მთელი აულის მასსიური ცეკვები. ეს რიტმი შემდეგშიაც რომ იყოს დაცული და რეჟისორი ზომიერების ფარგლებს არ სცილდებოდეს, მეოთხე აქტის მიზანსცენები მესამის უფრო სუსტი რედაქცია არ იყოს და მეოთხე აქტი ყოველის მხრით ასეთი უფერული—საანგარიშო დადგმა რუსთაველის თეატრის გამარჯვება იქნებოდა.

ამ უამად კი ჩვენა გვაქვს მხოლოდ დამაკმაყოფილებელი წარმოდგენა, რომელსაც თეატრი მთლიანად ვერ მორევია. დადგმა გულისხმობს ახალ ხელოვნურ ნაწარმოებს წარმოდგენის სახით. არის თუ არა ასეთი მიღწევა საანგარიშო წარმოდგენაში? ბევრ კარგ მომენტებთან და იშვიათად გამართულ მესამე მოქმედებასთან, მთლიან-

ნად სპექტაკლი არ არის უზადო. ახმეტელის ნიჭმა ამ შემთხვევაშიაც გაიელვა, მაგრამ სავსებით კი ვერ დასძლია ის ამოცანა, რომელიც მას მორიგმა დადგმამ დაუსვა. სრულიად უსუსური აღმოჩნდა ამ შემთხვევაში მისი დამხმარე დებიუტანტი რეჟისორი აკაკი ვასაძე, რომელმაც, როგორც სჩანს, ვერ შესძლო დამუშავება იმ გეგმისა, რომლითაც მთავარ რეჟისორს განზრახული ჰქონდა დადგმის განხორციელება. დადგმას როგორცა სჩანს უნდა გავეკვირვებინეთ თავის ბუმბერაზობით, რისთვისაც დაკავებულია სცენა და მთელი ორკესტრი.

მთის სოფელი (აული) გაკეთებულია თითქმის ნატურალური სიდიდით და მომქმედთა რაოდენობა აყვანილია პატარა სოფლის მცხოვრებთა რაოდენობამდე (ასამდე ქალ-ვაჟნი მონაწილეობენ მესამე აქტში). ამ მიზანს ბევრი მასალა შეუწირავს მსხვერპლად. მაგრამ აქაც მხოლოდ პირველი სამი აქტი აღწევს მიზანს. მეოთხე აქტის „ჯავშანო“ სამწუხაროდ ბუტაფორიის ფარგლებს არ სცილდება, ხოლო მთელი მეოთხე აქტი გაუგებრობის მეტს არაფერს იწვევს. კიდევ ერთი ფაქტია აღსანიშნავი მასსიურ-გრანდიოზულობის მხრით. სროლა: ხშირი, ტლანქი და უხეში. ხელოვნურ ზომიერების აღლო აქაც არ არის დაცული.

კერძოდ ამსრულებლებში პირველად უნდა ანზორ ჩერბიჯის ამსრულებელ აკაკი ხორავას შესახებ ვილაპარაკოთ. ნაცვლად სოციალურ უკუღმართობისგან გამობრძმედილ სახალხო გმირისა ჩვენს წინაშე ლამაზი, კოხტა, რომანტიული გმირია.

ლამაზი მომენტები, ელასტიური პლასტიურობა, მაგრამ ხერხემალ გაუმაგრებელი, პირადი შურისძიებით ამოქმედებული და მეტად ბუნდოვანი შეგნებით მიკერძებული წინამძღოლი. ვ. გოძიაშვილი, ახალგაზდა, ნიჭიერი მსახიობი ახმას როლში ყველაზე მკაფიოდ, რელიეფურად გადის მთელს პიესაში; რომ ზედმეტი ხაზ-გასმა არ უშლიდეს ხელს სრულყოფილ, დამაჯერებელ სახეს მოგვცემდა. აქტიურობის თამაში და არა ხელოვნური სახის შექმნა, რომელიც დღევანდელ რუსთაველის თეატრის პრინციპულ მიდგომას შეადგენს უშლიდა ხელს კერძოდ გოძიაშვილს და საერთოდ მთელ თეატრს ხელოვნური სრულყოფისათვის. საერთოდ ესთეტიურ ფორმალიზმს, რომელიც შეადგენს აღ. ახმეტელის შემოქმედებით პრინციპს, როგორც ხელოვან—რეჟისორისას თავს არ ანებებს იგი, მიუხედავად თანამედროვე საღი სოციალურ რეალობის დაკვეთისა და ეს გარემოება ამა თუ იმ სახით მჟღავნდება ხშირად თეატრის მუშაობაში, რაც საკმაოდ ხელს უშლის კიდევ რუსთაველის თეატრის დღევანდელ

სასცენო შემოქმედებას, მიზანშეწონილობის აზრით. ს. თაყაიშვილი ირჩევა ქალთა უფერულ ჯგუფისაგან თავის არტისტიულ სიმტკიცითა და სიმკვირცხლით. გ. სარჩიმელიძეს ერგო ბოლოს და ბოლოს ისეთი როლი, სადაც შესძლო მან თავისი არტისტიული მეობის გამოყენება. მისი როლი (ჩინელისა), რომ პიესის ორგანიულ ნაწილს შეადგენდეს უფრო ცხოველი გამოჩნდებოდა მისი სახე, მაგრამ ეს მისი ბრალი არ არის. სად დაღესტანი და სად ჩინელი? სრულიად უფერულია და ყოველგვარ ბალშევიკურ სიმტკიცეს მოკლებული გ. დავითაშვილი და მისი ილია ივანოვი. მ. ლორთქიფანიძეს (კაპიტანი) თავი არ დაუზოგავს როლისათვის და ნაწილობრივ აღწევს მიზანს. მუსიკალური ილლუსტრაცია სპექტაკლისა (ი. გოკიელი) თეატრის წინა დადგმებთან შედარებით უფრო სუსტია. მხატვარი გამრეკელის კონსტრუქცია სპექტაკლისა თავით ბოლომდი ვერ არის გამართლებული.

ხიდ-ქვეშ, სადგური, აული, მეოთხე აქტის მხოლოდ ლიანდაგი მისაღები და მოსაწონია. ჯავშანო—სუსტია, ხოლო უკანასკნელი აქტი ცარიელი გაუგებრობაა.

— : —

მარჯანიშვილის თეატრი.

„ეხლა იგი თითქოს დამშვიდდა, დაცხრა და ჩუმად ათავებს თავის რეჟისორულ დღეებს შორეულ საქართველოში. რა დასანანია! ისეთი ოსტატები სცენისა, როგორც ის იყო, ჩვენ ცოტა მოგვეპოვება. ის, რასაც აკეთებს მეიერხოლდი—გენიოსურია, მაგრამ ჩემთვის ეს ხშირად არ არის თეატრი. მაგრამ ის, რასაც აკეთებდენ მარჯანიშვილი და ვახტანგოვი,—მუდამ თეატრია, მუდამ სიხარული, მუდამ დღესასწაული“. ასე სწერს კოტე მარჯანიშვილზე ერთ-ერთი მისი ყოფილი თანამშრომელი, რეჟისორი კრიტიკი („რეჟისორთა პორტრეტები“). რასაკვირველია, ვინც იცნობს მარჯანიშვილის მუშაობას ქართულ თეატრში, ვინც იცნობს მის დადგმებს, რომლებმაც ფორმალურად სრულიად ახალი მიმართულება მისცეს ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებას,—მისთვის ცხადია, რომ საერთოდ მარჯანიშვილის რეჟისორული ოსტატობის დამთავრებაზე ლაპარაკი ზედმეტია; თუ მაინცდამაინც, ეს ითქმის მხოლოდ მის მუშაობაზე საკუთრივ რუსულ თეატრში. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, და მხატვრულ-რეჟისორული პრაქტიკა კოტე მარჯანიშვილისა გვაძლევს საშუალებას დაბეჯითებით ვთქვათ, რომ რუსული თეატრალური ხელოვნების ეს ერთი უდიდეს შვიდ რეჟისორთაგანი დღეს-დღეობით გვევლინება საპატიო როლში ჩამორჩენილი ქართული თეატრის რეფორმატორისა, რომელიც ფართე გაფრენის ოსტატის და ნოვატორის გამბედაობით ამკვიდრებს ჩვენში სცენიური გაფორმების სრულიად ახალსა და უჩვეულო ხერხებს, სავსებით ახალს, თანადროულობისათვის შესაფერის მასალასა და ტექნიკურ ელემენტებს თეატრალური მშენებლობის სფეროში.

ამ წერილის მიზანია მოკლედ და ზოგადი შენიშვნების სახით შევეხოთ მიმდინარე სეზონში მარჯანიშვილის თეატრის პირველი წარმოდგენის ფორმალურ-მხატვრულ მხარეს.

ქუთაის-ბათუმის დრამის წრევანდელი სეზონის გახსნა ტოლერის პიესით „ჰოპლია, ჩვენ ვცოცხლობთ!“—დარჩება საგულისხმო ისტორიულ თარიღათ ქართული თეატრის განვითარებაში. ეს დადგმა

უნდა ჩაითვალოს უეჭველ მიღწევათ, როგორც თემატიკის თვალსაზრისით, ისე, — რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, — რეჟისორული და მხატვრული მუშაობის მხრით.

რას წარმოადგენს „ჰოპლია“ ლიტერატურულად? ეს არის სოციალური დრამა, სადაც მოცემულია ეპიზოდები ომის შემდეგ დროინდელი გერმანიის მუშათა კლასის რევოლუციონური ბრძოლისა კაპიტალისზმის სტაბილიზაციის ფონზე. მუშათა კლასის ნაწილის დაქსაქსვა, მათი ზოგიერთი ბელადების შემთანხმებელი და ლიკვიდატორული მიდრეკილებები, შერიგება და თანამშრომლობა ბურჟუაზიასთან, — ერთის მხრივ და მეორე მხრივ პროლეტარიატის შეგნებული ნაწილის კლასიურად დარაზმვა და მზადება ახალი სოციალური ბრძოლებისათვის. ამ ფონზე რელიეფურად მოსჩანს რევოლუციონურ-ინტელიგენტის კარლ ტომასის ფიგურა, რომელიც რომანტიული და ინდივიდუალური გეროიკის თვალსაზრისით უდგება რევოლუციონურ-კლასიურ ბრძოლას. დროთა ვითარებაში, მუშათა კლასის მასსებს, კოლექტივს ორგანიზაციულად მოწყვეტილი და მარტო დარჩენილი, იგი ინდივიდუალური ტერორის საშვალებით სცდილობს ექსპლოატატორთა და მათი ლაქიების განადგურებას; მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში კარლ ტომასი მარცხდება, იგი ეძლევა სასოწარკვეთილებას და იმედგაცრუებული როგორც თავის საკუთარ, ისე პროლეტარიატის ძალებში, — თვითმკვლელობის საშვალებით სცილდება მისთვის მიუღებელ უსამართლო სოციალურ გარემოს, ანუ „სულით ავადმყოფთა სახლს“, როგორც იგი უწოდებს კაპიტალისტურ საზოგადოებას. უნდა ითქვას, რომ ტრაგიული ფინალი ორიგინალში ტოლლერის პიესას აძლევს უიმედობისა და პესიმისტური განწყობილების იერს. მაგრამ ქუთაისის დადგმაში რეჟისორმა პიესას მისცა სხვა დაბოლოება და ამით მისი გაგება და სოციალური შემოქმედების ხასიათი სავსებით შესცვალა. ამ ახალი გაგების შესაქმნელად კარლ ტომასის სიკვდილს მოსდევს მისი ამხანაგების „გამოღვიძება“ და მათ შორის ახალი ბრძოლის პათოსისა და ენტუზიის გაღვივება. ამგვარად უაღრესად ტრაგიულ ქომენტს მოსდევს სცენაზე, როგორც კონტრასტი, ახალი ოპტიმისტური განწყობილების შემქმნელი ყიჟინა მუშებისა: „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“

პიესა, რომელიც უამრავ სცენებითა და ეპიზოდებით არის დაყოფილი, მოითხოვს მეტად რთულ გაფორმებას და განსაკუთრებულ ტემპს მოქმედებათა თანმიმდევრობაში. თვით პიესის შინაგანი არქიტექტონიკა მოითხოვს მძაფრი დინამიურობის შეტანას სპექტაკლის აშენებაში. ამიტომ არის სწორედ, რომ პიესის გაფორმების თვალ-

მაზრისით რეჟისორი ასრულებდა რამდენადმე ავტორის დაკვეთას. პიესის გაშლა ხდება თანმიმყოფ ეპიზოდების სახით. ამგვარად პიესის კომპოზიციური თვისებები მოითხოვენ კინემატოგრაფიული პრინციპის შეტანას მის სცენიურ გაფორმებაში. ეს ამოცანა „ჰოპლას“ დადგმაში სავსებით იქნა გადაჭრილი რეჟისორისა და მხატვრის შეთანხმებული მუშაობით. მხატვარ დავით კაკაბაძის კონსტრუქტიული ნაგებობა, მისი ნაწილების უდიდესი ეკონომიით, დგამისა და ნივთების მინიმუმამდე დაყვანით და მათი მიზანშეწონილი გამოყენებით— შეიძლება ჩაითვალოს სამაგალითო მიღწევათ. აქ უნდა ითქვას სხვათა შორის, რომ დღეს, თანამედროვე სოციალური დრამის (რომელსაც ახასიათებს ქრონიკალობა და უამრავი სურათებისა და ეპიზოდებისაგან შედგენილობა) სცენიური გაფორმება კონსტრუქციების გარეშე თითქმის მოუხერხებელია. მხოლოდ კონსტრუქცია იძლევა საშვალებას რთული და მრავალფეროვანი მიზან-სცენების კეთებისა და მასიური სცენის გაშლისას. „ჰოპლა“-ს გაფორმებაში კაკაბაძის კონსტრუქციის აღნაგობა მოცემულია ოთხი ტერასებით ზეაღმავალი მოედნის სახით, რომლებიც მთელი სპექტაკლის განმავლობაში უძრავათ დგას. სინათლის შუქის გარკვეულ მოედნებზე კონცენტრაციის საშუალებით ცალკე სცენები მიმდინარეობენ ერთმანეთის მიყოლებით, კინო-კადრების სახით. პიესის შინაგანი რიტმის ამ ხერხით წარმართვის გარდა არ შეიძლება მეტად ნაყოფიერ ექსპერიმენტათ არ ჩაითვალოს „ჰოპლას“ სცენიურ გაფორმებაში ორგანიულ ელემენტებათ კინო-ფილმისა, რადიოს და ფონოგრაფის შეტანა. საერთოდ ზედმიწევნით გამართლებულია კურსის აღება იქითკენ, რომ თანამედროვე თეატრმა ჭარბი ექსპრესიულობის მიზნით მოიხმაროს თანამედროვე ტექნიკის მიღწევები და აგრეთვე თანამედროვეობის ტექნიკური მასალა: რკინა, ფოლადი, თუნუქი, რომელთაგანაც შენდება რეალური ნივთები, ნაცვლად ძველი ტრადიციული ილუზორული დეკორაციებისა. უკანასკნელი იძლევა მკვდარსა და უძრავ ფონს სპექტაკლისათვის და აგრეთვე ნივთებისა და საგნების ყალბ იმიტაციას. მასალისა და მისი გამოყენების მეთოდების ასეთი კარდინალური შეცვლა ნიშანი არის თანამედროვე ინდუსტრიულურ ეპოქისა.

რაც შეეხება კერძოთ კინოს გამოყენებას თეატრში, იგი გამოწვეულია დღევანდელი თეატრის თემატიური და ფორმალური განახლების გადაუდებელი საჭიროებით. კინოს უტილიზაცია ჯერჯერობით მოხდება დრამაში იმ მიუცილებელი ინტერვალების შესავსებათ, რომლებიც მოქმედებებს შორის არსებობენ და რომელთა გაფორმება სცენის ტექნიკურ პირობებში შეუძლებელია. გარდა ამისა კინოს

საშვალებით შესაძლებელი ხდება გეოგრაფიულად და ქრონოლოგიურად სხვადასხვა გარემოში მიმდინარე ფაქტებისა და მოვლენების თანადროული მოცემა: სცენაზე—პერსონაჟების ცოცხალი მოქმედებით და დიალოგებით, ხოლო ეკრანზე—სცენის გარეთ მიმდინარე პროცესების ჩვენებით. წინათ, როდესაც არ იყო ამის ტექნიკური შესაძლებლობა, მაგალითად ანტიურ ტრაგედიაში და შექსპირის დრამაში, შეჰყავდათ ზედმეტი პერსონაჟი, რომლის სპეციალურ მოკალებობას შეადგენდა სცენის გარეშე მომხდარი ამბების თხრობა.

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მემარცხენე თეორეტიულ და პრაქტიკულ სათეატრო მშენებლობაში პრინციპად არის დასახული სცენიური გაფორმებისათვის ახალი, თანამედროვე ტექნიკური მასალის და მიღწევების გამოყენება. მემარცხენე რეჟისორი იგორ ტერენტიევი თავის წერილში „ანტიმხატვრული თეატრი“ გვეუბნება შემდეგს: ჩვენი სანახაობითი კულტურის მორიგ ამოცანას შეადგენს ახალ, კონკრეტ „გამლიზიანებელთა“ გამოძებნა, თანამედროვე თემატიკის მოცემა, ახალ სოციალურ რეფლექსების გამომუშავება და არა აღდგენა ძველი ჩვეულებებისა. მაგალითად სანახაობის კომპოზიციაში რადიოსი და ფონოგრაფის მექანიკური მეტყველების შეტანა, თეატრში კინო-ფილმის, როგორც ახალი დამოუკიდებელი ელემენტის, შეთავსება—ეს საჭიროა და მეტად დიდმნიშვნელოვანია. ყველაფერს, რაც კი ახალი ტექნიკიდან მოდის, შეუძლია გაანაყოფიეროს სათეატრო მუშაობა... თეატრალური ტექნიკის არსენალში კინოსა და რადიოს შეტანამ შეუძლებელია, რომ უაღრესად საინტერესო შინაარსით არ აავსოს ჩვენი უახლოესი მუშაობა. ეს იქნება აუცილებელი მოსამზადებელი ეტაპი ახალი თეატრალური ეპოქისათვის, რომელიც მიგვიყვანს ჩვენ „სანახაობითი ინდუსტრიისაკენ“ (ლევინ. № 9—1928). რაც შეეხება ამ მემარცხენე თეორეტიულ შეხედულებათა პრაქტიკულ განხორციელებას, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ტექნიკური მიღწევების და კერძოთ კინოს გამოყენება თეატრალურ გაფორმებაში რუსულ სცენაზე პირველად სცადა მეიერხოლდმა „პორტფელიანი კაცი“-ს დადგმაში. აქ სცენიური მოქმედება იშლება კინემოტოგრაფიული პრინციპით და გარდა ამისა მოცემულია მონტაჟი სცენიურ მოქმედებისა და კინო-ლენტების, სადაც გრძელდება სცენაზე მომხდარი მოვლენები. მეიერხოლდის გარდა ამ ხერხით სარგებლობს თავის დადგმებში აგრეთვე ცნობილი ბერლინელი მემარცხენე რეჟისორი ერვინ პისკატორი.

ჩვენ არ შეგვიძლია არ მივესალმოთ ქუთაისის თეატრში „ჰოპლიას“ სცენიურ გაფორმებას სავსებით მემარცხენე პრინციპებზე დამ-

ყარებით და თანამედროვე ტექნიკური მიღწევების შეგნებული გამო-
ყენებით. ეს დადგმა მემარცხენე ხელოვნების თვალსაზრისით სავსე-
ბით გამართლებულია და ჩვენის აზრით იგი დარჩება ქართული თე-
ატრის ისტორიაში, როგორც სანიმუშო სპექტაკლი და დასაწყისი
ახალი გზისა.

დასასრულ არ შეგვიძლია „ჰოპლიას“ გაფორმებაში არ აღვნი-
შნოთ მოხერხებული გამოყენება ისეთი ტექნიკური ელემენტებისა,
როგორც არის სცენის გამაღრმავებელი სარკეების ხმარება და გან-
საკუთრებით განათების ტექნიკა. განათების კარგი ორგანიზაცია
კონსტრუქტიულ დადგმებში ცხადია, ერთ უმთავრეს საქმეს შეადგენს,
იმ პრიმიტიულ ტექნიკურ პირობებში, რომელიც გამეფებულია ქუ-
თაისის სცენაზე, ასეთი კულტურული დადგმის მოცემა — მართლაც
ნაყოფია უდიდესი ენერჯითა და ნებისყოფით აღჭურვილი მუშაკე-
ბის თავგანწირული მუშაობისა.

ამ წერილის მთავარი თემა, როგორც თავშივე ვთქვით, სპექ-
ტაკლის ტექნიკური-მხატვრული გაფორმება იყო. ამიტომ, სამწუხა-
როდ, ჩვენ არ შეგვიძლია აქ დეტალურად შევეხოთ სპექტაკლში
ჩაბმულ მსახიობთა მუშაობას. მაინც არ შეიძლება ხაზი არ გაესვას
საერთოდ დადგმაში მონაწილე ძალების მაღალ აქტიორულ კვალი-
ფიკაციას (მთავ. როლებში: უშანგი ჩხეიძე, ხათუნა ჭიჭინაძე, შ. გო-
მელაური, შ. ღამბაშიძე, ელ. დონაური). ეს დადგმა კიდევ ერთხელ
გვარწმუნებს, რომ აქტიორები არა მარტო იბადებიან, არამედ მათ
აგრეთვე აკეთებენ.

— : —

ერ. ჯომარჯიძე.

ქუთაის-ბათუმის სახელმწიფო თეატრი.

(წერილი ქუთაისიდან)

როგორც ვიცით კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით წელს
ახალი თეატრი ჩამოყალიბდა. ეს არის ქუთაის-ბათუმის სახელმწი-
ფო თეატრი. ხსენებულმა თეატრმა მიმდინარე წლის სეზონი გახსნა
3 ნოემბერს გერმანელ მწერალ ე. ტოლლერის ახალი პიესით: „ჰოპ-
ლა, ჩვენ ვცოცხლობთ“. ეს პიესა პირველად ბერლინში დაიდგა ნო-
ვატორ კომუნისტ-რეჟისორ ერვინ პისკატორის მიერ გასულ სე-

ზონში. საბჭოთა კავშირში კი პირველად ქუთაის-ბათუმის თეატრმა წარმოადგინა. პიესა შეიქმნა მეტად მდიდარ ეპოქას 1914 წლიდან 1927-მდე. მსოფლიო იმპერიალისტური ომის ქარტახილის ავარდნიდან დღემდე და გვეუბნება, რომ კომუნიზმი მიუხედავად სასტიკი დევნისა კვლავ ცოცხლობს გერმანიაში. საბჭოთა ქვეყნებისთვის თემატიურად ეს ეპოქა განვლილია და ამიტომ ჩვენთვის მას ისეთი აქტუალობა არა აქვს.

ხელოვნურ სრულყოფის მხრით პიესა არ არის უნაკლო. იგი სქემატიურია, თუმცა გაცილებით უფრო ძლიერი ვიდრე პირველი პიესა ამავე ავტორისა, „ადამიანი-მასსა“, რომელიც 1923 წელს დაიდგა რუსთაველის თეატრში. მიუხედავად ამისა ხსენებულ პიესის წარმოდგენით ჩვენ მივიღეთ მაღალხარისხიანი და სრულყოფილი წარმოდგენა. როგორც პიესის ტექსტი, ისე დეკორატიული გაფორმება (კონსტრუქცია დ. კაკაბაძის), აქტიორების თამაში, კინო და რადიო, სინათლე და მუსიკა დაწურულია ხელოვნურ უკიდურესობამდე და სწორედ ამით არის დიდი სასცენო შემოქმედება საანგარიშო წარმოდგენა. ხელოვნური ზომიერება აქ უკიდურესობამდე არის დაცული (ერთი რადიო-ლაპსუს: „ჰოპლას შემდეგი წარმოდგენის ბილეთები გაყიდულია“ მხედველობაში მისაღები არ არის). კოტე მარჯანიშვილს დიდი ოსტატობით და ხელოვნებით გაუმართავს ჰოპლას წარმოდგენა. გაფორმება აშენებულია რკინისა და ფოლადის ფერებზე. ეს ფერები და თვისებანი, როგორც რკინის, ისე ფოლადისა დაცულია როგორც დეკორატიულ კონსტრუქციაში, ისე ტანისამოსის ფერებში, აქტიორების შესრულებასა, მიზანსცენებში და განათებაშიც კი. მკვეთრი, მტკიცე, მძიმეა მომენტები, სადაც კომუნისტების დევნაა ასახული, სიკვდილით დასჯის მოლოდინში (I აქტი) ერთეულებში მომწყვდეულნი (IV აქტი) მტკიცე, მოქნილი, მოელვარეა მომენტები, სადაც კომუნისტების უდრეკი ნებისყოფა, პრინციპიანობა და სიმძლავრეა ნაჩვენები (ტომას-კილმანის სცენა და ფინალი). ამ ორ პოლიუსს შორის მოქცეულია გაიძვერა შემთანხმებელი ვილჰელმ კილმანი და ანთებული, მგზნებარე, მაგრამ ბოლოს გატეხილი კარლ ტომასი.

მსახიობთაგან უპირველესად უშანგი ჩხეიძეა სახსენებელი. იშვიათი თრთოლვის, აღგზნების და თავდავიწყებამდე გარდაქმნის ყველაზე ცხოველი მაგალითი მან გვიჩვენა. როდესაც იგი (უშანგი ჩხეიძე—კარლ ტომას) ვილჰელმ კალმანს (შ. გომელაური) ესაუბრება, უშანგის სახით გრძნობ და ხედავ ცალკე სამყაროს—სულ სხვა ჯურის ადამიანებს. ადამიანებს, რომელთათვის რწმენა, პრინციპი, ბრძოლა

იდეალისტების არის სიკოცხლე და გარეშე ამისა არაფერია. სცენიური წვა, გზნება ეგზომ არც ერთს ჩვენს სხვა მსახიობს ამ ჟამად არ ახასიათებს.

უშანგის შემდეგ პირველობა ე. დონაურს ეკუთვნის. როდენის ქანდაკებას მიაგავდა იმისი რისხვით ნაკვეთი თავი. მტკიცე, რკინის ნებისყოფის, თავდადებული მეზობლი ქალი, იშვიათი რევოლუციონერი აი რა ემ.აციებს იწვევდა თვითეული ნაკვეთი მისი სახისა, სიტყვის და ჟესტის.

ხათუნა ჭიჭინაძე — ახალგაზრდა ევა ბერგ, დაიბადა, როგორც მსახიობი ამ წარმოდგენაში და იგი უეჭველად ღირსეულ ადგილს დაიჭერს ჩვენს სცენაზე. მკვეთრი, რწმენით აღსავსე, გულის სიღრმიდან ამოხეთქილ ბგერებით ჟღერდა მისი ხმა, მკვრივი და მტკიცე იყო მისი ჟესტი, დასრულებული სახე ჰქონდა ახალი ცხოვრების ახალ ქალს.

უბრალო, სადა, სასიამოვნო იყო ბავშვების (ფრიც და გრეტ) სცენა (მ. ქორელი, ირ. დონაური). ახალგაზრდებში აღსანიშნავი არიან შ. ჩხეიძე (პროფესორი ლიუდინი), თუმცა ჯერ ნედლი, მაგრამ საინტერესო, ცოცხალი ტიპის მომცემი და ს. ზაქარიაძე (მეექვსე ტუსალი), რომლის გულწრფელობა უეჭველად დასაფასებელია. უსამართლობა იქნებოდა ცალკე არ აღვგვენიშნა მ. ქორელის იშვიათი პლასტიურობა.

ც. წუწუნავას მშვენივრად აქვს გაკეთებული გუშინდელი მზარეულის, ხოლო დღეს პრანჭია მინისტრის მეუღლის (ფრაუ კილმან) როლი.

ამსრულებელთა შორის სუსტია შ. ლამბაშიძე (ალბერტ კროლ), რომელიც უნდა იყოს ვით სალი ურყევი კლდე და არც მის ქცევაში, არც ბგერაში იოტის ოდენ სისუსტეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს; სამწუხაროდ შ. ლამბაშიძეს ხშირად ავიწყდებოდა სახე და უწყდებოდა, როგორც აზრი, ისე სიტყვები.

შ. გომელაურს თავის შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმუმი აქვს მოცემული და ჩვენს წინაშე პირველ აქტში მობუზული, სიკვდილით დასჯის წინაშე მთრთოლვარე, ხოლო მინისტრის როლში პოზით მოსაუბრე, თავხედი მოხელეც, რომლის ხვედრითი წონა არ არის დიდი სიმძიმის. ხვედრითი წონის შემცირებითაა გაკეთებული პიესაში ბარონ ფრიდრიხ (კოსტავა) გრაფ ლანდე (სულთანისვილი), გამომძიებელი (მურუსიძე). ასეთები რომ ყოფილიყვნენ, ან იყვნენ გერმანელი შემთანხმებლები, მემარჯვენენი დღევანდელ გერმანიაში ისინი დროებითაც ვერ შეათერხებდნენ კომუნისტურ მოძრაობას.

მაკრამ აქ (საანგარიშო წარმოდგენაში) წინასწარ განზრახვითაა განაწილებული ჩრდილი და სინათლე.

სხვაფრივ არ აიხსნება, რომ დასის უფრო ძლიერი ძალებითავისუფალი იყვნენ ამ პიესაში. ალ. ჟორჟოლიანი (ბანკირი), ივ. ჯორჯაძე (ლოტა კილმან), შ. ხონელი (ობერი კილნერ) და სხვანი, როგორც იტყვიან თავიანთ ადგილას იყვნენ. საერთოდ ეს წარმოდგენა მით არის ღირსშესანიშნავი, რომ ყველა და ყველაფერი თავის ადგილას არის. დიდი მხატვრული ალლოთი გადაუჭარბებლად ჩართული კინო ადგილები მსოფლიო ქარიშხლის ავარდნის ტალღა, ომის მომენტები, ლენინი ტრიბუნაზე, რაც დარბაზის ტაშს იწვევს და სხვა... რადიო—გადაცემა, მოქმედების ადგილის ცვლა აქსესუაბისა და განათების შეცვლით მსახიობთა შემოქმედებასთან ერთად შეადგენენ ერთ მთლიან მხატვრულ ერთეულს, რაც ასე ძვირფასი და დასაფასებელია. მარჯანიშვილის დიდი ოსტატობა და ხელოვნება სწორედ ამით აშკარავდება. არც ისე დიდი ხანია, რაც მარჯანიშვილმა გაინთავისუფლა თავი წარმოდგენასთან ორგანიულად დაუკავშირებელ წმინდა წყლის რეჟისორულ ტრიუკებისაგან. მის ხელოვნურ სრულყოფას ამჟღავნებს ის ფაქტი, რომ საანგარიშო წარმოდგენაში მრავლად იყო ცდუნების მომენტები და ყველას დასძლია მან.

წარმოდგენის ყველა სხვა მონაწილენი, პირველ ყოვლისა მხატვარი დ. კაკაბაძე, რეჟისორი დ. ანთაძე, ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი, ღირიჟორი ალ. გველესიანი, ოპერატორი ზაბოზლაევი, განათების გამგე ინჟ. ხარიკოვი, სცენის მემანქანე გ. გალუსტოვი, მხატვარი—გრიმიორი ი. ყარდაშინი და ყველა სხვა მონაწილე წარმოდგენისა თავ-თავიანთ დარგში მაქსიმალურად არიან გამოყენებულნი და ყველას ღირსეულად შეუსრულებია მათთვის დაკისრებული მოვალეობანი.

მაღალ ნიჭიერი, სცენის დიდი ოსტატი და იშვიათი ხელოვანი კოტე მარჯანიშვილის მორიგი დიდი გამარჯვებაა „ჰოპლა, ჩვენც ვცოცხლობთ“, რომელსაც დღევანდელ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ქუთაის-ბათუმის ახალი თეატრისათვის.

— : —

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ალ. ბარამიძე.

სულხან-საბა ორბელიანი. „სიბრძნე-სიცრუისა“.

გიორგი ლეონიძის რედაქციით.

გამომცემლობა შრომა. ტფილისი 1928. CCXIV+239.

სულხან-საბა ორბელიანი ჩვენი წარსულის ერთ-ერთი უპოპულიარესი მწერალია. მას საკმაოდ კარგად იცნობს ფართე საზოგადოებრივი წრეები. ალბათ ამიტაც აიხსნება ის გარემოება, რომ ახალ გამოცემას „შრომა“ კისრულობს. რედაქტორის მოწმობით სარეცენზიო გამოცემა რიცხვით მე-VI ყოფილა (CCXIV) — და ცხადია უფლებაც გვაქვს ამას მეტი მოთხოვნილებები წაუყენოთ.

გარეგნულად წიგნი მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს. მთელი წიგნის თითქმის ნახევარი დათმობილი აქვს რედაქტორის ნარკვევს; ტექსტს დართული აქვს ლექსიკონი (189-212), მშვენივრად შედგენილი ინდექსი (213-233), რაც ჩვენს სინამდვილეში მეტად იშვიათია, და დასასრულ ორბელიანთა გენეალოგიური შტოს ტაბულა.

— ერთი სიტყვით წიგნი აკადემიური გამოცემის იერს იძლევა.

სარეცენზიო წიგნის განხილვისას ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ორი რამე: საკუთრივ გამოცემის (ტექსტის) რაობა და რედაქტორის გამოკვლევითი მუშაობა: გადაჭრით უნდა ითქვას, რომ გამოცემა სუსტია, აკადემიურ მოთხოვნილებებს ის ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილებს.

ჯერ ერთი არსაიდან არ ჩანს, რა წყაროებით ხელმძღვანელობდა რედაქტორი ტექსტის დადგენისა, თუ უბრალოდ გადმონუსხვის საქმეში (ამ მხრით მეექვსე გამოცემა წინანდელთაგან არაფრით არ განირჩევა). ყოველ შემთხვევაში ცხადი ხდება, რომ პირველი წყაროები საერთოდ უგულველყოფილი უნდა იყოს. დღეს კი ეს დიდი და მიუტევებელი დეფექტია; მით უმეტეს, რომ ყველაფრიდან ჩანს. რედაქტორს პირველი წყაროებით სარგებლობის უნარი და შესაძლებლობა აუცილებლად ჰქონია.

ტიპიურად სარეცენზიო წიგნი ნ. მთვარელიშვილის გამოცემას უახლოვდება.

რაც შეეხება რედაქტორის გამოკვლევით მუშაობას, ეს ფრიად საინტერესოა და საკმაოდ ნაყოფიერიც. სულხან-საბა ორბელიანის შესახებ მრავალი მასალაა დაგროვლი, ეს მასალა ნაწილობრივ მაინც შესწავლილი არის და ვერ დავეთანხმებით გამომცემელს თითქოს „ეს უდიდესი საუნჯე ქართული სიტყვისა—სრულიად შეუსწავლელი და დაუფასებელია თანამედროვე ქართულ ლიტერატურულსა და საზოგადოებრივ წრეებში“ (CCXII).

რედაქტორი საგნის უმთავრეს ლიტერატურას გაცნობილი არის და, არა იშვიათად, პირველი წყაროებითაც სარგებლობს. კვლევა წარმოებულია საკმაოდ სიღინჯით და წინდახედულობით. რედაქტორს ემარჯვება მოსწრებული კრიტიკული შენიშვნები. მან შესძლო ზოგი რამ ახალიც მოეცა სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიული ფაქტებიდან. ამ მხრივ საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ რედაქტორს კარგად გამოუყენებია მ. თამარაშვილის და გ. ჩიტაიას გამოქვეყნებული ცნობები სულხანის ოჯახური ცხოვრებიდან (LIX-LX) და მას საინტერესო განმარტებას აძლევს.

მახვილ-გონივრულია საბას გარდაცვალების თარიღის ძიება (CLXI).

გაბედულ, ჰიპოტეტიურ დასკვნებს იძლევა რედაქტორი სულხან-საბას და ვახტანგ მეფის ურთიერთობის ანალიზიდან. შეიძლება ამ დასკვნებს არ დაეთანხმოდ, მაგრამ ანგარიში უნდა გაუწიოთ. ასევე მეტად პრობლემატიურია მოსაზრებანი „სიბრძნე-სიცრუის“ იდეოლოგიური სარჩულის გასარკვევად (განსაკუთრებით გვ. CLXXXII-CLXXXV).

საერთოდ გ. ლეონიძის გამოკვლევითი მუშაობა დადებითი ხასიათისაა, ჩვენ აქ შევეცდებით მხოლოდ ზოგიერთ დეფექტებზე მიუთითოთ. ეს დეფექტები ხშირად წვრილმანებშიც მქლავდება, მაგრამ მაინც ფრიად დამახასიათებელი ხდება რედაქტორის მუშაობისთვის.

აღსანიშნავია, რომ გ. ლეონიძეს აქვს მიწრაფება ნარკვევს პირველი წყაროებით სარგებლობის ხასიათი მისკეს მაშინც კი, როცა ამას სინამდვილეში ადგილი არ უნდა ჰქონოდა, ან და მკვლევარი ზერელედ მოჰკიდებია ამ წყაროებს.

ასე მაგ. „სიბრძნე-სიცრუის“ დაწერის დროს გარკვევა ერთ-ერთი რთული საკითხთაგანია. რედაქტორი ამ მხრით სრულიად იზიარებს პროფ. კ. კეკელიძის აზრს (GLXIX) და დამატებით ადგენს რამდენიმე ახალ დებულებას. ამათში სერიოზული ხასიათისაა ხელნაწერთა ანალიზი. რედაქტორს სიტყვით „სიბრძნე-სიცრუის უმრავლესი ნუსხები შემდეგი სათაურით იწყება:“ წიგნი სიბრძნე-სიცრუისა, ნათქვამი საბას-სულხან ორბელიანისაგან ჟამსა სიჭაბუკისა მისისა (CLXXIV-CLXXV, ხაზი ჩვენია). ნამდვილად კი ყველა ცნობილი ხელნაწერი, რომელსაც დეფექტურობის გამო სათაურები არ დაუკარგავთ, კრებულს მხოლოდ სულხანს მიაწერს და არა საბას-სულხანს. მაშასადამე ამით ერთი თავისამტვრევი საკითხი ამოწურული ხდება: იგავ-არაკების კრებული სულხანს ბერად შედგომამდე დაუწერია.

—რედაქტორი ერთ ადგილას იმოწმებს არჩილს („საქართველოს ზნეობანი“) და წყაროდ წ. კ. ხელნაწერებს №№ 426 და 16-ს ასახელებს.—მითითება მცდარია. № 426 სასულიერო ხასიათის ძეგლია და ამ ჟამად საქართველოში არ არის. მეორე სპარსული სახარებაა.

რასაკვირველია აქ საქმე კორექტურულ შეცდომასთან არ გვაქვს. „არჩილიანი“ ექვ. თაყაიშვილის ცნობილ „აღწერილობაში“ სწორედ კორექტურული შეცდომით № 426-ად არის შეტანილი (№ 424-ის ნაცვლად). უნდა ვიფიქროთ, რომ გ. ლეონიძე ექვ. თაყაიშვილს უნდა ემყარებოდეს, წყაროდ კი პირდაპირ ხელნაწერს ასახელებს. ეს დეტალი სიმბტომატიურია, საერთოდ წყაროების „უშუალობის“ საკითხი სარეცენზიო წიგნისთვის ხშირად საეჭვო ხდება. რედაქტორის სიტყვით საბას „მოგზაურობა“ დაცული ყოფილა ს. ს. ს. მუხეუმის ხელნაწერებში № 93 და 759 „ამ სახითგა იგი დაბეჭდილი „ცისკარში“-ო (CXVIII, შენ.).—ეს არაა სწორი. № 759-ში ტექსტი გამოცემასთან შედარებით ნაკლებია; 93-ს კი დაკარგულის ნაწილიც აქვს შემონახული და ამდენადვე განსაკუთრებული ყურადღების ღირსია (რადგანაც გ. ლეონიძე, თურმე, „მოგზაურობის“ ტექსტს თავისი კომენტარებით უკვე ამზადებს გამოსაცემად“.—იქვე).

შეცდომაა თითქოს პირველი ქართული წიგნი 1625 წ. (LXXIX), ხოლო „ვეფხისტყაოსანი“ 1709 წ. (XCVIII) დაიბეჭდა.*

*) თუ აქ კორექტურულ ცდომილებასთან არ გვაქვს საქმე. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ წიგნში ასეთები მრავლადაა, შეცდომათა საძიებელი კი არ აქვს!

არჩილი, რედაქტორის თქმით, ცნობილია „როგორც დამწყები (sic!) და თვალსაჩინო წარმომადგენელი განახლების ეპოქისა“,—მან, თურმე, „ხელი შეუწყო ქართულ საერო პოეზიის აღორძინებას, რომელიც ბიზანტიურის და საერთოდ კლერიკალური მიმართულების გავლენაში იმყოფებოდა“ (XXVII).—სრულიად მცდარი მოსაზრებებია. არავითარი ამისი მსგავსი „განახლების“ პერიოდის საერო პოეზიის და კერძოდ არჩილის შესახებ არ ითქმის.

გ. ლეონიძეს საინტერესო მოსაზრებები აქვს წარმოდგენილი საბას ვახტანგთან ურთიერთობის საკითხში. რასაკვირველია სავსებით მისაღებია ის დებულება, რომ „ქილილა და დამანას“ წინასიტყვაობაში დაცული არაკები ამ ურთიერთობის ალფეგორიულ გამოხატულებას წარმოადგენს, მაგრამ ამით ხომ ოდნავადაც არ ირკვევა მთლიანად ამ წინასიტყვაობის ავტორობის საკითხი?

მცდარია რედაქტორის მოსაზრება თითქოს: „ვახტანგმა თავისუფლად არ იცოდა სპარსული“ (CXXX) და ამ დებულებაზე დამყარებული კონცეპცია. ვახტანგის სხვა თარგმანებს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ ხელთ გვაქვს „ქილილა და დამანას“ პირველი რედქაციის ნუსხა (წ. კ. № 3177), რომელიც ვახტანგს დედანთან შეუწამებია და, სხვათა შორის, დანაკლისი შეუფსია. სახელდობრ ვახტანგს უთარგმნია ლექსები და თავის საკუთარი ხელით ჩაუწერია სათანადო ადგილას ხელნაწერის ძირითად ტექსტში თუ აშიებზე. უნდა ხაზი გაუსვათ, რომ ვახტანგის ნამუშავევი დედნის სწორ და კარგ თარგმანს წარმოადგენს.

საბას სამეფო კარიდან გაძევება, როგორც ეს გ. ლეონიძეს წარმოუდგენია, საცილობელია. მით უმეტეს, რომ მკვლევარს მცდარად აქვს გაგებული ევროპაში გამგზავრების ამბავი. მისი აზრით „ევროპაში საბა გამგზავრებულა თითონ მეფისგან სრულიად დამოუკიდებლად (CXLVIII), ან „საბას გამგზავრების ინიციატივა ვახტანგს არ ეკუთვნის და საბამ თავისი სურვილით იკისრა ელჩობა“ (CL).—ეს შეცდომაა. გ. ლეონიძეს არ აქვს კარგად გათვალისწინებული, რომ საბას გამგზავრება დიპლომატიური მიზნით იყო გამოწვეული და ოფიციალურ განცხადებებს ხშირად მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ საბას წერილი კონსტანტინეპოლიდან: „აქ ყოფნა გრძლად არ ვარგა მისთვის, რომ ვინ იცის თუ ჩემი რამ ითქუა და საჯაროდ გამოვიდა, მრავალი საქმე წახდება“-ო (მ. თამარაშვილი, გვ. 331). ვახტანგი კიდევ სიფრთხილისთვის „არც ქართულად სწერს [წერილს] და არც თავის ხელს [აწერს] პასუხზე, რათა წერილი მის მტრებს, სპარსელებს, არ ჩავარდნოდათ ხელში და უარესად არ გადამტერებოდენ“ (იქვე, გვ. 316). საბას საკუთარი ინიციატივით ევროპაში მგზავრობა ხომ ავანტიურა იქნებოდა? ან რა ანგარიშს გაუწევდენ მას?

— ევროპაში მგზავრობასთან დაკავშირებით შეიძლებოდა ერთი დეტალის მოგონება საბას ერუდიციის სფეროდან. მკვლევარი ბევრს ლაპარაკობს საბას სწავლა-განათლებასა და ენების ცოდნის საკითხზე, მაგრამ, სამწუხაროდ, გამორჩენია საბას ერთი საკუთარი მოწმობა ამ საკითხის გადასაჭრელად. სახელდობრ პაპის სასახლეში საბასთვის უჩვენებიათ „საწიგნე“. სხვათა შორის იქ ერთი საყურადღებო მანუსკრიპტი გაუსინჯავს, რის გამოც დღიურში სწერს: „ჯვარზედ შავ-შავად რაღაცა აჩნდა. ერთი სათვალე მოიტანა [ხედამხედველმა], ჩავხედეთ. მართლა სწორე დაწერილი იყო. მე ხომ სხვს—ასოს მეტს—რას ვიცნობდი?“ („ცისკარი“, № 1, გვ. 14-15). ცხადია მანუსკრიპტი ლათინური ან ბერძნული უნდა ყოფილიყო. საბას ეს ენა არ სცოდნია, მხოლოდ კითხვა და შესძლება.

არაკების ორიგინალობის საკითხში ავტორი არსებითად იმეორებს ტრადი-

ციულად განმტკიცებულ აზრს. მას დასაშვებათ მიაჩნია უცხო გავლენაც ამა თუ იმ არაკის სიუჟეტში ოღონდ იმ პირობით კი თუ დაუშვებთ, რომ „საქმე გვაქვს მოარულ, შაშველ სიუჟეტებთან და მოტივებთან“ (CXCVI). არსებითად კი ეს უცხო გავლენა მკვლევარს არარაობამდის დაჰყავს, რადგანაც „სესხების ფაქტის შესახებ, გარდა სიუჟეტური სქემის და ცალკე მოტივების მსგავსებისა, საჭიროა აგრეთვე შეხვედრა კონკრეტული დეტალების, სიუჟეტის შემდგენელ მოტივების თანრიგისა და დამახასიათებელი წვრილმანებისა“-ო (იქვე). — მკვლევარის დაკვირვებით კი თურმე ეს „ჯერ არ არის აღმოჩენილი საბას იგავ-არაკების კრებულში უცხო ზღაპრების და ავტორების მხით“ (იქვე).

მკვლევარის მოთხოვნილება სავსებით სწორია, დასკვნა კი ზერელე დაკვირვების ნაყოფია. საილუსტრაციოდ ჩვენ დაუსახელებდით პატივცემულ მკვლევარს „კუ და მორიელის“ არაკს [შდრ. „სიბრძნე-სიცრუისა“ (გვ. 78-79) „ქილილა და დამანას“ ანალოგიურ არაკს (ი. ჭყონიას გამოცემა. გვ. 122-123)].¹

გ. ლეონიძე ისე შორს მიდის, რომ ქართული ლიტერატურული გავლენის ფაქტიც აქვს დამოწმებული: „უტკბესი და უმწარესი“ თეიმურაზ 1-ის ლექსის [„ენა“] გავლენით არის დაწერილი (CXCVII). აქ ყველაფერი პრობლემატურია: ჯერ ერთი საიდან მოეხსენება მკვლევარს, რომ „ენა“ თეიმურაზ პირველის ნაწარმოებია? ან როდისაა დაწერილი ეს ლექსი? მეორეც — ეს არაკი სიუჟეტურად პარალელს ესოპეში ჰპოულობს (შდრ. ესოპეს არაკების რუსული თარგმანი, მოსკოვი, 1880 წ. გვ. IX-X).

გ. ლეონიძეს შესაძლებლად მიაჩნია, რომ „სიბრძნე სიცრუის“ ორი რედაქცია არსებულებო. შესაძლებლობა მოსალოდნელია, მაგრამ მკვლევარი ამაზე არ ჩერდება. მას ამ შესაძლებელი რედაქციის კონკრეტული სახეც აქვს წარმოადგენილი: „პირველი რედაქცია უფაბულო ყოფილა. იგი მხოლოდ ქართული არაკების კრებულს წარმოადგენდა“ (CXCIX, შენ.). ამის დასამტკიცებლად მხოლოდ ერთი საბუთია დასახელებული: „გასული საუკუნის 70-იან წლებში უნახავს ალ. ცაგარელს ასეთი რედაქცია“ (იქვე, ხაზი ჩვენი). გ. ლეონიძეს იქვე მოჰყავს ვრცელი ამონაწერი პროფ. ცაგარელის შრომიდან, საიდანაც ჩანს, რომ პროფესორს უთხრეს რაღაცა არაკების კრებულის არსებობის შესახებ „რომლის შედგენას მიაწერენ სულხან-საბა ორბელიანს“-ო. პროფ. ცაგარელი დასძენს „სამწუხაროდ, მე ჯერ არ მინახავს ეს საინტერესო კრებული“-ო (იქვე, ხაზი ჩვენი). — ცხადია ასეთი საბუთები არ გამოდგება.

არაკების იდეოლოგიური მომენტების განსაზღვრა, როგორც ვთქვით, ფრიად ცალმხრივია და ნაძალადევი.

ამით მოვასრულებთ ჩვენს მოკლე შენიშვნებს. დასასრულ იმას ლავიტყვით, რომ საერთოდ სარეცენზიო წიგნი აუცილებლად დადებითი მოვლენაა ჩვენ სინამდვილეში. რედაქტორს ცდა არ დაუკლია სახელოვანი მწერლის ხსოვნის უკვდავსაყოფელად. *

*) ოღონდ გადაჭარბებულად უნდა ჩაითვალოს სულხან-საბა ორბელიანის გენიოსად გამოცხადება (შდრ. გვ. IX, LVIII და სხვ.).

აქვე საჭიროდ მიაჩმნია შევნიშნო, რომ ჩვენ თაობას არ შეშვენის განსვენებული ალ. ხახანაშვილის იმ სახით მოხსენება, როგორც ამას სარეცენზიო წიგნის წინასიტყვაობაში აქვს ადგილი (შდრ. გვ. LXI).

ლიტერატურული ცხოვრება

უცხოეთი.

— „გათანამედროვებული“ შექსპირი. ლონდონის თეატრში „Court Theatre“ ამჟამად სდგამენ შექსპირის „გათანამედროვებულ“ პიესებს—მათი მოქმედებების თანადროულობის პირობებში გადმოტანით. შექსპირის თანამედროვე კოსტუმებში მოცემის პირველ ცდას წარმოადგენს „ჰამლეტი“, რომლის დადგმასაც კრიტიკა თანაგრძნობით შეეგება. მეორე დადგმას, რომელმაც კრიტიკოსებს შორის აზრთა სხვაობა გამოიწვია, წარმოადგენს—„ჭირვეული ცოლის მორჯულება“. აქ რეჟისორი არ დაკმაყოფილდა კომედიის პრიმიტიული მოდერნიზაციით (მაგალ. თანამედროვე კოსტიუმები). არაზედ გაბედა კომედიაში ეპიზოდური ფიგურების (კინო—ოპერატორის და სხვ.) შეყვანაც, რამაც გამოიწვია ხანგრძლივი დავა თეატრალურ კრიტიკაში.

— „ლექსი და პროზა“. პარიზში, პოლ ვალერის და პოლ ფორის რედაქციით მიმდინარე წელს დაიწყო გამოსვლა სამთვითურმა მხატვრულმა ჟურნალმა სახელწოდებით: „ლექსი და პროზა“. პირველ ტომში მოთავსებულია ანრი დერენიეს, ჟიულ რომენის, ჟორჟ დუამელის, მარსელ შვობის და სხვ. ნაწარმოებნი.

— წიგნი ფრანგული ლიტერატურის შესახებ. ახლო წარსულში პარიზში გამოვიდა ანდრე ბილლის ახალი წიგნი „თანამედროვე ფრანგული ლიტერატურა“, სადაც მოცემულია თანამედ. ფრანგული მწერლობის უმთავრეს მიმდინარეობათა და აგრეთვე გამოჩენილ ლიტერატორთა ამომწურავი დახასიათება.

— ბოდლერის ლექსების აღმოჩენა. ამიენის ქალაქის წიგნთსაცავში ერთერთ გარდაცვლილი ისტორიკოსის ხელნაწერებში აღმოაჩინეს დაუმთავრებელი დრამის პროგრამა, რომელიც ეკუთვნის ბოდლერს. დრამა მოფიქრებულია ბოდლერის მიერ ლიტერატორ პრარონდთან ერთად. იმავე ხელნაწერებში შენახულია დრამის 160 ლექსითი ტაეპა, რომელიც ყოველ ეჭვს გარეშე ეკუთვნის ბოდლერს.

რუსეთი.

— სალიტერატურო შკოლა. კომკავშირის მოსკოვის კომიტეტის გადაწყვეტილებით მოსკოვში იხსნება სამწლიანი სალიტერატურო შკოლა მუშა-ახალგაზრდობისთვის; შკოლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ახალგაზრდა მუშების კულტურული დონისა და წმინდა ლიტერატურული კვალიფიკაციის აწევა. შკოლაში მეცადინეობა იწარმოებს იმ ანგარიშით, რომ ახალგაზრდა მუშებს სწავლის საშვალეობა მიეცეთ ძირითად სამუშაოზე მოუცდენლად.

— თევზაობა და მხატვრული ლიტერატურა. „მწერალთა, მოსკოვის წიგნის გამომცემლობა“ უახლოეს ხანში უშვებს ორიგინალურ კრებულს, სადაც მოთავსებული იქნება მოთხრობები და ნაწყვეტები კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებებიდან—თევზის ჭერის შესახებ. კრებულს რედაქტორობს ბელეტრისტი პრიშვინი.

— „ქარი კავკასიიდან“. გამოვიდა ანდრეი ბელის წიგნი „ქარი კავკასიიდან;“ წიგნი შეიცავს ავტორის მოგონებებს და საქართველოში და სომხეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს.

— წიგნი ნატა ვაჩნაძის შესახებ. მოსკოვში, „ტეა-კინო-პეჩატის“ გამოცემით გამოვიდა პ. ნეზნამოვის წიგნი ნატა ვაჩნაძის შესახებ. წიგნში მოცემულია მსახიობი ქალის ბიოგრაფია, დახასიათება მისი, როგორც აქტიორის, ჩამოთვლილია დადებითი და სუსტი მხარეები და ბოლოს წიგნი თავდება სიტყვებით: „ნატა ვაჩნაძემ კიდევ ბევრი შრომა უნდა გასწიოს, რომ აქტიორიდან, რომელსაც ათამაშებენ, გადაიქცეს აქტიორად, რომელიც თამაშობს“.

— „ელისო“ და მოსკოვის პრესა. ახალგაზრდა რეჟისორ ნ. შენგელაიას სურათი „ელისო“ უკვე სამი კვირაა ანშლაგებით მიდის მოსკოვში. მოსკოვის პრესა და კინო-ჟურნალები აღნიშნავენ ამ სურათის მაღალ ღირსებებს. „იზვესტია“ ერთერთ უკანასკნელ ნომერში სწერს: სურათმა „ელისომ“ პირველ რიგში გამოიყვანა აქნამდის უცნობი რეჟისორი ნ. შენგელაია. ჩვენ მოუთმენლად მოველით მის შემდეგ ნამუშევრებს“.

— სტანისლავსკის წიგნი. მოკლე ხანში გამომცემლობა „აკადემიაში“ გამოდის მეორე გამოცემა ვ. სტანისლავსკის წიგნისა—„ჩემი ცხოვრება ხელოვნებაში“.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო .

— ფადეევის „განადგურება“.—გამომცემ. შრომაში იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ფადეევის—რომანი „განადგურება“, თარგმანი არისტოქუმბაძისა.

— სერაფიმოვიჩის „რკინის ნიაღვარი“. იმავე გამოიცემლობა უახლოეს ხანში უშვებს აგრეთვე სერაფიმოვიჩის რომანის—„რკინის ნიაღვარის“ თარგმანს. თარგმანი ეკუთვნის დავით კასრაძეს.

— სტენდალის „ქრონიკები“. გამოვიდა სტენდალის „იტალიური ქრონიკები“, თარგმანი გერონტი ქიქოძის. წიგნში მოთავსებულია მხოლოდ ოთხი მოთხრობის თარგმანი: ჩენჩი, ვიოლანტე პალიანო, წმ. ფრანჩესკოს ეკლესია და ვანიჩა ვანიჩი.

— პროსპერ მერიმეს „კარმენი“. გამოვიდა პროსპერ მერიმეს „კარმენი“. თარგმანი ალი არსენიშვილისა.

— „კაკალ გულში“. შალვა დადიანმა დასწერა ახალი ორიგინალური კომედია—„კაკალ გულში“. კომედიას დასადგმელად ამზადებს მარჯანიშვილის თეატრი ქუთაისში.

— ხალხური პოეზიის ანთოლოგია. მერაბ მარუშიძემ შეადგინა და დასაბეჭდათ ამზადებს ხალხური პოეზიის ანთოლოგიას. ანთოლოგიაში შედის საქართველოს ყველა კუთხის ხალხური პოეზიის ნიმუშები. წიგნს დართული ექნება მონოგრაფია.

— „რას მოველით ლიტერატურისაგან?“ უახლოეს ხანში პროფსაბჭოს კულტგანყოფილება ტფილისში აწყობს საინტერესო დისპუტს თემაზე: რას მოელის ჩვენი მკითხველი საბჭოთა ლიტერატურისაგან.

— ჟურნალი „მემარცხენეობა“ № 3. უახლოეს მომავალში გამოდის მემარცხენე მწერალთა საბჭოს ჟურნალი „მემარცხენეობა“ № 3—სიმონ ჩიქოვანის რედაქტორობით.